სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის
და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი

PROBLEMS OF ARCHITECTURE AND URBAN PLANNING TODAY

Scientific and Technical Magazine

№19 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 19

ISSNN 2233-3266

DOI: https://doi.org/10.36073/2233-3266

2023

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი გია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე ნინო ჩაჩავა, ბადრი გორგილაძე

სამეცნიერო - სარედაქციო კოლეგია:

ნინო იმნაძე, ვახტანგ დავითაია, ვლადიმერ ბელოგოლოვსკი (აშშ), ნეკროსიუს ლიუტაურას (ლიეტუვა), ლუკას ბედნარს (პოლონეთი), ნორა ლომბარდინი (იტალია), დავით აბულაძე, ლევან ბერიძე, ნანული თევზაძე, ზურაბ კიკნაძე, გიორგი სალუქვაძე, გოჩა მიქიაშვილი, ნიკოლოზ შავიშვილი, ნინო ხაბეიშვილი, მარინა მაისურაძე, თინათინ ჩიგოგიძე, მაია დავითაია, მაია ძიძიგური

პასუხისმგებელი მდივნები : ირმა კოდუა.

საკონტაქტო ტელ: 62–60; 2 33 71 63

E-mail: arch@gtu.ge

რედაქციის მისამართი 0175, თბილისი, მ.კოსტავას 77

Modern problems of Architecture and Town Planning

Scientific and Technical Magazine

EDITOR-IN-CHIEF G. Natsvlishvili

DEPUTY OF EDITOR-IN-CHIEF N. Chachava, B. Gorgiladze

MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

N. Imnadze, V.Davitaia, V. Belogolovski (USS), L. Nekrošius (Lithuania), L. Bednarz (Poland), N. Lombardini (Itali), D. Abuladze, L. Beridze, N. Tevzadze, Z. Kiknadze, N.Shavishvili, G. Mikiashvili, N. Khabeishvili, M. Maisuradze, T. Chigogidze, M. Davitaia, M. Dzidziguri

Executive secretary I. Kodua.

Tel: 62-60; 2 33 71 63; E-mail: arch@gtu.ge

Address of editorial office : 77, Kostava Str. 0175, Tbilisi, Georgia

Современные проблемы архитектуры и градостроительства

Научно-технический журнал

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР Г.НАЦВЛИШВИЛИ

ЗАМ. ГЛАВНОГО РЕДАКТОРА Н. ЧАЧАВА, Б. ГОРГИЛАДЗЕ

НАУЧНО-РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ :

Н. ИМНАДЗЕ, В. ДАВИТАИА, В. БЕЛОГОЛОВСКИ (США), Л. НЕКРОСИУС (ЛИТВА), Л. БЕДНАРЗ (РОЛЬША), Н. ЛОМБАРДИНИ (ИТАЛИА), Д. АБУЛАДЗЕ, Л. БЕРИДЗЕ, Н. ТЕВЗАДЗЕ, З. КИКНАДЗЕ, Г. МИКИАШВИЛИ, Г. САЛУКВАДЗЕ , Н. ШАВИШВИЛИ, Н. ХАБЕИШВИЛИ, М. МАИСУРАДЗЕ, Т. ЧИГОГИДЗЕ, М. ДАВИТАИА, М. ДЗИДЗИГУРИ

ОТВЕТСТВЕННЫЙ СЕКРЕТАРЬ И. КОДУА.

КОНТАКТНЫЕ ТЕЛЕФОНЫ: 62-60; 2 33 71 63; E-mail: arch@gtu.ge

Адрес редакции: Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

შინაარსი

1. ალექსიძე ნ. ლადო ალექსი-მესხიშვილის არქიტეტურული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი 3

2. ბერიძე ლ., ბერიძე გ. ხმაური ქალაქში და მასთან ბრძოლა 13

3. ბერეკაშვილი ქ., სვანაძე გ. ხე და არქიტექტურა (პრობლემები და გამოწვევები) 21

4. გერსამია ლ., ჩაჩავა ნ. მდინარეების მნიშვნელობა საპორტო ქალაქების განვითარებაში 26

5. გვენცაძე ნ. პანდემია და მისი გავლენა არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაში 47

6. ვარდოსანიძე ვლადიმერ (ლადო) მოსაზრებები „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის“ შემუშავების მიმართ 64

7. ვარდოსანიძე ვ., ხოშტარია თ. UNESCO-ს ძირითად და საცდელ სიებში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ანალიზი და მისი სრულყოფა-შევსების წინადადებები 79

8. იმნაძე ნ., შტაადე ა. თბილისი - ბათუმის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმდებარედ არსებული ობიექტების კვლევა 99

9. მელქაძე მ. „თბილისური ეზოიანი“ სახლების ინოვაციური მოდელის როლი რეგულირების ზონის ქალაქგეგმარებით ქსოვილში 114

10. მუჯირი ვ., ენდელაძე ნ. თანამედროვე სამუზეუმო არქიტექტურის ესთეტიკა 122

11. ნაჰრენდორფი გუდრუნ ბაღები და ტურიზმი ახალი გამოწვევების წინაშე გარდამავალი პერიოდი და არსებული პრობლემები 135

12. ქობულაძე ნ., ბერეკაშვილი ქ. „მშენებლობის ნებართვა - ევროპული ქვეყნების პრაქტიკა“ 141

13. შტაადე ა. „შეუმჩნეველი“ ობიექტები ავტობანის არქიტექტურულ - მხატვრული ანალიზი 160

14. ჩაჩავა ნ., ჭანტურია თ., თავდუმაძე ნ. საჯარო ურბანული სივრცეების ტრანსფორმაციის როლი მსხვილი ქალაქების სეისმური რისკის შემცირებაში ქ.თბილისის ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის მაგალითზე 169

15. ჩიგოგიძე თ., ჯინჭარაძე თ. მეტაარქიტექტურა და ტექნოლოგიების საბაზისო ცოდნის აუცილებლობა 178

16. ძიძიგური მ. ჭავჭავაძის გამზირის ერთი მონაკვეთის სახეცვლილების შესახებ 185

Content

1. Aleksidze N. Certain Aspects of Architectural Works of Lado Alexi-Meshkhishvili 3
2 Beridze L., Beridze G. Noise in the City and Fight with it 13

3. Berekashvili K., Svanadze G. A Tree and Architecturen (Problems and Challenges) 21

4. Gersamia L., Chachava N. The Importance of Rivers in the Development of Port Cities 26

5. Gventsadze N. The Pandemic and its Impact on Architecture and Urban Planning 47

6. Vardosanidze Vladimer (Lado) Considerations, Regarding the Elaboration of "Spatial Planning Plan of Georgia" 64

7. Vardosanidze V., Khoshtaria T. Analysis of the Documentation of the Immovable monuments of Cultural Heritage of Georgia Included in the Main and Tentative Lists of UNESCO and Suggestions for its Improvement 79

8. Imnadze N., Shtaadze A. Research Existing Facilities of the Nearby Tbilisi - Batumi Highway 99

9. Melkadze M. The Role of Innovative Model of “Tbilisi Courtyard” Houses in Urban Plannig of the Regulation Zone 114

10. Mujiri V., Endeladze N. Aesthetics of Modern Museum Architecture 122

11. Nahrendorf G. Gardens and Tourism, New Challenges Transition and problems 135

12 Kobuladze N., Berekashvili Q. "Construction permit - practice of European countries" 141

13. Shtaadze A. "Invisible" Objects - Architectural-artistic Analysis of the Highway 160

14. Chachava N., Chanturia T., Tavdumadze N. The Role of the Transformation of Vacant Urban Spaces in Reducing the Seismic Risk of Large cCties on the Example of Tbilisi 169

15. Chigogidze T., Jincharadze T. Meta Architecture and the Need for Basic Knowledge of Technology 178

16. Dzidziguri M. About Transformation of one Section of Chavchavadze Avenue 185

ლადო ალექსი-მესხიშვილის არქიტეტურული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი

ალექსიძე ნ.

დოქტორანტი

სახელოვნებო მეცნიერებაში მხატვრული ტენდენციების მნიშვნელობა უკავშირდება ფორმალური, ტექნიკური და ფილოსოფიური მახასიათებლების ცნებას. მხატვრული მიმდინარეობა მის წარმომადგენელთა აზროვნებისა და იდეოლოგიის შემოქმედებითი წარმოჩენაა კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ყველა სახელოვნებო ტენდენცია ანალიტიკური ფილოსოფიის კონცეპტუალურ ჩარჩოში მოიაზრება. თუმცა კონცეპტუალური ჩარჩო ხელოვანთა შემოქმედებაში უაღრესად მოქნილი და მრავალმნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს. მხატვრული

ნაწარმოებების შესწავლისა და განხილვის პროცესში ფუნდამენტურ დატვირთვას იძენს ხელოვანთა როგორც ინდივიდუალური მანერის ანალიზი, ასევე გამომსახველობითი ელემენტების, ცნებების, კონცეფციების ლოგიკური განვითარებისა და კანონზომიერებების დადგენა. ეს პროცესი რთული და საინტერესო მატრიცის ამოცნობას ჰგავს.

ქართველი არქიტექტორისლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული თვითმყოფადი ნიჭის გამო, არამედკონტექსტური კავშირების გამოვლენის კუთხითაც. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, როგორიცაა: არქიტექტურისა და გარემოს ურთიერთმიმართების საკითხი, ურბანულ სივრცეში შენობათა არქიტექტურული დიალოგის თემა, სამშენებლო ხელოვნების ტექნიკური პროგრესისა და კონსტრუქციული სიახლეების არსებობა და ხელოვნებათა სინთეზი მოდერნისტულ არქიტექტურაში.

1. არქიტექტურისა და გარემოს ურთიერთიერთმიმართების საკითხი

ბუნების, ლანდშაპტის, ადგილობრივი კლიმატისა და გარემოს თავისებურებების გათვალისწინებას მშენებლობის ხელოვნებაში დიდი და საინტერესო გზა აქვს. ბუნებასთან აქტიური კომუნიკაცია სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული, რეგიონალური არქიტექტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამ მხრივ ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები ბუნებასთან თანაარსებობის თვალსაჩინო ნიმუშებია.

მე-20 საუკუნის არქიტექტურამ მწვანე საფართან ურთიერთობის საკითხი ახალი კონტექსტით განიხილა. გარემოზე გახსნა, საამშენებლო მასალების უჩვეულო კომბინაცია, ადგილის ნიშნის გათვალისწინება, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი სპეციფიკის გადაკვეთა - მოდერნისტი არქიტექტორების სამუშაო თემებია.

როგორც ცნობილია, არქიტექტურის გახსნილობის, ბუნებასთან შეერთების თემა ლე კორბუზიეს მთავარ დებულებებში გამოვლინდა. ეს თემამე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მოდერნისტულ არქიტექტურაში საინტერესოდაა წარმოდგენილი. მაგალითად, ფილიპ ჯონსონის მინის სახლი ბუნებასთან გახსნისა და პეიზაჟის ოთახის ინტერიერში შემობრძანების განხორციელებაა. ფრენკ ლოიდ რაიტის სახლი ჩანჩქერზე არქიტექტურის და ბუნების სინთეზის ერთგვარი მანიფესტია. თვითნასწავლი ტადაო ანდო გასცდა ლანდშაფტის ტრადიციულ გაგებას და ინტერიერი ბუნებრივი ელემენტებით გაამდიდრა, როგორიცაა წყალი და მზის სინათლე (სინათლის ტაძარი და ნაოშიმას ხელოვნების მუზეუმი). ხუროთმოძღვრებისა და ბუნების ერთიანობის იდეაა გაცოცხლებული ემილიო ამბაზის შემოქმედებაში. დროთა განმავლობაში გარემოსთან სინთეზის კომპონენტი კიდევ უფრო ძლიერდება, როგორიცაა: მოშე საფდის აეროპორტი - Jewel Changi Airport, მარიო კუჩინელას შენობები, იაპონური UPI SHOP-ის ინტერიერი, შულინის არქიტექტურული დიზაინის სახელოსნო და მრავალი სხვა.

საინტერესოა როგორ არის გადაჭრილი ქართველი არქიტექტორის შემოქმედებაში ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთმიმართების საკითხი. ხუროთმოძღვრული ფორმების ბუნებასთან ჰარმონიული შეთანხმება ორგანული არქიტექტურის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში.

თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის (1965-1973წწ)დაგეგმარებისასარქიტექტორებმა ლადო ალექსი-მესხიშვილმა და გერმანე ღუდუშაურმა რთული დავალება დაძლიეს: შენობა უნდა განთავსებულიყო დამრეცი რელიეფის ბაღში. არქიტექტორთა პროექტი არ ითვალისწინებდა შენობის უხეშ შეჭრას ბუნებაში და მის დაქვემდებარებას ობიექტის საჭიროებებისადმი. შემოქმედებითმა ჯგუფმა ოსტატურად დააკავშირა ერთმანეთთან ვერის პარკის ლანდშაფტი და მოდერნისტულიარქიტექტურა (სურათი N2). შენობის ზომები ადამიანის მასშტაბთან მიმართებით პროპორციულად არის შერჩეული და ის ზომიერადაა ჩაწერილი ბუნებაში. აღმოსავლეთის მხრიდან ჭადრაკის სასახლე სამსართულიანია, დასავლეთიდან - ორსართულიანი. ლაკონური ფასადი მიუყვება ჰორიზონტალურ ხაზებს, ლენტური პრინციპით განლაგებული დიდი ფანჯრები

სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებს და უხვი სინათლის წყაროს წარმოადგენს(სურათი N1). შთამბეჭდავია სინათლის, ჰაერის და ბუნების პროექცია ინტერიერში.

არქიტექტურისა და გარემოს დამოკიდებულების საკითხი საინტერესოდაა გადაწყვეტილი არქიტექტორის სხვა პროექტებში, მაგალითად რესტორანი ,,იორი'' თბილისის ზღვაზე(არქიტექტორები: ლ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე. 1956-1962 წწ.). რესტორანს ჰქონდა ღია ეზო და ზღვის მხარეს გაშლილი ნახევარსფერული ვერანდა. ორდონიანი ღია ტერასა -კოლონადა რესტორნის ფასადის თვალსაჩინო ნაწილია. მოხდენილი რესტორანი სადა, გარემოსთან ორგანულად შეზრდილი და ფუნქციის შესაბამისად ლაღია.

მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი სახლი სოხუმში (არქიტექტორები: ლ. ალექსი- მესხიშვილი, ნ. ვადაჭკორია. 1962-1965 წწ) დენდროლოგიურ პარკში მდებარეობს. დასასვენებელი სახლის ყველა ოთახს აქვს ზღვის მხარეს გახსნილი აივნები, რომლებიც ერთმანეთისგან მსუბუქი ტიხრებითაა გამიჯნული. ბუნებრივი ტერასა რბილი გადასვლით უკავშირდება ბაზალტით მოპირკეთებულ კიბეს. ეგზოტიკური პარკი და არქიტექტურა ერთ მთლიან, ორგანულ კომპლექსს ქმნის.

ამრიგად, ლადო ალექსი-მესხიშვილის არქიტექტურული ხედვა ბუნებასთან ინტეგრაციის მიმართულებით არის არა მხოლოდ ტრადიციული ქართული ხუროთმოძღვრებიდან აღმოცენებული პროფესიული არჩევანი და მოდერნისტული ტენდენცია, არამედ პროგრესული და მომავლის ესთეტიკურ პრიორიტეტებზე გათვლილი შემოქმედებითი კონცეფცია.

სურ. 1 ჭადრაკის სასახლე

2. ურბანულ სივრცეში შენობათა არქიტექტურული დიალოგის თემა

ქალაქების წინასწარ განსაზღვრული გეგმით აშენებას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი. ყველა ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება და იცვლება. თითოეულ ქალაქს მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ქსოვილი აქვს, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება, იცვლება, ვითარდება ან სტაგნაციას განიცდის. პასკალ მარაგალი წერდა: ,,თუ არ იქნება ახალი მშენებლობა ქალაქი ვერ გაძლებს. თითოეულმა ქალაქმა არსებული სიმბოლოების ახალთან კომბინაციის საკუთარი ფორმულა უნდა იპოვოს.'' გონივრული თეორიული მიდგომაა, რომლის პრაქტიკაში გაცოცხლება უდიდეს პროფესიონალიზმს, სახელმწიფოებრივ ნებას და ესთეტიკურ კატეგორიებს ეფუძნება. სამწუხაროდ, თბილისის ქალაქგეგმარებითი სტრუქტურის განხილვისას პრობლემები სჭარბობს ურბანულ რეგენერაციას. დედაქალაქის სოციალურ-კულტურული ორიენტირების ურბანული პრიორიტეტები მრავალმხრივია. ეს შეიძლება იყოს: განაშენიანების გეოლოგიური და ეკოლოგიური უსაფრთხოება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიულო შენობების რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, მშენებლობის სტანდარტების, ნორმების დაცვა და მრავალი სხვა. მათ შორის საყურადღებოა არქიტექტურულ ნაგებობათა ურთიერშეთანხმებისა და,,კულტურული დიალოგის'' თემა, რომელიც პრობლემური გამოწვევაა ისტორიული ქალაქის განაშენიანებაში. არქიტექტურულ ფორმებს, შენობათა მასშტაბებს, სტილისტურ მახასიათებლებს შორის მწყობრი სტრუქტურული კავშირი უნდა არსებობდეს. არქიტექტურული ობიექტების ქაოტური დაპროექტება და ერთმანეთისადმი სრულიად შეუსაბამო რაკურსით განლაგება ურბანული იერსახის დესტრუქციას იწვევს.

ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებაში აღნიშნული საკითხი ოსტატურადაა გააზრებული. განვიხილოთ ცენტრალური ტელეგრაფის შენობა რუსთაველის გამზირზე (არქიტექტორები:ლ. ალექსი- მესხიშვილი, თ. მიქაშავიძე, თბილისი, 1966-1976 წწ).

ტელეგრაფის შენობა რუსთაველის გამზირის ისტორიული განაშენიანების შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ახალ ნაგებობას არქიტექტორალექსეი შჩუსევის მიერ დაპროექტებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, ე.წ. ,,იმელის'' შენობასთან ვიზუალური კონტექსტი უნდა უზრუნველყო. მართლაც, შენობის მასშტაბი თანხვედრაშია გარემოსთან. მისი სიმაღლე ,,იმელის'' შენობას 9 მ-ით აღემატება. ბოლო სართულის გამყოფი ლავგარდანი ,,იმელის'' კარნიზის ხაზს იმეორებს. ორივე ნაგებობა მოცულობითია, მათ ჰარმონიულ ურთიერთმიმართებას იდენტური ფერიც აძლიერებს (სურათი N3). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის

სასტუმრო ,,ივერიის'' ვერტიკალური პლასტიკა და ტელეგრაფის კუბური მასაც ერთმანეთთან გაწონასწორებულ კომპოზიციას ქმნის (სურათი N4).

აღნიშნული მიდგომა ლადო ალექსი-მესხიშვილმა სხვა პროექტებშიც გამოავლინა. მაგალითად, საცხოვრებელი სახლი თბილისში ყაზბეგის ქუჩაზე, სადაც ახალი შენობა დამაჯერებლად ჩაეწერა ვერის უბნის განაშენიანებაში. ასევე საინტერესოა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახლი თბილისში, გ. ლეონიძის ქუჩაზე, სადაც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი ბუნებრივად მოერგო სოლოლაკისარქიტექტურას.

განხილული ობიექტები კარგად ესიტყვება ისტორიული ქუჩის კონტენტს და მიუხედავად განსხვავებული ეპოქისა და სტილისტური მახასიათებლებისა, ამკვიდრებს სხვადასხვა მიმდინარეობის ორგანული თანაარსებობის წარმატებულ შესაძლებლობას.

სურ. 2,,იმელის'' და ტელეგრაფის შენობები

სურ. 3 ,,ივერიის'' და ტელეგრაფის შენობები

3. საამშენებლო ხელოვნების ტექნიკური პროგრესისა და კონსტრუქციული სიახლეების თემა მოდერნისტულ არქიტექტურაში

მოდერნისტული ხელოვნება ასოცირდება პროგრესულ ხელოვნებასთან, რაც მისსავე ლათინური ენიდან ნაწარმოებ სახელშივეა გაცხადებული. აღნიშნული სტილის ტექნიკური მახასიათებელი არის რკინა-ბეტონის მასალა, ხოლო სტილისტურად აქცენტი კეთდება მოცულობაზე, ჰორიზონტალებისა და ვერტიკალების კვეთაზე, ასიმეტრიულკომპოზიციებზე, გეომეტრიულ ფორმებზე, ოპტიკურ სიმსუბუქეზე. მოდერნიზმი წარმოადგენს ხელოვნების ერთგვარრეაგირებას ინდუსტრიალიზაციასა და სოციალურ ცვლილებებზე. ის ინოვაციური და ექსპერიმენტულია.

რა სტილისტური და ინდუსტრიული სიახლეებით უკავშირდება ლადო ალექსი-მესხიშვილის პროექტები მოდერნიზმის ძირითად მახასიათებლებს? როგორია მათი ინტერნაციონალური კონტექსტი და კონსტრუქციული გადაწყვეტა საერთაშორისო ტექნიკურ მიღწევებთანმიმართებაში?

ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ დაპროექტებული სპორტის სასახლე (არქიტექტორები: ლ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე,კონსტრუქტორი: დ. ქაჯაია. თბილისი. 1956-1961 წწ). შენობის გადახურვა ინოვაციური და საყურადღებოა (სურათიN5). ის წარმოადგენს თხელი დამრეცი ანაკრები რკინაბეტონის გუმბათს. გადახურვა განხორციელებულია საყრდენი კონსტრუქციების გარეშე (სურათი N6). ეს საერთაშორისო მასშტაბის ტექნიკური სიახლე იყო. გარსის კონსტრუქციისა და მონტაჟის მეთოდისთვის კონსტრუქტორ დავით ქაჯაიას საავტორო უფლება მიენიჭა. გადახურვის ახალი მეთოდის მიზანი იყო საერთო მასის შემსუბუქება და ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების მინიმუმამდე დაყვანა. აღნიშნულ რაციონალურ მიდგომას კი უზრუნველყოფდა დიდმალიანი ასაწყობი რკინა-ბეტონის გარსი. პროექტის განხორციელებას წინ უძღოდა ფუნდამენტური, მეცნიერული კვლევები, ექსპერიმენტული ვერსიები და რეკომენდაციები.ეს გახლავთ არქიტექტორისა და კონსტრუქტორის თანამშრომლობის ტანდემი, რომელიც გუნდის პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის უტყუარი დასტურია.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ეპოქა, რომელიც განებივრებულია მსოფლიოში აღიარებული სპორტული ნაგებობებით: კენძო ტანგეს ოლიმპიური სპორტული კომპლექსი ტოკიოში, ალვარ აალტოს, ოსკარ ნიმეიერის, პიერ ლუიჯი ნერვის შედევრებად ცნობილი სპორტული ნაგებობები. თანამედროვე გამოცდილების, ცოდნისა და მათი პატივისცემის მიუხედავად, ლადო ალექსი-მესხიშვილი

მასშტაბური, სივრცობრივი ამოცანების გადასაწყვეტად ქმნის ახალ, თანამედროვე არქიტექტურას, რომელიც გაჯერებულია ადგილობრივი, ტრადიციული ფენომენითა და საჭოროებებით. ის არ მიმართავს ფორმათა გამეორებას და სრულიად ახალი კონსტრუქციული მიდგომით ქმნის საეტაპო მნიშვნელობის ხუროთმოძღვრულ ქმნილებას.

სპორტის სასახლის პროექტი, როგორც სტილისტურ-მხატვრული მახასიათებლებით, ასევე ინოვაციური საინჟინრო მეთოდით ღირსეულ ადგილს იკავებს მოდერნისტული არქიტექტურის საერთაშორისო ნიმუშების ჩამონათვალში.



სურ. 4 სპორტის სასახლე

სურ. 5გუმბათის მონტაჟი

4. **ხელოვნებათასინთეზი არქიტექტურაში. მკაცრი თუ პოეტური მოდერნიზმი?**

საუკუნეების განმავლობაში ხუროთმოძღვრებაში ყალიბდებოდა არქიტექტურისა და ხელოვნების სხვადარგების სინთეზის თემა. სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში გამომსახველობითი ინტეგრაცია დამოკიდებულია ისტორიულ კონტექსტთან, ბუნებრივი და ფიზიკური გარემოს თავისებურებებთან, ტრადიციებთან, ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების მახასიათებლებთან.

ამ მხრივ ქართული ხუროთმოძღვრება მდიდარ ვიზუალურ და წერილობით ინფორმაციას ინახავს. მაგალითად, ქრისტიანულ ტაძართა აგების და შემკობის წესი ითვალისწინებს არქიტექტურული და დეკორატიული ელემენტების მრავალფეროვნებას. რელიეფი, ჩუქურთმა, ფრესკა, მოზაიკა, ხეზე და ლითონზე კვეთა- ის სამშვენისებია, რომლითაც ქრისტიანული სამლოცველო გამორჩეულია ფორმაწარმოქმნისა თუ სიმბოლური მნიშვნელობების თვალსაზრისით.

სხვადასხავა ეპოქა, ქვეყანა და მხატვრული მიმდინარეობა შენობათა გაფორმების განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს. მოდერნიზმი მხატვრული გაფორმების მხრივ ხშირად გვთავაზობს მინიმალურ დეკორს და უარყოფს ორნამენტს. სადა, გლუვი, ერთფეროვანი ზედაპირები ამ მიმდინარეობის პრიორიტეტული თემებია. ხშირად ის მონოლითური, მკაცრი და ცივია. თუმცა ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით არქიტექტურული ძეგლი შეიძლება მსუბუქ, პოეტურ და ჰაეროვანნაწარმოებად გარდაიქმნას.

ხელოვნებათა სინთეზისა და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის კუთხით გამორჩეულია ლადო ალექსი-მესხიშვილის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის პროექტი.საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მსოფლიოს ჩემპიონი მოჭადრაკე და ალპინისტი ქალების სახელები. სწორედ მათ მიეძღვნათ ეს სასახლე.შენობის არქიტექტურული გაფორმება, იქნება ეს ექსტერიერი თუ ინტერიერი, ნათლად წარმოაჩენს მის ფუნქციას. ფორმისა და ფუნქციის შესატყვისობა მაღალი ოსტატობითაა წარმოჩენილი არქიტექტურის მხატვრულ გადაწყვეტაში. შენობაში უხვად გვხვდება ჭადრაკთან დაკავშირებული სიბოლოები.არქიტექტურის დეკორაცია ადასტურებს, რომ ის ეძღვნება დედოფალს. სასახლის დასავლეთ ფასადზე დედოფლის გვირგვინის სტილიზებული ქვის მორთულობაა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავი და ემოციურია (სურათი N7). ეს ორნამენტული დეკორი არქიტექტურის შემოქმედებითი იმპროვიზაციის მხატვრული გამოვლინებაა. იგივე იკითხება მოაჯირის დეტალებში. შენობაში გვხვდება ქვასა და ხეზე კვეთის ნიმუშები. კონსტრუქციაში აქტიურად არის გამოყენებული ხის ინკრუსტრირებული პანელები. ეს განსაკუთრებული ტექნიკაა, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ჭადრაკის დაფის ზედაპირის ანალოგი (სურ. 8).

სურ. 7 სურ. 8

დეკორატიულობისკენ სწრაფვა ლადო ალექსი მესხიშვილის სხვა პროექტებშიც გამოვლინდა. მაგალითად, მსახიობის სახლის შიგა სივრცის გადაწყვეტა ეროვნულ

თემატიკაზეა დაფუძნებული და ტრადიციული ქართული საცხოვრისის მეტაფორულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის საგამოფენო პავილიონების პროექტებში კი ფასადზე დატანილი არქიტექტურული დეტალების მრავალჯერადი რიტმული გამეორება ორნამენტის აგების პრინციპს გვახსენებს.

ამრიგად, არქიტექტორის ხელწერა უდავოდ შეესაბამება მხატვრული აზროვნების იმ კონცეფციას, რომელიც ნებისმიერ მიმდინარეობას შემოქმედებითი ინტერპრეტაციისა და ინდივიდუალური საშემსრულებლო მანერის ნიშნით განიხილავს.

გამოყენებული ლიტერატურა :

ი.კასრაძე, დ.ქაჯაია -სტატია,,Дворец Спорта в Тбилиси''ჟურნალი ,,Строительство и Архитектура'', N9-10, 1961 წ.

დ. ქაჯაია. სტატია ,,ასაწყობი გარსის ერთი ტიპის შესახებ'' ჟურნალი ,,მშენებლობა და არქიტექტურა'', N9-10, 1961 წ.

ნ. ჯანბერიძე. ,,ქართული საბჭოთა არქიტექტურა: განვითარების გზა'', თბილისი: გამომცემლობა ,,ხელოვნება'', 1971წ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ლადო ალექსი-მესხიშვილის არქიტეტურული შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი, როგორიცაა: არქიტექტურისა და გარემოს ურთიერთმიმართების საკითხი, ურბანულ სივრცეში შენობათა არქიტექტურული დიალოგის თემა, სამშენებლო ხელოვნების კონსტრუქციული სიახლეების საკითხი და ხელოვნებათა სინთეზი მოდერნისტულ არქიტექტურაში. მხატვრული ნაწარმოებების შესწავლისას ფუნდამენტურ დატვირთვას იძენს ხელოვანთა როგორც ინდივიდუალური მანერის ანალიზი, ასევე გამომსახველობითი ელემენტების, ცნებების, კონცეფციების კანონზომიერებების დადგენა. ამ მიმართულებით სტატიაში წარმოდგენილია არქიტექტორის საეტაპო მნიშვნელობის ობიექტები მოდერნიზმის მხატვრული მახასიათებლების ანალიზით. ასევე განხილულია არქიტექტორის ქართულ ხუროთმოძღვრებასთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან აზრობრივი, სტილისტური და კონსტრუქციული კავშირები.

Certain Aspects of Architectural Works of Lado Alexi-Meshkhishvili

Aleksidze N.

Resume

The article discusses some aspects of Lado Alexi-Meshkhishvili's architectural creativity, such as: the issue of the relationship between architecture and the environment, the topic of architectural dialogue of buildings in urban space, the issue of constructive innovations in construction art, and the synthesis of arts in modernist architecture. In the study of artistic works, the analysis of the individual manner of the artists, as well as the determination of the regularities of the expressive elements, concepts, and concepts acquires a fundamental importance. In this direction, the article presents the landmark objects of the architect by analyzing the artistic characteristics of modernism. The conceptual, stylistic and constructive connections of the architect with Georgian architecture and international experience are also discussed.

ხმაური ქალაქში და მასთან ბრძოლა

ბერიძე ლ.
პროფესორი
ბერიძე გ.
ასოც. პროფესორი

არქიტექტურულ-სამშენებლო დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ხმაურია, როგორც ურბანულ სივრცეში, ასევე ცალკეულ შენობებში. ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლაში, არქიტექტორების და მშენებლების გარდა, მონაწილეობას ღებულობენ მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის და სხვა დარგის სპეციალისტები. ასევე, ხმაურთან ბრძოლის საკითხების აქტიურ შესწავლას, ადამიანზე მისი მავნე ზეგავლენიდან გამომდინარე, აწარმოებენ მედიკოსები, ჰიგიენისტები, სოციოლოგები და სხვები.

სწორედ მედიკოსების დასკვნაა ის, რომ ხმაური იწვევს გარდა პროფესიულ დაავადებას (სიყრუე), უამრავ დასახელების ავადმყოფობებს (ნერვული სისტემის დაავადება, ჰიპერტონია, გულის სისხლძარღვთა დაავადება და მრავალი სხვა). სწორედ ამან განაპირობა, რომ ხმაურთან ბრძოლის საკითხები გადაიზარდა ასეთ სერიოზულ პრობლემად.

ადამიანი თავის ფიზიკურ და მორალურ თვისებათა აღდგენას, ყოველი დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ახდენს საშინაო პირობებში და განსაკუთრებით ძილის მეშვეობით. მშვიდი ძილი შესაძლებელია მხოლოდ მშვიდ გარემოში ე.წ აკუსტიკურ კომფორტში.

აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრების, ბინის პირობებს უკავია აკუსტიკურ კომფორტს. ბევრ ქვეყანაში ბინის ფასი განისაზღვრება აკუსტიკური კომფორტის მიხედვით, ე.ი ერთი და იგივე ბინა, სახლი აკუსტიკური გარემოს მიხედვით ფასდება სხვადასხვაგვარად.

საცხოვრებლის და საცხოვრებელი ტერიტორიების ხმაურისგან დაცვა ერთ-ერთი აუცილებელი სანიტარიული მოთხოვნაა. გარე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ განაშენიანების მიმდებარე საქალაქო ავტომაგისტრალები, საცხოვრებელი ტერიტორიების სიახლოვეს არსებული აეროპორტები, რკინიგზები, ავტომანქანების რეცხვის პუნქტები, სხვადასხვა ტექნიკური სისტემები და ა.შ. ხმაურისგან დაცვა მიზნად ისახავს ხმაურის სანიტარიული ნორმებით დაშვებულ დონემდე შემცირებას, რაც მიიღწევა სხვადასხვა ქალაქგეგმარებითი და არქიტექტურულ-კონსტრუქციული ღონისძიებებით.

თბილისისდა სხვა ქალაქების ცენტრალურ უბნებში კაფე-ბარების მატებასთან ერთად, მუსიკის ხმით შეწუხებული მობინადრეების რიცხვიც გაიზარდა. ამ მიზეზით გამოწვეულ ქრონიკულ უძილობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე სულ უფრო ბევრი საუბრობს. უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ არსებული რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, კაფე-ბარების მეპატრონეებს ხმაურის მყისიერად შეწყვეტის ვალდებულება არ ეკისრება.

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურების დებულების მიხედვით, სამსახური „კონტროლს უწევს ხმაურის, დასუფთავების ნორმებისა და წესების დაცვას''. მათ კომპეტენციაში შედის მოქალაქის ჩივილის შემთხვევაში ადგილზე მისვლა და სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით ხმაურის დონის განსაზღვრა.

იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობის სამსახური დაადგენს, რომ ხმაურის დონე ნორმაზე მაღალია „შეწუხებულ მოსახლეს შეუძლია ობიექტის მესაკუთრეს სასამართლოში უჩივლოს. ნორმების მიხედვით, დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე ხმაურის დონე 40 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს, 23 საათის შემდეგ კი – 30 დეციბელს“.

ყველა ქვეყანას ხმაურთან ბრძოლის საკუთარი სტრატეგია აქვს. ზოგან წესები უფრო მკაცრია, მაგალითად დარღვევის შემთხვევაში ობიექტის მეპატრონეს, შესაძლოა, ჯარიმის გადახდასთან ერთად ლიცენზიაც ჩამოერთვას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე ხმაური აკრძალულია. აქ ხმაურის კონტროლი ე.წ. „გარემოს დაცვის ოფიცრებს“ ევალებათ. ნორმის დარღვევის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მეპატრონეს ჯარიმის გამოწერასთან ერთად, ხმაურის გამომწვევი მოწყობილობაც ჩამოართვან.

ჩიკაგოში ხმაურის ნორმის დარღვევისთვის ობიექტის მეპატრონეს ფულადი ჯარიმის გადახდა უწევს, ხოლო დარღვევის გამეორების შემთხვევაში შესაძლოა, მას ლიცენზია შეუჩერდეს ან სულაც გაუუქმდეს.

ღამის საათებში ხმაური პარიზშიც აკრძალულია. აქ ნორმები იმდენად მკაცრად არის დაცული, რომ მოსახლეობაც კი შეწუხდა. მიიჩნევენ, რომ ოდესღაც ბოჰემური ქალაქი მოსაწყენ ადგილად გადაიქცევა. შედეგად ათასობით მოქალაქემ ანტიხმაურის საწინააღმდეგო ონლაინპეტიციასაც კი მოაწერა ხელი და პარიზის მერს გაუგზავნა.

ადამიანი შესაძლოა ქუჩის ხმაურმაც კი (დაახლოებით 80 დეციბელი) დააავადოს, გამოიწვიოს სმენის დაქვეითება, ტინიტუსი (ხმაური ყურებში), ნევროზი, უძილობა, თავის ტკივილი, კონცენტრაციისა და შრომის უნარის დაქვეითება, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი.

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ხმაურისაგან საკუთარი და მეზობლების დაცვა, ხმის იზოლაციის უზრუნველყოფით შეიძლება. იმისათვის, რომ შემომზღუდავმა კონსტრუქციებმა ხმა მაქსიმალურად დაახშოს, საჭიროა სპეციალური ბგერასაიზოლაციო მასალების გამოყენება. თუმცა, ამას კანონმდებლობა კაფე-ბარებისა და რესტორნების მფლობელებს არ ავალდებულებს. შესაბამისად, მათ ხმის იზოლაციის არარსებობის შემთხვევაშიც არ მოეთხოვებათ პასუხი. სანქცია არც ღამით ხმაურისას ფანჯრებისა და კარის გაღებისთვის დაეკისრებათ – ვიდრე სასამართლო თითოეულ საქმეს არ განიხილავს.

ქალაქების, დაბებისა და სოფლების დაგეგმარება და განაშენიანება უნდა ხორციელდებოდეს არქიტექტურულ-გეგმარებითი ნორმების შესაბამისად, ხმაურის დასაშვები დონეების უზრუნველყოფის გათვალისწინებით. მხოლოდ არქიტექტურულ-გეგმარებითი ზომების სრული გამოყენების შემდეგ მიზანშეწონილია კონსტრუქციული საშუალებების დამუშავება ხმაურის სასურველ პარამეტრებამდე დასაყვანად.

ხმაურიანობის ხარისხის მიხედვით დასახლებული ადგილები ოთხ ზონად იყოფა:

1. სამრეწველო - ყველაზე ხმაურიანი ზონა, სადაც განლაგებულია საწარმოები და ქუჩები ინტენსიური მოძრაობით ბგერის ძალის დონით 80 დეციბელამდე;
2. საზოგადო და სავაჭრო ზონა – ხმაურიანი ზონა, ტრანსპორტის და ფეხმავლების ინტენსიური მოძრაობით ბგერის ძალის დონით 70 დეციბელამდე;
3. საცხოვრებელი განაშენიანება – შედარებით ჩუმი ზონა ბგერის ძალის დონით 50-60 დეციბელამდე;
4. სიჩუმის ზონა – სადაც უნდა განლაგდეს საავადმყოფოები, ტელე და რადიოსტუდიები, საუნივერსიტეტო კომპლექსები, ბიბლიოთეკები და ა.შ. ბგერის ძალის დონით 30-50 დეციბელამდე.

ხმაურის გავრცელება, ჩვეულებრივად, მიმდინარეობს შემდეგ პირობებში:

- ღია სივრცეში მიწის ფენის სხვადასხვა საფარის შემთხვევაში;
- მწვანე ნარგავების არსებობისას, როდესაც ისინი ავსებენ სივრცეს ხმაურის წყაროს და საცხოვრებელ ტერიტორიას შორის;
- ხმაურის წყაროს ეკრანირებისას შენობებით, სპეციალური ეკრანებით და სხვა წინაღობებით.

საანგარიშო წერტილები, მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი სახლების ჯგუფების ტერიტორიაზე არსებულ დასასვენებელ მოედნებზე, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების მოედნებზე, სკოლებისა და საავადმყოფოების ნაკვეთებზე უნდა შეირჩეს მოედნის საზღვრიდან ხმაურის წყარომდე მინიმალურ

მანძილზე. თუ მოედანი ნაწილობრივ იმყოფება შენობის ბგერითი ჩრდილის ზონაში, ნაწილობრივ კი ბგერის პირდაპირი მოქმედების ზონაში, გაანგარიშების წერტილი უნდა შეირჩეს ბგერითი ჩრდილის ზონის გარეთ. საანგარიშო წერტილი უნდა განთავსდეს მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიმაღლეზე.

ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებს და ამ შენობებში ხმაურის შეღწევის დონე ნორმირებულია, საანგარიშო წერტილს ირჩევენ: მაღალსართულიან შენობებში – ხმაურის წყაროსკენ მიმართული ფასადიდან 2 მეტრის მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 12 მეტრის სიმაღლეზე; დაბალსართულიანი შენობებისთვის - ბოლო სართულის ფანჯრების სიმაღლეზე.

დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმის დამუშავების სტადიაზე, საცხოვრებელ ტერიტორიაზე ხმაურის ზემოქმედების შემცირების მიზნით, გასათვალისწინებელია შემდეგი ზომები:

ა) ტერიტორიების ფუნქციონალური ზონირება: საცხოვრებელი და რეკრეაციული ზონების გამოყოფა სამრეწველო, კომუნალურ-სასაწყობო და ძირითადი სატრანსპორტო კომუნიკაციების ზონებისაგან;

ბ) მაგისტრალური სწრაფსავალი გზების ტრასების გაყვანა საცხოვრებელი და დასასვენებელი ზონების შემოვლით;

გ) საგზაო ქსელის დიფერენცირება სატრანსპორტო ნაკადების სახეობების მიხედვით, მაგალითად სატვირთო მოძრაობის ძირითადი ნაწილის სპეციალურ მაგისტრალებზე გადაყვანით;

დ) სატრანსპორტო ნაკადების კონცენტრაცია მცირე რაოდენობის, მაგრამ მაღალი გამტარუნარიანობის მქონე მაგისტრალურ ქუჩებზე, რომელთა განლაგება, შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია საცხოვრებელი განაშენიანების გარეთ;

ე) მაგისტრალებს შორის განლაგებული ტერიტორიების გაფართოება საცხოვრებელი განაშენიანების სატრანსპორტო მაგისტრალებისაგან მაქსიმალურად განცალკევების მიზნით;

ვ) ავტომანქანების პარკირების სისტემის შექმნა საცხოვრებელი რაიონების ან სახლების ჯგუფების საზღვარზე;

ზ) მწვანე ნარგავების საერთო საქალაქო სისტემის ფორმირება.

საცხოვრებელი რაიონების, მიკრორაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტის შემუშავების სტადიაზე ხმაურისაგან დასაცავად მიღებული უნდა იქნას შემდეგი ზომები:

ა) მაგისტრალური საავტომობილო გზის ან რკინიგზის მახლობლად მცირე განაშენიანების განალაგების შემთხვევაში, როდესაც მანძილი არ უზრუნველყოფს ხმაურის საჭირო შემცირებას – ხმაურისაგან დამცავი ეკრანების გამოყენება

ადგილობრივი რელიეფის ბუნებრივი ან ხელოვნური ელემენტების სახით. ზემოაღნიშნული ეკრანები იძლევიან საკმარის ეფექტს მხოლოდ დაბალსართულიანი განაშენიანებისთვის.

ბ) ხმაურის დაცვის ქალაქგეგმარებითი ღონისძიებების რიცხვს აგრეთვე მიეკუთვნება ადგილმდებარეობის რელიეფის გამოყენება: მაგისტრალის განლაგება ტერიტორიის ქვედა ნაწილებში, განაშენიანების ტერასულ-საფეხურებიანი აგება ფერდობებზე და სხვ. საცხოვრებელი ტერიტორიები დაცილებული უნდა იქნენ ჩქაროსნული და სატვირთო საქალაქო გზებიდან არა ნაკლებ 50 მეტრით.



სურ. 1

სურათზე ნაჩვენებია საცხოვრებელი ტერიტორიის ხმაურისგან დაცვის სქემა, ხმაურდაცვითი შენობების გამოყენებით, როდესაც მაგისტრალური ქუჩა მდებარეობს დაბალ ნიშნულებზე:

1 - ავტომაგისტრალი; 2 - ტროტუარი; 3 - ხმაურდაცვითი შენობა-ეკრანი.

ხმაურდაცვითი შენობა-ეკრანების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას არასაცხოვრებელი შენობები: მაღაზიები, მანქანის მოცულობითი სადგომები, კომუნალური მომსახურების შენობები; მაგრამ ამ შენობებს ჩვეულებრივად გააჩნიათ ერთი ან ორი სართული და მათი მაეკრანირებელი ეფექტი დაბალია. ბევრად ეფექტურია მაღალსართულიანი ხმაურდამცავი საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობები.

ხმაურისაგან დამცავ საცხოვრებელ შენობად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) სპეციალური არქიტექტორულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტილების მქონე შენობები, რომელთა ბინების ყველა დამხმარე სათავსი (სამზარეულოები, სანკვანძები, სააბაზანოები) განალაგებულია ხმაურის წყაროს (სატრანსპორტო მაგისტრალის) მხრიდან. მაგისტრალისკენ მიქცეულ მხარეს არის განლაგებული აგრეთვე ამ

სახლების საერთო კომუნიკაციები (დერეფნები, ლიფტები) და არა უმეტეს ერთი ოთახისა სამოთახიანი და მეტი ოთახების მქონე ბინებიდან;

ბ) შენობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმაურისაგან საჭირო დაცვას იმის ხარჯზე, რომ აღჭურვილია ხმაურისაგან დამცავი ფანჯრებით მაგისტრალისკენ მიქცეული ფასადების მხრიდან;

გ) კომბინირებული ტიპის შენობები – სპეციალური არქიტექტორულ დაგეგმარებითი გადაწყვეტით და მაგისტრალისკენ ორიენტირებულ ოთახებში ხმაურისაგან დამცავი ფანჯრებით. ეს ფანჯრები აღჭურვილნი უნდა იქნან ხმაურის მაყუჩებთან შეთავსებული სავენტილაციო მოწყობილობებით.

ეკრანირების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით ხმაურისაგან დამცავ შენობებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი სიმაღლე და განშლა, აგრეთვე ნორმებით გათვალისწინებული გარე შემომზღუდავი კონსტრუქციების ბგერასაიზოლაციო მასალებით უზრუნველყოფა.

შიგაკვარტალურ სივრცეში, ე.ი. იმ ზონებში, რომლებიც განლაგებულია პირველი ეშელონის შენობათა განივი ღერძების მახლობლად, რეკომენდებულია საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, პოლიკლინიკების, დასასვენებელი მოედნების განლაგება. შენობებს შორის გარღვევების მოპირდაპირე ზონებში საჭიროა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის დაწესებულებების და ა.შ. განთავსება.

რაც შეეხება ხმაურისაგან დამცავ კონსტრუქციულ ეკრანებს, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, განსათავსებელია ავტომაგისტრალის გასწვრივ მინიმალურ დასაშვებ მანძილზე, მოძრაობის წესების მოთხოვნების გათვალისწინებით.

მასალები, რომლებიც გამოიყენება ხმაურისაგან დამცავი კონსტრუქციული ეკრანების დასამონტაჟებლად, უნდა იყოს ხანმედეგი და მდგრადი ატმოსფერული ფაქტორებისა და გამონაბოლქვი აირების ზემოქმედების მიმართ.

ბგერათაშთამნთქმელ მასალებს, რომლებიც გამოიყენება ეკრანების მოსაპირკეთებლად, უნდა ჰქონდეს სტაბილური ფიზიკო-ქიმიური და აკუსტიკური მახასიათებლები, იყოს ბიო და ტენმედეგნი, არ უნდა გამოყოფდეს მავნე ნივთიერებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტექნიკური რეგლამენტი „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“. 15/08/2017.

2. ლ.გ.ბერიძე „არქიტექტურული ფიზიკა", 2010. CD/324.
3. https://umi-kumi.ru/ka/knowledge/osnovnye-metody-borby-s-shumom-shum-i-metody-borby-s-nim/
4. https://tltaudit.ru/ka/vitamins-minerals-amino-acids/vliyanie-zvuka-i-shuma-na-organizm-cheloveka

რეზიუმე

არქიტექტურულ-სამშენებლო დარგის ერთ-ერთ, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხმაური, როგორც ურბანულ სივრცეში, ასევე ცალკეულ შენობებში. ხმაურთან ბრძოლის საკითხების აქტიურ შესწავლას, ადამიანზე მისი მავნე ზეგავლენიდან გამომდინარე, აწარმოებენ მედიკოსები, ჰიგიენისტები, სოციოლოგები და სხვ.

ხმაური იწვევს მრავალ დაავადებას (ნერვული სისტემის დაზიანება, ჰიპერტონია, გულის სისხლძარღვთა დაავადება და მრავალი სხვა).

ადამიანი ფიზიკურ და მორალურ თვისებათა აღდგენას, ყოველი დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ახდენს საშინაო პირობებში, აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც განსაზღვრავს ბინის პირობებს უკავია აკუსტიკურ კომფორტს.

გარე ხმაურის წყაროა საცხოვრებელი ტერიტორიების მიმდებარე საქალაქო ავტომაგისტრალები, აეროპორტები, რკინიგზები, ავტომანქანების რეცხვის პუნქტები, სხვადასხვა ტექნიკური სისტემები და ა.შ. ხმაურისგან დაცვა მიზნად ისახავს ხმაურის სანიტარიული ნორმებით დაშვებულ დონემდე შემცირებას, რაც მიიღწევა სხვადასხვა ქალაქგეგმარებითი და არქიტექტურულ-კონსტრუქციული .ღონისძიებებით.

ქალაქგეგმარებით ღონისძიებებს მიეკუთვნება:

ა) ტერიტორიების ფუნქციონალური ზონირება:

ბ) მაგისტრალური გზების გაყვანა საცხოვრებელი და დასასვენებელი ზონების შემოვლით;

გ) საგზაო ქსელის დიფერენცირება;

დ) სატრანსპორტო ნაკადების კონცენტრაცია მაღალი გამტარუნარიანობის მქონე მაგისტრალურ ქუჩებზე;

ე) მაგისტრალებს შორის განლაგებული ტერიტორიების გაფართოება;

ვ) ავტომანქანების პარკირების სისტემის შექმნა;

ზ) მწვანე ნარგავების საერთო საქალაქო სისტემის ფორმირება;

არქიტექტურულ-კონსტრუქციულ და ლანდშაფტურ ღონისძიებებს მიეკუთვნება: ხმაურის წყაროს დაეკრანება ხმაურდამცავი შენობებით, სპეციალური ეკრანებით და სხვა, მათ შორის, რელიეფის გამოყენებით.

მითითებულია ხმაურის საანგარიშო წერტილების ადგილმდებარეობის შერჩევის მეთოდი.

Noise in the City and Fight with it

Beridze L.

Beridze G.

Resume

One of the important problems of the architectural and construction industry is noise, both in urban space and in individual buildings. Doctors, hygienists, sociologists and others conduct an active study of the issues of combating noise, based on its harmful effects on humans.

Noise causes many diseases (nervous system damage, hypertension, cardiovascular disease and many others).

A person restores his physical and moral qualities after every stressful working day in home conditions, therefore, one of the important places that determine the conditions of the apartment is occupied by acoustic comfort.

The sources of external noise are city highways, airports, railways, car wash points, various technical systems, etc., surrounding residential areas. Protection against noise aims to reduce noise to the level allowed by sanitary norms, which is achieved by various urban planning and architectural-constructive measures.

Urban planning measures include:

a) Functional zoning of territories;

b) Construction of highways bypassing residential and recreational areas;

c) Differentiation of the road network;

d) Concentration of traffic flows on main streets with high capacity;

e) Expansion of areas located between highways;

f) Creation of a car parking system;

g) Formation of a common urban system of green plants;

Architectural-constructive and landscape measures include: noise source screening with noise-proof buildings, special screens and others, including the use of terrain.

The method of selecting the location of noise reference points is indicated.

ხე და არქიტექტურა (პრობლემები და გამოწვევები)

ბერეკაშვილი ქ.

პროფესორი

სვანაძე გ.

დოქტორანტი



სურ. 1

როგორი იქნება ჩვენი ქალაქები მომავალში? სამეცნიერო ფანტასტიკები იქცევა რეალობად თუ გახდება რადიკალურად განსხვავებული, ვიდრე წარსულის წარმოდგენები მომავალზე? ქალაქები უნდა გახდეს ბუნების ნაწილი ან გაანადგურებს ყველაფერს...

თანამედროვე არქიტექტურისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა სამშენებლო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაა. საბედნიეროდ, მდგრადი არქიტექტურის პრინციპები სწრაფი ტემპით იმკვიდრებს ფეხს სამშენებლო ინდუსტრიაში და სულ უფრო მეტი გადამუშავებადი, ეკოლოგიურად მეგობრული მასალა გამოიყენება მშენებლობის დროს, რაც ერთის მხრივ გვეხმარება მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოსადმი მიყენებული ზიანი, მეორე მხრივ, შევთავაზოთ საზოგადოებას ჯანსაღი სივრცეები.

სურ. 2

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ათ წელიწადში ან უფრო ნაკლებ დროში მსოფლიო მიაღწევს იმ წერტილს, სადაც კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედება შეუქცევადი გახდება. CO2-ის გლობალურ ემისიებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შენობებს, რომელიც შეადგენს ნახშირბადის გლობალური გამონაბოლქვის თითქმის 40%-ს მის მიერ გამოყენებული ენერგიისა და მის შესაქმნელად გამოყოფილი ნახშირბადის მეშვეობით. (შენობის სტრუქტურა და გარსი შეადგენს მის მიერ გამომუშავებული მთლიანი ნახშირბადის დაახლოებით ნახევარია), ეს ნახშირბადი 50-დან 200 წლამდე ნარჩუნდება ატმოსფეროში. ასე რომ, შენობების გამონაბოლქვი, რომელიც ახლა გამოიყოფა, მომავალშიც გაათბობს კლიმატს. გარდა ამისა, დღევანდელ შენობებს, რომლებიც გამოყოფენ ყველაზე ცოტა ნახშირბადს, ჯერ კიდევ დასჭირდებათ 10-დან 15 წლამდე, რათა დაძლიონ მათი წარმოების გარემოსდაცვითი „ფასი“ ნახშირბადის გამონაბოლქვის გამო, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, წარმოებასთან, მონტაჟთან და სიცოცხლის ბოლომდე განადგურებასთან. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ როგორ მოვიშოროთ ეს ფასი. თუ შენობას შევადარებთ ნახშირბადის ბანკს, მაშინ ლოგიკა მიჰყვება, რომ მის შემადგენელ კომპონენტებს სჭირდებათ მეტი ნახშირბადის დაგროვება (შეკავება) თავიანთი სიცოცხლის ციკლის განმავლობაში, ვიდრე ისინი გამოყოფენ მას. ეს კი ნიშნავს: ნულოვანი საწარმოო ენერგიის დიზაინს.

სურ. 3

ახალი აზროვნება მკვეთრად ცვლის არქიტექტურის პრაქტიკას და დიზაინის ხელოვნებას, განსაკუთრებით იმით, რომ მოითხოვს გადავხედოთ შენობების გაერთიანებას ისე, რომ მასალების დაშლა და ხელახლა გამოყენება შესაძლებელი იყოს მათი ღირებულების შენარჩუნებით. ის უფრო დიდ აქცენტს აკეთებს მშენებლობაზე და სამშენებლო მასალების სასიცოცხლო ციკლზე, რაც საფუძველს უქმინს სამშენებლო ინდუსტრიის ნარჩენებზე დაფუძნებული მოდელიდან წრიული ეკონომიკის მოდელზე გადასვლას.

დიზაინის რადიკალურად შეცვლადი პარადიგმები

ვინაიდან ეს ახალი მიდგომა ცვლის ჩვენს ფუნდამენტურ აზროვნებას გრძელვადიანი სამშენებლო ოპერაციებისა და მასალების შესახებ, მას ასევე შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს იმაზე, თუ როგორ ვგეგმავთ საზოგადოების განვითარებას, რათა მხარი დაუჭიროს მოდულურ მშენებლობას, მასიური ხის, ნახშირბადის შემცირების და მდგრადობის მიზნებს. საზოგადოების დონეზე ზემოქმედების უფრო დიდი მასშტაბის მიღწევა შესაძლებელია ახალი მიწოდების ჯაჭვის შექმნით და რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდით მომავალი პროექტებისთვის, როგორც ვერტიკალური შენობების, ასევე ჰორიზონტალური ინფრასტრუქტურის, როგორიცაა გზები, ხიდები და წყლის სისტემა.

ხორცშესხმული ენერგია

ძირითადი გაგებით ეს ეხება ენერგიის მოხმარების მთლიან რაოდენობას, რომელიც საჭიროა ან გამოიყენება სამშენებლო მასალის იმ მდგომარეობამდე მისასვლელად, საიდანაც მისი გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული მიზნისთვის. ამაში იგულისხმება საწვავის რაოდენობა, იქნება ეს ნავთობი, ქვანახშირი, გაზი, ელექტროენერგია თუ სხვა რამ, რომელიც უნდა დაიხარჯოს, რათა მასალა თავიდან იქნას მოპოვებული და შემდგომ დამუშავებული, რათა მივიდეს ისეთ

მდგომარეობამდე საიდანაც რეალურად შეიძლება გამოყენებულ იქნას რაღაცის დასამზადებლად, როგორც ნედლეული ინგრედიენტი. ეს საბაზისო იდეა თანაბრად კარგად ერგება ფოლადს, ალუმინს, აგურს, ბლოკს, ხეს, PVC-ს და ა.შ.

ჩვენ უნდა შევაფასოთ ნებისმიერი მასალა მხოლოდ იმ ენერგიის საფუძველზე, რომელიც საჭიროა მათი ნულიდან წარმოებისთვის. ნებისმიერი მასალის მთელი „სიცოცხლის ციკლი“ უფრო მჭიდროდ უნდა იქნას შესწავლილი. ან შესაძლოა უფრო სწორად ვთქვათ, რომ კონკრეტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის - როგორიცაა ფანჯარა ან შესაძლოა მთელი სახლიც კი დეტალურად შესწავლა უნდა მოხდეს, რათა უფრო სამართლიანი შედარება მივიღოთ. აქედან გამომდინარე, შემუშავდა „აკვნიდან საფლავამდე“ ანალიზის კონცეფცია, სადაც შეფასებულია და გროვდება თითოეული ეტაპისთვის დახარჯული ენერგია, მასალის გამოყენებისა და მისგან საბოლოოდ დამზადებული პროდუქტების გამოყენების ყველა ეტაპისთვის. ასეთ კონცეფციას ასევე შეიძლება ეწოდოს "სასიცოცხლო ციკლის ანალიზი" ან "სასიცოცხლო ციკლის შეფასება" (LCA).

ადამიანებმა დაიწყეს იმის გამოკვლევა, თუ რა გაკეთდა ნარჩენ პროდუქტებთან და თუნდაც „სათადარიგო“ ენერგიასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება წარმოების და შემდეგ მასალის გამოყენების პროცესში. ამგვარად, საინტერესო გახდა, შეიძლებოდა თუ არა, მაგალითად, შენობის დამზადება და გამოყენება ნარჩენების წარმოქმნის გარეშე, ან სულ მცირე, მხოლოდ მინიმალური ნარჩენებით. აქედან მომდინარეობს ფრაზა „წრიული ეკონომიკა“.

დღესდღეისობით გადამუშავების მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში 9%-ზე დაბალია (Circularity Gap Report), რაც არ არის საკმარისი მეორადი მასალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

დასასრულ ჩვენ უნდა დავიწყოთ ფიქრი მშენებლობის სხვადასხვა გზებზე, რომლებიც ბევრად უფრო მგრძნობიარეა მათი კონტექსტის მიმართ, ბევრად უფრო მგრძნობიარე მათი წარმოშობის მიმართ. ეს არის ის, რაც ჩვენ დიდი ხანი არ გვაინტერესებდა. საბოლოოდ ჩვენ მოგვიწევს შევხედოთ იმ დიდ შუშის კოშკებს და ვკითხოთ ჩვენს თავს: შეგვიძლია რეალურად გავაგრძელოთ ამის გაკეთება?

ჩვენ უნდა ავაშენოთ შენობები როგორც ხეები და ქალაქები როგორც ტყე.

იმისათვის, რომ განვაგრძოთ ცხოვრება, უნდა შევწყვიტოთ ჩვენი პლანეტის ზიანის მიყენება. მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი მომავალი ქალაქები კარგი ადგილებია საცხოვრებლად.

რეზიუმე

სტატია სამ ნაწილადაა დაყოფილი, სადაც განიხილება თანამედროვე არქიტექტურის პრობლემები და გამოწვევები, მდგრადი არქიტექტურის გამოყენების მნიშვნელობა ამ მავნე პროცესებთან საბრძოლველად. ეს ახალი მიდგომა ფუნდამენტურად ცვლის ჩვენს აზროვნებას გრძელვადიან სამშენებლო ოპერაციებზე და მასალებზე, მას ასევე შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს იმაზე, თუ როგორ ვგეგმავთ საზოგადოების განვითარებას. აქცენტი კეთდება მშენებლობის ახალ მეთოდებზე, რომლებიც ბევრად უფრო მგრძნობიარეა მათი კონტექსტის მიმართ და უფრო მეტად შეესაბამება მათ საწყისებს.

A Tree and Architecturen (Problems and Challenges)

Berekashvili K.

Svanadze G.

Resume

The issues and challenges in contemporary architecture are being discussed. The importance of using sustainable architecture to combat these harmful processes. This new approach is fundamentally changing the way we think about long-term construction operations and materials, and it has the potential to greatly influence our community development planning. The emphasis is on novel methods of construction that are considerably more attuned to their surroundings and significantly more attuned to their beginnings.

მდინარეების მნიშვნელობა საპორტო ქალაქების განვითარებაში

ჩაჩავა ნ.
პროფესორი
გერსამია ლ.
დოქტორანტი

ეპიგრაფი: *ვინც ზღვას განაგებს, ის განაგებს*
მსოფლიო ვაჭრობას, ხოლო ის
ვინც მსოფლიო ვაჭრობას განაგებს,
განაგებს დედამიწის სიმდიდრეს და თვით მსოფლიოს
უოლტერ რელი

ზღვის მიმართ ინტერესი გამოწვეულია არა მხოლოდ თავად ზღვის განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობით ან მისი აუზის ბუნების სიმდიდრით, არამედ მისი დიდი საერთაშორისო ეკონომიკური მნიშვნელობითაც.

მსოფლიოს ზღვისპირა ქალაქები უმეტეს წილად ჩართულია საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობის სისტემაში. ქალაქი-პორტები არის სანაპირო რეგიონების ფუნქციონირების დომინანტები, რომლების ქმნის ერთმანეთთან კავშირებს. საპორტო ქალაქების კავშირები ერთმანეთთან გარდა ზღვისა, მდინარეებითა და არხების მეშვეობით ხორციელდება და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უზრუნველყოფაში ძალზედ მნიშვნელოვანია.

კვლევის საგანია - მდინარე, როგორც საპორტო ქალაქის განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი, ქალაქ ფოთის მაგალითზე.

მდინარე დედამიწის არტერია და სიცოცხლის წყაროა უამრავი კულტურის ხალხისთვის და უმნიშვნელოვანი მაფორმირებელი ფაქტორი ქალაქების განვითარებაში.

მდინარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ურბანული ეკოსისტემაში. ისინი წყლის რესურსების ფორმირებისმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ურბანულ ეკოსისტემაში. ისინი წყლის რესურსების ფორმირების საფუძველია და მათი სრულფასოვანი ფუნქციონირება უაღრესად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად.

ასევე **მდინარეები** მრავალფუნქციურირეკრეაციული კომპლექსებია, მოიცავს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს, მდინარეზე გადის ბუნებრივი ეკოლოგიური დერეფნები, ისტორიული სავაჭრო გზები და სხვა ხაზობრივი ობიექტები.

ქალაქმაფორმირებელ სისტემაში**მდინარე** არის ქალაქის კარკასის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემოს ერთ-ერთი საერთო მნიშვნელი, ბუნებრივი ლანდშაფტის მაფორმირებელი ელემენტი ე.წ მწვანე და ცისფერი მარშრუტი. მწვანე და ცისფერი მარშრუტები არის მრავალფუნქციური რეკრეაციული კომპლექსები, რომლებიც მოიცავს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს. ასეთი მარშრუტები აერთიანებს ქალაქის ნაწილებს და შეიძლება მოიცავდეს ტურისტულ და ბუნებრივ ღირსშესანიშნობებს, ხელს უწყობენ ტურიზმისა და დასვენების განვითარებას, დადებითად მოქმედებენ გარემოზე, ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს, წყლის ტურიზმის განვითარებას, წყლის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, ლაშქრობას, და ა.შ. ამავდროულად, მწვანე და ცისფერი მარშრუტები ქმნის ცხოვრების დონისა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, უნიკალური ბუნებრივი, ლანდშაფტური და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას.

ქალაქების სახე იქმნება ათწლეულების მანძილზე და ზოგ შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე. ქალაქების განვითარებაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს და გარკვეული დროის მონაკვეთები გავლენას ახდენს დაგეგმარების სტრუქტურაზე და ქმნიან ქალაქის ერთიან სტილს. ქალაქის სტილი და მისი ხასიათი ყალიბდება მისი ისტორიული წარსულით, ტრადიციებით და ლეგენდებით, რომელიც იბადებოდა მის ირგვლივ.

ყველა ქალაქს, რომელიც მდინარეზეა დაფუძნებული, აქვს თავისი ლეგენდა, მითი ან ტრადიცია, რომელიც მასთანაა დაკავშირებული.

ასე მაგალითად ჰამბურგი, რომელიც ევროპის ერთ-ერთი უდიდესი საპორტო ქალაქია მდებარეობს მდინარე ელბის შესართავთან ჩრდილოეთ ზღვაში.

XII საუკუნეში ჩრდილოეთ ევროპაში ვაჭრობის სწრაფგანვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა მდინარე ელბის მნიშვნელობა, როგორც სატრანსპორტო არტერიის. 1189 წლის 7 მაისს იმპერატორმა ფრედერიკ I ბარბაროსამ ჰამბურგს მნიშვნელოვანი სავაჭრო პრივილეგიები მიანიჭა, მათ შორის ქალაქს ნება დაერთო შეაგროვოს საბაჟო გადასახადი ელბას გასწვრივ გადაზიდულ საქონელზე.ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა ქალაქის და ჰამბურგის პორტის განვითარებაში და ახლა ეს დღეჰამბურგში აღინიშნება, როგორც „პორტის დაბადების დღე“ (გერმ. Hafengeburtstag) [1].

ისტორიულად, ელბა ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი საზღვარი ევროპულ გეოგრაფიაში და მდინარის სანაოსნო ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანი იყო გაზგას ლიგის წარმატებისთვის [1] .

დღესდღეობით ჰამბურგი არის მთავარი სატრანსპორტო კვანძი (რკინიგზა და მაგისტრალები), ასევე საზღვაო და მდინარის (მდინარე ელბე) პორტი.

საზღვაო პორტი უდიდესია გერმანიასი და სიდიდით მეორე ევროპაში როტერდამის შემდეგ [1] .

სურ. 1 ჰამბურგი 1320 წელი



სურ. 2 ჰამბურგი 1695 წელი



სურ. 3 ჰამბურგი 1841 წელი



სურ. 4 ჰამბურგი 1901 წელი

მითები, ლეგენდები ან ტრადიციები დაფუძნებულია ცოდნაზე.
ცოდნა კი არის ინფორმაციის დინება ანუ ინფორმაციული წყარო სიცოცხლეზე.
თუ ცოდნა არის ინფორმაციული წყარო სიცოცხლეზე და მდინარე არის სიცოცხლის წყარო ესე იგი მდინარე არის ცოდნა და შესაბამისად მუდმივი ინფორმაციული სისტემა, რომელიც მიჰყვება მდინარეს და ავრცელებს მას მისი დინების გზაზე. ამ ბუნებრივ ინფორმაციულ სისტემაში მთავარია ვისწავლოთ ამ ინფორმაციის წაკითხვა.

ამ ინფორმაციის წაკითხვა არის ძალიან რთული პროცესი, რადგან მდინარე არის ცოცხალი და ცვალებადი ისევე როგორც ქალაქები რომლებიც ჩამოყალიბდა ამ მდინარეების ინფორმაციული სისტემის ირგვლივ.

ინფორმაცია კი არის იმპულსები რომელიც ქალაქების ნეირონულ სისტემას ქმნის და აძლევს მას ცოცხალი ორგანიზმის ბუნებას. თუ განვიხილავთ ქალაქს როგორც „ცოცხალ“ ორგანიზმს, მაშინ ის არ შეიძლება განიხილებოდეს ქალაქის ირგვლივ არსებული „ცოცხალი“ მექანიზმებისგან განცალკევებით.

„ცოცხალი“ მექანიზმები, რომლებიც იმპულს უქმნის ქალაქის განვითარებას არის უპირველეს ყოვლისა, ლანდშაფტური პირობები, რომლებიც თავად ქალაქის ორგანიზმის მაფორმირებელი ფაქტორებია, ისევე როგორც ადამიანური ფაქტორი.

როგორც ადამიანი, ქალაქი არ არის მხოლოდ ბიოსფეროს ნაწილი, ის ასევე დედამიწის საინფორმაციო გარსის ნაწილია. ის არის „ინტელექტუალური“ და მისი განვითარება, ისევე როგორც ადამიანებში, ხდება ორი პრიორიტეტული მიმართულებით - ბუნებრივი და ხელოვნური (დაგეგმილი) [2].

მდინარე ქალაქების განვითარებას ასევე ამ ორ მიმართულებას მიჰყვება.

მდინარე და მასთან დაწყვილებული კომპონენტები

ცხრილი 1

ბუნებრივი	მდინარე - ბუნებრივილანდშაფტისკომპონენტი	მდინარე - გეოსისტემის კომპონენტი	მდინარე - კლიმატის კომპონენტი	მდინარე - ეკოსისტემის კომპონენტი
ანტროპოგენული წყვილები	- მდინარე - ლანდშაფტი - მდინარე - მობილობა - მდინარე - ტრანსპორტი -მდინარე - რეკრიაცია	- მდინარე სივრცობრივი სტრუქტურა - მდინარე - სანაპირო - მდინარე - არხი - მდინარე - ნაპირდაცვა	- მდინარე - ენერგია - მდინარე - ქალაქის სანიტარულ ჰიგიენური ზონა	- მდინარე - ეკოლოგია - მდინარე - საკვები - მდინარე - ნარჩენები

უამრავი თანამედროვე ქალაქები ვითარდება ამ პრინციპებით. ქალაქში - ბუნებრივი და ხელოვნური განვითარების მამოძრავებელი იმპულსები

დამოკიდებულია უამრავ ფაქტორებზე. ძირითადი, ლანდშაფტური და ადამიანური ფაქტორი უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალცალკე ერთად - როგორც მამოძრავებელი იმპულსები:

- ქალაქის ბუნებრივი განვითარებაში სასურველია განიხილებოდეს არა სპონტანური განვითარება, როგორც ეს რატომღაც ჩვეულებრივად იგულისხმება, არამედ როგორც ქვეცნობიერი, ინსტიქტური, თითქოს ჩანერგილი დნმ-ის მოლეკულაში. რადგან, მაგალითად, ფუტკრებმა, ჭიანჭველებმა, მწერებმა ყოველთვის ზუსტად იციან როგორ ააშენონ თავიანთი „მეგაპოლისები“, იქ ერთი შეხედვით, ყველაფერი ქაოსით არის მოცული, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. „მეგაპოლისები“ აგებული ინსტინქტების დონეზე, ფუნქციონირებენ იდეალურად.

- ხელოვნური დაგეგმვა კი ამ ცოცხალი ორგანიზმის ზრდის პროცესის მართვაა, ვინაიდან ყოველთვის ყველაფერი არ მიდის, როგორც ჩვენ გვინდა. ჩნდება სხვადასხვა დესტრუქციული პროცესები, როგორიცაა დაავადებები, რომელთა გამომწვევი მიზეზები უნდა დადგინდეს და დაიწყოს ერთგვარი „მკურნალობის“ პროცესი. და ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა გენერალური გეგმების და მასტერ-გეგმების შემუშავება, არის წინასწარ განჭვრეტის ზომები, თითქოს პრევენციული სამუშაოები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციებს თავიდან იცილებს და საშუალებას მისცემს ქალაქს ნორმალურად იფუნქციონიროს როგორც ცოცხალი ორგანიზმი. [2].

სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ პროგრესთან და მისგან გამომდინარე საზოგადოებრივ მოთხოვნებთან ერთად თანამედროვე ქალაქები განიცდიან პროცესებს, რომლებიც საოცარი სიჩქარით ცვლის მათ არსებობის ფორმებს. მდინარე კი, როგორც ქალაქის ბუნებრივი კომპონეტი კარნახობს მას თავის მიმართულებებს.

ზოგი ქალაქი სწრაფად და წარმატებით ვითარდება, ზოგი კი კარგავს თავის სიცოცხლუნარიანობას, რადგან მასში ბუნებრივი პროცესები ჩანაცვლებულია ხელოვნურით.

სწრაფ და წარმატებულ განვითარებასაც და ქალაქის სიცოცხლუნარიანობის დაკარგვასაც აქვს თავისი მიზეზები, რომლის ანალიზით შესაძლებელი ხდება ძირითადი ფაქტორების გამოვლენა.

ანალიზის საგანი მცირე საპორტო ქალაქი ფოთი-ფაზისი
(მდინარე ფასიზის მოსახელე ქალაქი).

ფოთისნავსადგური — საქართველოს პირველი ნავსადგური შავ ზღვაზე, მდინარე რიონის შესართავთან. ფოთის ნავსადგური ერთ-ერთ მთავარ კვანძია ტრასეკასა და სატრანზიტო დერეფნისათვის, რომელიც მოკლე გზით აკავშირებს ევროპას კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. თავისი

გეოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ის ძალიან ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს[3].

შემთხვევითი არ არის, რომ ქალაქი ფაზისი დაარსებული მდინარის შესართავთან ატარებდა ამავე მდინარის სახელს. მისი მნიშვნელობა ამ ქალაქის დაარსებაში პირდაპირ იყო დაკავშირებული მის მოსახელე მდინარესთან.

ქალაქ ფოთის (ფაზისი) დაარსებასა და მის დაგეგმარებაში მთავარი სიცოცხლის ღერძი იყო მდინარე და სხვა ლანდშაფტური თუ გეოპოლიტიკური პირობები.

ფოთი მიეკუთნება იმ ქალაქებს, სადაც ბუნებრივი განვითარების პროცესები დაირღვა, შენელდა და ქალაქის განვითარებამ დაკარგა თავისი ბუნებრივი მიმართულებები. დღეს ფოთს მოიხსენებენ, როგორც „ღარიბი მდიდარი ქალაქი“.

მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქ ფოთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაფორმირებელი ფაქტორი მდ. რიონი შევისწავლოთ და ანალიზის შედეგად განვსაზღროთ მისი შესაძლებლობები და გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიმართულებები.

ისტორიულად საპორტო ქალაქები და პორტები ითვლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტად - სატრანსპორტო ჰაბად, რომელიც მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს საპორტო ქალაქის მომავალ განვითარებას.

მდინარის არსებობა კი საპორტო ქალაქბში არის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გენერატორია და მათ ქალაქმაფორმირებელ სისტემაში - ქალაქის კარკასის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტი.



სურ. 5

თუ გადავხედავთ ქალაქ ფოთის სტრუქტურას, მაშინვე ნათელი ხდება ქალაქის დაგეგმარების ორიენტირი. სხივური მარაოსებრი დაგეგმარება მდინარისკენაა ორიენტირებული.

დაგეგმარების სტრუქტურის განვითარების კონცეფცია კი არის ურბანული ფორმირების მეთოდის არჩევის თეორიული დასაბუთება, რომელიც დაფუძნებულია განაშენიანებული ტერიტორიის სივრცითი, მორფოლოგიური, ლანდშაფტური და სოციალურ-კულტურული თვისებების გათვალისწინებით.

ფოთის დაგეგმარების სტრუქტურა გვიყვება მისი განვითარების ფაზებზე და ერთერთი მნიშვნელოვანი ფაზა იყო ორიენტირი მდინარეზე, როგორც სავაჭრო მაგისტრალის მონაკვეთზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის.

მდინარით ადვილი იყო გადაადგილება და ტვირთის გადაზიდვა, შესაბამისად სავაჭრო კომუნიკაცია, კომუნიკაცია სხვა ქალაქებთან ქვეყნებთან, გამოცდილების გაცვლის საშუალება, ასევე კულტურის გაზიარება და შესწავლა. მდინარეს მოჰქონდა განვითარება და სიმდიდრე.

სურ. 6

პირველი ნავმისადგომები მდინარეზე იყო განთავსებული, სადაც შემოდიოდა გემები და აქიდან ხორციელდებოდა ტვირთის გადაზიდვა მდინარით.

ცხრილი 2

მდინარე და „მამოძრავებელი ძალები“	მდინარე და მდაგრადი ურბანული გარემოს სისტემის გამოწვევები	მდინარე და „არსებული მდგომარეობა“
ქალაქის გეგმარების ღერძი	- ქალაქის კარკასის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტი; - მდინარის ჩართულობა ქალაქის სტრუქტურაში; - მდინარის მომსახურების ხარისხი; - მდინარის ინფრასტრუქტურა; - მდინარის სერვისების ხელმისაწვდომობა; - მდინარის სერვისების და შთაბეჭდილებების უნიკალურობა;	- მდინარე საერთოდ არ მონაწილეობს არანაირი ფუნქციით ქალაქის ცხოვრებაში; - მდინარის სამხრეთის შტო (ქალაქის ღერძი) კარგავს გამტარუნარიანობას და ჭაობდება; - მდინარის არხი, რომელიც ქმნიდა „დიდი“კუნძულს - გაუქმებულია;
ლეგენდადაისტორია	- ძლიერი ფასეულობათა ერთიანობა;	- ქალაქი ცხოვრობს დღევანდელი დღით; - მას არ გააჩნია მომავლის ხედვა დაფუძნებული საკუთარი ფასეულობათა ერთიანობაზე;
გეოპოლიტიკური მდებარეობა და პორტი	- ტრასეკასა და სატრანზიტო დერეფანი; - მდინარის და საზღვაო პორტის კომუნიკაცია; - მდინარის სატრანსპორტო კომუნიკაცია; - მდინარით ტვირთბრუნვის კომუნიკაცია;	- მდინარის ჩრდილოეთი შტოს ნალექები აფერხებენ საზრვაო ნავსადგურის მუშაობას; - მდინარე არ მონაწილეობს სატრანსპორტო ჰაბის სისტემაში;

		- პორტი საერთოდ განცალკებებულია ქალაქის ცხოვრებიდან;
ქვეყნის პოლიტიკა და ეკონომიკა	- პოლიტიკური და ეკონომიკური დაინტერესება; - ინვესტიციებით დაინტერესება; - განვითარებული ბიზნესის მრავალსახეობა; - წარმოება; - თავისუფალი ეკონომიკური ზონა;	- სახელმწიფო ინტერესების ჩამოუყალიბლობობა ნავსადგურის და ქალაქის განვითარების მიმართ; - ქალაქს გააჩნია უნიკალური და საინტერესო წარმოებაბის ისტორია, მაგრამ ის უმეტესწილად განადგურებულია, ხოლო დარჩენილი საწარმოებები ვერ უზრენველყობს ქალაქის მდგრადი ეკონომიკური განვითარებას; - ფუნქციური ზონირება არ ითვალისწინებს ქალაქის სიცოცხლუნარინობას;
სოციალური - ემოციური ფსიქოლოგია და ეკონომიკა	-პირადი უპირატესობები, შენაძენები, სარგებელი, მოწოდებული მდინარის მიერ - მდინარისმიერ წარმოქმნილი გრძნობები, ემოციები და შთაბეჭდილებები; - სიხარული, სიამოვნება, ნოსტალგია, პატივისცემა; - ადგილობრივი ტრადიციების პატივისცემა და სიამაყე;	- ქალაქის ორგანიზაციების და საწარმოების სერვისების ხელმიუწვდომლობა; - იმედგაცრუება; - უმუშევრობა; - ახალგაზრდა კადრების ემიგრაცია;

მდიდარი-მრავლფეროვანი ბუნებრივი კავშირები (ზღვა, მდინარე, ტბა)	- მდინარისმრავალფუნქციურირეკრეაციული კომპლექსები; - გაძლიერებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები; - ბუნებრივი ეკოლოგიური დერეფნები; - ისტორიული სავაჭრო გზები; - მწვანე და ცისფერი მარსრუტები; - ტურიზმი; - ლაშქრობა;	- შესამჩნევია ზურგის შექცევა ზღვის, მდინარის და ტბისკენ - სანაპიროებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა; - ქალაქს არ გააჩნია ორენტაცია და კავშირები არცერთი ბუნებრივი ფაქტორის მიმართ (ზღვა, მდინარე, ტბა);
მდინარე და ქოლხეთის ეროვნული ნაკრძალის ეკოსისტემა	- ეკოტურიზმი; - რეკრეაციული კომპლექსები; - ვიზიტორთა ცენტრები; - ქალაქის ცართულობა მარშრუტებში;	- კოლხეთის ეროვნული ნაკრძალის არსებობა, გავლენას ახდენს ქალაქის ხასიათზე, თუმცა არ მონაწილეობს მის ცხოვრებაში;
ეკოლოგია	- ბუნებრივი და ანთროპოგენული გარემოს ერთ-ერთი საერთო მნიშვნელი; - ბუნებრივი ლანდშაფტის მაფორმირებელი ელემენტი;	- მდინარე რიონის ჩრდილოეთი შტოს ზემოქმედება ნავსადგურის მდგრად განვითარებაზე უხვი ნატანის გამო; - მდინარე რიონის სამხრეთი შტოს ნატანის შემცირება და არხის გაქრობა; - ზღვის სანაპირო ზოლის გამორეცხვა;

1828 წლის რუკა 1877 წლის რუკა 1901 წლის რუკა

სურ. 7

ფოთის ქალაქმაფორმირებელი სტრატეგია იყო აგებული მდინარეზე, რადგან ფაზისზე გადიოდა სავაჭრო მაგისტრალის მონაკვეთი შავსა და კასპიის ზღვებს შორის.

ფაზისი, როგორც ნავსადგური ასევე იყო ამიერკავკასიის სავაჭრო გზის საწყისი წერტილი, რომელიც გადიოდა ზღვიდან სანაოსნო მდინარე ფაზისის გასწვრივ სურამის უღელტეხილამდე, ჩრთილოეთის განშტოების მარშრუტი კი იყო:
კასპიის ზღვა - ამიერკავკასია - მდ. მტკვარი-სურამის უღელტეხილი-მდ.ფაზისი (რიონი)-ქალაქი ფაზისი-შავი ზღვა. აქედან ჩრთილოეთის განშტოება ზღვით დასავლეთისაკენ მიემართებოდა. ამ სავაჭრო გზას „აბრეშუმის დიდი გზა“ ეწოდებოდა.

ქალაქი ცოცხლობდა და ვითარდებოდა მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მაგრამ გასული საუკუნის 1939 წელს მუდმივი წყალდიდობებისგან დასაცავად, მდინარის კალაპოტის ჩრთილოეთისაკენ გადაგდების შემდეგ, ქალაქი განიცდის დესტრუქციულ პროცესებს და მისი ბუნებრივად დაგეგმილმა სისტემამ შეცვალა განვითარების ტემპები, შეიძლება ითქვას შეაჩერა.



სურ. 8

დაპატარავდა ძველი მდინარის კალაპოტი და შეამცირა საკმარისი ნატანის ტევადობა, რომელიც საჭიროა სანაპირო ზოლის შესავსებად.



სურ. 9

პორტის ჩრდილოეთით ჩამოყალიბდა ახალი კუნძული, ზომებით „დიდი კუნძულის“ მსგავსი, ისილება პორტში შესასვლელი არხი.ყოფილი ჩრდილოეთი შტო, რომელიც ქმნიდა დიდი კუნძულის კონტურს - გაქრა,



სურ. 10

სურ. 11

დიდი კუნძულის ზღვის სანაპირო განიცდის ძლიერ კოროზიას. პალიასტომის მკვებავი არხი გადაიკეტა.

სურ. 12 სურ. 13

დღეს გამოწვევა ის არის, რომ სანაპირო ქალაქების უმეტესობა ვერ ითვისებს სწრაფად მზარდ პორტს, ვერ უმკლავდება სანაპირო ზოლისა და აკვატორიის ცვლილებებით შეექმნილ გამოწვევებს. ლანდშაფტი, სანაპირო ზოლის დინამიური ცვლილებები, ეკოლოგია, ურბანული ქსოვილის განვითარება და მოსახლეობის მიგრაცია ეს ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქ-პორტის განვითარებაზე და მის იმეჯზე.

დღევანდელ გლობალიზაციის პირობებში, თუ სხვა ქალაქები დინამიკურად, სწრაფად და უსისტემოთ ვითარდებიან, ქალაქ ფოთის შემთხვევაში პირიქით მოსაძებნია ის მამოძრავებელი იმპულსები, რომლებიც ბუნებრივია და ასამოქმედებელია ქალაქის გასაცოცხლებლად.

- ერთის მხრივ ქალაქი, არ ვითარდება, მეორეს მხრივ კი, ფოთი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელსაც არ შეხებია სწრაფი და ქაოტური ურბანული განვითარება.
- ერთის მხრივ მდინარეზე ხელყოფით ქალაქმა განიცადა დანაკარგები, მეორეს მხრივ კი თუ მდინარე შეიძენს მის ისტორიულ ფუნქციას და გახდება ქალაქის ურბანული გარემოს სისტემის აქტიური შემადგენელი ელემენტი, მაშინ - ქალაქის ჩრდილოეთით, ნავსადგურის განვითარება ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება.

მდინარეზე აკინძული ისეთი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორები: ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, და ინსტიტუციური, ქალაქს მისცემს ახალი სიცოცხლის იმპულს.

მდინარე ქალაქის ნეიროსისტემის ცენტრალური ნაწილია. (შეიძლება ვთქვათ ხერხემალი) და თუ გავაცოცხლებთ მდინარეს, გაცოცხლდება ქალაქიც.

ქალაქის დაგეგმარება აგებული უნდა იყოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ღირებულებების სისტემის უწყვეტობაზე, ეკოლოგიური პრობლემების ფიქსაციასა და რეგულირებაზე.

გრძელვადიანი განვითარების გეგმის ჩამოყალიბების მიმართულებები

ცხრილი 3

მდინარის ქალაქმაფორმირებელი ფაქტორები	**მდინარის ქალაქმაფორმირებელი ელემენტები და მათი გაძლიერება**	**მდაგრადი ურბანული გარემოს განვითარების სტრატეგიები**
ეკოლოგიური	- უნდა მოხდეს ღია სივრცეების შენარჩუნება, ბუნებრივი და ეკოლოგიური ზონების განვითარების და დაცვის სტრატეგია; - არქიტექტურული გადაწყვეტილებები, რომელიც შეინარჩუნებს, გააძლიერებს და უზრუნველყოფს წყლის რესურსებთან წვდომას; - სანაპიროებზე და	- წყალზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაფართოება და მართვა; - უსაფრთხო და დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნა ფეხით, ველოსიპედით საწყლო კერძო და სამოქალაქო ტრანსპორტის;

	მათთვის შექმნილი ინფრასტრუქტურებამდე შეიქმნას ფეხით გასასვლელები ფიზიკური და ვიზუალური წვდომები; - უნდა შეიქმნას მიმზიდველი ზონები - კავშირები წყლის საშუალებით, რომელიც აძლიერებს კონკრეტული ადგილების განცდას და ხელს უწყობს ეკო-ტურიზმის განვიტარებას;	- დაცვა, შენარჩუნება და, სადაც ეს შესაძლებელია, აღიდგინოს ეკოლოგიური სისტემები; - უნდა მოხდეს მიწის შერეული გამოყენება, წყლის ჩათვლით; - უნდა გაჩნდეს წყლის ტრანსპორტის სხვადასხვა ვარიანტები წყლის ზონებს შორის მეტი კავშირებისათვის;
ეკონომიკური	- მდინარის ამოქმედება, როგორც სავაჭრო სატრანსპორტო ამიერკავკასიის დერეფნისა, (TRACECA პროგრამის ფარგლებში) და ნავსადგური გაფართოება ამ მიმართულებით; - ეკო-ტურიზმის განვითარება; - წყლის სატრანსპორტო ხაბის განვითარება - შიდა საქალაქო, ქალაქთაშორისო, რეგიონალური, საერთაშორისო; - კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების შექმნა; - ქალაქის ბრენდის შექმნა	- ფისკალური პოლიტიკისა და წახალისების განხორციელება, რომელიც მხარს უჭერს სხვადასხვა გამოყენების სახეობებს; - წყალზე დამოკიდებული რეკრეაციული, კომერციული და სამრეწველო მომხმარებლების საჭიროებების დაგეგმვა. - ისტორიული და კულტურული სტრუქტურების ჩართვა განვითარების პროექტებში, მათ შორის სამუშაო წყლის ნაგებობები, როგორიცაა შლუზები, დოქები და

		პირსები.
სოციალური	- სანაპიროების განვითარების პროცესებში უნდა მოხდეს საზოგადოების ეფექტური ეკონომიკური დაინტერესება; - უნდა მოხდეს დაგეგმილი განვითარების გეგმებზე საზოგადოებასთან შეთანხმების მიღწევა, განვითარების პროცესების გამჭირვალეობის და სამართლიანობის უზრუნველყოფა; - უნდა შემუშავდეს საერთო გეგმა, დაიგეგმოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის შეხვედრები, განისაზღვროს კომუნიკაციის მეთოდები;	- მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას; - ცვლილებები საზოგადოებრივ ცნობიერებაში; - შემოსავლების გაზრდა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მისი განათლების დონის ამაღლება; - ადამიანის ღირსების პატივისცემაზე ორიენტირებული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სისტემების ჩამოყალიბების შედეგად ადამიანთა თვითშეფასების ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; - ადამიანთა თავისუფლების ხარისხის გაზრდა, მათ შორის მათი ეკონომიკური თავისუფლება

ინსტიტუციური	- უნდა დაიგეგმოს თანამშრომლობის პოლიტიკა სახელმწიფო და ადგილობრივი მთავრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ იურისდიქცია საზოგადოების ნდობაზე და სანაპირო ბუნებრივ რესურსებზე.	- ცვლილებები საზოგადოების ინსტიტუციურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში; - შეიმუშავდეს ინკლუზიური პროცესი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური მონაწილეობა და შედეგი - შემუშავდეს საერთო გაგება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის - შემუშავდეს სწორი და გამჭვირვალე შეხვედრისა და კომუნიკაციის მეთოდები

ამ კონკრეტულ ზომებზე აგებული სტრატეგიულ გეგმას აქვს მომავლის მკაფიო ხედვა და ის ინარჩუნებს კონკრეტული ქალაქისთვის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებებს. სანაპირო ელემენტების ერთობლიობა ქალაქის სხვადასხვა ფუნქციურ ზონებთან კავშირში, იქნება ეს ზღვაზე, მდინარეზე თუ ტბაზე, ქმნის მდგრადობის პრინციპებს, თავის სპეციფიკური გამოწვევებით და შესაძლებლობებით. ქალაქის განვითარების მზგავსი პრინციპები, რომელიც ანვითარებს სანაპირო ქალაქს მათ ბუნებრივ რესურსებთან თავსებადი გზებით, ქმნის მიმზიდველ გარემოს ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ვიზიტორებისთვის და ბიზნესისთვის.

სურ. 14

ქალაქ ფოთის მდგრადი განვითარების საფუძველი თავად ისტორიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1].https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B0%D0%BC%D0%B1%D1%83%D1%80%D0%B3

[2]. **А.В.Сафронова1 УДК 711.4ГОРОД – ЖИВОЙ ОРГАНИЗМ.**ВЕСТНИК Ир.ГТУ №12 (59) 2011

[3].https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98

რეზიუმე

ზღვის მიმართ ინტერესი გამოწვეულია არა მხოლოდ თავად ზღვის განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობით ან მისი აუზის ბუნების სიმდიდრით, არამედ მისი დიდი საერთაშორისო ეკონომიკური გავლენებითაც.

მსოფლიოს ზღვისპირა ქალაქები უმეტეს წილად ჩართულია საერთაშორისო საზღვაო სავაჭრო სისტემაში. ქალაქი-პორტები არის სანაპირო რეგიონების ფუნქციონირების დომინანტები, რომლებიც ქმნიან ერთმანეთთან კავშირშია. საზღვაო ნავსადგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთის ნაკადების კავშირს

სახმელეთო და საზღვაო გადაზიდვებში - ქალაქების ფორმირების ბაზაა, ხოლო საპორტო ქალაქებში სატრანსპორტო ჰაბების განთავსება ქმნის უამრავ თავისებურებებს მათი ურბანული დაგეგმარების განვითარების პრობლემების გადასაჭრელად. ერთ-ერთი ასეთი თავისებურებაა ამ ქალაქების ირგვლივ კონკრეტული სანაპირო სისტემების ჩამოყალიბება სატრანსპორტო ფუნქციების განვითარებასთან დაკავშირებით. საპორტო ქალაქების კავშირები ერთმანეთთან გარდა ზღვისა, მდინარეებით და არხების მეშვეობით ხორციელდება და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია.

სტატიაში განხილულია მდინარის მნიშვნელობა ქალაქის ორგანიზმის განვითარებაში, როგორც ურბანული ქსოვილის მაფორმირებელი ფაქტორის. აგრეთვე განხილულია მასთან დაწყვილებული ბუნებრივ-ეკოლოგიური ჩარჩოს მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც მთლიანობაში ურბანული დაგეგმარების ბუნებრივ-ტექნოგენური სისტემების ჩარჩოს საფუძველს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია, ურბანული სივრცის ფორმირების თავისებურებების დადგენა მცირე ქალაქის შემთხვევაში - ფოთის მაგალითზე, რომლის ურბანული ქსოვილის ერთერთი მნიშვნელოვანი მაფორმირებელი ელემენტი - მდ. რიონია.

ქალაქ ფოთის (ფაზისი) დაარსებაშიც და მის დაგეგმარებაშიც მთავარი სიცოცხლის ღერძი იყო მდინარე და სხვა ლანდშაფტური და გეოპოლიტიკური პირობები.

ფოთი მიეკუთვნება იმ ქალაქებს, სადაც ბუნებრივი განვითარების პროცესები დაირღვა, შენელდა და ქალაქის განვითარებამ დაკარგა თავისი ბუნებრივი მიმართულებები. გასული საუკუნის 1939 წელს მუდმივი წყალდიდობებისგან დასაცავად, მდინარის კალაპოტის ჩრდილოეთისაკენ გადაგდების შემდეგ, ქალაქი განიცდის დესტრუქციულ პროცესებს და მისი ბუნებრივად დაგეგმილმა სისტემამ შეცვალა განვითარების ტემპები, შეიძლება ითქვას შეაჩერა.

სტატიაში მოყვანილი ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ქალაქის შესაძლებლობები და მისი გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიმართულებები, რომელიც შეუძლებელია „წყლის“ განვითარების ხაზის ორგანიზების გარეშე, რაც უზრუნველყოფს კომპოზიციურ, ფუნქციონალურ და კომუნიკაციურ ურთიერთობას ღია ურბანულ და წყლის სივრცეებს შორის, რაც დღეს აქტუალურია არქიტექტურულ და ურბანული დაგეგმარების სივრცეში.

The Importance of Rivers in the Development of Port Cities

Gersamia L.

Chachava N.

Resume

Epigraph:
"For whosoever commands the sea commands the trade; whosoever commands the trade of the world commands the treasures of the world, and consequently the world itself,"
Walter Raleigh

The interest in the sea is caused not only by the special strategic position of the sea itself or the richness of nature of its basin, but also by its great international economic influence.
Most of the world's coastal cities are involved in the international maritime trade system. City-ports are dominant in the functioning of coastal regions, which form connections with each other. Seaports, which ensure the connection of cargo flows in land and sea transportation, are the basis of the formation of cities, and the placement of transport hubs in port cities creates a number of features for solving the problems of their urban planning development. One of these features is the formation of specific coastal systems around these cities in relation to the development of transport functions. Port cities are connected to each other not only by the sea, but also by rivers and canals, and their importance in ensuring international economic relations is important.
The article discusses the importance of the river in the development of the city organism as a shaping factor of the urban fabric. Important components of the natural-ecological framework coupled with it are also discussed, which are the basis of the framework of natural-technogenic systems of urban planning as a whole.
The purpose of the research is to determine the peculiarities of the formation of the urban space in the case of a small town - on the example of Poti, one of the important shaping elements of the urban fabric - the river. Ryonia.
The river and other landscape and geopolitical conditions were the main axis of life in the establishment of the city of Poti (Phazis) and in its planning.
Poti belongs to those cities where the processes of natural development were disturbed, slowed down and the development of the city lost its natural directions. After shifting the river bed to the north in 1939 of the last century to protect it from constant floods, the city is experiencing destructive processes, and its naturally planned system has changed the pace of development, we can be say, stopped.

The results of the analysis presented in the article allow us to determine the possibilities of the city and the directions of its long-term development plan, which is impossible without the organization of the "water" development line, which provides a compositional, functional and communicative relationship with open urban and water spaces.between what is relevant today in the architectural and urban planning space.

პანდემია და მისი გავლენა არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობაში

გვენცაძე ნ.

ასოც. პროფესორი

რა არის პანდემია? ადამიანის ჩვეულებრივი ყოფითი ცხოვრება მსოფლიოში ისეთი დატვირთულია, ისტორიის გაკვეთილებს და გადაფასებებს მაშინ იხსენებს, როდესაც თავად მოხვდება ამა თუ იმ პრობლემის ეპიდცენტრში. შესაბამისად, კითხვასაც მაშინ სვამს და ცდილობს გაერკვეს როგორ გაუმკლავდეს გამოწვეულ სირთულეებს. თავად სიტყვა პანდემია ბერძნულიდან იშიფრება როგორც მთელიხალხი და ნიშნავს მწვავე ინფექციური დაავადებების სწრაფ და ფართო გავრცელებას რეგიონში, კონტინენტზე, მსოფლიოში (სურ. 1).



სურ. 1 პანდემიებზე შექმნილი გრავიურები

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პანდემიის შედეგები ხშირად წარმავალია და იმაზე ხანმოკლეც, ვიდრე წარმოგვიდგენია. ისტორიულად პანდემიების დაფარვის არეალები უმთავრესად იყო მჭიდროდ დასახლებული ურბანული ადგილები. შავი ჭირის, ქოლერის თუ ტუბერკულოზის გავრცელება დიდი ქალაქებიდან იწყებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა ქალაქგარე დასახლებებში. ქალაქის გარემოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ქალაქებში სიკვდილიანობა ქალაქგარეთისას იმდენად აღემატებოდა, უწყვეტი მიგრაცია რომ არა, ბევრი ქალაქი ალბათ საერთოდ დაიცლებოდა. სხვადასხვა დროს ეპიდემიებთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ, რომლებიც ადამიანთა ქცევის წესს ცვლიდა, რაც მათ ცხოვრებაზე აისახებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია თავისთავად ტრაგიკული უბედურებაა მსოფლიო ისტორიაში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ალბათ მომავალშიც შეასრულებს

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის განვითარებაში. ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას განსაზღვრავს ის ურბანული გარემო, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს. პანდემიების ისტორიული მიმოხილვიდან, დაწყებული ჯერ კიდევ ათენის ჭირიდან (ძვ.წ. 430) შავი სიკვდილით დამთავრებული (XIV საუკუნე), ჩანს როგორ იწყება ქალაქებისა და დასახლებების დიზაინის ცვლილებები მეტი ეფექტურობისა და დაცულობის მისაღებად. ნელ-ნელა შემოდის ზონირების პრინციპები, კარანტინის კონცეფცია, დიდ საჯარო სივრცეებზე მოწოდება, რაც ბუნებასთან დაკავშირების მეტ შესაძლებლობას იძლევა და იზოლაციის განცდას ამცირებს.

აღორძინების ხანაში, პანდემიები დაეხმარა დამგეგმარებლებს, გაეუმჯობესებინათ ქალაქების სტრუქტურა მათი გაფართოების ხარჯზე, გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, XIV-XVIII საუკუნეებში შავი ჭირის ეპიდემიისას ევროპის ქალაქების მესვეურებმა პირველად დაიწყეს ნაგვის შეგროვება და კოცონზე დაწვა, ქალაქში შემოსულ მოგზაურებს ამოწმებდნენ და მათ ნივთებს ანადგურებდნენ, შავი ჭირით დაავადებულებს კარანტინს უწყობდნენ-სახლებში კეტავდნენ და მათი სახლებს ჯვრებით აღნიშნავდნენ. ზოგან უფრო შორს წავიდნენ და იტალიის ქალაქებში „ლაზარეთები“ გაჩნდა - ცნობილია მილანის ლაზარეთი 16 ათასკაცზე (სურ. 2). ეს მიდგომა არ გამოიყენა XVII საუკუნის ინგლისის ლორდთა პალატამ, რომელიც შავი ჭირით სნეულთათვის თავშესაფრების აგების წინააღმდეგ წავიდა. ლორდებმა თავიანთი სასახლეების წინ ხედის ლაზარეთებით წაბილწვა არ ისურვეს. თუმცა, ამის საპირწონეთ საცხოვრებელი სახლების ხარისხის გააუმჯობესბაზე დაიწყეს ზრუნვა და ხის სახლები აგურის სახლებით ჩაანაცვლეს, რადგან ითვლებოდა, რომ ხისსახლების სანიტარიული პირობები ძალიან მძიმე იყო და საჭირო იყო ადამიანს უფრო ჯანსაღ გარემოში ეცხოვრა.

სურ. 2

უფრო მოგვიანებით, როდესაც XIX საუკუნეში ევროპა ქოლერის პირისპირ აღმოჩნდა, ბევრმა ისევ შავი ჭირის საწინააღმდეგოდ მიმართული მეთოდები გამოიყენა. ამგვარ ზომებს აჯანყებების მთელი სერია მოჰყვა პარიზში, ლონდონში. სანქტ-პეტერბურგში ექიმებიც კი დახოცეს და კარანტინში მყოფი მოქალაქეები გაათავისუფლეს. ამ მოვლენებით დაშინებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა სხვა ხერხები მოსინჯეს და დაიწყეს ქალაქების სტრუქტურული გაჯანსაღება. მაგალითად, პარიზში ქოლერის ეპიდემიის მიმართ ყველაზე მოწყვლადი ფენა ღარიბი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. შესაბამისად შეიძლება სრულად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც, მიზეზად მათი საცხოვრებელი გარემო ჩაითვალა - ვიწრო ქუჩები და გაუნიავებელი ბარაკული ტიპის განაშენიანება სნეულების გავრცელების ხელშემწყობი იყო. ამის საწინააღმდეგოდ დაიწყეს ქუჩების გაფართოება, დიდი მოედნების შექმნა, ჩაბნელებულ უბნების გამოხშირვა და სიბინძურისგან გაწმენდა. პარიზში, საფრანგეთის მეორე იმპერიის დროს ფართო გამზირების გაყვანის ერთ-ერთი ამოცანა – იმპერიული დიდებულების ჩვენებასა და მოსახლეობაზე საპოლიციო კონტროლის გაადვილებასთან ერთად – დაავადების კონტროლის გაუმჯობესებაც იყო. ამერიკაში 1870-1914 წლებში ე.წ. მეორე ინდუსტრიული რევოლუცია ან, როგორც ცნობილია, ტექნოლოგიური რევოლუცია, იყო უპრეცედენტო ურბანიზაციის მნიშვნელოვანი ეტაპი. ქალაქები გახდა მჭიდროდ დასახლებული - მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებით, სარკინიგზო ტრანსპორტით გასართობი და კეთილდღეობისთვის მოწყობილი საჯარო სივრცეებით. უკვე XIX საუკუნეში ურბანული რეფორმის მიმდევრები მჭიდროდ დასახლებული კორპუსების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რადგან ისინი ქოლერისა და ტუბერკულოზის ბუდედ ითვლებოდა. გამომდინარე აქედან, ნიუ-იორკში დაიწყეს ახალი ქმედებების განხორციელება, კორპუსებში სავალდებულო გახდა შიგა ეზოებისა და ფართო სავენტილაციო შახტების მოწყობა, შენობების წინა და უკანა ფასადები ფართო უნდა ყოფილიყო, შიდა წელი კი უფრო ვიწრო და ვენტილირებული. ამან გავლენა იქონია დაგეგმარების სტილზე. მოსახლეების რაოდენობიდან გამომდინარე და, შესაბამისად, საკუთარი შემოსავალი რომ არ შეემცირებინათ, ბინათმფლობელებმა მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა დაიწყეს. ეს განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე გამომავალ შენობებს შეეხო. მანჰეტენის ძველუბნებში ამგვარი დაგეგმარება დღესაც შემორჩენილია (სურ. 3). 1908 წელს დაიგეგმა მეტროს ქსელის მშენებლობა. ათი წლის შემდეგ ნიუიორკს უკვე ჰქონდა ზონალური განაშენიანების გეგმაც.

სურ. 3. ძველი და ახალი მანხეტენი

1918-1919 წლებში, ისტორიაში ყველაზე მომაკვდინებელი რესპირატორული ვირუსის პანდემია „ესპანურმა გრიპმა“, რომელმაც 50 მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა მთელ მსოფლიოში, დაავადების გავრცელების შენელების მიზნით აშკარა გავლენა მოახდინა ურბანული ზრდის შენელებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების შეზღუდვაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, ხალხმრავალ ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჩაანაცვლეს ფეხით მოსიარულეთა სივრცემ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სახლში რჩებოდა, ღამით ტროტუარების სანიტარიულად ამუშავებდნენ და სხვა. დაიწყო მდინარეების დაცვა, საკანალიზაციო ნარჩენები ჩადინებისა და ნაპირებზე განაშენიანებებისგან. მაგალითად, ფილადელფიაში 1908 წ. ტიფის და ქოლერის აფეთქების შემდგომ, რომელიც მდინარე შუილკილში კანალიზაციის შერევით იყო გამოწვეული, პირველ პრევენციული ეტაპად სახლებისა და ბიზნესების გადატანა განხორციელდა მდინარის ნაპირიდან, მეორე ეტაპად დაიგეგმა მასიური ფეირმაუნტის (Fairmount) პარკის მოწყობა, რომელიც დღესაც უზარმაზარი სარეკრეაციო სივრცეს წარმოადგენს ქალაქისთვის (სურ.4).

სურ. 4 ფეირმაუნტის (Fairmount) პარკი

ამ მოვლენების შემდეგ ევროპასა და ამერიკაში იწყება ურბანული დაგეგმარების ახლებურად დაგეგმვა, ზონირების შემოტანა. მაგ., საცხოვრებელი და სამრეწველო

ტერიტორიების განცალკევება და მათ შორის ბუფერული სანიტარიული ზონების მოწყობა, საცხოვრებლის რეფორმის გადახედვა, ნაგავსაყრელების გაწმენდა და მაღალ დონეზე ნარჩენების მართვა, საჯარო, ბუნებასთან დაახლოებული, სივრცეების შექმნა, სამშენებლოდ ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება და სხვა. ამ პერიოდიდანვე იწყება საკანალიზაციოქსელების გაყვანისა და სასმელი წყლის ფანტანების დამონტაჟების ერა. მოდაში შემოდის დიდი რეკრეაციული სივრცეების დაგეგმარება და გაშენება, რაც არა მარტო ქალაქებს ალამაზებდა, არამედ ადამიანები მიხვდნენ, რომ მწვანე სივრცე ჰაერისა და წყლის გაწმენდის საუკეთესო საშუალება იყო. ამის საუკეთესო მაგალითია ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი. პარკის ერთერთი ავტორი ფრედერიკ ლოუ ოლმსტედი მიიჩნევდა, რომ ქალაქელების საცხოვრისი გარემო უფრო უნდა გამდიდრებულიყო სიმწვანით და დამსგავსებოდა სოფელს. საქალაქო გარეუბნების სიმჭიდროვე უნდა შემცირებულიყო, სიმწვანე, იზოლირებული საოჯახო სახლები და გზების გასწვრივ ხეების რიგი სნეულებისაგან უკეთ დაიცავდნენ მაცხოვრებლებს.

ამბობენ, რომ ტუბერკულოზმა ევროპაშიც დიდი, თუმცა უფრო არაპირდაპირი გავლენა მოახდინა მშენებლობაზე. არქიტექტორებიც დილობდნენ ტუბერკულოზთან საბრძოლველად შექმნილი „სანატორიუმების“ არქიტექტურული გადაწყვეტები შემოეტანათ საცხოვრებელ სახლებში – თეთრი კედლები, ფანჯრები იატაკიდან ჭერამდე, სინათლის მაქსიმალურად შემოსაშვებად. სწორედეს უკანასკნელი იქცა შემდგომში ევროპული მოდერნისტული არქიტექტურის სახასიათო ელემენტებად (სურ. 5). შემოვიდა ინოვაციები შიგა სანტექნიკა, დაავადების რუკები და ადრეული შეტყობინების სისტემა.

სურ. 5

რა იქნება კოვიდ 19-ის შემდგომ? ჯერ არ ვიცით, რას და როგორ შეცვლის ის ჩვენს სფეროში, ამას შემდგომი წლები გვაჩვენებს. თუმცა, დღეს რაც ხდება ის გამოწვევები შეიძლება გამოვყოთ. ბევრიამბობს, რომ კორონავირუსი ე.წ. „მეგა-ქალაქების“ ერასდაასრულებს, თუმცა ისტორიულმა გამოცდილებამ საპირისპირო აჩვენა, ვერც

ერთმა ეპიდემიამ, რომელიც კოვიდ 19-ზე უფრო საშიში იყო, ვერ შეაჩერა დიდი ქალაქების ზრდა (ლონდონი, პარიზი, ტოკიო....), ისინი კიდევ უფრო სიცოცხლისუნარიანი გახდა.

ამას ადასტურებს რიჩარდ ფლორიდის მიერ პანდემიის მიწურულს, 2023 წლის 14 აპრილს გამოქვეყნებული სტატიაც, სადაც მიმოხილულია პანდემიისშედეგად გამოწვეულ ცვლილებებზე მისეული ხედვა ამერიკის მაგალითზე. ავტორის შეფასებით, როდესაც Covid-19 დაფიქსირდა სამი წლის წინ, გაჩნდა აზრი, რომ მსოფლიო გეოგრაფია სამუდამოდ შეიცვლებოდა. თუმცა, დიდი ქალაქები, სადაც მოსახლეობის დიდი პროცენტი ცხოვრობს კვლავ მედგრად დგანან მასიური ცვლილების გარეშე. უფრო ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა ცხოვრების წესში, კერძოდ მოსახლეობა გადავიდა დისტანციურ სწავლებასა და მუშაობაზე. რაც დამღუპველი აღმოჩნდა ეკონომიკისთვის და გამოიწვია ის, რაც ცოტამ თუ იწინასწარმეტყველა: მასიურად გაიზარდა საცხოვრებელი ფასე ბინის ფასი, ასევე ქირის ფასიც, პრობლემა, რომელიც აწუხებს ყველა ფორმისა და ზომის საზოგადოებას დიდ და პატარა ქალაქებს, გარეუბნებს თუ სოფლებს. პანდემიის დასაწყისში, ე.წ. ლოქდაუნების გამოცხადების დღეებში ნამდვილად იყო ქალაქების საბოლოო სიკვდილის პროგნოზირება: მოსახლეობა ურბანული სივრცეებიდან აქტიურად გადაიხვეწა ქალქგარეთ არსებულ საცხოვრებელ სახლებსა თუ სოფლებში, სტუდენტები და მოსახლეობის მომუშავე ფენაც სახლებში დარჩნენ, მოგზაურობის შეზღუდვამ შეაჩერა ემიგრანტების ნაკადი დიდ ქალაქებში, დაპაუზდა ტურიზმის სექტორიც. ოდესღაც ძლიერი ურბანული ცენტრები განადგურდა ოჯახების ფორმირების გადაადგილების შედეგად, რადგან ბავშვებიანი ოჯახები ეძებდნენ მეტ ადგილს გარეუბნებში და სხვაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ქალაქები საბოლოოდ წარმოუდგენლად მდგრადი აღმოჩნდნენ. ბევრი რამ მაინც დროებითი აღმოჩნდა - ბევრი ვინც წავიდა, უკან დაბრუნდა, ემიგრანტებმა კვლავ დაიწყეს შემოსვლა აშშ-ს დიდ ქალაქებში, 20 უმსხვილეს ქალაქში ემიგრანტების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა 2021 წლიდან 2022 წლამდე, აღსდგა ტურიზმი და სხვა. მანჰეტენმა კვლავ დაიბრუნა დაახლოებით 17 500 მოსახლე გასულ წელს, წინა წლების მნიშვნელოვანი დანაკარგების შემდეგ. აშშ-ის აღწერის ბიუროს შეფასებით, ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ეს ნამატი პირველი შემთხვევაა შიგა მიგრაციაში. რაც შეეხება სოფლებს, ნამდვილად მოხდა მათი ხალხით შევსება (მაგ., მნიშვნელოვნად შეივსო მონტანას და ვაიომინგის შტატების სოფლები) და ბევრი ფიქრობდა, რომ ეს სარგებელს მოუტანდა ამერიკის სოფლის ეკონომიკას, თუმცა, აპჯონის (Upjohn) ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, სოფლის ამერიკა კვლავ ჩამორჩება მეტროპოლიის რაიონებს.

რაც შეეხება საქართველოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საბედნიეროდ ისეთი გართულებები არ გვქონია ამ დაავადების მიმართ. თუ დადებითი კუთხით შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ მის წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეული ცვლილებები გამოიწვია ჩვენი საზოგადოების მენტალობაში. საწყის ეტაპზე, მიუხედავად მკაცრი საკარანტინო პირობებისა აღსანიშნავია ის სიკეთეები, რაც ამ პანდემიამ მოგვიტანა. ეს არის: ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საზოგადოების გარკვეული ნაწილის რეგიონებში დაბრუნება და სოფლის მეურნეობაში დასაქმება, სატრანსპორტო ქსელის მოწესრიგების აუცილებლობა და ფეხითმოსიარულეზე ორიენტირება, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ზრდა, ოჯახის წევრების დაახლოება, სამსახურებისა და სასწავლო კურსების ონლაინ სივრცეში გადატანა და სხვა მსგავსი. ეს თავისთავად გარკვეულ გავლენას გამოიწვევს ქვეყნის სივრცით-ტერიტორიულ გადანაწილებაშიც-სავარაუდოდ მომავალში მეტი ყურადღება გამახვილდება რეგიონებისა და მასში მდებარე პატარა ქალაქების განვითარებაზე, რაც უდავოდ ხელისშემწყობი იქნება საქართველოს დიდი ქალაქებისა და უპირველესად, დედაქალაქის განსატვირთად და ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად.

ზოგადად, დღევანდელი გადასახედიდან, მნიშვნელოვანი რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის, ანალიზი და შეფასება წარსული მოვლენების და ეფექტური გზების დასახვა ადამიანის საარსებო გარემოს გასაუმჯობესებლად, არა მარტო კრიზისების, არამედ ჩვეულებრივი ცხოვრების დროსაც. მსოფლიოსთვის COVID 19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი. იმისგათვალისწინებით, რომ პანდემიამ დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე, პროფესიონალები სხვადასხვა მიმართულებიდან მრავლად აქვეყნებენ საყურადღებო შეფასებებსა თუ განმარტებებს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც განხორციელდა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყანებში.

გარემოსდაცვითი ექსპერტების შეფასებით, კორონავირუსის პანდემიის ერთერთი ძირითადი მიზეზი კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური ბალანსის დარღვევაა, რაც ძირითადად ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული. მათივე კვლევით ცხოველებიდან ადამიანებზე ვირუსების გაზრდილი გადაცემა და გარემოში მიმდინარე ცვლილებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პანდემიები შემთხვევითი არაა და მათი წარმოშობის მიზეზი ადამიანის მიერ ეკოლოგიური წონასწორობის სისტემურ რღვევაა, რაც გამოიხატება:

- სოფლის მეურნეობის ინტენსიურ არამდგრად განვითარებაში;
- ცხოველთა სამყაროს არარაციონალურ გამოყენებასა და ექსპლუატაციაში;

- ბუნებრივი რესურსების არამდგრად გამოყენებაში, ურბანიზაციის მაღალ ტემპში.

რა თქმა უნდა, მსოფლიომ გაერთიანებული ძალებით უნდა იბრძოლოს ურბანული ეპიდემიების წარმოქმნისა და გავრცელების წინააღმდეგია მიმართული პრევენციული ღონისძიებებისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტიმულირებისათვის. გვესმის რა, რომ ეკონომიკური ურთიერთობები შეუძლებელია გარემოზე ზემოქმედების გარეშე, შესაბამისად, ქვეყნებმა პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარების ისეთი სტრატეგიის შექმნაზე უნდა დაიწყონ მუშაობა, რომელიც დამყარებული იქნება არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელზე, არამედ მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG-მდგრადი განვითარების მიზნები) და ორიენტირებული დღევანდელი და მომავალი თაობების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. რომელიც დაფუძნებული იქნება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი სიმდიდრეების გონივრულ გამოყენებაზე.

მსოფლიომ უნდა გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა, უპირველესად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პრიორიტეტის შენარჩუნებით, ისეთი სექტორების განვითარების ღონისძიებების გეგმების შემუშავებით, როგორიცაა:

1. გეგმაზომიერი ურბანული პოლიტიკა;
2. მდგრადი ენერგეტიკა (ქარისა და მზის ენერგიები, გეოთერმული წყლის მარაგები);
3. წყლის გონივრული გამოყენება (წყლისმენეჯმენტი, სააუზო პრინციპების დანერგვა, წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები);
4. მიწათსარგებლობა, მიწისმართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები დაპარკები);
5. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი, ჰიბრიდული და ელექტრო);
6. ენერგოუსაფრთხოება;
7. ბიომრავალფეროვნება;
8. სანაპირო ზონების ინტეგრირებული მართვა და სხვა.

ცხადია, რომ კორონავირუსს ექნება და უკვე აქვს ძლიერი გავლენა თანამედროვე სამყაროზე. ეს არღვევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის „ნორმალური“ იმ სფეროში, რომელიც ჯერ კიდევ იყენებს იგივე მეთოდებს, როგორც საუკუნის წინ.

ქვემოთ მოცემულია ექსპერტების მიერ შემოთავაზებული არქიტექტურული გადაწყვეტის ექვსი მეთოდი, რომლის დანერგვა ეფექტური გამოდგა COVID 19-ის ეპოქაში და სავარაუდოდ შემდგომაც, მნიშვნელოვანი იქნება გამოსაყენებლად.

1. მოდულური კონსტრუქცია. პანდემიის ზრდასთან ერთად არქიტექტურაში ყველაზე აქტუალური იყო სიჩქარე: ისეთი სასწრაფო დახმარების ობიექტების სწრაფი შექმნა, როგორიცაა საავადმყოფოები, საკარანტინო ცენტრები, ტესტირების ადგილები და დროებითი საცხოვრებელი. ამის კარგი მაგალითია მოდულური კონსტრუქცია - ქარხანაში დამზადებული სტანდარტიზებული კომპონენტებისგან შემდგარი სისტემა, ადგილზე სწრაფი აწყობით. ზოგადად საავადმყოფოს აშენების ნორმალური ვადა ორ წელზე მეტია, მაგრამ თებერვალში მშენებლებმა ვუჰანში (ჩინეთი), პანდემიის ეპიცენტრში, გამოიყენეს მოდულური მშენებლობა ორი საავადმყოფოსთვის - 1000 და 1600 საწოლიანი - და დაასრულეს დაახლოებით ორ კვირაში (სურ.6). მოდულური კონსტრუქცია გვთავაზობთ არა მხოლოდ სიჩქარეს, არამედ პერსონალიზაციას. მოქნილი კომპონენტები, როგორიცაა მოძრავი კედლები, ეხმარება შენობებს საჭიროებებთან ადაპტირებაში. მაგალითად, ჰოსპიტალს შეუძლია გადაიტანოს ან გააფართოოს სამკურნალო და საკარანტინო სივრცეები, ან გახსნას ახალი სივრცეები საწოლების განსათავსებლად. მსგავსი სისტემა იქნა გამოყენებული ჯავიტსის ცენტრშიც (სურ.7).

სურ. 6 საავადმყოფო ვუხანში

სურ. 7 საავადმყოფო ჯავიტსის ცენტრში

2. **ხელახალი ადაპტაციური გამოყენება.** მსგავს სიტუაციებში, და არა მარტო, ყველაზე ეფექტური გზა გადაუდებელი საშუალებების შესაქმნელად არსებული შენობების გამოყენებაა ახალი შესაბამისი მიზნებისთვის. ასე, მაგალითად: ნიუ-იორკის ჯავიტსის საკონფერენციო ცენტრი გარდაიქმნა 2900 საწოლიან საავადმყოფოდ, ნიუ ორლეანის საკონვენციო ცენტრი 3000 საწოლიან დაწესებულებად, ჩიკაგოს McCormick Place გახდა 3000 საწოლიანი კომპლექსი. ასევე იქცა სპორტული ობიექტები სამედიცინო დაწესებულებებად, მაგ: ლონდონის ExCel-ის, სიეტლის CenturyLink Field და ნიუ-იორკის Billie Jean King-ის ეროვნულ ჩოგბურთის ცენტრები გამოყენებულია, როგორც საავადმყოფოებად, ისე კვების დისტრიბუციის ობიექტებად. ვანდერბილტის უნივერსიტეტის ავტოსადგომი ადაპტირდა სამედიცინო დაწესებულებად, საზღვაო სუპერტანკერები Comfort და

Mercy ნიუ-იორკში და ლოს ანჯელესში მცურავ საავადმყოფოებად გადააკეთეს. აშშ-ს არმიის ინჟინერთა კორპუსი სასტუმროებს, ჰოსტელებს, სპორტულ არენებს და სხვა შენობებს იმპროვიზებულ საავადმყოფოებად გადააკეთეს.

3. მსუბუქი არქიტექტურა. კატასტროფისას ქსოვილის მსუბუქი კონსტრუქციის ე.წ. კარვების გამოყენება სასურველია სიჩქარისა და პორტაბელურობის გამო. სამხრეთ კორეაში დიზაინერებმა შეიმუშავეს კარავში ჩასმული ტესტის ცენტრების სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიყენეს. მილანიდან ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკამდე, სან-ფრანცისკოდან ლიმამდე, სწორედ ასეთი კარვები მოეწყო საველე საავადმყოფოებისთვის. ასევე, ტრანსპორტირებისა და მარტივად ასაწყობი შესაძლებლობის გამო, ბევრმა გასაბერი ქსოვილის კონსტრუქციებიც გამოიყენა. მექსიკაში, იდალგოს შტატში, პაჩუკაში მთავრობამ ააშენა 19 400 კვადრატული ფუტის ფართობის გასაბერი საავადმყოფო (სურ. 8), რომელიც მზად იყო დღეში 80-მდე COVID-19 პაციენტის მისაღებად.

სურ. 8 საავადმყოფო პაჩუკაში

4. ჯანსაღი შენობა. კარანტინის დროს, რადგან სახლში გადაინაცვლა სამუშაო სივრცემ, ზედმეტად შესამჩნევი გახდა პირადი გარემოს ნაკლოვანებები. ისეთები როგორიცაა: მეტი ბუნებრივი განათება, უკეთესი ვენტილაცია, ნაკლებტოქსიკური ნივთიერებებისა და სხვა ბუნებრივი მასალების მცენარეებთან ერთად ჩართვა, დიდი ფანჯრები, სახურავის ტერასები, აივნები და ეზოები (სურ. 9, 10) ასევე სავარჯიშო და მედიტაციის ადგილები, რომელიც სამომავლოდ შეიძლება მოაზრებულ იქნეს სტანდარტად სახლის ოფისებთან ერთად. ყველაზე აუცილებელ ნაწილად შენობებისთვის ვენტილაცია განისაზღვრა, განსაკუთრებით საავადმყოფოებში. მნიშვნელოვანი გახდა როგორც სუფთა ჰაერის ვენტილაცია, ისე სხვადასხვა ფილტრაციისა და დატენიანების სისტემები. აღნიშნული ტიპის სისტემები აუცილებელი სტანდარტი უნდა გახდეს საავადმყოფოებში პანდემიის შემდეგ. რამდენად იქნება შესაძლებელი მსგავსი გამართული სისტემების გამოყენება მრავალსართულიან სახლებში, ოფისებში, ქარხნებში, საწყობებში, სკოლებსა და სხვა

დაწესებულებებში, ეს მომავლის საკითხია. არადა შეუძლიათ სიცოცხლის გადარჩენა ისეთ ადგილებშიც, სადაც მოსახლეობას არ აქვს არჩევანი, სოციალურ დისტანციასთან დაკავშირებით. მაგ., ციხეებში, უსახლკარო და დევნილთა თავშესაფრებში. შესაძლოა მათი მშენებლობა მოხდეს სპილენძის შენადნობი ანტიმიკრობული პოლიმერული ზედაპირების გამოყენებით, რომლებიც ბუნებრივად კლავს მიკრობებსა და ვირუსებს.

სურ. 9 პირადი სივრცეების გადანაწილება საცხოვრებელ გარემოში



სურ. 10 პირადი სივრცეების გადანაწილება სამუშაო გარემოში

5. დისტანციური მუშაობა და პატარა ქალაქში ცხოვრება.დისტანციურმა კომუნიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ქალაქებსა და გარეუბნებში. სახლიდან გაუსვლელად მუშაობა, სწავლება, ტელემედიცინა, კულტურულ და გასართობ საშუალებებზე (ვირტუალური მუზეუმის ვიზიტები, ცოცხალი კონცერტები, თეატრის ჩანაწერები) ონლაინწვდომა სრულად ცვლის ძველი ცხოვრების ჩვევებს, ზოგავს დროს, ამცირებს სატრანსპორტო მოძრაობას, ეკოლოგიურ და ფიზიკურ დაბინძურებას. ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს პატარა ქალაქებისა და სოფლების განვითარებას. ამ მიმართულებით მსოფლიო სურათი მთლად ნათელი არ არის,

მაგრამ შეიძლება ვიხილოთ რეგიონული ბალანსის ცვლილება ნაკლებად დასახლებული ტერიტორიებისკენ.

6. **საჯარო სივრცე.** ახალი რეალობიდან გამომდინარე, ჩვენს ცხოვრებაში სოციალური დისტანციამ დიდი ადგილი დაიკავა, სულ უფრო ცხადი ხდება, თუ რამდენად საჭიროა ადამიანური კონტაქტის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილი. როგორ იმოქმედებს ეს ურბანულ გარემოზე, ღია საკითხია. ზოგიერთმა ქალაქმა, უგულებელყო საჯარო სივრცე სხვა პრიორიტეტების სასარგებლოდ. მაგრამ ბევრი ცდილობს რესურსის გამონახვას ამ კავშირების აღსადგენად, იქნება ეს პარკებით, მოედნებით, ბილიკებით, საზოგადოებრივი ცენტრებით თუ ფეხით მოსიარულეებზე ორიენტირებული ქუჩებით. საფიქრალია, თუ როგორ მოხდება ამ სივრცეების დაცვა საგანგებო სიტუაციებში. ეს როლი ციფრულმა სისტემებმა უნდა შეასრულონ. მათ შეუძლიათ, შეაფასონ პოტენციური საფრთხეები, აამოქმედონ ადრეული გაფრთხილების სისტემები, დახურულ სივრცეებში სწრაფად გააფრთხილონ ინფიცირებული ადამიანების შესახებ და სხვა.

ვიცით რომ აპრობირებული გზები ურბანული დასახლებებისა და არქიტექტურის შენების მყისიერად ვერ შეიცვლება და არც იქნება ამის შესაძლებლობა. მაგრამ რამდენადაც სამყარო უფრო სწრაფად მოძრაობს და უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ინსტრუმენტების ახალი ნაკრები, რომელიც ბევრად მოქნილი, ჰოლისტიკური და მგრძნობიარე იქნება. ეს ინსტრუმენტები არა მარტო პანდემიაზე რეაგირებისთვის უნდა შეიქმნას, არამედ ისეთი აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტერორიზმი, მიგრაცია, სოციალური ფრაგმენტაცია და უთანასწორობა, სოციალური დაშლა, საცხოვრებლის დეფიციტი, მოძრაობა, დაბინძურება, გავრცელება და გადაჭარბებული განვითარება და სხვა.

ჩვენს არქიტექტურულ და ურბანულ სისტემებს, რომლებიც განვითარდა ისტორიულად განსხვავებულ ეპოქებში, უნდა გადაეჭრათ მრავალი თანამედროვე რთული პრობლემაც, თუმცა ასე ვერ მოხდა. გადაფასების დრო სწორედ ახლაა და არა კატასტროფის შემდეგ. რა მოხდება, თუ შევძლებთ უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ მოდულური სამშენებლო პოლიტიკა არა მხოლოდ პანდემიებთან ან სტიქიურ უბედურებებთან გამკლავებისთვის, არამედ ისეთი შენობების შესაქმნელად, რომლებიც ზოგადად ნაკლებად ძვირი, ეკოლოგიურად სუფთა და უფრო სწრაფად აშენებადი იქნება, თუ მოვახერხებთ უფუნქციო შენობების საჭიროებისამებრ გამოყენებას, მაგალითად: ცარიელი სავაჭრო ცენტრებს სკოლებად, ცარიელი ოფისებს უსახლკაროების დროებით საცხოვრებლად. რა მოხდება, თუ ჩვენ გამოვიყენებთ დისტანციურ მუშაობას არა მხოლოდ როგორც სოციალური

დისტანციის გზას, არამედ როგორც გზას, დავეხმაროთ თანამშრომლებს სამუშაო-ცხოვრების ბალანსის მიღწევაში - მეტი დრო დაუთმონ ოჯახს, ივარჯიშონ ან გააკეთოთ სხვა რამ, რაც მათ უფრო ჯანმრთელს გახდის? ჩვენ უნდა გავხდეთ პროაქტიული და არა რეაქტიული.

1976 წელს ვანკუვერში ჩატარდა გაერო-ს I კონფერენცია დასახლებულ პუნქტებზე. შედეგად, 1978 წელს შეიქმნა გაეროს ადამიანთა დასახლებების პროგრამა (UN-Habitat- შტაბ-ბინა განლაგებულია ნაირობიში, კენია), რომელიც ახორციელებს პროგრამებსა და პროექტებს ქალაქის მენეჯმენტის, დასახლების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე. 2015 წლის აპრილიდან 2019 წლამდე ვადით საქართველო არჩეულ იქნა გაერო-ს განსახლების პროგრამის მმართველი საბჭოს წევრად.ბოლო, ჰაბიტატი III კონფერენციაზე, რომელიც ეკვადორში ქ. კიტოში გაიმართა, მიღებულ იქნა ,,ახალიურბანულიდღისწესრიგი“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც ადგენს გლობალურ სტანდარტებს მდგრადი ურბანული განვითარებისათვის და ამყარებს ბალანსს განვითარებასა და ურბანიზაციას შორის.

დღეს მსოფლიო მასშტაბით, ქალაქებს უჭირავს დედამიწის ფართობის მხოლოდ 2%. ამავდროულად ქალაქებში იწარმოება მთლიანი შიდაპროდუქტის 70%, მოიხმარება ენერგიის 60%, გამოიფრქვევა სათბურიაირების 70% და წარმოიქმნება ნარჩენების 70%. პროგნოზით, 2030 წლისათვის ყოველი 10 ადამიანიდან 6 ქალაქის ტიპის დასახლებაში იცხოვრებს. ურბანიზაციის მზარდი ტემპის ფონზე, ქალაქები დგას მასშტაბური დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და სივრცითი გამოწვევების წინაშე. ცხადი ხდება, რომ სხვადასხვა ტიპის დასახლებები და განსაკუთრებით ქალაქები უფრო მეტად დაცული და კომფორტული უნდა გახდეს საცხოვრებლად, რაც ნიშნავს შერეული ზონების შექმნას, სიმჭიდროვის გადანაწილებას, ტრაფიკის შემცირებას ან/და აღმოფხვრას, გამწვანების, როგორც მას უწოდებენ "ურბანული მებაღეობის" დაბრუნებას, ქუჩების დიზაინის გადაწყვეტას ესთეტიკური და ფუნქციონალური თვისებების გათვალისწინებით, ეკოლოგიურად სუფთა გადაადგილების საშუალებების გამოყენებას, საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეების გამართულ დაგეგმარებას და სხვა.

არქიტექტურული განათლება ძირითადად მოიცავს სამშენებლო მეცნიერების, ლანდშაფტის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების თანამშრომლობას და ინტეგრაციას. გამოცდილებამ როგორც აჩვენა, საჭირო ხდება ინტერ-დისციპლინარული მიდგომების გათვალისწინება. არქიტექტურას, ურბანულ დიზაინსა და დაგეგმარებას სჭირდება სხვა დისციპლინების შემოტანა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი პრეტენზიები საკუთარი მიმართულებებით. მარტო

არქიტექტორები და ურბანისტები ვერ მოაგვარებენ პრობლემებს დამოუკიდებლად. მონოდისციპლინური მიდგომა არის ის, სადაც დისციპლინა მოქმედებს საკუთარი პერსპექტივიდან, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინტერდისციპლინური მიდგომა ცდილობს გადალახოს დისციპლინის ხაზები, ისინი საჭიროებენ აზროვნებისა და მოქმედების ჰიბრიდულ რეჟიმებს. ამას მოგვიწოდებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც - საზოგადოებრივი და პირადი ჯანმრთელობის დასაცავად საჭიროა სხვადასხვა პროფესიული დარგების წარმომადგენლების ერთიანი მჭიდრო მუშაობა და ოპტიმალური შეჯერებებით სწორი სივრცით-ტერიტორიული თუ ურბანული დაგეგმარება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობას შეუძლია მოსახლეობას შესთავაზოს გამოსავალი და ქვემოთ მოყვანილი პრინციპების დაცვით დააგეგმაროს ურბანული გარემო და შენობების დიზაინი:

- დასახლების მასშტაბი: შერეული ზონირება, ჯანსაღი საარსებო გარემო;
- საცხოვრებელი: საშუალო სიმჭიდროვის და ინტენსივობის უბნები;
- შიგა სამყოფი სივრცეები: ჰაერის ხარისხი და კონტროლი;
- საჯარო სივრცეები: სოციალური ურთიერთქმედების გასაღები;
- მწვანე სივრცეები: ურბანული მებაღეობა, ბიოფილური დიზაინი;
- მუშაობა: შემცირება და დისპერსია;
- შოპინგი: სიახლოვე და დაპატარავება;
- ტრანსპორტი: ფეხით და ველოსიპედით სიარული, საერთო მობილურობა და რობოტაქსი.

ამასთან, აქტიური მუშაობა უნდა წარიმართოს მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის შემდეგ თემებზე:

- გარემოზე ზემოქმედების როლის გაცნობიერება;
- საჯარო სივრცეების მნიშვნელობა;
- ახალი საშუალო სიმჭიდროვის ტიპოლოგიების არქიტექტურული შესწავლა;
- შერეული გამოყენების (ზონირების) ტერიტორიის პოპულარიზაცია;
- ტრანსპორტის მობილურობა, ველოსიპედით, ფეხით სიარულისა და რობოტი ტაქსების გამოყენების წახალისება.

პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე, ჰარტფორდის უნივერსიტეტის პროფესორი არქიტექტორი და მწერალი მაიკლ ჯ. კროსბი გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებებს, როგორი შეიძლება გახდეს მომავლის არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება. მას მიაჩნია, რომ:

- გაიზრდება ინტერესი ბიოფილური დიზაინის, ბუნების ჩაშენებულ გარემოში ჩართვის მიმართ. ბუნებასთან ურთიერთობა, თუნდაც ვიზუალურად, აუმჯობესებს გრძნობებს, გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ამიტომ ვიზუალური ჩართულობა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი გახდეს.
- ზოგადად ამბობენ, რომ მაღალი სიმჭიდროვის ქალაქები ხელს უწყობს პანდემიის სწრაფ გავრცელებას. თუმცა, ჰონკ კონგმა და სინგაპურმა აგრესიული ზომებით შეძლეს ვირუსის გავრცელების კონტროლი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მაღალი სიმჭიდროვის მქონე ურბანულ დასახლებებში დაავადების მართვა შესაძლებელია. არქიტექტორების და დამგეგმარებლების ერთერთი მთავარი ამოცანა მომავალში იქნება, ისეთი ხერხების მოძიება, რომელიც დააბალანსებს სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს გამიჯვნა-ინტეგრირება ერთმანეთთან.
- სოციალური დისტანციის პოლიტიკა, ესეც ერთერთი დასარეგულირებელი საკითხი იქნება. დისტანციის ოთხ ზონას - ინტიმურ, პიროვნულ, სოციალურ და საჯაროს - თავისი ადგილი ექნება გეგმარებაში.
- საჯარო სივრცეების შექმნასთან დაკავშირებით, გარემოს ფსიქოლოგია და გარემო-ქცევის კვლევები უფრო მნიშვნელოვანი გახდება დიზაინერებისთვის.
- დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ბოლო კვლევამ დაადგინა, რომ არქიტექტურული განათლება და პრაქტიკის დიდი ნაწილი არ მოიცავს სერიოზულ დისკუსიებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები, უფრო მთავარი გახდება სასწავლო გეგმის ფარგლებში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პანდემიები უფრო და უფრო მეტი წლიური მოვლენა გახდება. ბევრ არქიტექტურულ სკოლას უკვე დაწყებული აქვს სამაგისტრო პროგრამების დანერგვა, რომლებიც ორიენტირებულია „კრიზისულ არქიტექტურაზე“, საპროექტო რეაგირებაზე სტიქიურ და ადამიანურ კატასტროფებზე (კლიმატის ცვლილება, ეროვნული კონფლიქტები, წყალდიდობები, პანდემიები).
- ტრანსდისციპლინური მიდგომების გათვალისწინება არქიტექტურასა და ურბანულ დაგეგმარებაში.

დასასრულ, ამ გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ნელ-ნელა დაუბრუნდა და კვლავ ჩვეულ რიტმში აგრძელებს ცხოვრებას. პანდემიამ გარკვეული ცვლილებები და სიახლეები შემოიტანა მაგრამ არც ძველ ცხოვრებაზეც თქმულა უარი. დასახლებების და განსაკუთრებით ქალაქების დაგეგმარება ზოგადად, და არა მარტო კრიზისულ სიტუაციებში, უნდა ეფუძნებოდეს სამ

ძირითად საყრდენს - ჭკვიანი, მდგრადი და ყოვლისმომცველი. ეს მახასიათებლები მათ უფრო ეფექტურს ხდის კრიზისების მიმართულებით. ამიტომ, არქიტექტორებმა, დამგეგმარებლებმა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ კრიზისული სიტუაციების დროს, მეტად იკვლიონ დაავადებების პრევენციის თეორიები და ისე აგეგმარონ და აშენონ.
ვნახოთ, რა იქნება მომავლში. ჯანმრთელობა და მშვიდობა დედამიწას!!!

გამყენებული ლიტერატურა:

1. ბოგდან ანდრეი ფეზი. არქიტექტურისა და ურბანიზმის როლი პანდემიის პრევენციაშიhttps://www.intechopen.com/chapters/76976უკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023.
2. სოფია სებასტიანი, რავიშანკარ კ.რ. - არქიტექტურული დიზაინი და ურბანული დაგეგმარება საუკუნეების განმავლობაშიhttps://iopscience.iop.org/article/10.1088/1755-1315/1055/1/012022/pdfუკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023 .
3. ჰარიეტ კონსტებლი - როგორ შეიძლება ვირუსმა გვაფიქრებინოს ურბანული დიზაინის შესახებ მომავალში?https://www.bbc.com/future/article/20200424-how-do-you-build-a-city-for-a-pandemicუკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023
4. სემ ლუბელი -წარსულმა პანდემიებმა შეცვალა ქალაქების დიზაინი. ექვსი გზა, COVID-19-ს შეუძლია იგივე გააკეთოს https://www.latimes.com/entertainment-arts/story/2020-04-22/coronavirus-pandemics-architecture-urban-designუკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023
5. რიჩარდ ფლორიდა - პანდემიამ არ შეცვალა აშშ-ს გეოგრაფია https://www.bloomberg.com/news/features/2023-04-14/three-years-into-the-pandemic-the-urban-exodus-was-overblownუკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023
6. ბოგდან ანდრეი ფეზი - არქიტექტურისა და ურბანიზმის როლი პანდემიის პრევენციაშიhttps://www.intechopen.com/chapters/76976უკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023
7. მაიკლ ჯ.კროსბი- როგორ შეიძლება COVID-19-მა შეცვალოს არქიტექტურა და ურბანული დიზაინი? https://commonedge.org/how-might-the-covid-19-pandemic-change-architecture-and-urban-design/უკანასკნელად გადამოწმებულია 04.09.2023

რეზიუმე

სტატიაში მოკლედაა გადმოცემული პანდემიებისადა მათი გავლენის შესახებ არქიტექტურასა და ქალაქთმშენებლობის სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე. აღწერილია მათგან გამოწვეული პრობლემები ადამიანის საარსებო გარემოსა და სოციო-ეკონომიკურშედეგებზე, ადამიანების კეთილდღეობასა და

ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, ის ურბანული გარემო რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, მაქსიმალურად მოითხოვს ისეთ სივრცით-ტერიტორიული წესრიგის განსაზღვრას და დაცვას, რომელიც მეტ-ნაკლებად ადვილად გაუმკლავდება ზემოთხსენებულ გამოწვევებს. ისტორიის მანძილზე პანდემიები ყოველთვის ადგენდნენ დასახლებებისთვის და განსაკუთრებით დიდი ქალაქების დაგეგმარებაში ახალ დღის წესრიგს. ხდებოდა და მოხდება დაგეგმარების დადგენილი და ჯანმრთელობის საკითხები აისახა თავად მოცულობით არქიტექტურაშიც. დღეს მსოფლიო ჯერ კიდევ აწყდება COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისს, ალბათ ყველაზე უარესს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ისევ არ არის საბოლოოდ შედეგები გაანალიზებული, რომელიც უპასუხებს კითხვას - რა მოხდება პანდემიის შემდეგ? იმოქმედებს თუ არა გლობალური ეპიდემია ქალაქებისა და ურბანული ტერიტორიების კვლავ შეცვლაზე? შემოთავაზებულია, რამდენიმე მაგალითი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს მაგალითზე, რა ცვლილებები განხორციელდა და რას უნდა ველოდოთ მომავალში.

The Pandemic and its Impact on Architecture and Urban Planning

Gventsadze N.

Resume

The pandemics and their effects in the field of architecture and urban planning on the examples of different countries of the world are revived. The problems caused by the pandemics influind human living environment and socio-economic consequences, people's well-being and health. Consequently, the urban environment in which people live requires the determination and protection of such a spatial-territorial order as much as possible, which will more or less easily cope with the above-mentioned challenges. Throughout history, pandemics have always set new agendas for urban planning, and especially for large cities. The planning and health issues were and will be reflected in the volumetric architecture itself. Today, the world is still facing a public health crisis caused by the COVID-19 pandemic, perhaps the worst in more than a century. Again, the results are not finally analyzed, which will answer the question - what will happen after the pandemic? Will the Global Epidemic Reshape Cities and Urban Areas? Several examples of different countries of the world, including the United States of America and Georgia, are offered, what changes have been made and what to expect in the future.

მოსაზრებები „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის“ შემუშავების მიმართ

ვარდოსანიძე ვლადიმერ (ლადო)

არქიტექტორ-ურბანისტი,
პროფესორი

შესავალი

დღეს ქართული სახელმწიფო ისტორიული ამოცანის წინაშე დადგა - რამდენიმე უდღეური ცდის შემდეგ, დაწყებულია მუშაობა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული მნიშვნელობის პროექტზე. ამ პროექტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეწოდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა“. პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანა ჩაიხედავს თავისი უპრეცედენტო ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური და ფუნქციურ-გეგმარებითი განვითარების ურბანისტულ „სარკეში“, შეაფასებს ამ პერიოდში განვლილ ტურბულენტურ გზას, ჩამოაყალიბებს პერსპექტიულ ხედვას და ქართულ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შესთავაზებს მთელი ქვეყნის განსახლების სისტემის განვითარების სტრატეგიულ მონახაზს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი წიგნიერად დაიგეგმა. აღმასრულებელმა ხელისუფლებმ პოლიტიკური ნება გამოავლინა - რასაც ადასტურებს თუნდაც ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა საქართველოს სივრცითი და ქალაქგეგმარებითი განვითარების სააგენტო. სააგენტომ პირველი ნაბიჯი გადადგა - ამ წლის აპრილში, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, ჩატარდა მასშტაბური კონფერენცია „სივრცის დაგეგმარება საქართველო - 2023“, მეტად საგულისხმო სლოგანით - „დღევანდელი ურბანისტიკა - ხვალინდელი გეოგრაფიაა“.

კონფერენცია პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა, მის კონკრეტულ ამოცანას შეადგენდა ***„საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის ტექნიკური დავალების პროექტის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.“*** რეკომენდაციებზე მსჯელობა არც ახლაა დაგვიანებული, რადგან შესაბამისი კონკურსის გამოცხადება შემოდგომაზეა ნავარაუდები. ამიტომაა, რომ ვსარგებლობ ამ გარემოებით და პროფესიულ საზოგადოებას ვთავაზობ რამდენიმე არსებითს მოსაზრებას ამ პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით. ეს მოსაზრებები ქვემოთ, რუბრიკებადაა ჩამოყალიბებული.

სხარტი რეტროსპექტივა

ამ მასშტაბის პროექტზე მუშაობის გამოცდილება, ახლებურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, დამოუკიდებელ საქართველოში არ გაგვაჩნია; თუმცაღა, იმასაც ნუ ვიტყვით, რომ სრულ პროფესიულ სიცარიელეში გვიწევს ამ საქმის დაწყება. უფროსი თაობის ურბანისტებს კარგად გვახსოვს, რომ საბჭოეთის დაისის პერიოდის საქართველოს მთელი ტერიტორია, ყველა დაბა-ქალაქი დაფარული იყო პირველადი ან განახლებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციით; დაწყებული იყო საქართველოს რეგიონებისა თუ მსხვილი სამრეწველო კვანძების ქალაქგეგმარებითი პროექტების შემუშავება.

რაც მთავარია, ჯერ კიდევ 1987 წელს, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქთმშენსახპროექტში“ შესრულდა იმ დროისთვის მეტად პროგრესული დოკუმენტი - „საქართველოს სსრ განსახლების რეგიონული სქემა 1991-2001 წწ. პერიოდისათვის.“ ხაზგასასმელია, რომ „სქემამ“ ცალკე დასამუშავებელ ნაწილად თამამად გამოჰყო „თბილისის აგლომერაციის განვითარება“, რაც ჩვეული არ იყო იმდროინდელი საბჭოთა ურბანისტიკისათვის და დასავლურ პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას ასახავდა. რაც მთავარია, „სქემა“, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სრულფასოვნად იყო უზრუნველყოფილი და ეფუძნებოდა პროფ. ვახტანგ ჯაოშვილის საეტაპო აკადემიურ მონოგრაფიას - „საქართველოს ურბანიზაცია“[1], რომლის ზეიდეოლოგიური, წმინდა ურბანისტული დებულებები, გარკვეულწილად, დღესაცაა ყურადსაღები. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის საქართველო აღჭურვილი იყო შიგა რესპუბლიკური განსახლების სისტემის ხედვითა და ამ ხედვის მიღწევის ურბანისტული ინსტრუმენტარით.

დამოუკიდებელი საქართველოს ურბანისტიკა ამ მასთტაბისა და სიღრმის, ახლებური იდეურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაფერისი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ნიშანსვეტით ვერ დაიკვეხნის. თუნდაც მრავალრიცხოვანი ურბან-გეოგრაფიული თუ საკუთრივ ურბანისტული კვლევები და პუბლიკაციები ერთიან, ჰოლისტურ სურათს ვერ ქმნის. ამიტომაა მნიშვნელოვანი, გეგმის შემუშავების პროცესში, ქართული ურბანისტიკის სამეცნოერო-მეთოდოლოდური, კონცეფტური, საკანონმდებლო-ნორმატიული, ინსტიტუციური სიტემის ხარვეზების შევსება, ცნებითს-ტერმინოლოგიური აპარატის დახვეწა და ამ კომპლექსურ საფუძველზე ქვეყნის განვითარების ყოველმხრივ გამართული ჰოლისტური ფუნქციურ-ტერიტორიული ხედვის ჩამოყალიბება. წინამდებარე

[1]ჯაოშვილი ვ. საქართველოს ურბანიზაცია თბ.: „მეცნიერება“, 1978 (რუსულ ენაზე).

სტატია სწორედ ამ კომპლექსურ ამოცანას ემსახურება. ამ საქმეში კი თავი და თავი - გამართული, ადეკვატური ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატია.

ცნებითს-ტერმინოლოგიური აპარატი

თავის დროზე, დიდ ფრანგ ფილოსოფოსს და მათემატიკოსს - *რენე დეკარტს* უთქვამს: „განსაზღვრეთ სიტყვების მნიშვნელობა და თქვენ კაცობრიობას ააცილებთ ცდომილებათა ნახევარს.“ ამ შეგონებას დღესაც, - როდესაც ყოველ საჯაროდ გაცხადებულ სიტყვას, ყველა პროფესიულ ტერმინს დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ გეგმარებითი „ფასი“ დაედო, - ყავლი არ გასვლია. მით უფრო აუცილებელია ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ გეგმისთვის მნიშვნელოვან ყოველ ცნება-ტერმინს.

ამის საჭიროებას, უწინარესად, თვით გეგმის დასახელება და ამ დასახელებაში ჩართული ტერმინები გვკარნახობს. გავიხსენოთ, რომ ჩვენი სფეროს „სეფე კანონი“ - „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“[2] - ადგენს, რომ საქართველოში სივრცის დაგეგმარების გეგმებს მიეკუთვნება:

- საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა;

- ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა;

- მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა.

სამივე ტაქსონომიური დონის დოკუმენტის დასახელებებში ფიგურირებს საკვანძო ცნება-ტერმინი - **„სივრცე“**, თუმცა, ის, როგორც კანონის მთავარი ობიექტი, განმარტებული არ არის; კანონი მხოლოდ „სივრცის დაგეგმარებას“ განმარტავს და მას მხოლოდ სხვადასხვაგარი საქმიანობის „გეოგრაფიულ ასახვას“ უკავშირებს. ამ ტერმინის ჩვენი შემთხვევის მიმართ სრულფასოვნება და ადეკვატურობა ამთავითვე საკამათო და სამსჯელოა. ამიტომ, ეს ტერმინი ქვემოთ განიხილება მის ალტერნატივასთან - „**ტერიტორიასთან**“ - შინაარსობრივი შეპირისპირებითა და ამ ტერმინების მსოფლიო ურბანისტულ პრაქტიკაში გამოყენების კონტექსტში.

თავიდან წარმოვადგენ ამ ორივე ცნება-ტერმინის განსაზღვრებას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“[3]: სივრცე - 1 (ფილოს). მატერიის არსებობის ერთ-

[2] თვით კოდექსის დასახელება და მასში დასმული ამოცანების ჟანრული შეუთავსებლობის პრობლემა ცალკე სამსჯელოა.

[3]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., საქ. სსრ. მეცნ. აკად., ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართ. საბჭ. ენციკლოპედია. 1986.

ერთი ძირითადი ფორმა (დროსთან ერთად); ახასიათებს განფენილობა და მოცულობა; 2. ვრცელი ადგილი, არე, სადაც შეიძლება რაიმე მოთავსდეს; მანძილი რისამე შორის; ფართობი; ტერიტორია - რაიმე საზღვრით შემოფარგლური მიწა-წყალი.

ლექსიკონი იძლევა „მიწა-წყლის“ განმარტებასაც. ეს ყოფილა: 1. სახნავ-სათესი მიწა, ადგილ-მამული; 2. ქვეყნის მიწა, ტერიტორია. აშკარაა ტავტოლოგია, ტერმინოლოგიური უსისტემობა, საკითხის ჩვენი სამართლებრივი კულტურისათვის დამახასიათებელი ვიწროაგრარული ხედვა. ცხადია, ფართო პროფილის განმართებითი ლექსიკონი სპეციალური ურბანისტული მიზნებისათვის შესაფერის ფორმულირებებს ვერც შემოგვთავაზებდა.

სამაგიეროდ, *ვიკიპედია* იძლევა „ტერიტორიის“ გაცილებით უფრო სრუფასოვან, გეგმის შემუშავებისათვის საგულისხმო ოთხკომპონენტიან განმარტებას, გარკვეული დათქმით:

„სახელმწიფო ტერიტორიის შედგენილობა (ზოგიერთი სახელმწიფოს აზრით):

- ხმელეთი - პლანეტის ზედაპირის წყლით დაუფარავი ნაწილი, სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში;
- შიგა და ტერიტორიული წყლები;
- საჰაერო სივრცე - (ტროპოსფერო, სტრატოსფერო, იონოსფერო, აგრეთვე ზემდებარე სივრცის დიდი ნაწილი) სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში;
- წიაღი - დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მიწისა და წყალსატევების ფსკერის ქვემოთ, ხელმისაწვდომ სიღრმეზე.“

არსებითია, რომ წყარო „ტერიტორიის“ ოთხივე შემადგენელ კომპონენტს საკუთრივ „ტერიტორიის“ მიმართ უფრო დაბალ ტაქსონომიურ საფეხურზე ათავსებს.

იგივე წყარო ადასტურებს, რომ თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო ახორციელებს „ტერიტორიულ უზენაესობას“; სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრების მეშვეობით დგინდება უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციისა და მის მიერ გამოცემული ნორმების მოქმედების ფარგლები. მაგრამ, მაინც, მთავარი ისაა, რომ **ტერიტორია განიხილება ოთხი კომპონენტისაგან შემდგარ განუყოფელ ერთობად,** რაც შემდგომი ჩვენი მსჯელობის ამოსავალ პოზიციას წარმოადგენს.

ვნახოთ, ზემოთ ხსენებულთაგან თუ რომელი ტერმინი გამოიყენება ურბანისტიკის საერთაშორისო პრაქტიკაში და უცხო ქვეყნების საკანონმდებლო ნორმატიულ

აქტებსა და პროექტებში[4]. ობიექტურად განვიხილოთ რამდენიმე ტერმინოლოგიურად განსხვავებული მაგალითი.

European Landscape Convention (ფლორენციის კონვენცია, ძალაში შევიდა 2004 წელს; რატიფიცირებულია საქართველოს მიერ).

კონვენცია შემდეგნაირად ადგენს ლანდშაფტის ცნებას:

„ამ კონვენციის მიზნებისათვის :

ა. „ლანდშაფტი“ ნიშნავს **ტერიტორიას**, რომელიც ამგვარად აღქმულია ხალხის მიერ და რომლის ხასიათიც განპირობებულია ბუნებრივი და/ან ადამიანური ფაქტორების ქმედების და ურთიერთქმედების შედეგად: <...>“.

მუხლი 2 განსაზღვრავს კონვენცის მოქმედების ტერიტორიულ და ფუნქციურ ფარგლებს:

„<...> ეს კონვენცია ვრცელდება [ხელშემკვრელი - ლ.ვ.] მხარეების მთელ **ტერიტორიაზე** და მოიცავს ბუნებრივ, სოფლის, ქალაქის და ქალაქის მიმდებარე რაიონებს. იგი მოიცავს **ხმელეთს, შიგა წყლებს და საზღვაო ტერიტორიებს.** კონვენცია ეხება ლანდშაფტებს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც უნიკალურ, ასევე ჩვეულებრივ ან დეგრადირებულ ლანდშაფტებად.“

სტატიის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია კონვენციაში არა მარტო **„ტერიტორიის**“ მოხსენიება, არამედ ქვეყნების აკვატორიების დაფარვაც. მე-6 მუხლში ჩამოთვლილია მხარეების მიერ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის - „მოახდინოს საკუთარი ლანდშაფტების იდენტიფიცირება მის **ტერიტორიაზე**.“

მუხლი 15 განსაზღვრავს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ სათანადო განაცხადის უფლებას; მას შეუძლია „<...> ზუსტად განსაზღვროს ის **ტერიტორია, ან ტერიტორიები,** რომლებზედაც გავრცელდება ეს კონვენცია.“

Spatial Planning. Key Instruments for Development and Effective Governance with Special Reference to Countries in Transition. UN ECE, Geneva, 2008.

ამ ფუძემდებელი საერთაშორისო მეთოდოლოგიური დოკუმენტის სათაურში ფიგურირებს ტერმინი „სივრცითი“, და არა „ტერიტორიული“; თუმცაღა დოკუმენტის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური დებულება თავს იკავებს

[4]ინგლისურენოვანი სათაურები უთარგმნელადაა დატოვებული; დეფინიციების თარგმანი ქართულზე ჩემია; საჭიროებისამებრ ვურთავ მოკლე კომენტარს; ხაზი ყველგან ჩემია; - ლ.ვ..

იმპერატიულობისაგან დაუპირატესობას ანიჭებს ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების მოქნილ შესაძლებლობას: „გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ-ქვეყნებში განსხვავებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური პირობების არსებობის გამო, სივრცითი განვითებისადმი ერთიანი უნივერსალური მიდგომის გამოყენება რეკომენდებული არ არის“.

ამ დოკუმენტის დანართში, „სივრცითი განვითარება“ (Spatial development) შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „სივრცითი განვითარება - საქმიანობის სხვადასხვა სახეობების და მათს შორის კავშირების სივრცეში განაწილება მიწისა და ქონების გარდაქმნის გზით“. ასეთი დეფინიცია არ არის ზუსტი, რადგან „მიწა“ უძრავი ქონების ქრესტომათიულ განმარტებაში ისედაც, და უთუოდაც, შედის; ამას გარდა, არ ჩანს „სივრცის“ დაგეგმვა-დაგეგმარების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა: აკვატორია, საჰაერო სივრცე, წიაღი.

International Guidelines on Urban and Territorial Planning. UN Habitat Program, 2015.

გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციას ***ჰაბიტატის*** მიერ შემუშავებული ეს სახელმძღვანელო განსხვავებულ, თუმცა ზედმეტად ჩახლართულ, ტერმინოლოგიურ ინტერპრეტაციას იძლევა. მასში ურბანული და ტერიტორიული დაგეგმვის შინაარსი შემდეგნაირადაა განმარტებული: „ურბანული და ტერიტორიული დაგეგმვა შეიძლება განისაზღვროს როგორც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვითს მიზნებზე, სივრცითი ხედვების სტრუქტურებისა და გეგმების განვითარებასა და პოლიტიკური პრინციპების, ინსტრუმენტების, ინსტიტუციური და თანამონაწულეობითი მექანიზმების სისტემასა და რეგულაციების პროცედურებზე“[5].

ეს დოკუმენტი ხაზს უსვამს ურბანული და **ტერიტორიული დაგეგმვის** საჭიროებას ყველა ტაქსონომიური დონის კონტინუუმში:

- ზენაციონალური და ტრანსსასაზღვრო დონე;
- ნაციონალური დონე;
- ქალაქ-რეგიონისა და მეტროპოლური დონე;
- უბნის (სამეზობლოს) დონე.
-

[5]International Guidelines on Urban and Territorial Planning. UN Habitat Program, 2015, p.2.

კიდევ ერთი საგულისხმო და მისაბაძი მაგალითი. საერთაშორისო ორგანიზაცია - *ბალტიის ზღვის რეგიონის სივრცითი დაგეგმვისა და განვითარების კომიტეტმა (Committee for Spatial Planning and Development of the Baltic See Region)* 2022 წლის დეკემბერში დაამტკიცა სტარტეგიული მნიშვნელობის დოკუმენტი - **Vision and Territorial Development of the Baltic Sea Region in 2040.**აქაც არ იკითხება პროექტის ინიციატორი ინსტიტუციისა და მის მიერ ინიციირებული პროექტის დასახელებების ლოგიკური თანხვედრა.[6]

Territorial Agenda 2030 of the European Union

„ტერიტორიული დღის წესრიგი ევროკავშირისათვის 2030“ მიღებულია 2020 წელს, სივრცითი დაგეგმვის, ტერიტორიული განვითარებასა და/ან **ტერიტორიულ** შეკრულობაზე[7] პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის სათაური საკმარისად მეტყველია.

Cohesion in Europe towards 2050. A future for all places. Eighth report on economic, social and territorial cohesion.

როგორც სათაურიდან ჩანს, ამგვარი დოკუმენტი რეგულარულად ქვეყნდება; მერვე გამოცემა 2021 წელს გამოვიდა; მისი სათაური ადასტურებს ტერმინ **„ტერიტირიულის“** მართებულობას და უპირატესობას. ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტის პრეამბულაში მოხსენიებული ფუძემდებელი დოკუმენტების დასახელებებშიც ფიგურირებს ტერმინები **„ტერიტორია“, „ტერიტორიული“;** ეს დოკუმენტებია:

- State of the European **Territory** Report (2019);

- European **Territorial** Reference Framework (2019) და სხვა.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო აპრობირებული პრაქტიკა (Eurostat) ოპერირების ტერიტორიული ერთეულების კატეგორიებით - სისტემა **NUTS**.

---

[6]ეს პროექტი, თავისთავად, უაღრესად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ნაბიჯია; ის ამ რეგიონში პირველი ამგვარი პროექტი არაა. პირველი სახელწოდებით „Vision and Strategies around the Baltic Sea 2010” შემუშავდა 1994 წელს და ის ფარავდა 15 წლიან პერიოდს - 2010 წლამდე. ჩვენ, საქართველოში ისღა დაგვრჩენია, რომ მომავალში, ჩვენს რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირებების დასრულების შემდეგ, გამოვიჩინოთ ანალოგიური ინიციატივა შავი ზღვის აუზისათვის.

[7]ეს ოფიციალური თარგმანია; საერთოდ, ინგლისურენოვანი ტერმინი „cohesion” უკეთესია ქართულად ითარგმნოს, როგორც „შეკავშირება“.

ამდენად, საერთაშორისო გამოცდილების სხარტი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები არკვევს „სივრცითი დაგეგმვისა“ და „ტერიტორიული დაგეგმვის“ შინაარსებსა და დეფინიციებს შორის განსხვავებებს, სახელმწიფოები ახორციელებს საკუთარ და დამოუკიდებელ პრაქტიკებს ამ პრობლემატიკის ტერმინოლოგიის სფეროში. რა პრაქტიკებია ეს საკანონმდებლო-ნორმატიული, ინსტიტუციურ თუ საპროექტო ჭრილებში და სად, რომელ ქვეყანაში რომელ ტერმინს ანიჭებენ უპირატესობას?

სლოვენიის რესპუბლიკა

ამ მხრივ, საგულისხმოა სლოვენიის კომპრომისული პრაქტიკა - თუმცაღა, აქ, როგორც საკანონმებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეებზე, უპირატესად მაინც ფიგურირებს **„ტერიტორიის“** ცნება-ტერმინი - 2002 წელს გამოცემულ კანონს ეწოდება „კანონი **ტერიტორიულ**-სივრცითი დაგეგმვის შესახებ“; შესაბამისი სამინისტრო ოპერირებს შემდეგი სახელწოდებით: „გარემოს დაცვისა და **ტერიტორიული დაგეგმვის** სამინისტრო“ (ე.წ. „სკანდინავიურ მოდელზე“ ორიენტირებული სახელწოდება).

ლიეტუვის რესპუბლიკა

ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი “Law on Territorial Planning” უპირატესობას ანიჭებს **„ტერიტორიული დაგეგმვის“** ცნებას და იძლევა **„ტერიტორიის“** განმარტებას - „დედამიწის ზედაპირის გარკვეული ფართობი, რომელიც დაფარულია ხმელეთითა და (ან) წყლით“. კანონის მოქმედების არეალში შესულია ლიეტუვის კონტინენტური შელფი და ბალტიის ზღვის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა. თუმცაღა, როგორც ჩანს, ლიეტუველი კანონმდებელი შეზღუდულად აღიქვამს **„ტერიტორიას“** და ამ ცნებაში არ ათავსებს მისი ქვეყნის სააჰერო სივრცეს და წიაღს.

ინსტიტუციურად, ჩვენთვის საინტერესო სფერო ამ ქვეყანაში მოქცეულია გარემოს დაცვის სამინისტროში - ისევ, ე.წ. „სკანდინავიური მოდელი“. ამავე დროს, სამინისტროს შიგნით ფუნქციონირებს „სივრცითი დაგეგმვისა და არქიტექტურის დეპარტამენტი“, რომლის კომპეტენციაში ან ზედამხედველობაში, სხვა მიმართულებებთან ერთად, შედის:

- ლიეტუვის ურბანული პოლიტიკა;
- **ტერიტორიული დაგეგმვის** კანონმდებლობა;
- ლიეტუვის რესპუბლიკის **ტერიტორიის გენერალური გეგმა;**
- ზემოთნახსენები ტერიტორიული განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივები ბალტიის ზღვის რეგიონში - VASAB 2040.

მაგალითების გაგრძელება შეიძლება, მაგრამ, თუ შევთანხმდებით გეგმის მიზნებისათვის **„ტერიტორიის“** უპირატესობაზე „სივრცესთან“ შედარებით, აზრი აქვს ცალ-ცალკე განვიხილოთ **„ტერიტორიის“** ოთხივე შემადგენელ კომპონენტთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფუნციურ-გეგმარებითი პრობლემატიკა. ამ მიზნით, ამთავითვე, წინმსწრებად, მოვიშველიებთ **„ტერიტორიის“** დარგობრივი კუთხით დანახულ სრულფასოვან გამარტებას კანონში „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998):

„მუხლი 2

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვარი - ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც **საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს** გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან“.

ქვემოთ განვიხილავთ ამ კანონში ნახსენებ თითოეულ კომპონენტს.

1 „ხმელეთი“

„ტერიტორიის“ სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, არ იწვევს მეთოდოლოგიურ თუ სამართლებრივ კითხვებს - საზოგადოებრივ და პროფესიულ ცნობიერებაში ის მკვიდრადაა გაიგივებული საქართველოს ტერიტორიასთან.

2აკვატორია

სამართლებრივი და ფუნქციურ-გეგმარებითი თვალსაზრისით, უნდა გულისხმობდეს როგორც შავ ზღვას, ისე შიდატერიტორიულ (შიდაკონტინენტური წყლის) ობიექტებსაც - ტბებს, ბუნებრივ წყალსატევებს, არხებს და სხვა ამგვარს. „ტერიტორიის“ ეს კატეგორია, ფუნქციურ-ტერიტორიული დაპროექტების ობიექტად ნაკლებად მოიაზრება. თუმცა, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია საზღვაო პრობლემატიკა, რადგან საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ (1999) ადგენს შავი ზღვის რამდენიმე ფუნქციურ ზონას. ეს ზონებია:

- **საქართველოს შიგა საზღვაო წყლები,** რომლებიც 3 ქვეზონას მოიცავს, მათ შორისაა ნავსადგურების შიდა აკვატორია, რომელიც აითვლება ნავსადგურის შესასვლელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების უკიდურესი წერტილების შემაერთებელი საწყისი ხაზებიდან ნაპირის მიმართულებით;

- **საქართველოს ტერიტორიული ზღვა,** ესაა 12 საზღვაო მილის[8] სიგანის საზღვაო სარტყელი; ამასთან, საქართველის ტერიტორიული ზღვის გარე საზღვარი არის საქართველოის სახელმწიფო საზღვარი;

- **საქართველოს მიმდებარე ზონა** არის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს ტერიტორიულ ზღვას და რომლის გარე საზღვარი 24 საზღვაო მილით არის დაშორებული იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც აითვლება საქართველის ტერიტორიული ზღვის სიგანე;

- **საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა** არის ზღვის რაიონი, ზღვის ფსკერისა და წიაღისეულის ჩათვლით, რომელიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ და ეკვრის მას. ამ ზონაში საქართველოს ინტერესები რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით;

საქართველოს კონტინენტური შელფი - არის ზღვის ფსკერი და მისი წიაღისეული, კონტინენტის კიდის სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების ჩათვლით, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრებიდან სხვა შავიზღვისპირა ქვეყნების კონტინენტური შელფის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებამდე.

ბოლო დროს, საქართველოს აკვატორიის მეორე შიგატერიტორიული წყლების ნაწილი, ფუნქციურ-გეგმარებითი თვალსაზრისით, სრულიად მივიწყებული იყო; „ტერიტორიის“ ამ კატეგორიით სარგებლობა მოუწესრიგებელი და სპონტანური იყო - იგულისხმება საწყლოსნო-ტურისტული მარშრუტები პალიასტომის ტბაზე და მცხეთის (ზაჰესის) წყალსაცავზე, მდ.მტკვარზე (თბილისის ფარგლებში); წყალჯომარდობის (რაფტინგის) ტრასები, რომლებიც სირთულის მიხედვით 6 კატეგორიად არის დაყოფილი და სხვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია წყლის ობიექტების რეჟიმების გავლენის გათვალისწინებაც - წყლის სარკის დონის რეგულილების აკვატორიის სხვა ფუნქციებთან ჰარმონიზების გათვალსწინებით.

ამასთან, მოწესრიგებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ მდინარეები არ არის გამოყოფილი ცალკე საკადასტრო კატეგორიად. ამას ისიც მოწმობს, რომ, მაგალითად, თბილისის ადმინისტრაციული რაიონების საზვრების აღწერისას, გამოყებებულია ფორმილირება, რომლის თანახმად, რაიონის საზღვრების ერთი მონაკვეთი გადის

[8] 1 საზღვაო მილი = 1852 მ.

„მდ.მტკვრის კალაპოტის ღერძზე“[9]. ასეთი მიდგომა ფუნქციურ-ტერიტორიულ სირთულეებსა და მართვის ორაზროვნებებს წარმოშობს.

ამ მაგალითების შემდეგ ისმის კითხვა - რამდენად აქტუალურია წყლის ობიექტების ფუნქციურ-ტერიტორიული ორგანიზების თემა საქართველოს დარგობრივი/სექტორული კანონმდებლობების კონტექსტში? ამჯერად, ვიკმაროთ მხოლოდ ერთი სფერო - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

„არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია (განახლებული)“ (1992), (ლა-ვალეტას კონვენცია) ადგენს ამ სფეროსათვის ფუძემდებელ ცნებას: „არქეოლოგიურ მემკვიდრეობაში იგულისხმება სტრუქტურები, შენობები, არქიტექტურული ანსამბლები, მოწყობილი ნაკვეთები (დედანშია - developed sites - ლ.ვ.), ნივთები (დედანშია - moveable objects - ლ.ვ.), სხვა სახის ძეგლები, აგრეთვე მათი გარემო, მიწაზე თუ წყალში.“ და კიდევ: „თითოეული მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს ყოველი სახელმწიფოსათვის შესაფერისი საშუალებებით არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის იურიდიული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს: <...> არქეოლოგიური ნაკრძალების შექმნას თუნდაც ძეგლების ხილული ნიშნების გარეშე, მიწის ზედაპირზე თუ წყალში <...>“. ასეთ მიდგომას წყალქვეშა არქეოლოგიის მიმართ იმეორებს საქართველოს კანონიც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (2007).

3 საჰაერო სივრცე

იღნიშნულ კანონში „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ მოცემულია ამ კატეგორიის ნორმატიული განმარტება: „საჰაერო სივრცე - საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე (ატმოსფერო), რომელზედაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი“ (მ. 2.ვ.).

შეიძლება ითქვას, რომ „ტერიტორიის“ ეს კატეგორია ამოვარდნილია ურბანისტიკის პროფესიული ინტერესების სფეროდან. ითვლება, რომ ეს თემა არის საჰაერო ნავიგაციის უწყების ექსკლუზიური პრეროგატივა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი სინამდვილე ვეღარ ეგუება ამგვარ ვიწროუწყებრივ ხედვას. ურბანისტიკის დღის წესრიგში ძალუმად შემოსულია საქართველოს საჰაერო

[9]ქ.თბილისის საკრებულოს 2013 წლის 28 იანვრის # 1-4 დადგენილება „ქ.თბილისის რაიონების საზღვრების დადგენისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“.

სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებული ისეთი ტრადიციული თუ ახლებური, მავალფეროვანი და განსხვავებული მასშტაბების რეალიები, როგორიცაა:

- მცირე და სასპორტო ავიაცია;
- საჰაერო-საბაგირო გზები;
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები;
- უძრავო საფრენი აპარატებისა თუ მოწყობილობების გავრცელება;
- დელტაპლანერიზმი, ჰელისკი და სხვა ამგვარი;
- დრონების მრავალმხრივი გამოყენება;
- სეტყვისსაწინააღმდეგო სროლები;
- ფრინველების მასობრივი სეზონური გადაფრენების ჩამოყალიბებული მარშრუტები და ა.შ.

ყველა ამგვარი საქმიანობა მოსაქცევია საქართველოს საჰაერო სივრცის დაგეგმვა-დაპროექტების და მართვის ერთიან სისტემაში. დღეს საჰაერო სივრცესთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებები გაბნეულია სექტორულ ნორმებში. მაგალითად, ზემოხსენებული კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ (მ.3.) ადგენს, რომ „საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი საჰაერო სივრცე, ფსკერი და წიაღი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია, რომელზეც იგი ახორციელებს სუვერენიტეტს.“ კიდევ ერთი მაგალითი: საავტომობილო გზების მართვასთან დაკავშირებულ რეგლამენტში ნათქვამია, რომ საავტომობილო გზის ცნებაში, სხვა ელემენტებთან ერთად, იგულისხმება „საავტომობილო გზების ზედა საერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში.“[10]

4 წიაღი

ჩვენი ურბანისტული პრაქტიკისაგან კიდევ უფრო შორს დგას წიაღთან და სხვადასხვაგვარ გეოლოგიურ გამომუშავებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ეს იმ დროს, როდესაც თითქმის ასი წელია, რაც მიწისქვეშა ურბანისტიკის თეორია და პრაქტიკა სულ უფრო იპყრობს დასავლელი ურბანისტების ყურადღებას. *დე-ფაქტო,* ეს სფერო შუა საუკუნეების საქართველოში, რუსეთის იმპერიის ხანაში და საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა; ამ ბოლო პერიოდში, ძირითადად, - უმსხვილეს ქალაქებში მეტროსა და თავდაცვითი ობიექტების მოწყობის მიმართულებით. თბილისი, ჭიათურა, ტყიბული, - ეს ის ქალაქებია, რომლებსაც მიწისქვეშა პრობლემატიკა პირდაპირი მნიშვნელობით აწუხებს, რასაც ჯეროვანი ყურადღება დღემდე არ ექცევა.

[10]საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის # 172 დადგენილება „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი“.

„ტერიტორიის“ ოთხივე კომპონენტის მიმოხილვის შემდეგ აუცილებელი მგონია იმ პროექტის დასახელება, რომელშიც ურბანული განვითარების 4-კომპონენტიანმა, ჰოლისტურმა მიდგომამ პირველად გაიჟღერა - ეს არის „ქ. მცხეთის განვითარების ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის“ კონცეფციის სტადია, რომელიც, UNESCO-ს საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან დადებითი შეფასების მიუხედავად, მრავალი თვეა, დამტკიცებას ვერ ეღირსა.

დაბოლოს, ტერმინოლოგიურად გასამართია ჩვენი სეფე კანონის დასახელება და შინაარსი; თუმცაღა, სტატიის მიზნიდან გამომდინარე, აქ შევიზღუდებით გეგმის დასახელების წინადადებით: **მიზანშეწონილია დაწყებულ მასშტაბურ პროეტს ეწოდოს „საქართველოს ფუნქციურ-ტერიტორიული განვითარების კომპლექსური გეგმა“ და ის გააზრებული იყოს არა ეტაპობრივ, დიაქრონულ დოკუმენტად, არამედ მუდმივ, განახლებად პროცესად.**

სტატიაში გამოყენებული სპეციალური ცნება-ტერმინები:
დიაქრონული - ამა თუ იმ პროცესის წყვეტილი ხასიათი
კონტინუუმი - რაიმეს უწყვეტი რიგი
ჰოლისტური - ერთიანი, ინტეგრირებული მიდგომის პრინციპი
აბრევიატურები და აკრონიმები:
გეგმა - საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა

რეზიუმე

სტატიას რამდენიმე „განზომილება“ აქვს - საქართველოს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გამართვით დაწყებული ვიდრე ურბანისტიკის სფეროს ცნებითს-ტერმინოლოგიური აპარატის დახვეწამდე. ამას კარნახობს ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტო პროექტზე მუშაობის დაწყება. მოქმედი კანონის შესაბამისად, პროექტის სახელწოდებაა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა“. ასეთი სახელწოდება - აშკარა ტავტოლოგიაა; არანაკლებ მნიშვნელოვანია მასში გამოყენებული საკვანძო ტერმინის - „სივრცის“ ნაკლული შინაარსი. სტატია, ძირითადად, ეძღვნება ამ ტერმინის სხვა ტერმნით - „ტერიტორიით“ - ჩანაცვლების არგუმენტაციას და შემოთავაზებული ტერმინის მრავალმხრივი შინაარსის წარმოჩენას.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ორივე ტერმინი: თუ *ევროპისათვის გაეროს ეკონომიკური კომისიის* (UN ECE) დოკუმენტი - *Spatial Planning. Key instruments for Development and Effective Governance with Special Refernce to Countries in Transition (2008)* - უპირატესობას „სივრცის დაგეგმარებას“ ანიჭებს,

გაეროსავე სპეციალიზებული ორგანიზაცია - *UN HABITAT PROGRAM*, თავის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში - *International Guidelines on Urban and Territorial Planning (2015)* – „ტერიტორიულ დაგეგმარებას“ ირჩევს. ამ უკანასკნელი ცნება-ტერმინის სასარგებლოდ, სტატიაში მოშველიებულია ისეთი მაღალი რანგის საერთაშორისო დოკუმენტები, როგორიცაა: *European Landscape Convention (2004); Territorial Agenda 2030 of the European Union; Cohesion in Europe towards 2050. A Future for All Places; State of the European Territory Report (2019, ESPON); European Territorial Reference Framework (2019, ESPON); Nomenclature of Territorial Units for Statistics (NUTS)* და სხვა.განხილულია რამდენიმე ქვეყნის შესაბამისი განონმდებლობა - მაგ., ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი - *„Law on Territorial Planning”* და ურბანულ განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების დასახელებებიც, მაგ., *სლოვენიის რესპუბლიკის გარემოსა და ტერიტორიული დაგეგმვის სამინისტრო.*

თუკი ხსენებულ გეგმაზე მუშაობა გადაეწყობა „ტერიტორიის“ ცნება-ტერმინის გამოყენებაზე, გასათვალისწინებული იქნება ის პრინციპული გარემოება, რომ ის განუყოფლად ითავსებს ოთხ კომპონენტს - ხმელეთს, აკვატორიას, საჰაერო სივრცეს, წიაღს. ასეთი ჰოლისტური ხედვა დღევანდელ პროფესიულ თუ მმართველობითს წრეებში ბოლომდე გაცნობიერებული ჯერაც არ არის; თუმცაღა, ის ასახულია ზოგიერთ სექტორულ კანონში; მაგ., კანონში „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ.“

სტატიის დასკვნა კონკრეტულია - მიზანშეწონილია დაწყებულ მასშტაბურ პროექტს ეწოდოს **„საქართველოს ფუნქციურ-ტერიტორიული განვითარების კომპლექსური გეგმა“** და ის გააზრებული იყოს არა ეტაპობრივ, დიაქრონულ პროექტად, არამედ უწყვეტ, დროის რეალურ რეჟიმში განახლებად, ოთხკომპონენტიან პროცესად.

Considerations, Regarding the Elaboration of "Spatial Planning Plan of Georgia"

Vardosanidze Vladimer (Lado)

Resume

The article has several "dimensions" from the amendment of the legislative-normative base of Georgia, up to the refinement of the terminological apparatusin the *urbanism's* field. This is dictated by the start of work on an unprecedented project for our country. According to the current law, the name of the project is "Spatial Planning Plan of Georgia". Such a name

is an obvious tautology. No less important is the missing content of the key term used in it "space". The article is mainly devoted to the argumentation of replacing this term with another one "territory" and presenting the multifaceted content of the proposed term.

It is significant that in international practice both terms are used: if the document of the United Nations Economic Commission for Europe (UN ECE) *Spatial Planning. Key instruments for Development and Effective Governance with Special Refernce to Countries in Transition (2008) – prefers "Spatial Planning";* while UN specialized organization *UN HABITAT PROGRAM* – in the methodological guidebook - *International Guidelines on Urban and Territorial Planning (2015)* – chooses "Territorial Planning". In favor of the latter term, the article provides such high-ranking international documents as:*European Landscape Convention (2004); Territorial Agenda 2030 of the European Union; Cohesion in Europe towards 2050. A Future for All Places; State of the European Territory Report (2019, ESPON); European Territorial Reference Framework (2019, ESPON); Nomenclature of Territorial Units for Statistics (NUTS)*etc. The relevant legislation of several countries is discussed - for example, the law of the Republic of Lietuva - *„Law on Territorial Planning"*and names of institutions responsible for urban development, for example, Ministry of Environment and Territorial Planning of the Republic of Slovenia.

If the work on the mentioned plan will be reoriented on the term "territory", the principle circumstance will be taken into account, that it inseparably includes four components - land, water spaces, air space, bowel (subsoil). Such a holistic vision is not yet fully realized in today's professional and management communities. However, it is reflected in some sectoral laws; for example, in the law "On the state border of Georgia."

The conclusion of the article is specific it is appropriate to call the large-scale project "Functional-territorial development comprehensive plan of Georgia" and not to consider it as a step-by-step, diachronic project, but as a continuous, real-time updating, four-component process.

UNESCO-ს ძირითად და საცდელ სიებში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ანალიზი და მისი სრულყოფა-შევსების წინადადებები

ვარდოსანიძე ვ.

პროფესორი

ხოშტარია თ.

არქიტექტურის აკადემიური დოქტორი

შესავალი

საქართველო ცნობილია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ნუსხა 7936 ობიექტს ითვლის [1]. აგრეთვე შთამბეჭდავია მოძრავი და არამატერიალური ძეგლების მონაცემებიც - მოძრავი ძეგლების 264-გვერდიანი სიიდან და 72 არამატერიალური ძეგლია, რომელთაგან 4 - ქართული მრავალხმიანობა; ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი; ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა და ქართული ჭიდაობა - UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული [2] [3] [4].

UNESCO-ს ძირითად სიაში შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამი და ბუნების ერთი, ჯამში, 4 ნომინაცია; ხოლო საცდელ (წინასწარ) სიაში წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის 14 ძეგლი [5]. ამ ძეგლების ნაწილზე ავტორთა მიერ მოძიებული იყო ინფორმაცია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, „საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის“, ეროვნული საჯარო რეესტრისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის ოფიციალურ პორტალებზე.

UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად სიაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების შემდეგი უძრავი ძეგლებია (ძეგლების დასახელებები და ტიპოლოგია ოფიციალურია):

1. გელათის მონასტერი (კულტურული, არქიტექტურის; 1994; 2017)
2. მცხეთის ისტორიული ძეგლები (კულტურული, არქიტექტურის; 1994)
3. ზემო სვანეთი (ეთნოგრაფიული, არქიტექტურის; 1996)
4. კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები (ბუნების, 2021).

ძირითადი ძეგლების სიიდან 2017 წელს ამოღებულია ბაგრატის ტაძარი, UNESCO-ს გადაწყვეტილებით „**Decision 41 COM 8B.31“** [6].

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის“ ვებგვერდზე საცდელ (წინასწარ) სიაში წარდგენილი 14 ძეგლის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება [7].

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ძეგლების უმრავლესობა რელიგიური დანიშნულებისაა. როგორც ცნობილია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფოსა და საპატრიარქოს ურთიერთობას აწესრიგებს 2002 წლის „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ (ე.წ. „კონკორდატი“). ამ შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად, *„1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.*

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით“ [8].

კანონის ეს ნორმა საჭიროებს განხორციელებას - როგორც მასში ხსენებული ობიექტების ნუსხის ჩამოყალიბების, ისე მათთვის მიკუთვნებული ან მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთების თანამედროვე მეთოდებით დადგენასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თვალსაზრისით.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით ბოლომდემოწესრიგებულიმდგომარეობადოკუმენტაციაშიიშვიათია, უფროგამონაკლისია; ეს ეხება როგორც ტექსტურ, ისე გრაფიკულ ნაწილებს.რაცშეეხებაკანონმდებლობით განსაზღვრულ დაცვისზონებს, ესსაკითხიმოწესრიგებულია - კულტურული მემკვიდრეობისერთიანი მონაცემთა ბაზის ვებგვერდზეყველაობიექტსაქვსდაცვისზონებიაღნიშნული [9] [10].

აუცილებელია (და კანონის მოთხოვნაცაა), შეიქმნას სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემა, რომლის ფარგლებშიც საჭირო იქნება საჯარო რეესტრის მონაცემებისა და სხვადასხვა შინაარსის დაცვის ზონების დაკავშირება [11].

მიზანი/ამოცანები; აქტუალობა: სტატიის მიზანია ქართული საზოგადოებრიობის, პროფესიული წრეებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღების მიპყრობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში დღეს არსებულ უმნიშვნელოვანეს

პრობლემაზე, რაც გულისხმობს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შესულ და მოლოდინის რეჟიმში მყოფ ძეგლების რეკვიზიტების შევსება - გამართვას, უწინარესად, სივრცითი დაგეგმვა-დაგეგმარების თვალსაზრისით. ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სივრცის დაგეგმვის გეგმაზე მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით.

მეთოდები: სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის არსებული დოკუმენტაციის შესწავლა; ძეგლთა დაცვითი მასალების ანალიზი; შესაბამისი ინტერნეტ-პორტალების შესწავლა; ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან.

შედეგები: სტატიის შედეგებიაUNESCO-ს ნუსხაში შესული და საცდელ (მოლოდინის) სიაში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების (ძირითადად, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ძეგლების)მიმართ ისეთი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს მათს სათანადო წარმოჩენას, შეავსებს აუცილებელ საკადასტრო რეკვიზიტებსა და ხელს შეუწყობს საქართველოს სხვადასხვა ტაქსონომიური დონის ფუნქციურ-ტერიტორიული დაგეგმვა-დაგეგმარების დოკუმენტაციაში სრულფასოვნად ჩართვას.

განხილვა/განსჯა: UNESCO-ს ძირითად სიაში მყოფი ძეგლებიდან განვიხილეთ ჯვრის მონასტერი, რომელიც არის ნაწილი UNESCO-ს ნომინაციისა - „მცხეთის ისტორიული ძეგლები“; „გელათის მონასტერი“ და „ზემო სვანეთი“; ხოლო წინასწარ სიაში მყოფი ძეგლებიდან კი - „ალავერდი“, „ანანური“, „დავით-გარეჯის მონასტრები და მღვიმეები“, „კვეტერას ეკლესია“. ცალკე საკითხად, გაღრმავებულად, განიხილება „თბილისის ისტორიული რაიონი“.

„მცხეთის ისტორიული ძეგლები“: ამ ცნების ქვეშ გაერთიანებულია ქალაქ მცხეთაში მდებარე სამი მონასტერი: მცხეთის ჯვარი, სამთავრო და სვეტიცხოველი. მათგან ქვემოთ განიხილება მხოლოდ მცხეთის ჯვარი.

სურ. 1 მცხეთის ჯვარი

სურ. 2 მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის "მცხეთის ისტორიული ძეგლების" ერთიანი ვიზუალური დაცვის არეალი / ბუფერული ზონა

ეროვნული საჯარო რეესტრის მონაცემთა თანახმად, მცხეთის ჯვრის მიმდებარე ნაკვეთის საკადასტრო დოკუმენტაცია გაფორმებულია საქართველოს საპატრიარქოზე [12]. რაც შეეხება დაცვის ზონებს როგორც ზოგადს, ისე ინდივიდუალურს, ისინი დადგენილია და ინფორმაცია მათს შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის პორტალზე [13].

სურ. 3 მცხეთის ჯვარი, აეროფოტო და ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დაცვის ზონები რამდენჯერმე შეიცვალა; მათ შორის ბოლოს, 2018 წელს, შესრულდა „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების კორექტირების პროექტი“ [14].



სურ. 4 მცხეთა, ზოგადი დამცავი ზონები 2012 წლის მდგომარეობით

სურ. 5 მცხეთა, ზოგადი დამცავი ზონები, 2018წლის პროექტი

კულტურული მემკვიდრეობის პორტალზე „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ ზოგადი დაცვის ზონები 2012 წლის მდგომარეობით არის მოცემული, ანუ 2018 წლის პროექტის განახლება 2023 წლის ივნისისთვის არ ასახულა. გრაფიკა ბუნდოვანია, დაცვის ზონების ნახაზები დაბალი რეზოლუციით არის ატვირთული, ისე, რომ ზონის ფართობით შეიძლება მიხვედრა, რა პერიოდის დოკუმენტთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია პროექტის „ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურება“ მიერ შეთავაზებული ზოგადი დამცავი ზონების კორექტირების არაერთი წინადადება, რომელიც მოსახლეობის სასიკეთოდ არის ორიენტირებული.

„გელათის მონასტერი“

სურ. 6 გელათის მონასტერი

გელათის მონასტრის შემთხვევა განსაკუთრებულია UNESCO-ს ძირითად სიაში მყოფი ძეგლისათვის - იგი საერთოდარაა საჯარო რეესტრშიგატარებული (!). განცალკევებული ძეგლის სახით იძებნება, თუმცა საკადასტრო მონაცემები არ არის მოყვანილი. საკადასტრო ფენაში ჩანს მხოლოდ მიმდებარე ნაკვეთი, რომელიც კერძო პირისაა [15]. კულტურული მემკვიდრეობის პორტალზე მონასტრისათვის განსაზღვრულია როგორც ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალები, ისე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერული ზონები.

სურ. 7 გელათი, აეროფოტო და ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან

სურ. 8 ჩაჟაში, ზემო სვანეთი

ზემო სვანეთი

სინამდვილეში საქმე გვაქვს ზემო სვანეთის უშგულის თემის ერთ სოფელთან - ჩაჟაშთან, რადგან ზემო სვანეთად საქართველოში მოიაზრება დღევანდელი მესტიის მუნიციპალიტეტი. ჩაჟაშშიობიექტების უმეტესობაკერძოსაკუთრებაა; საკუთრებათა უდიდესი ნაწილი რეგისტრირებულია. სადაც რუკაზე ნარინჯისფერიკონტურიარაა, ისადგილებიარარისრეგისტრირებულიდაშესაბამისად, მასალებიარიძებნება. ამადგილებშიორთოფოტოზეჩანსისტორიულინაგებობებისკონტურები.

სურ. 9 ჩაჟაში, აეროფოტო და ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან

საცდელი (წინასწარი) სიის ობიექტები

ალავერდის კათედრალი

სურ. 10 ალავერდის კომპლექსი

UNESCO-ს საცდელ (წინასწარ) სიაში მყოფი ჩვენს მიერ განხილული ძეგლებიდან სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობააქვსალავერდს. ეს ობიექტი საჯარო რეესტრში გატარებულია კომპლექსად, ანუ მონასტრად, რაც მართებულია და ქმნის იუნესკოსეული სახელწოდების კორექტირების ობიექტურ საფუძველს. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის პორტალზეც მონიშნულია არა მხოლოდ კათედრალის, არამედ მთელი კომპლექსის (მონასტრის) დაცვის ზონები [13].

სურ. 11 ალავერდი, აეროფოტო და ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან

სურ. 12 ანანურის საერთო ხედი

ანანური

ანანურიცრეგისტრირებულიაეკლესიისსახელზე, თუმცასიტუაციურნახაზში აღნიშნულია პრობლემა - ზედდება რეგისტრირებულ მონაცემთან და წარმოებაში მყოფ მონაცემთან [15]. დაცვის ზონები მონიშნულია კულტურული მემკვიდრეობის ვებგვერდზე.

სურ. 13 ანანური აეროფოტო ინფორმაცია

დავით-გარეჯის მონასტრები და სენაკები

დავით-გარეჯის სიტუაციურ ნახაზში აღნიშნულია შეუსაბამობა. გარეჯის კომპლექსი ეკლესიის სახელზეა რეგისტრირებული. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე ეს ობიექტი განსაკუთრებული შემთხვევაა და მისი ტოპოგრაფიის დაზუსტება და საკადასტრო ნაკვეთის ფარგლების დადგენა მხოლოდ ძეგლთადაცვის გარემოებებზე არაა დამოკიდებული და მით უფრო მნიშვნელოვანია.

სურ. 14 დავით-გარეჯის ლავრა, ფოტო და ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან

სურ. 15 კვეტერას გუმბათოვანი ეკლესია

კვეტერას ეკლესია

კვეტერას ეკლესია ამავე სახელწოდების ნაქალაქარის კომპოზიციურად დომინანტური ნაგებობაა [16].

კვეტერას კომპლექსი არაა რეესტრში სათანადოდ გატარებული, თუმცა იძებნება, როგორც ცალკეული ძეგლი. რუკაზე ნათლად ჩანს მისასვლელი გზა, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი.

სურ. 17 კვეტერა, აეროფოტო და ინფორმაცია ეროვნული საჯარო რეესტრიდან

თბილისის ისტორიული რაიონი. Tbilisi Historic District [17]

როგორც UNESCO-ს ძირითად სიაში შესატან ნებისმიერ ობიექტს, ქალაქთმშენებლობით სტრუქტურას ესაჭიროება მკაფიო, ადეკვატური და ფორმალიზებული რეკვიზიტების ჩამოყალიბება. მეტიც, ამ ტიპოლოგიური ჯგუფებისათვის ეს მოთხოვნა კრიტიკულია და გაცილებით მეტ ასპექტს უნდა მოიცავდეს, ვიდრე ცალკეული ძეგლებისა, თუნდაც, სამონასტრო კომპლექსების. ამ მხრივ, რა მდგომარეობა გვაქვს „თბილისის ისტორიულ რაიონში“?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გავიხსენოთ შესაბამისი კრიტერიუმები და განვიხილოთ საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წელს „თბილისის ისტორიული რაიონის“ წარდგენილი მასალა.

მანამდე კი უნდა ითქვას, რომ UNESCO-ს ნუსხაში შესატანად ძველი თბილისი, ვარძია-ხერთვისის ისტორიულ არეალთან ერთად, წარდგენილი იყო ჯერ კიდევ 1999 წელს. UNESCO-ს ექსპერტებმა აღიარეს ძველი თბილისის „გამორჩეული უნივერსალური ღირებულება“ (Outstanding Universal Value – OUV) და, ზოგადად, განაცხადის მართლზომიერება, მაგრამ, წინაპირობად ქალაქს შესთავაზეს „საშინაო

დავალების" შესრულება. ეს დავალება სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან შედგებოდა:

- მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- საკანონმდებლო-ნორმატიული გარემოს სრულყოფა და
- კონსერვაციის პრინციპების დაცვა და შეუსაბამო მშენებლობების პრაქტიკის აღკვეთა.

პირველი ამოცანის საპასუხოდ 2007 წელს შეიმქნა და 2013 წლამდე არსებობდა „ძველი თბილისის" ადმინისტრაციული რაიონი, რომელიც, გაუქმების შემდეგ, 5 ადმინისტრაციულ რაიონზე გადანაწილდა. ამდენად, ეს ამოცანა, სადღეისოდ, შესრულებული არ არის; მეტიც - გვაქვს ცხადი უკუსვლა.

მეორე ამოცანა მეტ-ნაკლები წარმატებით გადაწყდა და დღეს ვხელმძღვანელობთ მეორე თაობის კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" (2007);

მესამე ამოცანის მდგომარეობის კომენტარებისაგან თავს ვიკავებთ ყველაფერი ისედაც ცხადია.

ბუნებრივია, დგება საკითხი - ამ ვითარებაში რა ჩავთვალოთ „თბილისის ისტორიულ უბნად", ან სულაც „ძველ ტფილისად"? საქართველოს მთავრობის 2007 წლის განაცხადში მოყვანილია ერთადერთი წერტილოვანი კოორდინატი, ასეთი ფორმით: N 44 49 E 41 37. ძნელი გასარკვევი არ არის, რომ ეს არის წერტილი, და არა ტოპოგრაფიული პოლიგონი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წერტილიც შეცდომითაა მოყვანილი და სრულიად სხვა ადგილას, საქართველოს ფარგლებს გარეთ იძებნება რუკაზე.

საგულისხმოა, რომ UNESCO-ს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ობიექტების შესატანად, შემუშავებული აქვს ათპუნქტიანი სისტემა. 2007 წლის აპლიკაცია პასუხობს მათგან ხუთს, სახელდობრ, ქვემოთმოყვნილებს (ნუმერაცია UNESCO-ს სტანდარტითაა მოტანილი; არაოფიციალური თარგმანი ინგლისურიდან აქ და ქვემოთ ჩვენია - ვ.ვ., თ.ხ.):

- (ii) – ადამიანური ფასეულობების მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენის წარმოჩენა დროის მონაკვეთში ან მსოფლიოს კულტურულ არეალში, არქიტექტურის ან ტექნოლოგიების, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების ან ლანდშაფტის დიზაინის განვითარების თვალსაზრისით";
- (iii) – უნიკალური ან თუნდაც განსაკუთრებული მახასიათებლების დადასტურება ცოცხალი ან სულაც გამქრალი კულტურული ტრადიციის ან ცივილიზაციის თაობაზე;

- (iv) – იყოს შენობის, არქიტექტურული ან ტექნოლოგიური ანსამბლის ან ლანდშაფტის გამორჩეული მაგალითი, რომელიც ასახავს (ა) მნიშვნელოვან ეტაპ(ებ)ს კაცობრიობის ისტორიაში;
- (v) – იყოს ადამიანის ტრადიციული დასახლების, მიწათსარგებლობის ან ზღვის გამოყენების გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს კულტურის (ან კულტურების), ან გარემოსთან ადამიანის ურთიერთქმედებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის გახდა მოწყვლადი შეუქცევადი ცვლილების გავლენის გამო;
- (vi) - უშუალოდ ან გაშუალებული ფორმით დაკავშირებული იყოს მოვლენებთან ან ცოცხალ ტრადიციებთან, იდეებთან ან რწმენებთან, გამორჩეული უნივერსალური მნიშვნელობის მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან (კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს კრიტერიუმი სასურველია იყოს გამოყენებული სხვა კრიტერიუმებთან ერთად).

თბილისის განაცხადში უნდა ასახულიყო არა ზემოსხენებული მოთხოვნების ფორმალური, გალამაზებული პასუხები, არამედ „ძველი ტფილისის“ სულისა და ღირსებების ობიექტური, პირუთვნელი წარმოჩენა. მთავარი პრობლემები სწორედ აქ გვაქვს. საქმე ისაა, რომ აღწერა სათაურით „თბილისის ისტორიული რაიონი“, სავსეა საყოველთაოდ გავრცელებული შტამპებით, ისტორიული ხარვეზებითა და ამბიციური პრეტენზიებით. ასე მაგალითად, ობიექტურ კრიტიკას ვერ უძლებს თუნდაც შემდეგი პასაჟები, რომლებსაც მოკლე კომენტარს ვურთავთ.

- „Tbilisi is a grand sample of Georgian urban heritage“ „თბილისი არის ქართული ურბანული მემკვიდრეობის საუკეთესო მაგალითი“;

ამ ფორმულირებაში სიტყვა „ქართული“ შესაცვლელია სიტყვით „საქართველოს“, რადგან ქალაქის შუასაუკუნეების იერსახეზე სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში დიდი გავლენა მოახდინა: (1) შუასაუკუნეების ახლოაღმოსავლეთის რეგიონულმა ქალაქთმშენებლობითმა კულტურამ; (2) მე-19 საუკუნეში, რუსეთის მმართველობის პერიოდში რუსულ-ევროპულმა გეგმარებითმა ხერხებმა; (3) საბჭოთა ხანაში - საბჭოური არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების პრინციპებმა. სხვა ამბავია, რომ ყველა ეს მიმდინარეობა ტფილისში განიცდიდა ადაპტაციას, მორგებას ადგილობრივ ოროგრაფიულ, კლიმატურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პირობებზე.

- „traditional Georgian dwelling“ – „ტრადიციული ქართული საცხოვრისი“;

სავარაუდოდ, იგულისხმება ძველ ტფილისში გავრცელებული საცხოვრისის ორი პრინციპულად განსხვავებული ტიპი - „ბანიანი სახლი“ და „გვირგვინიანი დარბაზი“. არც ერთი მათგანია მხოლოდ ქართული ტრადიციული საცხოვრისი - ესენი უფრო საცხოვრისის რეგიონულ ტიპებს წარმოადგენენ. „დარბაზის“ ანალოგები ცნობილია

სომხეთში („გლხატუნ“), აზერბაიჯანში („ყარადაგ“) და სხვაგანაც. იგივე ითქმის „ბანიან“ (ბრტყელსახურავიანი) სახლებზე, რომლებიც გავრცელებული იყო მთელს რეგიონში, კავკასიის მთიანეთის ჩათვლით.

- „Minor structures of the Late Medieval urban fabric“ - „გვიანი შუა საუკუნეების ურბანული ქსოვილის მცირე სტრუქტურები“;

გაუგებარია, რა იგულისხმება ამ სტრუქტურებში - თუ ეს არის ტფილისური ეზო, ურბანული ქსოვილის ეს მეტად საინტერესო ელემენტი (ისევე, როგორც აივნები), ტფილისში ჩნდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და არა გვიან შუა საუკუნეებში.

- „permanent capital of the Christian Georgian state“ „ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს მუდმივი დედაქალაქი“.

ეს დებულება სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 736-1122 წლებში ტფილისი არაბული საამიროს ცენტრს წარმოადგენდა. იყო მაჰმადიან უცხოელთა ბატონობის სხვა პერიოდებიც. ქალაქის მმართველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა არაბობის პერიოდში ტფილისში საქალაქო კომუნის (თვითმმართველობის) არსებობა.

ეს მაგალითები საკმარისად მიგვაჩნია საიმისოდ, რომ „თბილისის ისტორიული რაიონის“ განაცხადი საფუძვლიანად გადამუშავდეს და სადღეგრძელოს ჟანრი შეიცვალოს მეტად თავისებური და ღირსეული ტფილისური ურბანული კულტურის რეალისტური მახასიათებლებით.

მეორე მხრივ კი, განაცხადში უგულვებელყოფილია „ძველი ტფილისის“ (სწორედ „ტფილისის“ და არა „თბილისის“, როგორც მას დაერქვა 1936 წელს) ისეთი იმანენტური და, ზოგიერთ შემთხვევაში, უნიკალური თემები, მახასიათებლები და გამოვლენები, რომლებსაც ქვემოთ ჩამოვაყალიბებთ.

- გოგირდის ცხელი წყაროები, რომლებმაც ქალაქის სახელდება განსაზღვრა;
- ტფილისის არაბული საამიროს არსებობა 736-1222 წლებში;
- საამიროს პარალელურად და, გარკვეულ დროს, დამოუკიდებლად მოქმედი საქალაქო თვითმმართველობა, არსებითად, კომუნა („ტფილელნი ბერნი“);
- ხაზობრივი სივრცითს-გეგმარებითი სტრუქტურა, როგორც კომუნისტურ პერიოდში ქალაქის ისტორიული ბირთვის გადამრჩენი ფაქტორი;
- ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცეები („ტფილისური ეზო“ და მიკროუბნები);
- ქალაქის სოციალურ-სივრცითი სტრუქტურის ამსახველი ტრადიციული ურბანონიმია და მისთვის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის შემოღების აუცილებლობა;

- კულტურის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ცხოვრების ორიგინალური ფორმები და ჟანრები - სოციალური ტიპაჟი („მოქალაქეები“, ყარაჩოღლები, კინტოები), ქალაქური ენა; სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაცია;
- ევროპული „ცეხებისაგან“ განსხვავებული **ამქარი**, როგორც არა მარტო საწარმოო ინსტიტუტი, არამედ სოციალური დაცვის მექანიზმიც; ქალაქის თემის დღესასწაულების, თამაშობების, ასპარეზობისა და დროსტარების თავისებური ფორმები;
- ქართულ კულტურაში განსაკუთრებული პრიორიტეტი ტფილისის მიმართ - ქალაქი, საქართველოში, მხოლოდ ტფილისს ეწოდებოდა;
- „ორსახა იანუსის“ მეტაფორის მართებულობა და არსი;
- ტფილისი/თბილისი - სხვადასხვა ეპოქაში ლტოლვილთა ტალღების თავშესაფარი;
- რჯულშემწყნარებლური ეთნოკონფესინალური პალიტრა - ცეცხლთაყვანისმცემელთა ჩათვლით;
- კავკასიის ხალხების მოდერნიზული კულტურების კერა;
- ქართველი ერის ინტეგრირების გარემო, „შედუღაბების ქვაბი“;
- ქალაქური ცხოვრების წესის („ქალაქური ეთიკა“) დაუწერელი კოდექსი და სხვა ამგვარი.

დასკვნა და რეკომენდაციები

UNESCO-ს ძირითად და საცდელ სიებში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დოკუმენტაცია საჭიროებს განახლებას, კორექტირებას, შევსებას როგორც შინაარსობრივად, ისე სივრცითი დაგეგმვა-დაგეგმარების და საკადასტრო რეკვიზიტების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარ სიაში 2007 წლიდან არის შეტანილი 14 ძეგლი, მათი დიდი ნაწილის დოკუმენტაცია ასევე ჯერაც მოუწესრიგებელია და საჭიროებს შევსება-კორექტირებას.

რეკომენდაციები:

- „საქართველოსიუნესკოს საქმეთა ეროვნულმა კომისიამ“ დაუყოვნებლივ და მკაფიოდ გამოავლინოს თავისი დამოკიდებულება 2007 წლიდან იუნესკოს საცდელ სიაში უძრავად მყოფი ძეგლების დოკუმენტაციის კორექტირებისა და UNESCO-ს ძირითად სიაში მათ შეყვანასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ღონისძიებათა მიმართ;
- „კონკორდატის“ დებულების თანახმად, საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ობიექტების ნუსხის შედგენა (მიწის ნაკვეთების ჩათვლით) და მათთვის ძეგლთადაცვითი და სპორადული საკადასტრო დოკუმენტაციის შემუშავება;

- UNESCO-ს საცდელ ნუსხაში 2007 წელს წარდგენილი ობიექტების შემადგენლობის კორექტირება, სახელდობრ, კათედრალის ან ეკლესიების ნაცვლად, კომპლექსური ცნებების - მონასტერი, ნაქალაქარი (მაგ., გრემისა და კვეტერას შემთხვევებში) - გამოყენების თვალსაზრისით; აგრეთვე, დასაზუსტებელია „ზემო სვანეთის“ ობიექტი, რადგან, არსებითად, დოკუმენტაცია აღწერს ზემო სვანეთის უშგულის თემის მხოლოდ სოფელ ჩაჟაშს (ამ თემში 4 სოფელია);
- დაცვის ზონების პროექტების შედგენისას, გასათვალისწინებელია კონკრეტული პირობები - ოროგრაფია, საკადასტრო ნაკვეთების საზღვრები, და ა.შ.; რათა არ აღმოჩნდეს, რომ ერთ ნაკვეთზე ორი ან მეტი სხვადასხვა რეჟიმი მოქმედებს.
- კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის რუკების შედგენისას, დასაწესებელია გარჩევადობის მაღალი სტანდარტი და გამოყენებული ფერების უნივერსალური ნომენკლატურა.
- სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის ფარგლებში სასურველია, საჯარო რეესტრის რუკებს ჰქონდეს ბმა კულტურული მემკვიდრეობის პორტალთან, რომ მთლიანი ინფორმაციის ერთიანად ნახვა/გადამოწმება იყოს შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა :

ინფორმაცია გლობალური ქსელიდან უკანასკნელად გადამოწმებულია - 27.06.2023

1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. უძრავი ძეგლები. https://www.heritagesites.ge/uploads/files/63c505d5e05c8.pdf.
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მოძრავი ძეგლების რეესტრი. https://www.heritagesites.ge/uploads/files/62825453706ac.pdf
3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. არამატერიალური ძეგლები. https://www.heritagesites.ge/uploads/files/63bec9457a1dd.pdf
4. UNESCO საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, http://unesco.ge/?page_id=570
5. UNESCO მსოფლიო მემკვიდრეობის ოფიციალური პორტალი, https://whc.unesco.org/en/statesparties/ge/
6. UNESCO მსოფლიო მემკვიდრეობის ოფიციალური პორტალი, გადაწყვეტილებები, https://whc.unesco.org/en/decisions/6903/
7. UNESCO საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, http://unesco.ge/
8. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. 2002 https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0

9. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. 2007. კონსოლიდირებული პუბლიკაციები 09.02.2023. https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=18
10. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი. 2018. ძალაში შევიდა 2019 წლის 3 ივნისიდან. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276845?publication=22
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შესახებ. 2022. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384230?publication=0
12. ეროვნული საჯარო რეესტრი, მცხეთის ჯვარი. https://maps.gov.ge/map/portal#search/result/lr/bo/mg/getinfo.alpha?lbl=lr_parcels:AAArWyAAgAAH4UmAAN
13. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის პორტალი, https://memkvidreoba.gov.ge/https://memkvidreoba.gov.ge/objects/zone
14. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების კორექტირების პროექტი. სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო". თბილისი, 2018.
15. ეროვნული საჯარო რეესტრი, https://www.napr.gov.ge/რუკები,https://www.maps.gov.ge
16. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის პორტალი, https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=6783
17. UNESCO მსოფლიო მემკვიდრეობის ოფიციალური პორტალი, საცდელი სია, „თბილისის ისტორიული რაიონი“, https://whc.unesco.org/en/tentativelists/5233/

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად და საცდელ (წინასწარ) სიაში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლების სივრცითი დაგეგმვა-დაგეგმარების ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ასპექტები, როგორიცაა ძეგლების მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში ჯეროვანი აღრიცხვა და მათი დაცვის ზონების გათვალისწინება.

ძირითად სიაში მყოფი 4 ობიექტიდან სტატიაში განხილულია „მცხეთის ისტორიული ძეგლების“ ნაწილი - ჯვრის მონასტერი; „გელათის მონასტერი“ და „ზემო სვანეთი“; ხოლო წინასწარი სიის 14 ობიექტიდან - „ალავერდი“, „ანანური“, „დავით-გარეჯის მონასტრები და მღვიმეები“, „კვეტერას ეკლესია“. ცალკე საკითხად,

გაღრმავებულად, განიხილება „თბილისის ისტორიული რაიონი“. „ზემო სვანეთის“ შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს რეალობაში ზემო სვანეთი წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტს, ხოლო UNESCO-ს სიაში შეტანილია ამ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თემის, უშგულის სოფელი ჩაჟაში. კვეტერას შემთხვევაში ჩამოყალიბებულია წინადადება, UNESCO-ს სიაში წარდგენილი იყოს მთლიანი ნაქალაქარი - არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი, ცენტრალურ ეკლესიის მნიშვნელობის აქცენტირებით.

სტატიის ავტორებმა შეისწავლეს ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითად და საცდელ (წინასწარ) სიაში მყოფი ძეგლების კუთვნილი ნაკვეთების გარკვეული ნაწილი არაა სათანადოდ აღრიცხული საჯარო რეესტრში; ასევე არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული საჯარო რეესტრისა და კულტურული მემკვიდრეობის პორტალები.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „თბილისის ისტორიული რაიონის“ განაცხადის შინაარსს. ეს ობიექტი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად, ჯერ კიდევ 1999 წელს იყო წარდგენილი. მაშინ ქართულმა მხარემ სამი რეკომენდაცია მიიღო: (1) მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა; (2) საკანონმდებლო-ნორმატიული გარემოს სრულყოფა; (3) კონსერვაციის აღიარებული პრინციპების დაცვა და შეუსაბამო მშენებლობის პრაქტიკის აღკვეთა. ამათგან მხოლოდ მეორე რეკომენდაცია შესრულდა. ამ ობიექტის 2007 წლის განაცხადის ტექსტი ერთი შეხედვით ცდილობს, უპასუხოს UNESCO-ს ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, მაგრამ ვერ პასუხობს მთავარს - „თბილისის ისტორიული რაიონის“ (არსებითად - „ძველი ტფილისის“) განსაკუთრებული სულისა და უთუო ღირსებების ობიექტურ, პირუთვნელ წარმოჩენას.

ტექსტი გაჯერებულია ფაქტოლოგიური უზუსტობებით და ისტორიული ხარვეზებით; ის სავსეა გავრცელებული შტამპებით და უსაფუძვლო, ამბიციური პრეტენზიებით. მაგალითად, განაცხადში ნათქვამია, რომ ტფილისი იყო „ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს მუდმივი დედაქალაქი“, რაც ისტორიული რეალობისგან შორსაა - საყოველთაოდ ცნობილია, რომ 736-1122 წლებში ის არაბული საამიროს ცენტრს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, განაცხადში უგულებელყოფილია „თბილისის ისტორიული უბნის“ იმანენტური და, ზოგ შემთხვევაში, უნიკალური თვისებები, მახასიათებლები თუ გამოვლებები, რომლებიც მას რეგიონის ურბანულ კულტურაში გამორჩეულ ადგილს მიუჩენს.

სტატიაში ჩამოყალიბებულია დასკვნა და განხილული ობიექტების სივრცით-ტერიტორიული დოკუმენტაციის სრულყოფის კონკრეტული წინადადებების ვრცელი რეკომენდაციები.

Analysis of the Documentation of the Immovable monuments of Cultural Heritage of Georgia Included in the Main and Tentative Lists of UNESCO and Suggestions for its Improvement

VardosanidzeV.
KhoshtariaT.

Resume

The article presents such practical aspects for the spatial planning of material monuments of the cultural heritage of Georgia, inscribed in the main and tentative (preliminary) list of UNESCO world heritage, as the regular registration of the plots of land occupied by the monuments in the public register and consideration of their protection zones.

Among the 4 objects on the main list, the article discusses part of the "Historical Monuments of Mtskheta" - Jvari Monastery; "Gelati Monastery" and "Upper Svaneti"; and from the 14 objects of the preliminary list - "Alaverdi", "Ananuri", "David Gareji monasteries and hermitage", "Kvetera church". "Tbilisi Historic districti" is considered as a separate issue, in depth. In the case of "Upper Svaneti", it is emphasized that in the reality of Georgia, Upper Svaneti represents the entire municipality of Mestia, but only one of the communities of this municipality, the village of Chazhashi of the Ushguli community, is included in the UNESCO list. In the case of Kvetera, a proposal has been made to submit the whole town - archaeological-architectural complex to the UNESCO list, emphasizing the importance of the central church.

The documentation related to these important monuments is studied. As a result of the research, it was revealed that a certain part of the plots belonging to the monuments in the main and tentative (preliminary) list are not properly registered in the public register; The public register and cultural heritage portals are also not connected.

In the article, special attention was paid to the content of the "Historical district of Tbilisi" application. This object was submitted for inclusion in the UNESCO World Heritage List back in 1999. Then the Georgian side received three recommendations: (1) creation of an effective management system; (2) perfection of the legal-normative environment; (3) Adherence to recognized principles of conservation and prevention of inappropriate construction practices. Of these, only the second recommendation was implemented. The text of the 2007 application of this object at first glance tries to meet the established criteria of UNESCO, but fails to meet the main objective - personal presentation of the special spirit and undoubted merits of the "Tbilisi Historic District" (essentially - "Old Tfilisi").

The text is saturated with factual inaccuracies and historical gaps; It is full of common clichés and baseless, ambitious claims. For example, the application states that Tiflis was the

"permanent capital of the Georgian Christian state", which is far from the historical reality - it is widely known that in the years 736-1122 it was the center of the Arab Emirate. On the other hand, the application ignores the immanent and, in some cases, unique features, characteristics and features of the "Tbilisi Historic District", which give it a distinctive place in the urban culture of the region.

The article contains a conclusion and extensive recommendations of specific proposals for improving the spatial-territorial documentation of the discussed objects.

თბილისი - ბათუმის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმდებარედ არსებული ობიექტების კვლევა

იმნაძე ნ.
პროფესორი
შტააძე ა.
დოქტორანტი

შესავალი

საავტომობილო გზა ქვეყნის ეკონომიკური და სოციოალურ - კულტურული განვითარების დონის მაჩვენებელია. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი და მისი მიმდებარე გზისპირა არეალი, ყველა მისი შემადგენლით (პანორამული ხედები, ლანდშაფტი, სხვადასხვა ტიპის შენობა - ნაგებობა, სარეკლამო ბანერები, ქალაქსა და დაბებში შესასვლელები, აღმნიშვნელები, გამაფრთხილებელი ნიშნები და სხვა) წარმოადგენს ერთიან არქიტექტურულ სივრცეს, ხოლო თავად მაგისტრალი კი მის კომპოზიციურ ღერძს. არქიტექტურული სივრცე ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე გადაადგილებისას ცვალებადია და აღიქმება მოძრაობაში, როგორც ფილმის კადრები ერთმანეთს ენაცვლებიან ლანდშაფტი, განაშენიანება, ძეგლები და სხვა. გზისპირა ობიექტების ტიპოლოგია მრავალფეროვანია, საცხოვრებელი სახლებიდან დაწყებული სამრეწველო შენობა - ნაგებობებით დამთავრებული. თუმცა ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს იმ ობიექტების განხილვა, რომელიც უშუალოდ ემსახურება მგზავრებს. კლასიფიცირდებიან ინფრასტრუქტურულ ობიექტებად და ავტომაგისტრალის არქიტექტურის ერთიან სივრცეში საკვანძო ადგილი უკავია.

მხატვრული სახე. 1954 წელს ამერიკაში, ლოს - ანჟელესში ცნობილ „მარშრუტი 66“ - ზე გაჩნდა ჯიხურები. უჩვეულო არაფერი არ იქნებოდა რომ არა მათი არქიტექტურულ - მხატვრული სახე: გიგანტური „ჰოთ დოგი“, “დონატი”, “ყავის ჩაიდანი”, “ჭიქა” და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მასშტაბში გაზრდილი ფორმები. ეს ნაგებობები სპეციალურად აიგო იმისთვის, რომ მგზავრებმა სწრაფად მიირთვან და დაისვენონ, შორიდან დაინახონ, ვიზუალურად მარტივად აღიქვან და მიხვდნენ მის ფუნქციას. 1985 წელს ჩარლზ ჯენკსმა წიგნ „პოსტმოდერნიზმის არქიტექტურული ენა“ მეორე თავში: „არქიტექტურული კომუნიკაციის ხერხები“ საკითხის გაგებისთვის საუბრობს სწორედ ზემოთხსენებულ გზისპირა ობიექტებზე, როგორც პირდაპირ მეტაფორაზე. აქედან გამომდინარე, გაგვიჩნდა მოსაზრება: გზისპირა ობიექტები არამარტო „პროგრამული“ დანიშნულებისაა, არამედ მათ სიმბოლური დატვირთვა აქვთ და ვიზუალურად მარტივად აღიქვებიან. არსებული უცხოური გამოცდილების ანალიზით დასტურდება, რომ გზისპირა ობიექტის

არქიტექტურულ - მხატვრული სახე ასახავს ფუნქციურ დანიშნულებას და აზრობრივ შინაარსს, არქიტექტურულ მხატვრული სახე კი ინფორმაციულ - ვიზუალური საკომუნიკაციო ველია ადამიანსა და არქიტექტურულ გარემოს შორის.

სტატიის მიზანია საქართველოს ისტორიულ ავტომაგისტრალსა და ახალ ჩქაროსნულ ავტობანზე არსებული გზისპირა მომსახურე ობიექტების არქიტექტურულ - მხატვრული ანალიზი.

ავტომაგისტრალების მიმდებარედ არსებული ობიექტების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ მათი არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე: აყალიბებს ავტომაგისტრალის არქიტექტურას, მისი განუყოფელი ნაწილია, უზრუნველყოფს ადამიანების ფსიქოემოციურ მდგრადობას ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისას, უშუალო გავლენას ახდენს მგზავრების (მძღოლების) ჯანმრთელობაზე. ამასთანავე ფუნქციურად აკმაყოფილებენ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს და შედგება კონკრეტული ჯგუფის შენობებისგან და სივრცეებისგან: საკვები, მოსასვენებელი და ტრანსპორტის მომსახურე ობიექტებისგან. თუმცა ობიექტების რაოდენობა და ფუნქციური დანიშნულება შესაძლებელია იცვლებოდეს ან/და რეაბილიტირდებოდეს კონკრეტული ადგილის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ადგილის პოპულარობასთან.

მსოფლიო მასშტაბით გზისპირა ობიექტები უამრავი და მრავალფეროვანია. მათი განვითარება არის პასუხი ავტომობილის პოპულარობაზე, როგორც ყველაზე ხელმისაწვდომ გადაადგილების საშუალებაზე.

დღეს, როდესაც შენდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალები, მსგავსი ობიექტების არსებობამ კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. გაჩნდა განვითარებული მსხვილი მრავალფუნქციური კომპლექსები. რითაც შემცირდა ისტორიული გზებზე არსებული გზისპირა მომსახურე ობიეტების როლი, რადგან უმეტესობამ აზრი დაკარგა. მიუხედავად ამისა ისტორიულად არსებულ გზებზე, რომლებიც ერთმანეთს აკავშირებენ სოფლებს, დაბებს გვხვდება საინტერესო ნიმუშები და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. როგორც ამბობენ „თანამედროვე ხალხური არქიტექტურის ყველაზე ცხადი გამოვლენაა“

თუკი განვიხილავთ თბილისი - ბათუმის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მონაკვეთს, რომელიც დღეს ფორმირების პროცესშია, ვნახავთ, რომ ისტორიული გზატკეცილი ფაქტობრივად გვერდზე რჩება. თუმცა ზოგიერთ მონაკვეთში იკვეთებიან ავტობანთან. გადაკვეთები ემთხვევა უკვე ისტორიულად

ჩამოყალიბებულ, გარკვეული ნიშნის მატარებელ ადგილებს, როგორიცაა ხაშური - ასოცირდება ჰამაკებთან, სურამი - ნაზუქთან, უღელტეხილზე ძირითად გვხვდება კვების და მოსასვენებელი ობიეტები და შროშა - თიხითა და თიხის პროდუქციით. გზისპირა ობიექტები სწორედ აქ გვხდება. ამდენად საქართველოში გზისპირა ობიექტები უშუალოდ დაკავშირებულია ადგილთან და ავლენს მის თავისებურებას. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სივრცის მაფორმირებელი არქიტექტურა რაიმე სტილისტურ მიმდიანარეობას არ აყალიბებს, თუმცა ორიენტირებულია ხალხური, უფრო სწორედ კი „ეთნოგრაფიული“ ხასიათის წარმოჩენაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია გზის გასწვრივ ლანდშაფტის აღქმა. დღეს თბილისი - ბათუმის მაგისტრალზე გადაადგილება ერთი თავგადასავალია - მრავალფეროვანი და საინტერესო. თუმცა საინჟინრო სამუშაოები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ერთის მხვრივ ქმნიან დისკონფორტს, მეორეს მხვრივ იწვევს ემოციურად აღფრთოვანებას. გასაგებია, რომ ქვეყნის განვითარების ერთ ერთი მთავარი პირობაა გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ მიმდინარე მშენებლობა აზიანებს გარემო ბუნებას, პეიზაჟში აქტიურად შემოდის ბეტონის ფართო სიბრტყეები, რომელიც ჩამოჭრილი ფერდების დამცავია. ამ ეტაპზე გაყვანილია შვიდი გვირაბი, რომელიც ასევე არამდგრადობის შეგრძნებას აძლიერებს, შესაბამისად გარემოს აღქმის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ახალი ჩქაროსნული ავტომაგისტრალი ახალ არქიტექტურას ითხოვს. ამასთან ტიპოლოგია თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მუდმივად ვითრდება.

განვიხილოთ, ისტორიულ მარშრუტზე თბილისი - ბათუმის ავტობანზე არსებული ობიექტები და მოსასვენებელი ადგილები. კვლევის მეთოდი: ფოტო-ფიქსაცია და ვიზუალური დათვალიერება, რამაც მოგვცა საშუალება გამოგვევლინა თავისებურება, მიმართულება, განსხვავებულობა და განვითარების მიმართულებები. კვლევის დროითი საზღვარი მოიცავს ორ პერიოდს: მე-20 საუკუნე და დღევანდელობა.

მომსამხურე ობიექტები მდებარეობს ისტორიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტების შესასვლელში ან გასავლელში და დასახლებებს შორის. შესაბამისად, თითოეულის სტრუქტურა, შინაარსი, ნაგებობათა შედგენილობა, ტერიტორიის ფუნქციური ზონირება, განლაგება ავტომაგისტრალის მიმართ და არქიტექტურული ხარისხი განსხვავებულია. ჩვენ მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია:

სწრაფად წასახემსებელი „ფარდულები“. თბილისი - ბათუმის მარშრუტზე მრავლად გვხვდება მცირე მოცულობის სწრაფად წასახემსებელი არეალები. სადაც ავტომობილის მოკლე ხნით გაჩერებით შეგიძლიათ შეიძინოთ სასურველი

პროდუქტი. სურ.-ზე წარმოდგენილია ე.წ. „ნაზუქის ფარდული“. ფარდულებს კომერციული დატვირთვა აქვს და ხელს უწყობს ადგილობრივებს აწარმოონ საკუთარი მცირე ბიზნესი. თუმცა საუბარი არქიტექტურულ - მხატვრულ სახეზე ამ შემთხვევაში შეუძლებელია. შემთხვევითი, სახელდახელოდ აწყობილი ხის ნაგებობები ვერ ქმნიან მდგრად სივრცეს, თუმცა კონკურენცია მათ შორის არის, რომელსაც თავისთავზე იღებენ ბანერები და უსისტემო წარწერები. აშკარად ჩანს ადგილობრივი დასახლების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

სურ. 1 სურამი, ე.წ. „ნაზუქის ფარდული“

მზგავსი ფარდულები რიკოთის უღელტეხილის გაყოლებაზე მრავლად გვხვდება, როგორც წესი მდებარეობენ ავტომაგისტრალთან ახლოს. ხის ფარდულები არქიტექტურული თვალსაზრისით, არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენენ. თუმცა ფუნქციურია და დიდი პოპულარობით სარგებლობენ მგზავრების მხრიდან.

მრავალფუნქციური საშუალო მოცულობის ობიექტები მცირე სარეკრეაციო სივრცეებით (სურ. 2). ამ ტიპის ობიექტს ბევრი მგზავრი სტუმრობს. ტერიტორია ფუნქციური ზონებისგან შედგება: სასაუზმე „ევრაზია“, გარე სავაჭრო სივრცე, დასავენებელი და „ეთნოგრაფიული“ კუთხე. სურათზე ნათლად ჩანს, რომ პირობითად კომპლექსი გამოირჩევა ფერადოვნებით, ჭარბობს სარეკლამო ხასიათის ბანერები და თავისებური „ხალხური“ ესთეტიკის კვების ობიექტით. პირობითად კომპლექსში, როგორც სიმბოლო მოგზაურის აღმართულია „დონკიხოტის“ თუჯის სკულპტურა.

სურ. 2 სურამიდან გასვლის შემდეგ რიკოთისკენ მიმავალი გზის დასაწყისი მცირე მოცულობის სარეკრეაციო სივრცე

საკვები ობიექტები: რესტორნები და სასადილოები

„HP რიკოთი“ რესტორანი რიკოთის უღელტეხილზე

ავტომაგისტრალის მონაკვეთი, რომელიც გადის რიკოთის უღელტეხილზე ყველაზე მომხიბვლელი და გამორჩეულია ულამაზესი პანორამული ხედებით გარემოზე, ისტორიული სოფლებზე. ამასთანავე მასზე გადაადგილება რთულია, მოითხოვს მძღოლებისგან დიდ ყურადღებას. შესაბამისად ყველაზე მეტი გზისპირა საკვები - მოსასვენებელი ობიეტები რესტორნების სახით სწორედ აქ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ რესტორენები მულტიფუნქციური ობიექტებია და უზრუნველყოფენ მგზავრების კომფორტულ დასვენებას. უმრავლესობა უკვე ცნობილ ბრენდებს წარმოადგენენ, რაც განაპირობებს მათ პოპულარობას და მომსახურების ხარისხს. აღნიშნული პირდაპირ აისახება მათ არქიტექტურულ - მხატვრულ გადაწყვეტაზე. ამ თვალსაზრისით ყურადღება შევაჩერეთ ოთხ რესტორანზე: „HP რიკოთი“ (სურ.3), „ზღაპარი რიკოთზე“ (სურ.4), „მალხაზი“ (სურ. 5) და „მარანი“ (სურ. 6). ასევე გვხვდება მცირე მოცულობის სასადილოები. თითოეული რესტორანი სივრცულ - მოცულობითი სტრუქტურით, ადგილმდებარეობით და ფუნქციური გადაწყვეტით განსხვავდებიან. თუმცა, გარდა „HP რიკოთი“

რესტორნისა, ყველა მათგანის იერსახე ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ადგილობრივი არქიტექტურული ტრადიციების გამოვლენის მცდელობით. ჩამოთვლილი რესტორნები ძირითადად იმერეთის მონაკვეთში გვხვდება. მთავარი მახასიათებელია იმერულ ტრადიციულ დასახლებაზე იმპროვიზაციები. გარემოც თხრობითია, რადგან ტერიტორიაზე განთავსებულია ხალხური ხელსაწყოები: მაგ. იმპროვიზებული ღვინის საწნახელი, ურემი და სხვა. მსგავსი გადაწყვეტები შინაურულ განწყობას ქმნის, მარტივად აღსაქმელია და მგზავრისთვისაც კონფორტული.

მათგან განსხვავებით „HP რიკოთი“ (სურ. 3) განთავსებულია ავტომაგისტრალიდან ქვედა ნიშნულზე. იგი შორიდანვე აღიქმება და იპყრობს მგზავრის ყურადღებას. მისი არქიტექტურულ - მხატვრული იერსახე ეკლექტიკურია.

სურ. 3 რესტორანი „HP რიკოთი“

სურ. 4 რესტორანი „ზღაპარი“

აღსანიშნავია ფასადების გადაწყვეტა, რომელიც დაფარულია საფასადე მხატვრობით. თავად ნაგებობა ნაცრისფერ ტონალობაშია გადაწყვეტილი, მასზე ნახატი და თემატიკა (დაკავშირებულია ნადიმობასთან და დროსტარებასთან) ფერთა სიჭრელით და დინამურობით ხასიათდება. არანაკლებ მომხიბლელია მისი ინტერიერი. მიუხედავათ იმისა, რომ გარემო მოუწესრიგებელია (ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური მშენებლობა) მთლიანობაში ქმნის განწყობას, რაც საბოლოოდ მგზავრთა ინტერესს განაპირობებს ადგილის მიმართ.

სურ. 5 „მალხაზი“

სურ. 6 რესტორანი „მარანი“, სოფ. ვერტყვიჭალა

ავტობუსის გაჩერებები: გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჯერ კიდევ შემორჩენილია გზისპირა ავტობუსის გაჩერებები, რომელთა ვიზუალური სახე საგრძნობლად დაზიანებულია (სურ. 7), მათ დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა ფუნქციონირებს (გამონაკლისების გარდა), ზოგიერთი მათგანის მიმდებარედ გაჩნდა მომსახურე და სავაჭრო ობიექტები. ქმნის ბეტონის ფორმადწარმოქმნელ შესაძლებლობებს და ძიებების ფართო სპექტრს. რაც გახდა საფუძველი პროექტის და წიგნის: „ავტობუსის საბჭოთა გაჩერებები. მცირე ზომის არქიტექტურის (ავტორი ნანუკა ზაალიშვილი).

სურ. 7 ავტობუსის გაჩერებები რიკოთის უღელტეხილზე

პავილიონი - მცირე სავაჭრო და დასასვენებელი ადგილი (სურ.8). რიკოთის უღელტეხილზე მრავლად გვხვდება მცირე სავაჭრო ღია პავილიონები, სადაც ძირითადად წარმოდგენილია ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ შექმნილი

ხალხური რეწვის ნიმუშები - ორიგინალური ფორმის ქართული ტრადიციული საყოფაცხოვრებო ნივთები: თიხის ჭურჭელი, დაწნული კალათები, ჰამაკები, საბაღე სკულპტურები და სხვა. თავისებური ესთეტიკის მქონე პავილიონები მარტივი კონსტრუქციისაა: აწყობილი ხის სვეტებისგან და გადახურულია ორქანობიანი კრამიტის სახურავით, მათ ასევე მოსასვენებელი ფუნქციაც აქვს შეთავსებული.

სურ. 8 პავილიონი - მცირე სავაჭრო და დასასვენებელი სივრცე რიკოთის უღელტეხილზე

პავილიონები შინაარსობრივად გადმოსცემს ადგილობრივ კულტურას, ხასიათს, ამავე დროს აყალიბებს ერთგვარ საგამოფენო ფერადოვან სივრცეებს, ქმნის განწყობას, რაც მგზავრზე დადებითად მოქმედებს.

პეიზაჟები ავტობანის მიმდებარედ - პეიზაჟების აღქმა ავტობანზე გადაადგილებისას ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი გავლენას ახდენს მგზავრთა განწყობაზე, დადებით ემოციებს იწვევს, მგზავრობის პროცესი მონოტონური და მოსაწყენი არ არის.

სურ. 9 ჩამოჭრილი და დაბეტონებული მთები

თუმცა დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე რთულია ვისაუბროთ მის ხარისხზე. აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა, იგება გვირაბები, შესაბამისად დარჩება თუ არა რამე ბუნებისგან აღსაქმელი რთულია მსჯელობა. დღეის მდგომარეობით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ავტომაგისტრალს მთელს გაყოლებაზე ლანდშაფტი „ბეტონის სიბრტყეებით“ იფუთება.

ახალი - თანამედროვე მრავალფუნქციური მოსასვენებელი ობიექტები ახალი ჩქაროსნული ატომაგისტრალი ახალ არქიტექტურას ითხოვს. გამართულს, მოწესრიგებულს, „პროგრამულ“ არქიტეტურას, რომელშიც წინასწარ გააზრებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ფუნქციური ზონები, სათავსოთა ან ობიექტების რაოდენობა.

2011 წელს გერმანელმა არქიტექტორმა იურგენ მეიერმა ჩქაროსნული ავტობანისთვის დააპროექტა, მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი გზისპირა მომსახურე ობიექტი. უნივერსალური სტრუქტურის, თითქმის სკულპტურული თავისი ხასიათით და მრავლჯერადად განმეორებადი დინამიკური მოცულობით კარგად ეწერება, როგორც ავტობანის არქიტექტურაში ასევე გარემო პეიზაჟში. იგი ჰორიზონტალურად გრძივად მიჰყვება ავტობანის კონტურს და სიმბოლურად ასახავს მოძრაობას. თავისი სახით და ფუნქციური დატვირთვით გახდა ავტობანის სილუეტის მაფორმირებელი ობიექტი. ასეთ სტრუქტურას რამოდენიმეს შეხვდებით ავტობანზე. თვითოეული პროგრამულად ერთმანეთისგან განსხვავდება, გამართული ინფრასტრუქტურით და გააზრებული გენგეგმით. (სურ. 10, 11. 12, 13)

სურ.10 გორის დასვენებისა და მომსახურების კომპლექსი

სურ. 11 რიგით მეორე მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურული ობიექტი ზესტაფონსა და ქუთაისს შორის, სოფელ არგვეთას მონაკვეთზე

სურ. 12 ბათუმიდან თბილისამდე, კერძოდ ქ. თერჯოლის მიმდებარედ

სურ. 13 მეოთხე მრავალფუნქციური კომპლექსი გორში, ურბნისთან ახლოს

მაგისტრალზე ასევე ვხვდებით უამრავ მიტოვებულ ბენზინგასამართ სადგურებს თუ სხვა ტიპის და ფუნქციური დატვირთვის ნაგებობებს, რომლებიც სტრატეგიულად კარგ ადგილში მდებარეობს და განვითარებისთვის პოტენციალი აქვს. ანალიზმა დაგვანახა, რომ დღეს არსებული ინფრასტრუქტურა გამონაკლისების გარდა, არადამაკმაყოფილებელია, რაც განპირობებულია პრობლემით.

მთავარი პრობლემა რაც ხელს უშლის გამართული ინფრასტრუქტურის განვითარებას არის კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობაა: ინფრასტრუქტურული ობიექტები ძირითადად კერძო საკუთრებაა, მფლობელებისთვის იგი უშუალოდ დაკავშირებულია მცირე წარმოებასთან. ამდენად ობიექტების არქიტექტურულ - მხატვრული სახე, რაოდენობა და ფუნქციები, უშუალოდ დამოკიდებულია მფლობელის კომერციულ ინტერესზე, ფინანსურ შესაძლებლობაზე და გემოვნებაზე. გარდა ამისა არ არსებობს არანაირი რეკომენდაციები ან მეთოდური მითითება და რეგულაციები მათი განვითარებისთვის.

დღეს მთელი ყურადრება გადატანილია ახალი ავტობანის კეთილმოწყობაზე, მის მოწესრიგებაზე. საქართველოში პირველი მრავალფუნქციური გზისპირა ობიექტები „ვისოლი ჯგუფის“ მიერ აიგო, რომელმაც შექმნა პრეცენდეტი და წინაპირობები სივრცულ - არქიტეტურული და ფუნქციური განვითარებისთვის. შემოიტანა ესთეტიკა და კულტურა ერთის მხვრივ, თუმცა მეორეს მხვრივ ხელი შეუწყო სტანდარტიზაციას. ერთი და იგივე სტრუქტურა გვხვდება ავტობანის გასწვრივ (ორივე მხარეს) საკვანძო ადგილებში და სიმბოლური დატვირთვაც შეითავსა.

კულტურული ფაქტორი უდაოდ სასურველ ფაქტორად გვევლინება. ამ კუთხითაც შეგვიძლია სოკარის ავტოგასამართი სადგური ვახსენოთ. გიგანტური ობობას სკულპტურა შენობის მარჯვენა კუთხეშია მნახველში დიდ ინტერესს აღძრავს.

მხატვრული სახე: გზისპირა ობიექტები წარმოადგენენ პეიზაჟის შემადგენელ ნაწილს, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გარემო კონტექსტი და შორიდან ვიზუალური აღქმის ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Service Station Herverlee / ABSCIS Architecten,
https://www.archdaily.com/304013/service-station-herverlee-abscis-architecten

2.United Oil Gasoline Station / Kanner Architecthttps://www.archdaily.com/36062/united-oil-gasoline-station-kanner-architect

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია, თბილისი - ბათუმის ავტომაგისტრალის მიმდებარედ არსებული ნაგებობები არქიტექტურულ - მხატვრული კუთხით. საკითხის აქტუალურობა განპირობებულია საავტომობილო ტურიზმის განვითარებით მთელს მსოფლიოში. ანალიზმა დაგვანახა, რომ დღევანდელ დღეს არსებული იფრასტრუქტურა გამონაკლისების გარდა, არადამაკმაყოფილებელია, რაც განპირობებულია მთელი რიგი პრობლემებით.

არსებული უცხოური გამოცდილების ანალიზით დასტურდება, რომ გზისპირა ობიექტის არქიტექტურულ - მხატვრული სახე ასახავს ფუნქციურ დანიშნულებას და აზრობრივ შინაარსს. არქიტექტურულ მხატვრული სახე კი წარმოადგენს ინფორმაციულ - ვიზუალურ საკომუნიკაციო ველს ადამიანსა და არქიტექტურულ გარემოს შორის.

მთავარი პრობლემა რაც ხელს უშლის გამართული ინფრასტრუქტურის განვითარებას კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობაა. ინფრასტრუქტურული ობიექტები ძირითადათ წარმოადგენენ კერძო საკუთრებას, მფლობელებისთვის იგი უშალოდ დაკავშირებულია მცირე წარმოებასთან. ამდენად ობიექტების არქიტექტურულ - მხატვრული სახე, რაოდენობა და ფუნქციები, უშუალოდ დამოკიდებულია მფლობელის კომერციულ ინტერესზე, ფინანსურ შესაძლებლობაზე და გემოვნებაზე. გარდა ამისა არ არსებობს არანაირი რეკომენდაციები ან მეთოდური მითითება და რეგულაციები მათი დაპროექტებისთვის. აქედან გამომდინარე მათი არქიტექტურულ - გეგმარებითი გადაწყვეტები თავისუფალია შეზღუდვებისგან. თუმცა დამოკიდებულია მომხმარებელის დაკმაყოფილებაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ „გზისპირა ობიექტები“ „პროგრამული არქიტექტურის“ კატეგორიად მოიაზრება, რომლის მხატვრული სახე არ არის პრიორიტეტული.

დღეს მთელი ყურადრება გადატანილია ახალი ჩქაროსნული ავტობანის კეთილმოწყობაზე, მის მოწესრიგებაზე. აიგო საქართველოში პირველი მრავალფუნქციური გზისპირა ობიექტები „ვისოლი ჯგუფის“ მიერ, რომელმაც შექმნა პრეცენდეტი და წინაპირობები სივრცულ - არქიტექტურული და ფუნქციური განვითარებისთვის. ჩაეყარა საფუძველი ესთეტიკას და კულტურას, თუმცა ხელი

შეუწყო სტანდარტიზაციას. ერთი და იგივე სტრუქტურა გვხვდება ავტობანის გასწვრივ (ორივე მხარეს) საკვანძო ადგილებში და სიმბოლური დატვირთვაც შეითავსა.

კულტურული ფაქტორი უდაოდ სასურველ ფაქტორად გვევლინება. ამ კუთხითაც შეგვიძლია სოკარის ავტოგასამართი სადგური ვახსენოთ. გიგანტური ობობას სკულპტურა შენობის მარჯვენა კუთხეშია მნახველში დიდ ინტერესს აღძრავს.

მხატვრული სახე: გზისპირა ობიექტები წარმოადგენენ ავტომაგისტრალის მიმდებარე გარემო პეიზაჟის ნაწილს, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გარემო კონტექსტი და შორიდან ვიზუალური აღქმის ხარისხი.

Research Existing Facilities of the Nearby Tbilisi - Batumi Highway

Imnadze N.

Shtaadze A.

Resume

In this report, the existing buildings in the vicinity of the Tbilisi-Batumi highway in Georgia are analyzed from an architectural-artistic point of view. The relevance of the issue is due to the development of automobile tourism around the world. The analysis showed us that today's existing infrastructure, with exceptions; it is unsatisfactory due to a number of the problems.

The analysis of the existing foreign experience proves that the architectural-artistic appearance of the roadside facility reflects the functional purpose and meaningful content. The architectural artistic face represents an information-visual communication field between a person and the architectural environment.

The main problem that prevents the development of proper infrastructure is the economic situation of a particular region: infrastructural facilities are mainly private property, for the owners it is inextricably linked with a small production. Thus, the architectural-artistic face, quantity and functions of the objects directly depend on the commercial interest, financial capacity and taste of the owner. In addition, there are no recommendations or methodological guidelines and regulations for their design. Therefore, their architectural-planning solutions are free of limitations. However, it depends on the

customer's satisfaction. It is widely believed that "roadside objects" are considered a category of "software architecture" whose artistic appearance is not a priority.

Today, all attention is focused on the improvement of the new high-speed highway and its arrangement. The first multifunctional roadside facilities in Georgia were built by "Visoli Group", which created a precedent and preconditions for spatial-architectural and functional development. It laid the foundations for aesthetics and culture, but also promoted standardization. The same structure is found along the freeway (on both sides) at key locations and has also incorporated a symbolic load.

The cultural factor appears to be an undeniably desirable factor. In this regard, we can mention the Sokar gas station. The sculpture of a giant spider on the right corner of the building arouses great interest in the visitor.

Artistic appearance: roadside objects are part of the surrounding landscape of the highway, therefore the environmental context and the quality of visual perception from a distance are important.

„თბილისური ეზოიანი“ სახლების ინოვაციური მოდელის როლი რეგულირების ზონის ქალაქგეგმარებით ქსოვილში

მელქაძე მ.

აქტუალობა

დღევანდელი სამყაროს ძირითადი მახასიათებელია **სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის უნივერსალიზაცია** და ბრგვილი, ერთნიშნა ენაწყობით, ყველგან მყოფობა, განცხადებული უკვე ყავლგასული ტერმინით **მდგრადი.** შედეგად ე.წ. **მდგრადი,** არა მხოლოდ, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროშია მოკალათებული, არამედ ხუროთმოძღვართა სამყაროში **მდგრადი არქიტექტურის** ტერმინითგვახსენებს თავს.

სხვა ტერმინი, როგორიც არის **ჰიპერურბანიზაცია** თავისი რეალური არსით, ანგრევს კაცობრიობისა და კონკრეტულად ერთი უბრალო ადამიანის მყუდრო საყაროს, სადაც მშვიდობისა და სიმშვიდის, ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიზაციის ოაზისი თვალსა და ხელს შორის, როგორც საცერში ქვიშა ქრება.

რატომ ვსაუბრობ ამაზე? იმიტომ რომ, მაღლივი შენობების თემა ყველა შინაარსის, კონკრეტულად კი ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბების სტრუქტურულ სისტემებაში მუდმივ მოთამაშედ იქცა. რატომ? ამ კითხვას მრავალი პასუხი გააჩნია, მათ შორის სიმჭიდროვის გაზრდა, ეკონომიკური სარგებელი, მსხვილ ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მიგრაციის პორბლემის მარტივი გადაწყვეტა და ა.შ. ამის კარგი მაგალითია ჩინეთი.

განსჯა

ამ პრობლემაზე მუშაობა თქვენმა მონა-მორჩილმა დიდი ხნის წინ დაიწყო. საკითხის დაყენება რამდენჯერმე მოხდა ჩემს მიერ და ფუნდამენტალური სახე მიიღო ჩემს დისერტაციაში „ახალი საცხოვრისი თანამედროვე ქალაქგეგმარებით კონტესტში“ (2009წ.), სადაც ორი პრობლემა იყო ქვაკუთხედის თავში მოქცეული: 1. ქალაქში ჯანსაღი გარემოს შექმნა 2. ქალაქის ისტორიულ ზონებში ძველი და ახალი განაშენიანების ჰარმონიზაცია.

პირველი პრობლემა ეხება ჰავის, ოროგრაფიული და მზის განბნეული რადიაციის ბიოკლიმატურ ანალიზს, როგორც ფორმაშემქმნელ და

ქალაქმაფორმირებელ ვექტორებს. მეორე პორბლემა ეხება ქალაქის ისტორიულ ზონებში ძველი და ახალი ნაგებობების ჰარმონიულად შერწყმის საკითხს, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას არქიტექტურის ძეგლების გადარჩენისათვის.

კვლევა და პრაქტიკული განხორციელების მეთოდები 2010 წლიდან ამ საკითხების გადაწყვეტის პერიოდულად დავიწყე, რასაც მივეცი ჩემი პედაგოგიური სახელმძღვანელო კურსებისათვის ექსპერიმენტული ლაბორატორიის სახელდებით

„ თვითშექმნა-არარქიტექტურა“.

ექსპერიმენტების ეტაპებია:

1. 2010 -„განაშენინება ვერეს ხეობაში“;



სურ. 1

ზემომოყვანილ პროექტში გამოყენებულია ლე კორბუზიეს „მარსელის სახლის“ პრინციპზე დაყრდნობით შექმნილი ე.წ. დუპლექს-ტრიპლექსის პრინციპი განცხადებული წერტილოვან ხიდი სახლების სახით.

2. 2012 – 2015 „ ზემო ვერეს საცხოვრებელი უბნის განაშენიანება“

აქ წარმოდგენილია იგივე, წერტილოვანი დუპლექს-ტრიპლექსის ტიპის განაშენიანება კაკაბაძის, მაყაშვილისა და ბარნოვის ქუჩებს შორის კვარტალში .



სურ. 2

3. 2019-2020- 2022 წწ. - „რთული რელიეფის მქონე დასავლეთ ორიენტაციის ფერდის კერძო განაშენიანება“



სურ. 3

ამ განაშენიანებაში შექმნილია მოდულური სისტემა, რომელიც საცხოვრებელ გარემოს იცავს დასავლეთ ორიენტაციის მზის აგრესიული სითბური და რადიაციული გამოსხივებისაგან.

4. 2023 წწ. –„რეგულირების ზონაში (ჭავჭავაძის გამზირი, აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ქუჩები) მოდერნული მოდულის როლი, როგორც ფორმა შემქმნელი და ქალაქმაფორმირებელი ფაქტორისა“.



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

აქ შექმნილია გეგმარებითი სისტემა , სადაც დუპლექსის სახით იქმნება ე.წ. „სამეზობლოები“.

სურ. 7

5. დავით აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ქუჩების (რეგულირების ზონა) კვარტალური განაშენიანების მოდერნული მოდულური სისტემა დაფუძნებული ე.წ. თბილისური ეზოების პრინციპზე.



სურ. 8

დასკვნა

ჩემი კვლევით პრაქტიკული მასალა, ჩასმული დროით სისტემატიზაციაში, ოროგრაფიულ-ბიოკლიმატურ კვლევებზე დაყრდნობით, ქმნის ნათელ სურათს: 1. თბილისში არის ტერიტორიები, ლანდშაპტური და რეგულირების ზონის ფარგლებში, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დუპლექს-ტრიპლექსების, წერტილოვან-ჰორიზონტალური სისტემა-სტრუქტურები, მწვანე არქიტექტურის ტექნოლოგიების გამოყენებით; 2. თბილისის რეგულირების ზონებში: აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორია, ჭავჭავაძის გამზირის ე.წ. საერთო საცხოვრებლის ტერიტორია, არის არეალები, სადაც უპრიანია შეიქმნას „თბილისური ეზოების“ მოდერნიზებული მოდულური სისტემა დუპლექსების ტიპისა ე.წ. სამეზობლოების შექმნით. ხაზს უსმავთ, რომ ყველა შემოთავაზებული საცხოვრებლის მოდელები არის, როგორც ქალაქმაფორმირებელი ისე ფორმაშემქმნელი ფაქტორები.

რეზიუმე

დღევანდელი სამყაროს ძირითადი მახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის უნივერსალიზაცია და ბრგვილი, ერთნიშნა ენაწყობით, ყველგანყოფობა განცხადებული უკვე ყავლგასული ტერმინით მდგრადი. შედეგად ე.წ. მდგრადი, არა მხოლოდ, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროშია მოკალათბული, არამედ ხუროთმოძღვართა სამყაროში მდგრადი არქიტექტურის ტერმინით გვახსენებს თავს.

სხვა ტერმინი, როგორიცაა ჰიპერურბანიზაცია, თავისი რეალური არსით, ანგრევს კაცობრიობისა და კონკრეტულად ერთი უბრალო ადამიანის მყუდრო სამყაროს, სადაც მშვიდობისა და სიმშვიდის, ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიზაციის ოაზისი თვალსა და ხელს, როგორც საცერში ქვიშა ქრება.

რატომ ვსაუბრობ ამაზე? იმიტომ, რომ მაღლივი შენობების თემა ყველა შინაარსის, კონკრეტულად კი ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბების სტრუქტურულ სისტემებაში მუდმივ მოთამაშედ იქცა. რატომ? ამ კითხვას მრავალი პასუხი გააჩნია, მათ შორის სიმჭიდროვის გაზრდა, ეკონომიკური სარგებელი, მსხვილ ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მიგრაციის პორბლემის მარტივი გადაწყვეტა და ა.შ. ამის კარგი მაგალთია ჩინეთი.

The Role of Innovative Model of “Tbilisi Courtyard” Houses in Urban Plannig of the Regulation Zone

Melkadze M.

Resume

The main characteristic of today's world is the universalization of socio-economic status and “mumbling”, a single-digit arrangement, ubiquity of what is called the antiquated term "sustainable". Finally, the so-called Sustainable is not only embedded in all spheres of human activity, but in the world of architects, it reminds us of the term sustainable architecture.

I would like to discussthe term hyperurbanization.With its real essence, it destroys the cozy space of humanity and specifically one common man, where the oasis of peace and tranquility, harmony with the natural environment disappears between the eyes and the hand like the sand in the sieve.

Why am I talking about this? Because the topic of high-rise buildings has become a constant player in the structural systems of all content, specifically in the formation of the human living environment.

And why? There are many answers to this question, including increasing density, economic benefits, easy solution to the problem of migration of rural population to big cities, etc. China is a good example of this.

I started working on this problem a long time ago. I raised this issue many times and finally discussed it fundamentally in my dissertation: "New housing in the context of modern urban planning" (2009).

Two problems were at the head of the cornerstone: 1.. creating a healthy environment in the city and 2. harmonizing old and new development in the historical areas of the city.

The first problem concerns bioclimatic analysis of climate, orographic and scattered solar radiation,as form-creating and city-forming vectors.

The second problem refers to the harmonious combination of old and new buildings in the historical areas of the city, which is a necessary condition for the preservation of architectural monuments.

Since 2010, I have started working periodically on solving these issues. I called it an Experimental Laboratory and I have been actively usingthem for my pedagogical manual courses"Self creation-architecture".

There are given stages of experiments:

1.2010 "Construction in Vere Valley";

2.2012 - 2015 "Development of Zemo Vere residential area";

3. 2019-2020-2022 "Private development of a western-oriented slope with difficult terrain";

4. 2023 "The role of the modern module in the regulation zone (Chavcvadze Ave., streets adjacent to Agmashenebeli Ave.) as a form-creator and city-shaping factor."

თანამედროვე სამუზეუმო არქიტექტურის ესთეტიკა

მუჯირი ვ.

პროფესორი

ენდელაძე ნ.

დოქტორანტი

მთელ მსოფლიოში მიმოფანტული გუგენჰაიმის მუზეუმები თანამედროვე არქიტექტურის არაჩვეულებრივი მაგალითია. ამ მუზეუმების არქიტექტურის ესთეტიკა სრულად გამოხატავს მე-20 საუკუნის სულს. ეს მუზეუმები თანამედროვეა ყველაფერში - როგორც არქიტექტურული იერსახით, ასევე მათში დაცული კოლექციების კონცეპციით. ამჟამად მათ მართავს სოლომონ გუგენჰაიმის ფონდი, რომელიც დაარსდა 1937 წელს და თავიდანვე მიზნად დაისახა შეეგროვებინა, შეენარჩუნებინა და წარმოედგინა თანამედროვე ხელოვნება და კულტურა.



სურ. 1

ფონდის კოლექციის ისტორია კი 1919 წელს დაიწყო, როდესაც ორმოცდათვრამეტი წლის მაგნატმა სოლომონ გუგენჰაიმმა გადაწყვიტა დაეტოვებინა სუპერ მომგებიანი ბიზნესი და სერიოზულად დაკავდა თანამედროვე ხელოვნების შეგროვებით. მისი მრჩეველი იყო აბსტრაქციონისტი მხატვარი, ბარონესა ჰილა ფონ რიბაი, რომელმაც მოახერხა გუგენჰაიმის "მოქცევა" ახალ რწმენაზე და უკვე ხანში შესულმა მაგნატმა არა მხოლოდ შეძლო მე-20 საუკუნის დასაწყისში ფერწერის განვითარების და ევოლუციის გააზრება, არამედ გახდა მისი აქტიური პროპაგანდისტი და მუზეუმის დამფუძნებელი.

სურ. 2

მოგვიანებით კოლექციის გამდიდრებაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შემქმნელმა ნიუ-იორკში (MoMA) ალფრედ ბარმა. ამ ადამიანების ძალისხმევით კოლექცია რამდენიმე წლის შემდეგ იმდენად გაიზარდა, რომ საჭირო გახდა მუზეუმის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დიდი კოლექციის ნივთების შენახვა და მათი გამოფენა.

დღეს გუგენჰაიმის კოლექცია მოიცავს ხელოვნების უამრავ ნამუშევარს, რომელიც თარიღდება მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე. გუგენჰაიმის ფონდი აერთიანებს მუზეუმების საერთაშორისო ქსელს, მათ შორის - გუგენჰაიმის მუზეუმი ნიუ-იორკში, გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში (ესპანეთი), პეგიგუგენჰაიმის კოლექცია ვენეციაში და Deutsche Guggenheim ბერლინში. მათგან ყველაზე ძველი და, რათქმაუნდა, ყველაზე გამორჩეული, არის ნიუ-იორკის გუგენჰაიმის მუზეუმი.

სწორედ სოლომონ გუგენჰაიმის ფონდმა და მის საფუძველზე შექმნილმა მუზეუმმა მოუტანა გუგენჰაიმების გვარს მსოფლიო აღიარება.

მუზეუმის აშენების იდეა არა ერთი წელი მწიფდებოდა. სოლომონ გუგენჰაიმის მეუღლე, ირინე როტშილდი იყო ის, ვინც მასთან ერთად განიხილავდა მომავალი მუზეუმის იდეას და შესთავაზა ფრენკ ლოიდ რაიტს ჩართვა პროექტის შემუშავებაში, რომელსაც თვლიდა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტორად,

ფრენკ ლოიდ რაიტის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვეტილება მუზეუმის ადგილმდებარეობის შესახებ სოლომონ გუგენჰაიმმა ერთპიროვნულად მიიღო. ნიუ-იორკში არის ადგილი – Museum Mile, სადაც ათმა ცნობილმა მუზეუმმა მოიყარა თავი და სწორედ აქ სურდა სოლომონს თავისი მუზეუმის აშენება. მუზეუმი

1943-1946 წლებში იყო დაპროექტებული, მშენებლობა გაგრძელდა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში (1956-1959).

მუზეუმი გაიხსნა 1959 წლის 21 ოქტომბერს, ფრენკ ლოიდ რაიტის გარდაცვალებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ. 1992 წელს კი მას ახალი ფრთა შეემატა, მათ შორის დამატებითი საგამოფენო სივრცეები და საოფისე ფართის ორი სართული (ეს ასევე უზრუნველყო რაიტმა).

სურ. 3

სოლომონ გუგენჰაიმის გარდაცვალების შემდეგ, ინტრიგების წყალობით, ოჯახმა გარიცხა ბარონესა ჰილა რიბაი დირექტორთა საბჭოდან. ის არც კი მიიწვიეს მუზეუმის გახსნაზე, რომელიც რეალურად მისი შექმნილი იყო. ბედის ირონიით, არც ბარონესას, არც სოლომონ გუგენჰაიმს და არც ფრენკ ლოიდ რაიტს არასოდეს გადაულახიათ მუზეუმის ზღურბლი, ისინი გარდაიცვალნენ მის გახსნამდე.

მომრგვალებული ფორმის ქათქათა თეთრი შენობა წააგავს შებრუნებულ სპირალს, მისი შიდა სივრცე წარმოადგენს 400 მეტრის სიგრძის ატრიუმს, რომელიც გარშემორტყმულია უწყვეტი პანდუსით. ატრიუმიდან დამთვალიერებლები ლიფტით ადიან ბოლო სართულზე, შემდეგ კი, პანდუსებზე ჩასვლისას, ათვალიერებენ ექსპონატებს. ამავდროულად, ინტერიერის ღია მოცულობებმა შესაძლებელი გახადა ერთდროულად რამდენიმე დონის დათვალიერება. თავად როტონდა, რომელიც შედგება 6 სართულისგან, გვირგვინდება მინის გუმბათით, რომელიც უზრუნველყოფს დღის განათებას. გუგენჰაიმის მუზეუმი გახდა ჩვენი დროის პირველი არქიტექტურული ობიექტი, სადაც მოხდა სპირალური ფორმის ასეთი მასშტაბით გამოყენება. შუა საუკუნეებში დიდი ატრიუმის მსგავსი იდეა იყო გამოყენებული მხოლოდ ვატიკანში ბრამანტის კიბეების აგებისას. როტონდის შიდა კედლები 97 გრადუსით იყო დახრილი გარეთ. რაიტს სურდა კედლებს მოლბერტის

დახრილობა გაემეორებინათ, მან წარმოიდგინა კედელზე მიყრდნობილი სურათები დაკიდების ნაცვლად. რაიტმა ასევე გალერეებში დაამონტაჟა ფანჯრები ნამუშევრების ბუნებრივად გასანათებლად. რაიტის შემოქმედება იმდენად უსწრებდა თავის დროს, რომ მან გამოიწვია აქტიური უარყოფა საზოგადოებაში.

ტრიუმფი და ნიუ-იორკის არქიტექტურულ კერპად ქცევა გაცილებით გვიან მოხდა, როგორც დიდი ტრიუმვირატის ღვაწლის აღიარება, რომელმაც მოახერხა შეექმნა და ეჩუქებინა მსოფლიოსთვის კიდევ ერთი სასწაული.

2019 წელს იუნესკოს სპეციალურმა კომისიამ რაიტის არქიტექტურული შედევრი იუნესკოს სიაში შეიყვანა.

სურ. 4

სოლომონის ძმისშვილმა პეგი გუგენჰაიმმა (მარგარიტა, მეგი, მოგვიანებით "პეგი") მუზეუმი 1951 წელს ვენეციაში, დიდ არხზე Palazzo Venier dei Leoni საზოგადოებისთვის გახსნა და მოიწვია მნახველები, მისი კოლექციის სანახავად.

პეგი, გასული საუკუნის 1920-იანი წლების პარიზში აღმოჩნდა, რომელიც ნიჭიერი მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების კულტურული ცენტრი იყო. სწორედ ამ პერიოდში პეგიმ გაიცნო ამერიკელი მხატვარი მარსელ დიუშანი, რომელმაც მას გააცნო ხელოვანები, და „გაუღო კარი“ მოდერნიზმის სამყაროში. პეგიმ დაიწყო კოლექციის შექმნა, და მას აღმოაჩნდა იშვიათი ნიჭი - ინტუიცია, რომელიც ეხმარება პერსპექტიული ნამუშევრების არჩევაში. ამრიგად, გუგენჰაიმის კოლექციამ დაიწყო შევსება მხატვრების ნამუშევრებით, რომლებიც განწირული იყვნენ მომავალში აღიარებისთვის.

1942 წელს პეგი გუგენჰაიმმა და მისმა მეორე მეუღლემ, ცნობილმა მოქანდაკემ მაკს ერნსტმა გახსნეს გალერეა Art of This Century ნიუ იორკში, რომელიც მალე გადაიქცა "ევროპული ავანგარდის ამერიკულ ფორპოსტად" და გახდა ორი კონტინენტის ხელოვანთა დაკავშირების ადგილი - ავანგარდის ცენტრი.

სურ. 5

1948 წელს პეგი ვანეციაში, დიდ არხზე ყიდულობს Palazzo Venier dei Leoni-ს, რომელიც მალე მის ჭეშმარიტ სახლად იქცა. პეგი გუგენჰაიმმა ის საზოგადოებისთვის გახსნა 1951 წელს. ამ მუზეუმის წყალობით პეგი გადაიქცა გუგენჰაიმის ოჯახის ყველაზე ცნობილ წარმომადგენელად.

1979 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ შენობა აღადგინეს და ის გადაეცა სოლომონ გუგენჰაიმის ფონდის მენეჯმენტს, როგორც ვენეციური მუზეუმი. მის კოლექციაში შედის 326 ნამუშევარი ისეთი ოსტატებისა, როგორებიც არიან პაბლო პიკასო, ჯოან მირო, პოლ კლეე, სალვადორ დალი და მე-20 საუკუნის სხვა ვარსკვლავები. ასე გუგენჰაიმის ფონდმა მიიღო თავისი პირველი ფილიალი, სახელწოდებით "პეგი გუგენჰაიმის კოლექცია".

1988 წელს, თომას კრენცი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროფესიონალი მუზეუმების მენეჯმენტში, სათავეში ჩაუდგა სოლომონ გუგენჰაიმის ფონდს. მან, თავისი 20 წლიანი მუშაობის მანძილზე, მოახერხა მსოფლიო მუზეუმების სრულყოფილი ქსელის ორგანიზება და შექმნა. მისი პირველი ნაბიჯი მუზეუმის ფილიალებისა და განყოფილებების ორგანიზებაში 1992 წელს იყო გუგენჰაიმის მუზეუმის შექმნა სოჰოში, ნიუ იორკში, რომელიც გაიხსნა მანჰეტენის სოჰოს რაიონში. თუმცა, 2002 წელს მუზეუმმა შეწყვიტა არსებობა.

სურ. 6

შემდეგი ნაბიჯი თომას კრენცმა გადადგა ბილბაოში. ბასკური ქვეყანა, სადაც მშენებლობა იყო ჩაფიქრებული, მდებარეობს მთავარი ტურისტული მარშრუტებიდან შორს. 80-იანი წლების ბოლოს, წარმოების შემცირების პირობებში, განსაკუთრებით მწვავე გახდა ქალაქის ეკონომიკის აღორძინების პრობლემა ტურისტების მოზიდვით და გამოსავლის ძიებაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ გუგენჰაიმის ფონდს მიმართა. ის, თავის მხრივ, ეძებდა შესაფერის ქალაქს ევროპაში სამუზეუმო ფონდის განვითარებისთვის. და თომას კრენცი, ტრადიციის მიხედვით, კვლავ იწვევს ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორს - ფრენკ გერის. გერი ყოველთვის ეუბნებოდა თავის კლიენტებს: „არ მესმის, რატომ ქირაობენ ადამიანები არქიტექტორს და მერე ეუბნებიან რა უნდა გააკეთოს“. კრენცს არაფერი დაუკონკრეტებია, მან უბრალოდ გაიმეორა ის, რაც ერთხელ ჰილა ფონ რებაიმ უთხრა რაიტს: „უნდა ააშენო მუზეუმი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ ექნება“.ქალაქი მზად იყო გაეღო მშენებლობისთვის საჭირო ყველა ხარჯი, სამწელიწადნახევარში მუზეუმი აშენდა და 1997 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმის სახელით. პროექტმა ბილბაოში ფრენკ გერის დიდი ხნის ოცნება აუხდინა - მას უნდოდა შეექმნა შენობა, რომელშიც განთავსდებოდა ხელოვნების ნიმუშები და ამავდროულად თავადაც ხელოვნების ნიმუში იქნებოდა.

ამ პროექტში გერი მიმართავს ქალაქის გარემოს კონტექსტს, რომელიც არის მისთვის საკვანძო მომენტი, მან არ გადაუხვია დეკონსტრუქტივიზმის საყვარელ სტილს, რომელშიც შენობა, მშენებლობის ყველა აკადემიური წესის დარღვევით, ქმნის ულტრა-თანამედროვე მოცულობითი და ტალღოვანი სილუეტი, თითქოს იმეორებს ბუნებას და მიმდებარე ბორცვებისა და მდინარეების სიმრუდეს. შენობის სკულპტურული ფორმა აშკარად ახდენს ფუტურისტული კომპოზიციური იდეების რეალიზაციას და აღმოცენდება ზევიდან განათებული ცენტრალური ატრიუმიდან. შენობის იდეას აქვს აშკარა მსგავსება ბოჩონის ქანდაკებებთან, ნამუშევართან, რომელიც წარმოადგენს სივრცეში მბრუნავ ბოთლს. ატრიუმის უპრეცედენტო მასშტაბი, რომელიც 50 მეტრს აღემატება, განსაზღვრავს ქალაქის ახალ დომინანტს. სვეტებისგან თავისუფალი შიდა სივრცე უზრუნველყოფს ნებისმიერი დონის თანამედროვე ინსტალაციების ჩატარებას, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივ მუზეუმებში. უნიკალური კომპიუტერული ტექნოლოგიები, გამოყენებული ამ პროექტის შექმნისას, ასევე გახდა ახალი ნაბიჯი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებაში, რაც უზრუნველყოფს პროექტირების თავისუფლებას. ამ შენობის ფორმა დამუშავებული იყო მოცულობით მოდელებში, რომლებიც სკანირებულ იქნა სპეციალური გამზომი ხელსაწყოებით, რომლებსაც იყენებენ ლაზერულ ქირურგიაში.

შემდეგ ეს მოდელი ტრანსფორმირებულ იქნა კონსტრუქციულ კარკასში, პროგრამული პროდუქტის CATIA დახმარებით, რომელიც შექმნილი იყო კოსმოსური მრეწველობისთვის. ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით შენობის კონსტრუქცია და მასალის ხარჯვა აბსოლუტურად ზუსტად იყო გათვლილი და ასევე კლასიფიცირებული იყო ყველა მისი ელემენტი გეომეტრიული ფორმის მიხედვით.

სურ. 7

ორაზროვანია მუზეუმის შიდა სივრცეც: იგი შედგება ათი კლასიკური მართკუთხა ოთახისა და ცხრა ოთახისგან მოულოდნელი ფორმის კედლებით, იატაკით დაჭერით. ინტერიერის დეკონსტრუქტივიზმი წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ხელოვნების გამოფენებისთვის - მუზეუმის ექსპოზიციების უმეტესობა სკულპტურული ვიდეო ინსტალაციებია, ხოლო ამერიკელი მოქანდაკის რიჩარდ სერას კომპოზიცია "დროის საკითხი", რომელსაც უკავია ყველაზე დიდი საგამოფენო დარბაზი, მთავარი და მუზეუმის ერთადერთი მუდმივი ექსპოზიცია გახდა. შესასვლელთან სტუმრებს ხვდება უზარმაზარი, თითქოს ქალაქის გერბიდან ჩამოსული ლეკვი - ყვავილებისგან დამზადებული ლეკვი (მოქანდაკე ჯეფ კუნსი). ისევე როგორც Spider Maman (მოქანდაკე ლუიზ ბურჟუა), უზარმაზარი ტიტები და მრავალი სხვა. ასე გარდაიქმნა ქალაქის ძველი ინდუსტრიულიზონა.

ახალი მუზეუმის ეკონომიკურმა მნიშვნელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მუშაობის პირველ სამ წელიწადში მან ქალაქში 4 მილიონი ტურისტი მიიზიდა, რამაც ქალაქს დაახლოებით 500 მილიონი ევრო მოუტანა. ამრიგად, მუზეუმმა სამწლიანი მუშაობის შედეგი გამოიღო და აგრძელებს ქალაქის ხაზინისათვის სტაბილური შემოსავლის მოტანაც გააგრძელა.

სურ. 8

დაახლოებით ამავე დროს, 1997 წელს, ბერლინში გაიხსნა მუზეუმის ფილიალი, სახელად გერმანული გუგენჰაიმი. ფაქტობრივად, ეს იყო პატარა სივრცე Deutsche Bank-ის ფილიალის პირველ სართულზე ბერლინის Unter den Linden ბულვარზე, რომელშიც წელიწადში 4-ჯერ ერთობლივად იმართებოდა ხელოვნების თემატური გამოფენები. ეს შესაძლებელი გახდა, რადგან ეს ბანკი მე-20 საუკუნის დასაწყისის მხატვრების ნამუშევრების უდიდესი კორპორატიული კოლექციის მფლობელია. გარდა ამისა, გერმანულ მხარეს ასევე უნდა მოეწყო წელიწადში ერთხელ პროგრესული ახალგაზრდა გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, რომლის მიზანი იყო საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენა გუგენჰაიმის მუზეუმის კოლექციის შესავსებად. თუმცა, 2013 წლისთვის ეს თანამეგობრობა შეწყდა.

სურ. 9

2001 წელს თომას კრენცი კიდევ ერთხელ ცდილობს უცხოურ მუზეუმებთან თანამშრომლობას, ამჯერად რუსულ ერმიტაჟთან. ერთობლივი გამოფენა იხსნება

სახელწოდებით „შედევრები და კოლექციონერები“. ერმიტაჟი წარმოდგენილი იყო ნახატებით შჩუკინ-მოროზოვის პოსტიმპრესიონისტების კოლექციიდან, ხოლო გუგენჰაიმი - ადრეული მოდერნისტების ნამუშევრებით საკუთარი ფონდებიდან. ექსპოზიცია ლას-ვეგასში, ვენეციური სასტუმროს პირველ სართულზე მოეწყო. „ლას-ვეგასში მუზეუმის გახსნით ჩვენ ხელოვნებას მივიტანთ იქ, სადაც მას ეყოლება აუდიტორია“, - თქვა თომას კრენცმა მუზეუმის გახსნაზე. საგამოფენო დარბაზი ცნობილმა ჰოლანდიელმა არქიტექტორმა **რემ კულჰაასმა** დააპროექტა.

ამავე სასტუმრომ ერთდროულად მოაწყო კიდევ ერთი ექსპოზიცია, სახელწოდებით გუგენჰაიმის მუზეუმი ლას-ვეგასი.. ექსპოზიციის დიზაინერად მოწვეული იყო არქიტექტორი **ფრენკ გერი.**

ერმიტაჟ-გუგენჰაიმის მუზეუმი წარმატებით იმუშავებს ვეგასში, 2008 წელს მის დახურვამდე. შვიდწლიანი ფუნქციონირების შემდეგ ერმიტაჟის ლას-ვეგასის ფილიალი „შეიკვეცება“ და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყველა საქმიანობა ვილნიუსში გადაინაცვლებს. ვილნიუსში ახალი სამუზეუმო ცენტრის შექმნის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო 2006 წლის შემოდგომაზე. ვილნიუსში ჩატარდა არქიტექტურული კონკურსი და გამოფენა „მომავლის ხედვა: არქიტექტურული წინადადებები ვილნიუსში ახალი მუზეუმისთვის“, სადაც ჯილდოს მფლობელი ავტორების **დანიელ ლიბესკინდის, ზაჰა ჰადიდის** და **მასიმილიანო ფუქსასის** პროექტები იყო წარმოდგენილი.

სურ. 10

კონკურსის გამარჯვებული, ზაჰა ჰადიდი, საერთაშორისო ჟიურის წევრებმა გამოავლინეს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა გუგენჰაიმის კიდევ ერთ მუზეუმთან ჯერ კიდევ წინ არის. ფაქტია, რომ არაბეთის გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტმა და აბუ დაბის ემირმა შეიხ ხალიფა იბნ ზაიდ ალ-ნაჰიანმა გადაწყვიტეს თავისი ქალაქი გადაექციათ ქვეყნის კულტურულ დედაქალაქად,

ამისთვის ქალაქთან ახლოს აშენდა საადიიატის კუნძული, სადაც გოლფის მოედნების, პრესტიჟული

სურ. 11

სასტუმროებისა და პრესტიჟული ვილების გარდა, ტერიტორიის ნაწილი გამოიყო საკონცერტო და საგამოფენო დარბაზებისთვის, თანამედროვე გალერეებისთვის, მუზეუმებისთვის და სხვა კულტურული ობიექტებისთვის. ეს კომპლექსი უნდა მოიცავდეს არაბეთის გაერთიანებულ საემიროების ეროვნულ მუზეუმს, ფუტურისტული საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრს, საზღვაო მუზეუმს, ასევე ლუვრისა და სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმის ფილიალებსა და ოფისებს. ამავე დროს, გუგენჰაიმი უნდა გახდეს პირველი სერიოზული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი არაბულ სამყაროში, რომლის მოცულობა 12-ჯერ აღემატება ნიუ-იორკის მუზეუმს. რომელ არქიტექტორს შეუძლია გაუმკლავდეს ასეთ ამოცანას? მხოლოდ თავად **ფრენკ გერის**. 2009 წელს მას 80 წელი შეუსრულდა. თუმცა, მან ენთუზიაზმით აიღო ეს პროექტი, გუგენჰაიმის აბუ დაბის მუზეუმი. საადიიატის კულტურული უბნის გულში მდებარე მუზეუმი იქნება არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა, რომელიც შთაგონებულია არაბეთის გაერთიანებული საემიროების და რეგიონის ხალხური არქიტექტურით.გერის ჩანაფიქრით, შენობა თავისი ფუტურისტული იერსახით კუბისტების ნახატებს უნდა დაემსგავსოს. ამ ეფექტს გერი აღწევს დაშლილი მოცულობებით და ტეხილი ზედაპირების კომბინაციებით. ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება , რომ გიგანტური კონუსური ფორმები ამშვენებენ უზარმაზარ პარალელეპიპედებს, ქარის კოშკებისა და ბედუინის კარვების ფრაგმენტების გამოყენებით. ასეთმა უნიკალურმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ორი სრულიად განსხვავებული კულტურის გაერთიანება, მათი ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმა. მუზეუმის კედლები

აიგება სხვადასხვა ტონალობის ქვებისგან. საერთო ჯამში, მუზეუმს ექნება ცენტრალური გალერეების ოთხი დონე, და კიდევ ორი გვერდზე მდგომი, რომელთა გასანათებლად გამოყენებულია ბუნებრივი სინათლე. შთაგონებული ადგილობრივი არაბული არქიტექტურით, კერძოდ ქარის კოშკებით, ფრენკ გერი ამბობს: „კონუსური ფორმები გამოიყენება მუზეუმში შესასვლელად და შემდეგ თითქოს ქრება უდაბნოში... ეს

სურ. 12

იქნება ადგილი მრავალი, მრავალი თაობისთვის. ”იმედია, მისი წინასწარმეტყველება ახდება“.

გუგენჰაიმის მუზეუმების უდიდესი მიღწევა არის სწორედ მათი არქიტექტურული იერსახე, რომელიც არათუ არ ძველდება, არამედ ყოველწლიურად უფრო და უფრო

აქტუალური და მოთხოვნადი ხდება.

გუგენჰაიმის მუზეუმები არის თანამედროვე არქიტექტურის შედევრები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო არქიტექტურის განვითარებაზე და მათმა გენიალურმა ავტორებმა განსაზღვრეს დონე, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს მსოფლიოს ყველა არქიტექტორი.

სახელი გუგენჰაიმი, ყველა კონტინენტზე გადაიქცა თანამედროვე ხელოვნების ერთგვარ ბრენდად და სიმბოლოდ, ხოლო გუგენჰაიმის მუზეუმის შენობები მე-20 საუკუნის არქიტექტურის არაჩვეულებრივ "ხატებად".

გამოყენებული ლიტერატურა:

https://www.guggenheim.org/artwork/3636

https://royaldesign.ua/ru/novaya-jemchujina-abu-dabi-dolgojdannyiy-muzey-guggenhayma-ot-frenka-geri.bXnxk/

https://www.hisour.com/ru/solomon-r-guggenheim-museum-and-foundation-new-york-united-states-5648/

https://www.guggenheim.org/about-us

https://www.kommersant.ru/doc-rss/1892466

https://www.accessdoorsandpanels.com/blog/museum-architecture-purpose-types-and-design/#:~:text=Understanding%20the%20correlation%20between%20these,will%20navigate%20between%20these%20areas.

https://afisha.life/sekrety-muzeya-guggenhajma-chast-pervaya/

https://www.architime.ru/specarch/frank_lloyd_wright_1/guggenheim_museum.htm#1.jpg

https://lifeglobe.net/entry/1279

რეზიუმე

თანამედროვე სამუზეუმო არქიტექტურის არაჩვეულებრივი მაგალითია მთელ მსოფლიოში მიმოფანტული გუგენჰაიმის მუზეუმები, რომლებსაც ამჟამად მართავსგუგენჰაიმის ფონდი: სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმი ნიუ-იორკში, ვენეციის პეგი გუგენჰაიმის კოლექცია, ბილბაოში გუგენჰაიმის მუზეუმი (ესპანეთი) და Deutsche Guggenheim ბერლინში.

გუგენჰაიმის მუზეუმების არქიტექტურის ესთეტიკა სრულად გამოხატავს მე-20 საუკუნის სულს. ეს მუზეუმები თანამედროვეა ყველაფერში - როგორც არქიტექტურული იერსახით, ასევე მათში დაცული კოლექციების კონცეფციით.

გუგენჰაიმის მუზეუმების უდიდესი მიღწევა არის სწორედ მათი არქიტექტურული იერსახე, რომელიც არათუ არ ძველდება, არამედ ყოველწლიურად უფრო და უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება.

გუგენჰაიმის მუზეუმები თანამედროვე არქიტექტურის შედევრები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო არქიტექტურის განვითარებაზე და მათმა გენიალურმა ავტორებმა განსაზღვრეს დონე, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს მსოფლიოს ყველა არქიტექტორი.

Aesthetics of Modern Museum Architecture

Mujiri V., Endeladze N.

Resume

Extraordinary examples of modern museum architecture are the Guggenheim Museums scattered around the world, which are currently managed by the Guggenheim Foundation: the Solomon Guggenheim Museum in New York, the Peggy Guggenheim Collection in Venice, the Guggenheim Museum in Bilbao (Spain), and the Deutsche Guggenheim in Berlin.

The architectural aesthetics of the Guggenheim Museums fully express the spirit of the 20th century. These museums are modern in everything both in architectural appearance and in the concept of the collections kept in them.

The greatest achievement of the Guggenheim Museums is their architectural appearance, which not only does not become old, but also becomes more and more relevant and in demand every year.

The name - Guggenheim, has now turned into a kind of brand and symbol of modern art on all continents, and the buildings of the Guggenheim Museum into extraordinary "icons" of 20th century architecture.

The Guggenheim Museums are masterpieces of modern architecture, which had a great influence on the development of world architecture, and their genius authors set the level to which all architects in the world should aspire.

Gardens and Tourism, New Challenges Transition and problems

Nahrendorf G.,

Dipl.-Ing.

D-Gerolstein

1. History of German parks and gardens

Parks and gardens have always been important places, not only for the wealthy for pleasure and presentation, but also for citizens to have spaces for recreation and, in some places, for food production. Nowadays, their importance is even more valued. Science has proven that being in a green environment keeps people healthier and helps to reduce stress (Catharine Ward Thompson,2016). Not only the pandemic beginning 2019 has shown the importance of greenery around people environment. In Germany civic engagement is demonstrated through a change in the way one deals with daily life. This has an impact on understanding the environment and on the reality of life.

This paper starts with a brief history of five selected parks to explain why and by whom they were created and the styles they represent.

The selected parks are:

1. Schwetzingen Palace Gardens
2. Botanical Garden, Berlin
3. Fürst-Pückler-Park, Bad Muskau
4. English Garden, Munich
5. Bergpark Wilhelmshöhe, Kassel

Schwetzingen Park

The Schwetzingen Palace Gardens were created in the 18th century and designed by Nicolas de Pigage. They were commissioned by Elector Carl Theodor of Mannheim, who sought to create a magnificent garden surrounding his palace. The gardens were influenced by both French and English styles, with formal elements such as parterres and water features, as well as more naturalistic landscapes.

Botanical Garden, Berlin

The Botanical Garden in Berlin was established in the late 17th century, making it one of the oldest botanical gardens in the world. It was initially created as a medicinal plant garden by the Berlin Academy of Sciences. Over time, the garden expanded and underwent various redesigns. Today, a wide range of plant species from around the world are presented. Furthermore, it serves as a center for scientific research and public education.

Fürst-Pückler-Park, Bad Muskau

The Fürst-Pückler-Park, also known as Muskauer Park, is a cross-border park locatedin both, Germany and Poland. It was created by Prince Hermann von Pückler-Muskau in the 19th century. Pückler-Muskau was a landscape architect and visionary who sought to create a harmonious integration of nature and architecture. The park represents an English landscape style, characterized by sweeping vistas, meandering paths, and the careful integration of architectural structures within the natural landscape.

Pic. 1

English Garden, Munich

In 1789, the English Garden was originally founded as a military garden by a decree of Archduke Carl Theodor. The garden served for the soldiers to impart agricultural skills andas a recreation area.

The public was allowed access. In 1808, the park was handed over to the citizens of(Picture: Stefan Mueller) the city of Munich. With approximately 4 km², the EnglishGarden is considered the world's largest urban park! In 1792, Benjamin Thompson was

appointed Reichsgraf von Rumford. The garden architects Werneck and Sckell took over the design of the park. It was originally called Theodor park, after the name of the (unloved) client Elector Karl Theodor.

Berg park Wilhelmshöhe, Kassel

This park is a UNESCO World Heritage site, combining Baroque and naturalistic elements. It features monumental water displays, including the iconic Hercules monument and cascades, with Wilhelmshöhe Palace at its center. Created in the 18th century by prominent individuals, these parks served various purposes, reflecting their aesthetic sensibilities, and showcasing cultural trends of the time. They represent a blend of styles, from formal French gardens to picturesque English landscapes.

2. Transition into modern times:

In modern times, parks and gardens are perceived and used differently than during the times of their creation. The climate is changing, and the behavior of park visitors is changing as well. Hence a green environment, parks, and gardens play an important role, our green spaces require a transformation. To highlight the diversity of challenges, two German institutions have been selected. Firstly, a facility that emphasizes research and education, and secondly, a large public park. Despite the fact that these twoinstitutions are so different, they still have similar or identical elements:

- Offering various cultural activities
- Converting the parks/gardens into barrier-free places
- Providing space for sport events and activities

In addition, both institutions are seeking funds to carry out the necessary restructuring.This includes fundraising and various events. The two selected institutions are the English Garden in Munich and the Botanical Garden in Berlin.

English Garden, Munich

In principle, they are dealing with two main considerations:

Threat of Climate crisis: These oases are under threat due to climate change. This week, garden directors, researchers, and environmental experts from all over Germany gathered at Nymphenburg Palace to discuss how these treasures can be protected, preserved, and made resilient for the future. Moreover, as a result of climate change, there is an increased amount of deadwood in the tree canopies overall, and trees are infected with the fungus Phytophthora. Suffering from heavy use of the park by numerous users, litter is left behind. Currently, on sunny days, approximately half a ton of waste is generated daily - equivalent to a volume of about three cubic meters. That's as much as fits into a small construction waste container. The heavy usage is affecting the quality of the trees.

On one hand, there is soil compaction. Additionally, sport facilities are being set up between some trees, leading to constrictions of the bark in some cases, and causing damage.

Solution

To save some endangered individual trees, a systemic treatment is applied to the trunks. Experiments with this treatment have been ongoing since 2005, and they have had very positive experiences with it. Deadwood is removed and recycled to make products like charcoal, promoting a circular economy. Mistletoe is removed from the trees to keep them healthy. Nevertheless, some appearance will change, and some significant trees will die.

Botanical Garden, Berlin

Consideration

Being one of the most species-rich botanical gardens in the world, it has a lot of different issues to take care of. Old structures and lack of money for the necessary actions are among the challenges. At the Botanical Garden in Berlin-Dahlem, large amounts of organic waste are generated every year, which has traditionally been disposed through conventional methods.

Solution, example

With €24 million, new energy-efficient standards will be met for the Mediterranean House in preservation and energy-efficient renovation. Funding and Financial Management: Despite financial challenges, the garden seeks funding from various sources, including government grants, private donations, and collaborations with research institutions and corporations. Education and Outreach: Engaging with the public and raising awareness about the importance of botanical gardens, biodiversity, and environmental conservation. Offering educational programs, workshops, and guided tours to promote understanding and appreciation of the plant world. Innovation and Technology: Embracing new technologies and innovative approaches to enhance visitor experiences, increase efficiency, and stay relevant in a rapidly changing world. As part of the Terra BoGa project, the material cycle should be closed by examining organic waste for its utilization, and its reuse in line with the needs of the Botanical Garden should be prepared using biochar technology and environmentally friendly composting.

3. Future outlook

Changes are ubiquitous in culture and society. The greatest danger is stagnation! Gardens and park scan be many things. They can be places of encounter, spaces for education, or places for social interaction and many more. People surrounded by green spaces live healthier lives and cope better with stressful situations. In times of urban gardening, they provide additional space for self-sufficiency close to homes and a better understanding of nature. All of this also supports efforts to reduce CO_2.

4. Challenges for the parks

The change of climate will be one of the most challenging tasks keepers of green spaceshave to deal with. Predictions about the amount of time and money to spend on this transition cannot be precisely estimated proposed. This change will also modify the appearance of the areas. The challenges for parks and gardens are complex but achievable.

Communication with citizens, visitors to parks, and gardens is the most important tool to make the necessary changes clear. Some things may cost more in entry fees after

modifications, and others may undergo significant changes in appearance. The societal value of green spaces must be conveyed clearly. Only then will the transformation be accepted and, thus, be successful.

Some important ones are listed here:

- The green places must remain or become open and accessible to all people.
- There should be no barriers whatsoever to accessing parks and gardens.
- International partnerships can also contribute to positive developments in this area, releasing synergies.
- Staying open-minded is valid for management, staff, and visitors alike.

Keywords:

History of German parks and gardens, Civic engagement, Green environment, Transformation, Urban gardening, Accessibility (barrier Frei), Climate change, Fundraising, Communication, Societal value of greenspaces.

Literature Quellen:

Catharine Ward Thompson: Greenways to health: the links between access to green space and healthy communities, 2016(5theFábos Conference Budapest) https://www.bgbm.org/de/pressemitteilungen,,on8.Aug.-2023

https://www.englischer-garten-muenchen-infos.de/sehenswuerdigkeiten/monopteros- muenchen/

on8.Aug.-2023
https://www.kassel.de/buerger/kunst_und_kultur/parks_und_gaerten/wilhelmshoehe/sehenswertes/herkules.php#kontakt-oeffnungszeiten-eintrittspreise, on8.Aug.-2023

https://www.muenchen.de/sehenswuerdigkeiten/top-sehenswuerdigkeiten/englischer-garten , on8.Aug.-2023
https://www.muskauer-park.de/besuch/#informationen,on8.Aug.-2023

https://www.schloss-schwetzingen.de/,on8.Aug.-2023

https://www.tagesspiegel.de/botanischer-garten-berlin-grossputz-im-glashaus-9379925.html, on8.Aug.-2023

Resume

Parks and gardens hold historical significance, serving not only the affluent for pleasure but also providing recreational and food-producing spaces for citizens. Modern times value green environments for health and stress reduction. Five selected parks from Germany represent various styles, such as Schwetzingen Palace Gardens, Botanical Garden in Berlin, Fürst-Pückler-Park, EnglishGarden in Munich, and Bergpark Wilhelmshöhe in Kassel. These parks have diverse challenges, including climate change and adapting to evolving visitor behaviors. Funding as well as transparent communication are vital for successful transformations. The English Garden in Munich and the Botanical Garden in

Berlin illustrate these challenges. The societal value of green spaces must be conveyed clearly for transformation acceptance.These changes support CO_2 reduction efforts.

Despite diverse challenges, parks offer encounters, education, and space for healthier living, making urban gardening relevant. Open communication and transparent public relations are crucial to overcome these challenges, making the transformation successful.

ბაღები და ტურიზმი ახალი გამოწვევების წინაშე გარდამავალი პერიოდი და არსებული პრობლემები

ნაჰრენდორფი გუდრუნ

ლანდშაფტის არქიტექტორი, გეროლშტაინი, გერმანია

რეზიუმე

პარკები და ბაღები ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგანაც ისინი არა მხოლოდ ფუფუნების საგანს წარმოადგენენ, არამედ სთავაზობენ მოქალაქეებს ჯანმრთელ, სტრესების მომხსნელ გარემოს. სტატიაში განხილული ხუთი პარკის მაგალითიდან ნათლად ჩანს გერმანული ბაღების მრავალფეროვნება. ესენია: Schwetzingen - ის სასახლის პარკები ბერლინში, ბერლინის ბოტანიკური ბაღი, Fürst-Pückler პარკი, ინგლისური ბაღი მიუნჰენში , Bergpark Wilhelmshöhe კასელში.

გერმანია, რომელთა მრავალ გამოწვევას შორის აღსანიშნავია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები, მნახველთა ინტერესები, დაფინანსება და გამჭვირვალობა ურთიერთობებში. ამ პრობლემების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ინგლისური ბაღი მიუნხენში და ბოტანიკური ბაღი ბერლინში ასახავს ამ გამოწვევების მნიშვნელობას. გარდაქმნის პროცესის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული მწვანე სივრცეების სოციალურ ღირებულებებთან. ეს ცვლილებები ხელს უწყობს ჰაერში ნახშირორჟანგის CO_2-ის შემცველობის შემცირებას და გამოხატავს ძალისხმევას ამ მიმარულებით. მიუხედავად ამ გამოწვევებისა არსებული პარკები განაგრძობენ ფუნქციონირებას დაქმნიან შეხვედრების ადგილებს, განათლების სივრცესა და ჯანსაღი ცხოვრების გარემოს, რაც ხელს უწყობს ურბანული მებაღეობის მნიშვნელობის ზრდას.

ხოლო ამ დასმული ამოცანების გადაწყვეტა გარდამავალ პერიოდში შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი კომუნიკაციისა და გახსნილი საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში.

„მშენებლობის ნებართვა - ევროპული ქვეყნების პრაქტიკა“

ქობულაძე ნ.
დოქტორანტი
ბერეკაშვილი ქ.
პროფესორი

შესავალი

ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობს მშენებლობის მარეგულირებელი სისტემა, რომელიც სამშენებლო რეგულაციებსა და მშენებლობის პროცესის კონტროლსმოიცავს.

სამშენებლო რეგულაციებისაპროექტო შენობებისადმი განსაზღვრავს მინიმალური ხარისხის მოთხოვნებს. რეგულაციების მიზანია, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო, ჯანსაღი, ენერგოეფექტური და ხელმისაწვდომი გარემო ჩვენს ირგვლივ.

სამშენებლო პროცესის კონტროლის მიზანია უზრუნველყოს სამშენებლო რეგულაციების გამოყენების აღსრულება.

ევროპის ქვეყნებში შენობათა კონტროლის სისტემების ზოგადი მახასიათებლები მსგავსია:

პროექტის ავტორმა უნდა წარუდგინოს ნებართვის გამცემ ორგანოს პროექტი, რომელიც შეამოწმებს პროექტის შესაბამისობას ზონირების მოთხოვნებთან, სამშენებლო და განაშენიანების წესებთან. ნებართვის მოპოვების შემდგომ იწყება მშენებლობა, მშენებლობის პროცესში აქტიურად მიმდინარეობს საზედამხედველო კონტროლი პროექტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და საბოლოო შემოწმების შემდგომ პროექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ გამოიცემა აქტი, რაც მოწმობს რომ შენობა ვარგისია გამოსაყენებლად, საექსპლუატაციოდ. თუმცა ევროპის ქვეყნებს შორის ბევრი სხვაობაა პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებით:

კვლევის მიზანია ამ პროცედურების ასპექტების შედარება და მთავარ საკვლევ კითხვებზე პასუხების გამოკვეთა:

- **რა არის მთავარი მსგავსება და განსხვავება ევროპაში მოქმედ სამშენებლო სანებართვო პროცედურებში?**
- **სამშენებლო კონტროლის რა ძირითადი ტიპები გვხვდება ევროპაში?**
- **როგორია სამშენებლო ნებართვის განვითარების ტენდენცია?**

ასევე უნდა აღინიშნოს რომ ქვეყნებს შორის სანებართვო პროცედურების შესწავლა მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტომ, რომ სანებართვო პროცედურების სიიოლე იწვევს თავისუფალ დინებას იმ მიმართულებით, სადაც პროცედურები და წესები უფრო მარტივია. ასევე განსხვავებული წესების დაწესება იწვევს თავისუფლების ბარიერის ქონას და შეზღუდვებს რომ ერთმა ავტორმა შეძლოს მუშაობა სხვადასხვა ლოკაციაზე.

კვლევის მიზანია ევროპის ქვეყნების სამშენებლო-სანებართვო პროცედურების შესწავლა, მათი შედარებითი ანალიზის გაკეთება და შედეგების მიღება, რომელიც სამომავლოდ საფუძვლად დაედება შემდგომი კვლევის საკითხს, - რომ შედარებული იქნეს ევროპაში, შესაბამისად უფრო განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული და მოქმედი წესები ქართულ რეალობასთან, შედარების გზითა და საუკეთესო პრაქტიკის გამოკვლევის მიზნით გამოიკვეთოს საქართველოში არქიტექტურის სფეროში შექმნილი საპროექტო თუ სანებართვო წესებსა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

3. კვლევის მეთოდოლოგია, ანალიზი

3.1. სანებართვო პროცედურების ტიპები

მიკუთვნებული კატეგორიის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები შეიძლება გათავისუფლდეს მშენებლობის ნებართვისგან ან განხორციელდეს შემდეგი პროცედურების (ქართ. ადმინისტრაციული საქმისწარმოების) გავლით:

1)გამონაკლისი პროცედურა: სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს დაგეგმარებისა და ტექნიკურ მოთხოვნებს, მაგრამ გათავისუფლდეს სანებართვო პროცედურისგან;

2) მშენებლობის შეტყობინება: სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც უნდა ეცნობოს ავტორიზებულ ორგანოს მაგრამშეიძლება განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გარეშე;

3) გამარტივებული პროცედურა: სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ მშენებლობის ნებართვას, მაგრამ პროექტი საჭიროა შესაბამისობაში იყოს მხოლოდ ტექნიკურ რეგლამენტებთან (უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება);

4) სტანდარტული პროცედურა: სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ მშენებლობის ნებართვას და პროექტის შესაბამისობასსამშენებლო რეგლამენტით უზრუნველყოფილიყველა ტექნიკური მოთხოვნილებებით;

5) ლეგალიზაცია : სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ნაწარმოებია საჭირო ნებართვის გარეშე ან ეწინააღმდეგება მშენებლობის ნებართვაში მითითებულ პირობებს, მაგრამ შეიძლება იყოსლეგალიზებული;

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ტარდება სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ნებართვისგან გათავისუფლებულია, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს გამარტივებული სამშენებლო ნებართვები.

ზოგადი მიმოხილვით შეიძლება გამოიკვეთოს სამი ძირითადი პროცედურა ევროპის ქვეყნებში:

- მარტივი შეტყობინება (ცნობა სამუშაოების დაწყების შესახებ);
- გამარტივებული პროცედურა (პროექტის ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით გამართვის აუცილებლობა) ;
- სტანდარტული სანებართვო პროცედურა (პროექტის ეტაპობრივი მომზადება და განხილვა).

ცხრილი1

სანებართვო პროცედურების ტიპები ქვეყნებში

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდები	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	პოლონეთი
გამონაკლისი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
შეტყობინება	✓	✓					✓		✓	✓	✓
გამარტივებული	✓	✓	✓		✓	✓		✓			
სტანდარტული	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ლეგალიზაცია											✓

3.2. წინასწარი კონსულტაცია

წინასწარი კონსულტაციისას, მშენებლობის ნებართვის მაძიებელს შეუძლია მიმართოს ნებართვის გამცემ ორგანოს, რომ იმსჯელონ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლებლობაზე და გამოითხოვონ ნებართის გამცემისგან ინფორმაცია მათი მოთხოვნების შესახებ.

ეს კონსულტაცია აუცილებლად გულისხმობს შენობის მოცულობის დამუშავებამდე საჭირო აუცილებელ ინფორმაციას, მაგალითად მიწის ნაკვეთის გამოყენება, რეგულირების ხაზები, შენობის დასაშვები სიმაღლე, შენობის მაქსიმალური ფართობი, შენობის განთავსება მიწის ნაკვეთზე და გამონაკლისი წესები.

წინასწარი კონსულტაცია პროექტის ავტორებს აწვდის საფუძვლიან ინფორმაციას შენობის განვითარებისთვის, კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დეველოპერებს აქვთ შესაძლებლობა დაითვალონ მათთვის საჭირო ციფრები და ეცოდინებათ რომ დაგეგმვისთვის საჭირო მოთხოვნები, რომელიც კონსულტაციაზე იქნა მიღებული, დარჩება უცვლელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში წინასწარი კონსულტაციის სერვისი არის ნებაყოფლობითი და არა აუცილებელი.

წინასწარ კონსულტაციებზე განიხილება როგორც დაგეგმვისთვის მოთხოვნები ასევე შენობის ესთეტიური მხარე და დიზაინი.

კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაცია ობიექტურია.

როგორც წესი, წინასწარი კონსულტაციის მიღება შეუძლია მიწის ნაკვეთისმფლობელს, ან მის მინდობილ პირს, თუმცა არის შემთხვევები, მაგალითად პორტუგალიაში, მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პირობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია ნებისმიერ პირს, თუმცა ნებართვის გამცემი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.

ცხრილი 2
წინასწარი კონსულტაცია

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდები	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	პოლონეთი
ნებაყოფლობითი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
სავალდებულო											

3.3. ნებართვის მოპოვების პროცედურა

სანებართვო მოთხოვნები დოკუმენტაციების, შენობის განთავსების მიმართ, შენობის დაგეგმარების და ტექნიკური გამართულობის მიმართ შეიძლება დაიყოს სტადიებად ან შესრულდეს ერთად კომბინირებულად. თუ რომელიმე ქვეყანაში არსებობს ეტაპობრივი ნებართვის მიღების პროცედურა, განასხვავებენ შენობის დაგეგმარებისთვის საჭირო და მშენებლობისთვის საჭირო ნებართვებს.

ევროპის ქვეყნების ნახევარში ძირითადად გამოიყენება კომბინირებული ნებართვის მიღების პროცედურა, სადაც მშენებლობის ნებართვაზე განაცხადის გაკეთებამდე გამოიყენება წინასწარი კონსულტაციები.

მეორე ნახევარში გამოიყენება ეტაპობრივი მშენებლობის ნებართვის პროცედურა სადაც პირველი ეტაპი არის ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრა მიწის ნაკვეთისთვის, რის საფუძველზეც პროექტის ავტორი განსაზღვრავს ამ მიწის ნაკვეთზე განსათავსებელი შენობის მოცულობასა და დაგეგმარებას.

ცხრილი 3
ეტაპობრივი ან კომბინირებული პროცედურის გამოყენება

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდ	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალი	იტალია	პოლონეთი
ეტაპობრივი	✓	✓		✓			✓	✓			✓
კომბინირებული	✓	✓	✓		✓	✓	✓		✓	✓	

3.4. ნებართვის ეტაპებად დაყოფა

მშენებლობის ნებართვის ეტაპობრივად მიღება ნიშნავს მშენებლობის ნებართვის განაცხადის დაყოფის შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს რთული სამშენებლო სამუშაოებისთვის, რადგან ის თავიდან აიცილებსსრულად რთული პროექტის დამუშავებას წინასწარი დიზაინის შემოწმებამდე და დამტკიცებამდე, შესაბამისად მინიმუმამდე დაჰყავს რეგულაციებთან შეუსაბამობის გამო პროექტის განსხვავებული ვერსიის ხელახლა დამუშავების საჭიროების შესაძლებლობა.

ევროკავშირის ქვეყნების ნახევარში არ არის შესაძლებელი რეგულარული ნებართვის მისაღებად განაცხადის გაკეთება რამდენიმე ეტაპად.

ამ ქვეყნებში, ნებართვის პროცედურის ეტაპებად დაყოფა შეიძლება გამოყენებულ იქნას პროექტზე მუშაობის პარალელურად, შესაბამისად ნებართვის გამცემი ორგანო ეტაპობრივად ითხოვს შემსრულებლისგან საჭირო დოკუმენტაციასა და ინფორმაციას და არასრული დოკუმენტაციის გამო არ განიხილავს პროექტს უარყოფითად. შესაძლოა ნებართვის გამცემმა პროექტზე მუშაობის პარალელურად გასცეს რეკომენდაციები ასევე შენობის ვიზუალურ მხარეზეც. მოცემულ ვადაში განმცხადებელი წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას და გადადის შესაბამის შემდგომ ეტაპზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ეტაპობრივი ნებართვის აღებაა შესაძლებელი, ნებართვის მიღების პროცედურა იყოფა პროექტის განვითარების პარალელურად სამ ეტაპად:

1) მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება, ზონირების ასპექტები და შენობის განლაგება (წინასწარი პროექტი).

2) ტექნიკური მოთხოვნები (ტექნიკური დიზაინი).

3) მშენებლობის დროს გამოსაყენებელი დეტალური ნახაზები (სამშენებლო კონსტრუქციული ნახაზები).

ბოლო წლებში ეტაპების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ცვლილებები არ ყოფილა, მხოლოდ რამდენი ქვეყანაში, მათ შორის ლატვიაში, ნიდერლანდებში გაიზარდა ეტაპების რაოდენობა.

3.5. განცხადება სამშენებლო ნებართვაზე

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები განსაზღვრავს დოკუმენტაციას, რომელიც უნდა წარადგინოს განმცხადებელმა ნებართვის მოსაპოვებლად.

მოთხოვნილი დოკუმენტაცია იძლევა პროექტის კანონთან შესაბამისობის დადგენას და პროექტის განხილვის საშუალებას. ასეთი დოკუმენტები უნდა იყოს ნახაზები, არსებული სიტუაციის ფოტოები, კონსტრუქციული გამოთვლები, ანალიზები, შეფასებები.

ჩვენს მიერ განხილულ ყველა ქვეყანაში არსებობს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები შენობის მიმართ.

მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მოძება ყველა ქვეყნისთვის შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით. სამშენებლო რეგულაციები, ბროშურები, სტატიები და ა.შ გვაწვდის ინფორმაციას კანონით დადგენილი მოთხოვნების შესახებ.

უმეტეს ქვეყნებში ნებართვის მოპოვება შესაძლებელია ელექტრონულად.

3.6. პროექტის დამტკიცება

არქიტექტურული პროექტის განხილვისას, ნებართვის გამცემი ორგანო განიხილავს და საჭიროების ფარგლებში კომპეტენტური ორგანოები ასევე კონსულტაციებს უწევს ნებართვის გამცემს, თუ განმცხადებელს ეს უკვე არ გაუკეთებია.

ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში პროექტის დამტკიცებისას მოწმდება შენობის დიზაინი, წარსადგენი დოკუმენტაციის სია, გეგმარება ესთეტიკური და ტექნიკური მოთხოვნებით.

ზოგადი წესებიდან გამონაკლისია შემდეგი:

- საფრანგეთში ზოგიერთ ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა მოეთხოვება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს, ასევე ძალიან მაღალ შენობებს, ეს განსხვავებული მოთხოვნები შეიძლება იყოს სახანძრო უსაფრთხოებისა დაშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნები.
- პორტუგალიაში მოწმდება მხოლოდ ტექნიკური მოთხოვნები სივრცის ათვისების სტანდარტებთან დაკავშირებით. შენობის დაგეგმარებასა და დიზაინის შესახებ რეგულაციების/სტანდარტების დაცვა ავტორის/ არქიტექტორის პასუხისმგებლობის საკითხია.

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. ნიდერლანდები)აღიარებულია, რომ კონტროლის დონე დამოკიდებულია რამდენიმე ასპექტზე, მაგალითადროგორიცაა მშენებლობის სირთულე და განაცხადში ჩართული კერძო ავტორების სანდოობა.

ცხრილი 4
რა მოწმდება არქიტექტურული პროექტის განხილვისას

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდე	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	პოლონეთი
მოთხოვნები დოკუმენტაციაზე	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ზონირების მოთხოვნები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ესთეტიკური მოთხოვნები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

ტექნიკური მოთხოვნები	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓		✓	✓

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში გამოიკვეთა პრაქტიკა, რომ მშენებლობის ნებართვა შეიძლება გაიცეს პირობით, რომლებიც უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დაწყებამდე ან პროცესში (მაგ., გერმანია, იტალია):

1) ზოგიერთი ნახაზისა და ანგარიშების წარდგენა შემდგომ ეტაპზე;

2) პირობა, რომ სამშენებლო სამუშაოების სხვადასხვა ეტაპების შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობოს მენაშენემ, რათაუზრუნველყოს ადგილზე ინსპექტირების ჩატარების შესაძლებლობა;

3) დასრულებული შენობაის ანაზომის გაკეთებასამშენებლო წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

4) დავალდებულება, რომ შენობა უნდა იყოს დაკავშირებული საკომუნიკაციო სერვისებთან (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი, ინტერნეტი) მესაკუთრის ხარჯზე.

ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია რეგულაციების დაცვისგან განთავისუფლდეს შენობა (მაგ., გერმანია, ლატვია, ნიდერლანდები დაპორტუგალია). მაგალითად, არსებული შენობის შეცვლის, რემონტის ან რეკონსტრუქციის შემთხვევაში,დიზაინისა და გეგმარების შესახებ მოთხოვნები შეიძლება შემსუბუქდეს, თუ ხელისუფლება დარწმუნებულია,რომ გრძელვადიანი და რთული ჩარევების გარეშე ამ შენობის კანონთან შესაბამისად გადაკეთება შეუძლებელია.

კანონის მოთხოვნის გამარტივება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სამუშაოების სამშენებლო რეგულაციები (ჩვეულებრივადაპტირებულია ახალ შენობებზე) ზედმეტად რთულად გასათვალისწინებლად ითვლება. გამონაკლისები უნდა იყოს დასაბუთებულიეკონომიკური, არქიტექტურული თუ სხვა მიზეზებით.

3.7. სამშენებლო სამუშაოების დაწყება

ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში სამშენებლო სამუშაოების დაწყება შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს ეტაპობრივი სამუშაოების წარმოების უფლება, თუმცა გარკვეულ ეტაპებზე პარალელურად საჭიროა ნებართვის მიღება.

მაგ., იტალიაში, ლატვიასა და პორტუგალიაში, თუმცა ნებადართულ სამშენებლო სამუშაოებად ითვლება არსებული შენობის დემონტაჟი, მიწის ნაკვეთზე ნიადაგის მომზადება.

ნებისმიერ შემთხვევაში ახალი შენობის საძირკვლისა და კონსტრუქციის მშენებლობისათვის საჭიროა უკვე მოპოვებული მშენებლობის უფლება და ასეთის არქონის შემთხევვაში, სამშენებლო სამუშაოების დამწყები საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას (დაჯარიმება).

ცხრილი 5
როდის არის შესაძლებელი სამშენებლო სამუშაოების დაწყება

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდები	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	პოლონეთი
ნაწილობრივი ნებართვის მიღების შემდგომ	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ნებართვის მიღების შემდგომ	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში განმცხადებელმა, კონტრაქტორმა ან მშენებლობის უფლების მაძიებელმა უნდა აცნობოს ნებართვის გამცემს სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ და ამ ცნობაში გამოკვეთილი უნდა იყოს ვის ეკისრება მშენებლობის პროცესზე პასუხისმგებლობა.

თუ სამშენებლო სამუშაოები შეჩერდება დიდი ხნით, უნდა გაკეთდეს შესაბამისი გაფრთხილება.

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მშენებლობის ნებართვას ვადა ეწურება, თუ სამშენებლო სამუშაოები გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ დაიწყება

ვადის ათვლა იწყება ნებართვის გაცემის დღიდან და გაცემულია ნებართვა გარკვეული პერიოდით. შესაძლებელია ნებართვის ვადის გაგრძელება, თუმცა გარკვეულილიმიტების ამოწურვის შემდგომ სავალდებულოა ახალი ნებართვის აღება.

3.8. ადგილზე დათვალიერება

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს დამტკიცებული სამშენებლო პროექტის, შენებლობის ნებართვისა და სამშენებლო რეგლამენტის შესაბამისად, სამშენებლო მოედანზე ინსპექტირებას ატარებს საჯარო ან კერძო მხარე (ან კომბინაცია ორივე მხარის).

ევროკავშირის ქვეყნების დაახლოებით ნახევარში მსენებლობის ინსპექტორი ან პროექტის ავტორი ახორციელებს ზედამხედველობას და თვითონ წყვეტენ რომელი მხარე რა ეტაპზეა საჭირო. როგორც წესი, კონტროლის მექანიზმის გეგმა შეთანხმებულია დეველოპერთან.

ზედამხედველობის ორგანოები შემთხვევითობის პრინციპით ამოწმებენ სამშენებლო მოედნებს (მაგ., ესტონეთი, საფრანგეთი, პორტუგალია და რუმინეთი) ან გეგმიურად სამშენებლო ეტაპების გავლის შემდგომ მიდიან შესამოწმებლად სამშენებლო ობიექტებზე (მაგ.იტალია, ლიტუა).

ზედამხედველობის კონტროლის მექანიზმები ასევე დამოკიდებულია სამშენებლო სამუშაოების ტიპებსა და სირთულეებზე, ასევე კერძო საზედამხედველო ორგანოებზე რომლებიც პროცესში არიან ჩართული.

მშენებლობის კონტროლის მექანიზმები იყოს შემდეგნაირია:

- ნებართვის გამცემი ორგანო მშენებლობის კონტროლს ანიჭებს კერძო პირებს და თანხმდებიან კონტროლის გეგმაზე;
- ნებართვის გამცემები ირჩევენ საკვანძო ეტაპებს სამშენებლო სამუშაოების შესამოწმებლად და შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერისაჭიროების შემთხვევაში სხვა ინსპექტირება;
- სამშენებლო ორგანოები ახორციელებენ ადგილზე შემთხვევით ინსპექტირებას (მაგ., პოლონეთი).

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში საზედამხედველო ინსპექციას აქვს უფლება შეამოწმოს მშენებლობის პროცესი, მოითხოვოს დოკუმენტაცია, დასვას კითხვები. გაარკვიოს ნებართვით არის თუ არა ნაწარმოები მშენებლობა...

სამშენებლო სამუშაოების დროს პროექტის შეცვლილი ვერსიით მშენებლობის გაგრძელებისას ითვლება რომ შენობის მშენებლობა დარღვევით არის ნაწარმოები და აუცლებელი ხდება ნებართვის გამცემმა ორგანომ იმსჯელოს ახალი პროექტის კანონთან შესაბამისობაზე, რათა მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ამ სახით გაგრძელება შესაძლებელია თუ აუცილებელია დემონტაჟის განხორციელება. ნებისმიერ შემთხვევაში დამრღვევს ეკისრება ჯარიმის გადახდა.

აუცილებელია სამშენებლო მოედანზე სამშენებლო სამუშაოთა წარმოების შესახებ ჟურნალის ქონა და შესაბამისი აღრიცხვების გაკეთება. ეს ჟურნალიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ინსპექტორისთვის.

3.9. მშენებლობის დასრულება

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ეცნობება ნებართვის გამცემ ორგანოს (ე.ი.დასრულების შეტყობინება). დასრულებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმე დოკუმენტი:

- შენობის აზომვითი ნახაზები და ფოტოები:
- უბნის ინსპექტორის ანგარიში;
- სამშენებლო ჟურნალი;
- კონტრაქტორის, ნებართვის მაძიებლის ან პროექტის ავტორის პასუხისმგებლობის დეკლარაციები.

(ამ განცხადებებში,ხელმომწერები ადასტურებენ, რომ სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებები შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელი წესების მოთხოვნებს)

ევროპის ქვეყნების ნახევარში საბოლოო ინსპექტირება ხდება ნებართვის გამცემი საჯარო ისნპექტირების ორგანოს მიერ, ხოლო მეორე ნახევარში კერძო ისპექტირების ორგანოს მიერ წარდგენილი ანგარიშების შესაბამისად, საჭიეოების შემთხვევაში მარეგულირებელს, ნებართვის გამცემს, შეუძლია ადგილზე მიმდინარე პროცესის და მშენებლობის გადამოწმება. ეს ჩვეულებრივ ხდება მაშინ როდესაც მიწოდებულ დოკუმენტაციას აქვს ხარვეზები და ჩნდება ეჭვი მშენებლობაში ჩართული პირების სანდოობასთან დაკავშირებით.

გამონაკლისია საფრანგეთი, სადაც საბოლოო ადგილზე შემოწმება მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისთვის არის საჭირო (მაგ., სასტუმროები, საავადმყოფოები, ხანდაზმულთა საცხოვრებელი, თეატრები და სავაჭრო ცენტრები) დაძალიან მაღალი შენობები (ანუ საცხოვრებელი კორპუსები 50 მ-ზე მაღალი და ყველა სხვა შენობები უფრო მაღალი ვიდრე28 მ).

თუ მშენებლობა ნაწარმოების პროექტების მიხედვით და საბოლოო შემოწმებისას არ გამოიკვეთა ხარვეზები, შენობას ეძლევა ექსპლუატაციაში შესვლისა და გამოსაყენებლად ვარგისიანობის ცნობა. ევროკავშირის ყველა ქვეყანაში აუცილებელია შენობის ექსპლუატაციაში მიღება.

ამ წესის გამონაკლისი შეიძლება იყოს შემდეგი:

საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და პოლონეთში ექსპლუატაციის ნებართვა მანამდე უნდა გაიცეს, ვიდრე შენობა ღია იქნება საზოგადოებისთვის.

ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში შენობის გამოყენება შესაძლებელია გამოყენების ნებართვის მიღების ან მშენებლობის დასრულების შემდეგ. ზოგიერთ

ქვეყანაში შესაძლებელია შენობების გამოყენება მოხდეს ექსპლუატაციაში მიღების გარეშე.

ცხრილი 6
შენობის ექსპლუატაციის აუცილებლობა

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდები	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	პოლონეთი
აუცილებელია ყველა ტიპის მშენებლობისთვის	✓	✓	✓	✓	✓			✓	✓	✓	
აუცილებელია გარკვეული ტიპის სამუშაოებისთვის						✓	✓				✓

3.10. მოსაკრებლები

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს საფასური მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

თუმცა, ნებართვის მოსაკრებლის დათვლის წესი მრავალფეროვანია:

გამოვლინდა კრიტერიუმების შემდეგი კომბინაციები:

- მშენებლობის ღირებულება (მაგ., საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, სლოვენია და ესპანეთი);
- მშენებლობის ღირებულება, იატაკის ფართობი და მშენებლობის ტიპი (მაგ. ლატვია და ლიეტუა);
- კუბური მეტრი მშენებლობა (მაგ., ლუქსემბურგი);
- იატაკის ფართობი და შენობის გამოყენება (მაგ. ავსტრია და ბულგარეთი);
- ფიქსირებული გადასახადი შენობის გამოყენებისთვის (მაგ. ჩეხეთი, ფინეთი და პოლონეთი);
- ფიქსირებული გადასახადი პლუს დამატებით სართულზე (მაგ. ესტონეთი);
- ფიქსირებული გადასახადი პლუს დამატებით სამშენებლო ღირებულებაზე (მაგ. ნიდერლანდები);

- ფიქსირებული გადასახადი ან იატაკის ფართობი, შენობის გამოყენების მიხედვით (მაგ. ირლანდია);
- ფიქსირებული გადასახადი ან მშენებლობის ღირებულება, რაც დამოკიდებულია სართულის ფართობზე და შენობის გამოყენებაზე (მაგ. ჩრდილოეთიირლანდია);
- ფიქსირებული გადასახადი პლუს დამატებით სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და იატაკის ფართობის მიხედვითშენობის გამოყენების შესახებ (მაგ., პორტუგალია).

ცხრილი. 7
გადასახედების დადგენის წესი

	ლიეტუვა	ლატვია	ესტონეთი	რუმინეთი	გერმანია	ნიდერლანდები	საფრანგეთი	ესპანეთი	პორტუგალია	იტალია	ჰოლონეთი
სამშენებლო ღირებულება	✓	✓		✓		✓	✓	✓		✓	
იატაკის ფართობი			✓						✓		
შენობის ფუნქცია									✓		✓
ფიქსირებული								✓			✓

3.11. განხილვის/საქმისწარმოების ვადები

ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში განხილვის ვადები მერყეობს 8 დან 12 კვირამდე, ზოგიერთ ქვეყანაში განხილვის ვადა შეიძლება იყოს უფრო მოკლე რადგან ერთ ეტაპად ხდება სრული პროექტის განხილვა, ან პირიქით განხილვის ვადა უფრო გრძელი იყოს პროექტის, ლოკაციის ან სხვა მახასიათებლების სირთულიდან გამომდინარე.

განხილვის ვადების დარღვევისას სხვადასხვა წესი მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში:

- ავტომატური დადებითი პასუხი პროექტზე (გერმანია, ლიეტუვა, რუმინეთი და ესპანეთი);
- ავტომატური უარყოფითი პასუხი პროექტზე (იტალია);
- აპელირება ზემდგომ ორგანოში (პორტუგალია);

- ლოდინი საბოლოო პასუხის მირებამდე;
- განმცხადებელს შეუძლია ითხოვოს ნებართვა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანაშიმაგალითად საფრაგნეთში ნებართვის მაძებელი განხილვის ვადის დარღვევის გამო მიირებს ავტომატურ თანხმობას პროექტის განხილვაზე, პროექტის დადებითად შეფასების გამოყენებ აარ შეეძლება თუ არ დაიცავს მოქმედ კანონმდებლობას.

3.12. საჯარო განხილვა ან ჩართულობა

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში მეზობლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს აქვთ კანონიერი უფლება გააპროტესტონ მშენებლობის ნებართვა, სხვა ქვეყნებში მესამემხარეებს არ აქვთ ავტომატური გაპროტესტების უფლება, მაგრამ შეუძლიათ მიაწოდონ შენობის ორგანოებსინფორმაცია/საჩივარი, თუ იცინი ფიქრობენ რომ კონკრეტული მშენებლობა მათ მოუტანს ზიანს. ამ ინფორმაციის შესწავლა და საჭიროების შემთხევვაში გათვალსიწინება ევალება ნებართვის გამცემ ორგანოს.

გასაჩივრების ვადები სხვადასხვაგვარია ევროპის ქვეყნებში, საჩივარი რიგ ქვეყნებში შესაძლებელია დაიწეროს განხილვის ვადის გასვლიდანმ ანუ ნებართვის გაცემიდან რამდენიმე თვის შემდეგაც.

უმეტეს ქვეყანაში მიწის ნაკვეთებზე გაცემული სამშენებლო ნებართვების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო. ზოგ ქვეყანაშინებართვის მაძიებელს ევალება სამეზობლოს ინფორმირება სამშენებლო ობიექტის შესახებ.

დასკვნა

4.1.ძირითადი განსხვავებები და მსგავსებები

სამშენებლო ნებართვის რეგულარული პროცედურის ორგანიზება ევროკავშირის ქვეყნებშიც მსგავსია. ჩვეულებრივპროცედურა მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- ნებაყოფლობითი წინასწარი კონსულტაციის დროს განმცხადებლებს შეუძლიათ განიხილონ ნებართვის გამცემთან გეგმარების მოთხოვნები, ესთეტიკური და ტექნიკური მოთხოვნები;
- მშენებლობის ნებართვის პროცედურის ეტაპებად დაყოფა შესაძლებელია სრულად დამუშავებული პროექტის გადაკეთების თავიდან ასაცილებლად;
- ნორმატიული ბაზა განსაზღვრავს სანებართვოდ წარსადგენ დოკუმენტაციას (სია ხელმისაწვდომია ინტერნეტით);

- ინფორმაცია სამშენებლო რეგლამენტებისა და სანებართვო პროცედურების შესახებ ხელმისაწვდომიაინტერნეტით;
- პროექტის დამტკიცებისას მოწმდება შესაბამისობა კანონთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და ასევე ფასდება ესთეტიური მხარე;
- განაცხადის განხილვას ჩვეულებრივ 8-დან 12 კვირამდე სჭირდება;
- მეზობლებს და სხვა მხარეებს შეუძლიათ გააპროტესტონ მშენებლობის ნებართვის გაცემა კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე;
- სამშენებლო სამუშაოები შეიძლება დაიწყოს ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის საფასური;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყება უნდა ეცნობოს შესაბაის ორგანოებს;
- მშენებლობის ნებართვაიწურება, თუ სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა გარკვეულ ვადაში ან არ დასრულებულა გაცემის დღიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
- სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ტარდება ადგილზე ინსპექტირება;
- მშენებლობის დროს შესაძლებელია მცირე ცვლილებები და შესაბამისი პროექტის შეთანხმება;
- მშენებლობის დასრულების შემდეგ ტარდება ობიექტის საბოლოო შემოწმება და შემოწმების დოკუმენტირება;
- დაკმაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი ორგანოები გასცემენ მშენებლობის დასრულების მოწმობას ან ექსპლუატაციის ნებართვას; შენობის გამოყენება შესაძლებელია ექსპლუატაციის ნებართვის ან მშენებლობის დასრულების სერთიფიკატის გაცემის შემდეგ.

ნებართვის მოპოვების პროცედურებში გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები:

- წინასწარი კონსულტაციიები შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში;
- არსებობს შენობის ელექტრონული საქმისწარმოების განხორციელების სხვადასხვა ტიპები;
- სანებართვო პროცედურის ეტაპობრივად გატარება მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაშია შესაძლებელი;
- განსხვავებულისტრატეგიები გამოიყენება მშენებლობის ნებართვის პროცედურის ეტაპებად დაყოფისთვის;
- მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის უფლება მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში არის დადგენილი კანონით;

- სხვადასხვა კრიტერიუმები გამოიყენება სამშენებლო სამუშაოების ნებართვის მიღებამდე დასაწყებად;
- სამშენებლო ნებართვის მოსაკრებლის ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა კრიტერიუმით;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გარდა, შესაძლებელია ზოგიერთ ქვეყანას ქონდეს დამატებით სხვა მოსაკრებლები;
- განხილვის პროცედურების დარღვევის შედეგად სხვადასხვა ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის საჭიროება.

4.2.სამშენებლო ნებართვის მიღების ძირითადი წესი ევროპის ქვეყნებისთვის

როგორც აღვნიშნეთ, სამშენებლო ნებართვის მოპოვების წესი ევროპის ქვეყნებში მსგავსია და რაიმე სახის ძირეული სხვაობა არ ჩანს.

შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა ევროპის ქვეყნებისმშენებლობის ნებართვის პროცედურის ზოგადი სურათი.

შედეგები სასარგებლო იქნება ევროკავშირის გეგმის ფარგლებში განსათავსებელი ქვეყნებისთვის, როგორიც არის საქართველო, შესაძლებელია ევროკავშირის მომავალმა წევრმა ქვეყანამ გაითვალისწინოს ევროკავშირში მოქმედი პრაქტიკა და მზად იყოს იმ პროცესებისთვის რომელიც აპრობირებულია ევროკავშირის ქვეყნებში.

საერთო შედარებით ანალიზში მრავალი განსხვავება ჩანს ევროკავშირის ქვეყნების სანებართვო პროცედურებს შორის, ეს განსხვავებები წარმოადგენს ბარიერს ადამიანებისა და სერვისების თავისუფალ მიოქცევაში. მშენებლობის ნებართვის პროცედურების ერთგვაროვნება ხელს შეუწყობს სამშენებლო ინდუსტრიაში საერთო ბაზრის ფუნქციონირებას რომლებშიც არქიტექტორები და პროექტის ავტორები და დეველოპერები არ შემოიფარგლებიან ეროვნულ ბაზრებზე მუშაობით, შედეგად სამშენებლო ხარისხი და მიღებული შედეგი ერთნაირი იქნება „პროდუქტის“ (სამყოფი გარემოს) მიმღებისთვის ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Meijer, F. and Visscher, H. (2008), _Building regulations from an European perspective‘, In:
- Pedro, J. B., Meijer, F. and Visscher, H. (2009), _Comparison of tasks and responsibilities in thebuilding control systems of European Union countries

- Pedro, J. B., Meijer, F. and Visscher, H. (2010), ‗Technical building regulations in EU countries: acomparison of their organization and formulation‘

გამოყენებული ვებგვერდები:

https://www.istat.it/en/archivio/building+permits
https://www.elra.eu/contact-point-contribution/lithuania/planningurbanisationbuilding-consent-16/
https://repository.tudelft.nl/islandora/object/uuid%3Ab391c687-3ecb-4017-abba-06f1539017e6?collection=research
https://www.academia.edu/17788384/Online_building_permit_procedures_the_Netherlands_in_a_European_perspective
https://www.service.bremen.de/dienstleistungen/apply-for-building-permit-145206?reg=kosten
https://subnational.doingbusiness.org/en/data/exploretopics/dealing-with-construction-permits/good-practices
https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Vis1-RBuildingPermits-010123-option1.png

რეზიუმე

სამშენებლო რეგულაციები ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს უსაფრთხო, ჯანსაღი, ენერგოეფექტური და ხელმისაწვდომი შენობების მშენებლობისთვის. ხოლო ამ რეგულაციების მოთხოვნების შესრულების გარანტირებისთვის მოქმედებს მშენებლობის კონტროლის სანებართვო სისტემა.

კვლევაში წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტირებული მშენებლობის ნებართვის პროცედურების შედარებას.

საჭირო ინფორმაცია შეგროვდა სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული და მოქმედი სამშენებლო წესების შესახებ გამოქვეყნებული წყაროებიდან.

წყაროების შეჯერება მოხდა ერთი საკვლევი საკითხის ირგვლივ, რაშიც თავებად გამოყოფილია მნიშვნელოვანი თემები.

საკითხში განხილულია ევროპული ქვეყნების სამშენებლო სანებართვო პროცედურები და მათი შედარება.

კვლევის მიზანი არ არის თითოეული ევროპული ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და ქვეყნებში მირებული პრაქტიკის კვლევა. ძირითადი კვლევის საკითხია საერთო ანალიზის გაკეთება და ერთიანი სურათის გამოკვეთა იმის

შესახებ თუ როგორ ხდება ნებართვის მოპოვება ზოგადად ევროპაში. შესაბამისად შესადარებლად აღებულია ძირითადად ათი ქვეყანა, რომელთა რიცხვშიც აუცილებლად არის ევროკავშირში შემავალი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, რადგან საქართველოს გასავლელი აქვს ის გზა რაც ამ ქვეყნებმა უკვე გაიარეს, საინტერესო იქნება შემდგომში ამ პრაქტიკის შედარება საქართველოში მოქმედ წესებთან.

ევროპის ქვეყნებში მოქმედი სანებართვო პირობები და წესები ერთგვარია, ძირითადი სტრუქტურა ამ პროცესებს აქვთ ერთი, თუმცა არის საკითები, რომლებიც სხვადასხვანაირად არის აპრობირებული ზოგიერთ ქვეყანაში.

სხვაობების უკეთ წარმოსაჩენად კვლევაში მოყვანილია რამდენიმე ცხრილი და ძირითადად ისინი მოიცავს პროცესების შედარებას, როგორიცაა: წინასწარი კონსულტაციის შესაძლებლობა, ეტაპებად წარდგენის შესაძლებლობა, განხილვის პროცედურები და ვადები, ნებართვის გამოყენების ვადები,ინსპექტირების სიხშირე, მოსაკრებლები, სამუშაოს დასრულების ვადა.

ძირითადი განსხვავებები გვხვდება დეტალურ ასპექტებში ევროპის კონტინენტის ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს ქვეყნებში უფრო მეტი სხვაობებია სხვა დანარჩენიე ვროპისგან განსხვავებით.

ბოლო 10-20 წლის განმავლობაში შესამჩნევი ტრენდი იყო იმ სამუშაოების შემცირება რომელიც საჭიროებს შეთანხმებას და ნებართვის მოპოვებას. კონტროლის გამკაცრება პროექტის შეთანხმების დროს, მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცედურის დროის მაქსიმალური შემცირება, მშენებლობაზე კონტროლი უცვლელი დარჩა.

ზოგადად, მთელს ევროპაში შესამჩნევია ტენდენცია ამ პროცედურების გამარტივებისკენ სწრაფვის.

"Construction permit - practice of European countries"

Kobuladze N.
Berekashvili Q.

Resume

Building regulations set minimum requirements for the construction of safe, healthy, energy-efficient and affordable buildings.In order to guarantee the fulfillment of the requirements of these regulations, there is a construction controllingpermition system.

The study presents a comparison of the adapted construction permit procedures in the EU countries.

The necessary information was gathered from published sources on tried and tested building codes in various countries.

Sources were collated around one research question, in which important topics are divided into chapters. Based on the obtained sources.

The building permit procedures of European countries and their comparison are discussed in the issue.

The purpose of the research is not to study the legal framework of each European country and to research the agreed practices in the countries. The main research question is to make an overall analysis and draw a unified picture of how the permit is obtained in Europe in general. Accordingly, mainly ten countries are taken for comparison, among which there are necessarily former Soviet Union countries included in the European Union, because Georgia has to follow the path that these countries have already taken, it will be interesting to compare this practice with the rules in force in Georgia.

The permit conditions and rules in force in European countries are similar, the basic structure of these processes is the same, although there are issues that are tested differently in some countries.

In order to better present the differences, the study provides several tables and mainly they include comparison of processes, such as: the possibility of preliminary consultation, the possibility of submitting in stages, review procedures and deadlines, the terms of use of the permit, the frequency of inspections, fees, the deadline for the completion of work.

The main differences are found in the detailed aspects between continental European countries, with the UK showing more differences than the rest of Europe.

Over the last 10-20 years, a noticeable trend has been to reduce the number of works that require agreement and permission. Tightening of control at the time of project agreement, maximum reduction of the time of the procedure for obtaining a construction permit, control over construction remained unchanged.

In general, across Europe, there is a noticeable trend towards simplification of these procedures.

„შეუმჩნეველი“ ობიექტები ავტობანის არქიტექტურულ - მხატვრული ანალიზი

შტაადე ა.

დოქტორანტი

ავტომობილის გამოგონებამ ახალი შესაძლებლობა მისცა მოგზაურებს, იმოგზაურონ თავისუფლად და არ იყვნენ დამოკიდებული მატარებლის განრიგზე. ავტომაგისტრალზე გადაადგილება მოგზაურს ან მგზავრს აძლევს საშუალებას შეექმნას პირველი შთაბეჭდილება ქვეყანაზე, მოძრაობაში აღიქვას პანორამული ხედები ლანდშაფტებზე, არქიტექტურაზე, რაც ხშირ შემთხვევაში შთამბეჭდავია.

ავტომაგისტრალების მიმდებარედ განვითარდა ახალი ტიპოლოგიის შენობა - ნაგებობები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს მგზავრების კომფორტული დასვენება, მომსახურება, უსაფრთხოება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე აქტუალურია გზისპირად არსებული ობიექტების არქიტექტურის ანალიზი. მსგავსი ობიექტები ამავდროულად ხელს უწყობენ საავტომობილო ტურიზმის განვითარებას. გზისპირა არქიტექტურის ხარისხი მეტყველებს ქვეყნის კულტურაზე, საზოგადოების განვითარებასა და ტექნოლოგიურ მიღწევებზე.

წინამედბარე სტატიის მიზანია ავტომაგისტრალების არქიტექტურულ - მხატვრული ფორმირების თავისებურების ანალიზი, რომელსაც განვიხილავთ საყოველთაოდ მიღებული ტერმინით „გზისპირა არქიტექტურა“ .

გზისპირა არქიტექტურის განვითარების ეტაპები, დაპროექტების მეთოდები, ფუნქციური თავისებურება გაანალიზებულია უცხოელი ავტორების არაერთ თეორიულ ნაშრომში. მაგალითად დაპროექტების კლასტერული, სინერგიული მეთოდი. განსაკუთრებით საინტერესოა კოლის დავიესის სტატია “Lessons at the roadside”, რომელშიც ორიგინალურადაა აღწერილი დაგროვილი გამოცდილება გზისპირა ობიექტების ევოლუციური განვითარებისა ამერიკაში. ავტორი აქცენტს აკეთებს არქიტექტურის კომუნიკაბელურობაზე და კომუნიკაციაზე. განიხილავს როგორც გზისპირა უტილიტარულ ნაგებობებს ასევე გზისპირა არსებულ მრავალფუნქციურ საზოგადოებრივ კომპლექსებს. ყოველივე ასახვას პოულობს არქიტექტურულ ფორმაში და ვიზუალურ აღქმაში ავტომაგისტრალთან ერთად. ავტორი ამავე ნაშრომში აანალიზებს რობერტ ვენტურის და დენიზ სკოტ ბრაუნის ნაშრომს „ლას ვეგასის გაკვეთილები“. სადაც არქიტექტურის სიმბოლურობის და კომუნიკაბელურობის გაგება განხილულია გზისპირა ობიექტების მაგალითზე (აღნიშნულ ობიექტებზე ქვევით კიდევ

ერთხელ დავუბრუნდებით). ეს იდეა, როგორც ცნობილია ჩამოყალიბდა თეორიად „უნივერსალური შენობის“ და „დეკორატიული ფარდულის“ კონცეფციაში. ამდენად, ამერიკაში გზისპირად აგებულმა „ფარდულებმა“ გარკვეული როლი შეასრულეს იმ პერიოდის არქიტექტურული სახის ფორმირებაში. ანალოგიურად საინტერესოა კვლევა მ. მროჩეკის, რომელსაც შემოაქვს ტერმინი „ავტოარქიტექტურა“ და თვლის, რომ გზისპირა ობიექტების ამერიკული გამოცდილება: „წარმოადგენს საფუძველს გზისპირა არქიტექტურის ფენომენის გაგებისათვის“. აღსანიშნავია, რომ არაერთ თეორიულ ნაშრომში განიხილება გზისპირა ობიექტების სტანდარტიზაციის საკითხები. მსგავსი მოსაზრებები გამომდინარეობს იმ პრაქტიკული გამოცდილებიდან რაც დღევანდელ რეალობაში გვხვდება. თუმცა, არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელიც გზისპირა არქიტექტურას განიხილავს მხატვრული კუთხით. ამ მიმართულებით ჩვენი ნაშრომი სიახლეა.

ჩვენი ინტერესი თემის მიმართ განაპირობა ინტერნეტ სივრცეში არსებულმა ფოტო პროექტებმა. მაგალითად უკრაინიის ავტომაგისტრალებზე ე.წ. „ჰაეროვანი ციხესიმაგრეები“(სურ.1). ერთი შეხვედით „ბუტაფორიები“ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ციხესიმაგრეების ასლებია. ამდაგვარად შეიქმნა სპეციფიური ესთეტიკის მქონე გზისპირა ობიექტები, რომელთა სახე და ფუნქციური დანიშნულება განსხვავებულია. თვითოულის სახელწოდება პირდაპირი მინიშნებაა ქვეყნის ან ისტორიული პერიოდის. მაგალითად, ანტიკური ან შუასაუკუნოვანი ციხესიმაგრე, ბავარიული ეზო და სხვა. ამდენად ე.წ. „ძველი არქიტექტურა“ გახდა „ბრენდი“, რომელიც იზიდავს მგზავრს.

არქიტექტურის კრიტიკოსის და ფოტოგრაფის ამერიკელი ჯონ მარგოლისის ფოტოკოლექცია სწორედ ის ინსპირაციის წყაროა, რამაც განსაზღვრა თემის მიმართ ინტერესი. კოლექციაში თავმოყრილია 11 000 გზისპირა ობიექტის ფოტო, რომელიც გვხვდება ამერიკაში, ისტორიულ ავტომაგისტრალზე „მარშრუტი 66“: მაღაზიები, კაფეები, წასახემსებელი სივრცეები, მოტელები, ავტოგასამართი სადგურები, სარეკლემო ფერადი ბანერები, სხვადასხვა ნიშნები და ქალაქში ან დაბებში შესასვლელები, ხშირად სახვითი ხელოვნების ნამუშევრები ფერწერული ან არქიტექტურის კრიტიკოსის და ფოტოგრაფის ამერიკელი ჯონ მარგოლისის ფოტოკოლექცია სწორედ ის ინსპირაციის წყაროა, რამაც განსაზღვრა თემის მიმართ ინტერესი.

სურ.1 „ჰაეროვანი ციხესიმაგრეები“ უკრაინაში

სკულპტურული კომპოზიციების სახით ყველაფერი ის რაც აყალიბებს გზის გასწვრივ არქიტექტურას. აღნიშნული კოლექცია ინახება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში, რაც მეტყველებს ჩამოთვლილი ობიექტების ვიზუალური სახის მნიშვნელობაზე. მარგოლისის აზრით „გზისპირა არქიტექტურა“ ასახავს მცირე ბიზნესის „კულტურულ მემკვიდრეობას“. ამერიკის ტერიტორიაზე არსებულმა ე.წ. „საავტომობილო არქიტექტურამ“ შექმნა წინაპირობა გზისპირა არქიტექტურის „ფენომენის გაგებისთვის“ (სურ. 2) .

სურ. 2 გზისპირა ობიექტები მარშრუტი 66

ობიექტების არქიტექტურულ ფორმაში პირდაპირ ასახულია ფუნქცია და შინაარსი. მარშრუტზე გვხვდება გიგანტური ჩაიდნები, კასრები, სათამაშო დინოზავრები და სხვა. თავისი სახით მოგვაგონებს ერთის მხვრივ რენე მაგრიტის სურათს: „ეს არის ჩიბუხი, ეს არ არის ჩიბუხი“. და მეორეს მხვრივ მხატვრულ მიმდინარეობას: „ნაივური მხატვრობა“. ამდენად „მარშრუტი 66-ში“ განთავსებული „გიგანტური“ საყოფაცხოვრებო საგნები პირდაპირ მიგვანიშნებს თავის ფუნქციაზე.

ფოტოგრაფმა ჰეილი ეხენბაუნმა ასევე შექმნა ე.წ. გზისპირა შენობების ფოტოების სერია „მარშრუტი 66“-ზე, რომელიც არქიტექტურულ - მხატვრული სახით შეადარა რეჟისორ სტენლი კუბრიკიკის მხატვრულ ფილმებს, რითაც ხაზი გაუსვა მათ არამარტო ისტორიულ მნიშვნელობას, არამედ ფსიქოემოციურ ზეგავლენას მგზავრზე. „მარშრუტი 66“ შეიქმნა 1926 წელს ამერიკაში, და გადაჭიმულია ლოს ანჟელესიდან ჩიკაგომდე. კვეთს რვა შტატს. მოიცავს, როგორც ურბანულ ტერიტორიებს, ისე გარემოზე პანორამულ ხედებს, პატარა

სოფლებს და ქალაქებს. როგორც ამბობენ: „ამერიკული აღმოჩენების გზა“ განასახიერებდა თავისუფლების სიმბოლოს. მიუხედავად მისი ისტორიული მნიშვნელობისა იგი ამოღებული იქნა აშშ-ის ავტომაგისტრალის სისტემიდან 1985 წელს, თუმცა დღემდე რჩება ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ტურისტულ მარშრუტად - ამერიკის ისტორიის ყველაზე რეალური ვიზუალური ასახვა. შესაბამისად იგი წარმოადგენს ალტერნატივას მათთვის ვინც ეძებს თავგადასავლებს და ხალხურ გამოცდილებას (სურ.3.4).

სურ. 3 სურ. 4

მარშრუტზე აგებული განსხვავებული ფუნქციის ნაგებობები ასევე ფინანსური სარგებლის მომტანი იყო, ამიტომ მათი არსებობა და ვიზუალური სახე პირდაპირ კავშირშია მცირე მეწარმეობასთან. თითოეულს ჰყავდა თავისი მფლობელი. გზისპირა ნაგებობები პატარა მუყაოსგან აგებულ ფერადოვან სათამაშო სახლებს უფრო გავდნენ და მათ ხშირად გულუბრყვილო არქიტექტურად მოიხსენიებდნენ, თუმცა მათში იკითხება ადგილობრივი კულტურა. ქმნიან განწყობას და მნახველში ემოციურად სიმშვიდის გრძნობას აღძრავდნენ. მნიშვნელოვანია ფოტოგრაფის დაკვირვება, იგი აღნიშნავს: „მგზავრობისას, მანქანიდან ერთი საათის განმავლობაში ჩემი ყურადღება დეტალებიდან ძირითად ფორმაზე გადავიდა“, - ”შორ მანძილზე მგზავრობა ხშირად იწვევს რაღაცას, რომელსაც ეწოდება "მაგისტრალის ჰიპნოზი". ეს არის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ადამიანის დაკვირვებას ყველაზე საბაზისო დონეზე გადარჩენისთვის.” ამდაგვარად ავტორი ხაზს უსვამს არქიტექტურული ფორმის მნიშვნელობაზე, მის მთლიანობაზე, მეტყველებაზე და სურათივით აღქმაზე (სურ.5) .

სურ. 5

დასკვნა:

ჩვენ მიერ განხილული გზისპირა ობიექტები მდებარეობდან რეგიონალურ, ისტორიულ მარშრუტებზე. თუმცა, აღნიშნული გარემოება აუცილებელ გავლენას ვერ ახდენდა ობიეტების არქიტექტურულ - მხატვრულ იერსახეზე. ასევე თავისუფალია სტილისტური გავლენებისგან. ამდენად თუ ქალაქში ობიექტების განთავსება გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით ხდება, გზისპირა არქიტექტურას მსგავსი შეზღუდვა არ აქვს - თავისუფალია კონტექსტისგან. მთავარია ობიექტების იერსახე უზრუნველყოფდეს მგზავრების მოზიდვას.

მიუხედავად ზემოდხსენებულისა გასული საუკუნის 60- იანი წლების გზისპირა არქიტექტურამ ორიგინალური სახე მიიღო. რაც გახდა განსჯის საგანი.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ შორი მანძილიდან ადვილად შესამჩნევი გზისპირა ობიექტები ხასიათდებოდა ფერადოვანი გადაწყვეტებით. არქიტექტურული ფორმა ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თითოეული ობიექტი თხრობითია და გვიყვება კონკრეტულ დანიშნულებაზე.

მხატვრულმა მიმდინარეობამ, როგორიცაა „გულუბრყვილო ხელოვნება“ ადეკვატური ასახვა პოვა გზისპირა ობიექტების ისერსახეზე და ჩამოყალიბდა, როგორც „გულუბრყვილო არქიტექტურა“, თუმცა მათში რადიკალური განსხვავებაა. გულუბრყვულო ხელოვნებაში მიზანი და შედეგი ცხადია, გულუბრყვილო არქიტექტურა კი პარადოქსულია. ისტორიული ანალიზით სწორედ ეს არქიტექტურული მიმართულება ყველაზე მეტად შეესაბამება გზისპირა ობიექტებს, რაც დასტურდება ჩვენ მიერ განხილული მაგალითებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.HISTORIC CONTEXT FOR EVALUATION OF COMMERCIAL ROADSIDE ARCHITECTURE; Elizabeth Rosin and Martha H. Bowers; THE CULTURAL RESOURCE GROUP; LOUIS BERGER & ASSOCIATES, INC. East Orange, New Jersey 1992; https://deldot.gov/environmental/archaeology/us113_dual/pdf/series99/roadside.pdf

2.Celebrating the Roadside Architecture of Route 66: A Marketing Perspective, Amy Webb and Grant Stevens, National Trust for Historic Preservation, Denver, Colorado, 2018. https://www.nps.gov/articles/000/marketing-perspective-route-66-roadside-architecture.htm

3.“Hayley Eichenbaum captures the "punchy absurdity" of Route 66 roadside architecture“ Jane Englefield, 22 November 2021. https://www.dezeen.com/2021/11/22/hayley-eichenbaum-punchy-absurdity-american-roadside-architecture/

4.Roadside Architecture. https://xroads.virginia.edu/~ug02/carney/architecture.html

5.Route 66: the Fabulous Roadside Attractions, Oddities, and Tourist Traps of the Mother Road

6. Colin Davies „Lessons at the roadside“, March 2004Architectural Research Quarterly 8(01):27 – 37; DOI:10.1017/S1359135504000053

https://www.researchgate.net/publication/231955329_Lessons_at_the_roadside

7. Синергетические методы в развитии современной архитектуры придорожных объектов
В. М. Шувалов, Московский архитектурный институт (государственная академия), Москва, Россия https://elima.ru/articles/?id=756
8. Анализ этапов развития архитектуры придорожных объектов Кази Шибли Суман аспирант, департамент архитектуры, Инженерная академия Российский университет дружбы народов (РУДН), Строительство и архитектура #11,2018
https://cyberleninka.ru/article/n/analiz-etapov-razvitiya-arhitektury-pridorozhnyh-obektov

რეზიუმე

ჩვენი კვლევის მიზანია გზისპირა ობიექტების არქიტექტურულ - მხატვრული თავისებურების ანალიზი. ჩვენ მიერ განხილული გზისპირა ობიექტები მდებარეობდს რეგიონალურ, ისტორიულ მარშრუტებზე.

თუმცა აღნიშნული გარემოება აუცილებელ გავლენას ვერ ახდენდა ობიეტების არქიტექტურულ - მხატვრულ სახეზე. ასევე თავისუფალია სტილისტური გავლენებისგან. ამდენად თუ ქალაქში ობიექტების განთავსება გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით ხდება, გზისპირა არქიტექტურას მსგავსი შეზღუდვა არ აქვს - თავისუფალია კონტექსტისგან. მთავარია ობიექტების იერსახე უზრუნველყოფდეს მგზავრების მოზიდვას და პასუხობდეს დანიშნულებას.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ შორი მანძილიდან ადვილად შესამჩნევი გზისპირა ობიექტები ხასიათდებოდა ფერადოვანი და ორიგინალური გადაწყვეტებით. არქიტექტურული ფორმა, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამასთანავე თვითოეული ობიექტი თხრობითია და გვიყვება თავის თავზე. მათი იერიდან გამომდინარე შეგვიძლია შევადაროთ მხატვრულ მიმდინარეობას, როგორიცაა „გულუბრყვილო ხელოვნება“. ჩვენი თვალთახედვით მხატვრულმა მიმდინარეობმა ადეკვატური ასახვა პოვა გზისპირა ობიექტების სახეზე და ჩამოყალიბდა, როგორც „გულუბრყვილო არქიტექტურა“.

თუმცა მათში რადიკალური განსხვავებაა. გულუბრყვულო ხელოვნებაში მიზანი და შედეგი ცხადია, გულუბრყვილო არქიტექტურა კი პარადოქსულია რადგან „შეუმჩნეველია“. ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს არქიტექტურული მიმართულება, ყველაზე მეტად შეესაბამება გზისპირა ობიექტებს. რაც დასტურდება ჩვენ მიერ განხილული მაგალითებით. ავტომაგისტრალების მიმდებარედ არსებული ობიექტების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ მათი არსებობა განსაკუთრებით მნიშვენლოვანია მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე: აყალიბებენ ავტომაგისტრალის არქიტექტურას, მისი განუყოფელი ნაწილია, უზრუნველყოფს ადამიანების ფსიქოემოციურ მდგრადობას ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისას, უშუალო გავლენას ახდენს ადამიანების (მძღოლების) ჯანმრთელობაზე.

"Invisible" Objects - Architectural-artistic Analysis of the Highway

Shtaadze A.

Resume

The purpose of this article is to analyze the architectural-artistic features of the roadside objects. The roadside facilities we reviewed were located on regional, historical routes. However, the mentioned circumstance could not have a necessary impact on the architectural-artistic appearance of the objects. It is also free from the stylistic influences. Thus, if the placement of objects in the city takes into the consideration a certain context, roadside architecture has no such limitation - it is free from the context. The main thing is that the appearance of the facilities should attract passengers and respond to the purpose.

The analysis showed us that the roadside objects easily visible from a long distance were characterized by colorful and original solutions. In many cases, the architectural form had a formal character. At the same time, the object itself is narrative and tells us about itself. Based on their appearance, we can compare them to an artistic movement such as "Naive Art". From our point of view, the artistic trend found an adequate reflection on the appearance of roadside objects and was formed as "naive architecture".However, there is a radical difference between of them. In “naïve art”, the goal and result are obvious, and naïve architecture is paradoxical because it is "imperceptible". Historical analysis shows that this architectural direction, most suitable for the roadside facilities. Which is confirmed by the examples we have discussed.

The history of the development of facilities adjacent to highways shows that, that their existence is particularly significant due to a number of the factors: they form the architecture of the highways, ensures psycho-emotional stability of people when traveling by motor vehicles, it has a direct impact on the health of people (drivers).

საჯარო ურბანული სივრცეების ტრანსფორმაციის როლი მსხვილი ქალაქების სეისმური რისკის შემცირებაში ქ.თბილისის ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის მაგალითზე

ჩაჩავა ნ.,
პროფესორი
ჭანტურია თ.,
ასოც. პროფესორი
თავდუმაძე ნ.
დოქტორანტი

21-ე საუკუნის სწრაფი ურბანიზაციის, გლობალური დათბობის, გახშირებული მიწისძვრებისა და სხვა სტიქიების პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება საზოგადოებაზე მათი ზემოქმედებით გამოწვეული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ზარალისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის საკითხების კვლევა, მოსახლეობის დაცვა ბუნებრივი სტიქიებისა და კატასტროფებისგან. ამ საკითხის მნიშვნელობა მრავალ საერთაშორისო და ევროპულ სამიტზე აღინიშნა, შეიქმნა სტიქიური უბედურებების მართვისა და შემცირების სპეციალური დოკუმენტები, პროგრამები, როგორიცაა Hyogo Framework for Action, GSHAP UNESCO-ს სამოქმედო ჩარჩო, ევროკავშირმა აამუშავა პროგრამა Making Cities Resilient; განხორციელდა RADIUSის, EMME, Caucasian Seismic Information System" ISTC A651 (CauSIN) და სხვა მრავალი პროექტი.

სეისმური რისკის კვლევის აქტუალობის თვალსაზრისით, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მისი დასახლებული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი მდებარეობს მაღალი სეისმური საშიშროების მქონე მთაგორიან ტერიტორიაზე. აქ მიწისძვრის პროვოცირების შედეგად ხშირად ვითარდება მეორადი მოვლენები, როგორიცაა ხანძარი, მეწყერი, ღვარცოფი, ქვაცვენა, ზვავი და სხვა, რასაც მოაქვს ადამიანებისთვის დიდი ზარალი, ხშირად მათი გადასახლების ან დაღუპვის მიზეზიც კი ხდება. ამიტომ ეს მოვლენები საქართველოს ურბანული და რურალური ტერიტორიების სეისმური რისკის კვლევებში ინტენსიურად განიხილება.

ქ. თბილისში, რომელიც გამოირჩევა მრავალფუნქციური და ინტენსიური განაშენიანებით, სარეკრეაციო სივრცეების სიმრავლით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა წარმოაჩინეს შენობა-ნაგებობების დაზიანებების, ადამიანების ევაკუაციისა და ურბანული ინფრასტრუქტურის ექსტრემალურ პირობებში ფუნქციონირების პრობლემები. აღსანიშნავია, რომ „საქართველოში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილებისა და ამ

სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით წინასწარ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. შესაბამისად, ადმინისტრაციული მართვის ყველა დონეზე საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მონიტორინგისა და პროგნოზის მუდმივად წარმოება, სამაშველო და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და გადარჩენილი ადამიანების სასიცოცხლო პირობებით უზრუნველყოფა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა.[3]

სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით ქ.თბილისი 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას მიეკუთვნება. [1] მიწისძვრების ბიძგების გამოვლინება ქალაქის ტერიტორიაზე არაერთგვაროვანია. ამიტომ თითოეული უბანი და ურბანული კომპონენტი, მათ შორის საჯარო სარეკრეაციო სივრცეები მოითხოვს კომპლექსურ კვლევას, დაფუძნებულს გეო-ფიზიკურ ეფექტებზე, საინჟინრო-გეოლოგიურ და ქალაქგეგმარებით ანალიზზე.[2]

აღნიშნული სამუშაო ემსახურება საჯარო სარეკრეაციო სივრცეების ურბანულ რისკზე ზემოქმედების კვლევას ქალაქგეგმარებითი პოზიციებიდან და პროფესიული რეკომენდაციების შემუშავებას საპროექტო და რისკის მართვის საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისთვის.

სატრანსპორტო ქსელის მრავალფეროვნების, ურბანული ტერიტორიის ადგილმდებარეობის, სივრცით-გეგმარებითი რეორგანიზაციისა და რაიონის ინტენსიური განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა მიხეილ თამარაშვილის, სულხან ცინცაძის, ბახტრიონის, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ქუჩებს შორის მოქცეული ყოფილი იპოდრომის ტერიტორია, ხოლო კვლევის მიზნად დაისახა მისი როლის შესწავლა მიმდებარე განაშენიანების სეისმური რისკის მართვისა და შემცირების საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ ურბანული ტერიტორიის სეისმური რისკი გამოხატავს განაშენიანების პოტენციურ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს გამოწვეულს მოსალოდნელი მიწისძვრით და მისი მეორადი გამოვლინებებით.

აღნიშნულ სტატიაში გაანალიზებულია ქუჩებისა და მათი განაშენიანების სეისმური რისკები. აქ სეისმური რისკის ინდიკატორია მანძილი და დრო, რომელიც მოსახლეობას სჭირდება უსაფრთხო ტერიტორიამდე მისაღწევად. რიგ შემთხვევაში ასეთ არეალებს ქმნის სარეკრეაციო საჯარო სივრცე.

განაშენიანების სეისმური რისკის შემცირებაში ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის მნიშვნელობის კვლევა სამი მიმართულებით

განვახორციელეთ: პრევენციული - სეისმური ზემოქმედების გამოვლინებამდე, რაც მოიცავს საპროექტო-გეგმარებითი ღონისძიებებით მოსალოდნელი მიწისძვრის გამანადგურებელი ეფექტის შემცირების საკითხებს ქალქგეგმარებითი მეთოდებით; სტიქიური უბედურების პროცესში - სწორად ორგანიზებული ლოგისტიკური სივრცის ხელშეწყობით სამაშველო-საევაკუაციო პროცესების ხელშეწყობა; მიწისძვრის შემდგომ პერიოდში - განაშენიანების დაზიანების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დროებითი თავშესაფრისთვის სარეკრეაციო სივრცის რეორგანიზაციის საკითხები.

ქ.თბილისის სეისმური რისკის შესწავლის მიმართულებით უკვე განხორციელებულ კვლევებში [2,4,5] მკაფიოდაა წარმოდგენილი ზოგიერთი ურბანული კომპონენტის როლი ბუნებრივი სტიქიის მავნე შედეგების შემცირებაში. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით გამოვყავით მობილობის კლასტერი განაშენიანების სეისმური რისკის მართვასთან მიმართებაში, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: სეისმური საშიშროება; ტრანსპორტი, მისი ინფრასტრუქტურა და გამტარუნარიანობა; ქვეითების ნაკადები, გადაადგილების დრო და სიჩქარე; სარეკრეაციო სივრცეები და მათი ტევადობა; სივრცით-კომპოზიციური ასპექტები, საორიენტაციო კომპოზიციური დომინანტები; დროებითი განთავსების სისტემა, რაც მოიცავს ტერიტორიის შესწავლის, გენგეგმის შემუშავების, საცხოვრებლის დაგეგმარებისა და სამედიცინო დახმარების ობიექტებიდან დაცილების კომპონენტებს.

საჯარო სივრცეების სეისმური რისკის შემცირების მეთოდების ჩამოყალიბებაში გამოყენებული იყო კარტოგრაფიული ანალიზის მეთოდი; სოციალური გამოკითხვის საშუალებები, კითხვარები. გამოკითხვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები.

ყოფილი იპოდრომის სტადიონი მდებარეობს ინტენსიურ განაშენიანებაში, არის წრიული ფორმის სარეკრეაციო საჯარო სივრცე, იკავებს 36 ჰა-ს, რომელსაც პერიმეტრზე მიუყვება კარგად განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, შემდგარი, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი დანიშნულებისქუჩებისგან [6].

აღსანიშნავია, რომ ეს ქუჩები თითქმის დაუბრკოლებლად უკავშირდება ქალაქის ძირითად ჩქაროსნულ მაგისტრალებს და სანაპირო სატრანსპორტო ზოლს შემდეგი კანონზომიერებით; თამარაშვილის გამზირი - ი.ჭავჭავაძის გამზირი - ვარაზისხევის აღმართი - გმირთა მოედანი - პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის სახელობის სანაპირო; თამარაშვილის გამზირი - ა.ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზირი - ვარაზისხევი. რაიონული მნიშვნელობის კარტოზიას ქუჩა აღმოსავლეთიდან სივრცობრივად აკავშირებს მიმდებარე

ინტენსიურ განაშენიანებას ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის სარეკრეაციო სივრცესთან, თუმცა ფიზიკური კავშირი შეფერხებულია რაიონული მნიშვნელობის სულხან ცინცაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის გზატკეცილზე განვითარებული სატრანსპორტო ინტენსიური მოძრაობით, რომლის გადალახვაც შესაძლებელია ყოფილი იპოდრომის 1000 მეტრიან პერიმეტრზე განთავსებული 2 გვირაბის გამოყენებით, ან ამ ესტაკადებზე მოწყობილი კიბის საშუალებით, აქედან გამომდინარე კარტოზიას ქუჩის ქვეითების მობილობა სარეკრეაციო სივრცისკენ შეფერხებულია, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის გადაადგილების სიჩქარეზე აღნიშნული მიმართულებით. სამხრეთის მხრიდან იპოდრომის ტერიტორია ორგანულად და შეუფერხებლად უკავშირდება ბახტრიონის, ფანასკერტელის, ჭაბუა ამირეჯიბის გზატლკეცილსა და ვაკის განაშენიანებას როგორც სატრანსპორტო კორიდორებით, ასევე საფეხმავლო ბილიკებით.



სურ. 1

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა იპოდრომის ინტენსიური კავშირი ქალაქის ძირითად სატრანსპორტო კორიდორებთან, რაც ექსტრემალურ პირობებში მისი ლოგისტიკურ ცენტრად გამოყენების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს. მიწისძვრის სცენარის მიხედვით გაშლილი, შენობებისგან თავისუფალი სივრცე სტიქიით გამოწვეული ნგრევის ზონიდან რომ არის მოცილებული, მაღალი ნგრევისა და დაზიანების პირობებში მოსახლეობისთვის უსაფრთხო არეალს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია სწრაფი დახმარების გაწევა საველე პირობებში, დროებითი თავშესაფრის მოწყობა, სამაშველო რაზმებისთვის შეკრების ადგილის დასახვა. კარგად განვითარებული სატრანსპორტო კორიდორები აღნიშნულ ტერიტორიას აკავშირებენ სახელმწიფო და რეგიონალური მნიშვნელობის

საავადმყოფოებთან, რაც მნიშვნელოვანია სტიქიით, ნგრევებით დაშავებული ადამიანებისთვის დროული დახმარების აღმოსაჩენად.

საკვლევი ტერიტორიის ლოგისტიკური ფუნქცია ექსტრემალურ პირობებში მოითხოვს ადამიანთა ნაკადების თავისუფალ შედინებას ტერიტორიაზე, რასაც ხელს უშლის ცინცაძისა და ამირეჯიბის ესტაკადები. ქუჩებს შორის კავშირების ორგანიზება უზრუნველყოფს მდგრად კომუნიკაციას - მაღალი რისკის ზონიდან ადამიანების გადაადგილებას დაბალი რისკის ზონისკენ. (სურ.1)



სურ. 2 ყოფილი იპოდრომის გარემოს მობილობის ანალიზი სეისმური საშიშროების გათვალისწინებით

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კომპოზიციური ცენტრების არსებობა, რომლებიც პანიკაში ჩავარდნილ მოსახლეობას მიუთითებენ მოძრაობის მიმართულებაზე უსაფრთხო ზონისკენ. ვაკის ქედი შეიძლება გამოყენებული იყოს ასეთ ლანდშაფტურ დომინანტად.

მაშინ მიმდებარე განაშენიანებებს შორის ყველაზე მეტად მოწყვლადი და ნაკლებად დაცულია კარტოზიას ქუჩის მოსახლეობა, რომლისთვისაც დომინანტი შემაფერხებელი ურბანულ-ლანდშაფტიური კომპონენტია, ანუ შეიძლეა არასორი მიმართულებით ამოძრაოს ნაკადები. ამიტომ უსაფრთხოების თვალსაზრისით სასურველია ამ მონაკვეთების რეკონსტრუქცია.

ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე იგეგმება ცენტრალური პარკის გაშენება. ამ შემთხვევაში ეს სამუშაოები მიზანშეწონილია შესრულდეს ტერიტორიის საგანგებო სიტუაციაში ლოგისტიკური ფუნქციის გათვალისწინებით. სასურველია ტერიტორიის ახალი დაგეგმარების დროს შენარჩუნებული იყოს ან შეიქმნას სათადარიგო შესასვლელები და შენარჩუნდეს უმოკლესი და უწყვეტი მობილობის კორიდორები განაშენიანების მხრიდან [7]. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს კომპოზიციურ

აქცენტებს, რისთვისაც შესაძლებელია ლანდშაფტის გამოყენება [7], რაც ნიშნავს პარკის აღქმადობის გაზრდას განაშენიანების მხრიდან, არ მოხდეს პარკში დროებითი ნაგებობებით ხედვის პანორამის შეზღუდვა. (სურ. 2)

სარეკრეაციო სივრცის ლოკალური, წერტილოვანი მნიშვნელობა

სარეკრეაციო სივრცის სისტემური, ექსტრემალურ გარემოზე მორგებული კონცეპცია

სურ. 3 სატრანსპორტო ქსელის სეისმური რისკის ფაქტორი ყოფილი იპოდრომის

ამრიგად, ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, სადაც შესწავლილი იქნა ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის არსებული ფუნქციური და სატრანსპორტო კავშირები, მისი პოტენციალი, გამოიკვეთა არსებული მობილობის ქსელის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გაიცა რეკომენდაციები მაღალი რისკის არეალის რეკონსტრუქციისთვის, საგანგებო სიტუაციებში ახალ გეგმარებით გადაწყვეტებში მისი ტრანსფორმაციის უნარებით. (სურ.3)

ჩატარებული ანალიზის სამუძველზე შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

მაღალი საშიშროების ტერიტორიაზე განისაზღვროს მაღალი და დაბალი რისკის ზონები და შეიქმნას კავშირები ამ ზონებს შორის;

მოხდეს ამ კავშირების რანჟირება მათი სეისმური რისკის მიხედვით შეიქმნას კავშირების ჩარჩო - პროგრამა კონკრეტულ არეალებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ჩაიდოს საკონკურსო პირობებში;

საკვლევი ტერიტორიების ანალიზისას გამოიკვეთა რეკომენდაციები დაკავშირებული მოსახლეობის მობილობის პროცესთან - შეიქმნას კომპოზიციური დომინანტები, რომლებიც პანიკის შემთხვევაში ადამიანებს ორიენტაციის საშუალებას მისცემენ;

ლოგისტიკის ზონები, სადაც მოხდება პირველადი დახმარების გაწევა, სამაშველო ჯგუფების დაორგანიზება;

სარეკრეაციო სივრცეებში დროებითი საცხოვრებლების მოწყობა მიწისძვრით ან სხვა სტიქიით გამოწვეული უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის, რომელიც ამ გზით ქალაქის ინფრასტრუქტურასთან შეინარჩუნებენ კავშირს;

ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა მნიშვნელოვანი ტერიტორიული და სივრცითი პოტენციალი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია განაშენიანების სეისმური რისკის შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სამშენებლო ნორმები და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა" https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/86596?publication=0
2. Seismic Risk Assessment for Tbilisi. Tsereteli, N., Varazanashvili, O., Chelidze, T., Gvencadze, A., Arabidze, V., Mukhadze, T., Arevadze, N., Chachava
3. საგანგებო სიტუაციებში კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის საფუძვლები . მელქაძე თ. ISBN 978-9941-20-095-3 http://www.gtu.ge/publishinghouse/ UDC (უაკ): 364.2(02) © საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი 2012
4. Proportion&Urbanism&Environment, Edited by Antonio Castelbranco&Oksana Turchanina, ISBN 978-989-97265-2-9, Publish hous "ArchiBooks", Lisbon, November 2017
5. რისკის ფაქტორები და მათი გათვალისწინება თბილისის განაშენიანებაშითბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები. გენერალური გეგმის შესადგენად საჭირო სტრატეგიული კვლევების ნაშრომთა კრებული. წიგნი მეორე.შედგენილი გივი ბერიძის მიერ. გვ. 237-258. თბილისი ISBN 9994-0-133-7, 2004
6. http://dor23.ru/?id=925 25.10.23
7. თბილისის ლანდშაფტის პრობლემები სამართლებრივ და ბიოკლიმატურ კონტექსტში მელქაძე მ. არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, ISSN 2233-3266, 2012, 2, გვ. 97—104

რეზიუმე

21-ე საუკუნის ურბანიზაციის პროცესში, მიმდინარე გლობალური დათბობის პირობებში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გვევლინება ქალაქების მდგრადი განვითარება და მათი დაცვა სტიქიური უბედურებებისგან. ქ.თბილისი, რომელიც საქართველოს დედაქალქს და რეგიონის მნიშვნელოვან აგლომერაციას წარმოადგენს მდებარეობს მაღალი სეისმური საიშროების ტერიტორიაზე, რომელიც MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალიანისეისმური ინტენსიურობის ზონას მიეკუთვნება.

მაღალი სეისმური საშიშროების ტერიტორიაზე მდებარეობისა და საქართველოს ევროპასთან რატიფიცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სულ უფრო აქტუალური ხდება დაპროექტების პრინციპების გადახედვისა და დახვეწის აუცილებლობა მშენებლობისა და დაპროექტების სფეროში.

აღნიშნული სამუშაოს კვლევის საგანია სეისმური რისკის შემცირების მეთოდოლოგიის დახვეწა ქალაქგეგმარებითი მეთოდების გამოყენებით. ამ მიზნით განხილული იქნა კლასტერული მიდგომის პრინციპები და გამოიყო მობილობის კლასტერი ყოფილი იპოდრომის მიმდებარე განაშენიანებისთვის. კვლევის შედეგად განისაზღვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე მობილობის სუსტი და ძლიერი მხარეები განაშენიანების სეისმური რისკის გათვალისწინებით. შემუშავებული იქნა რეკომენდაციები, სადაც აღინიშნა ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში სწორად დაგეგმილი და ორგანიზებული ტერიტორიების მდგრადობა, განპირობებული საპროექტო გადაწყვეტილებებით - მაღალი რისკის ზონიდან დაბალი რისკის ზონაში მოსახლეობის ნაკადების გადაადგილებით, კომუნიკაციის უზრუნველყოფით, საგანგებო სიტუაციებში სარეკრეაციო სივრცეების სწრაფი ტრანსფორმაციის უნარით და სხვა.

The Role of the Transformation of Vacant Urban Spaces in Reducing the Seismic Risk of Large cCties on the Example of Tbilisi

Chachava N., Chanturia T., Tavdumadze N.

Resume

In the process of urbanization of the 21st century, which is taking place under the conditions of global warming, natural disasters attract the importance of investigations regarding the resilience of the cities and their sustainability. It became one of the priority directions for humanity. The problem of Seismic risk reduction is very argent for Tbilisi City as well, which is the capital of Georgia and an important agglomeration of the region. It is located in the area of high, 8-point seismic intensity zone according to the M SK64 scale. Due to such location and the European ratification agreement requirements for Georgia, the need to review and refine the design principles for safety became more and more actual for country.

The research subject of the mentioned work is the improvement of seismic risk reduction methodology using urban planning methods. For this purpose, the principles of the cluster approach were discussed and a mobility cluster seismic risk reduction components were identified for the existing surroundings of the former racetrack in Tbilisi, Saburtalo district. As a result of the research, the weak and

strong sides of mobility in the mentioned area were determined, taking into account the seismic vulnerability of the territory. Recommendations were developed for sustainable planning and urban development of the investigated territory, which noted the Seismic risk reducing issues in design solutions like – managing of population flows from high-risk zone to low risk zone, providing good communication links between population, building stock and recreational area, ability of recreational areas for quick transformation in emergency situations, etc.

მეტაარქიტექტურა და ტექნოლოგიების საბაზისო ცოდნის აუცილებლობა

ჩიგოგიძე თ.
პროფესორი
ჯინჭარაძე თ.
დოქტორანტი

არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების პროპედევტიკული ასპექტების ცოდნა არქიტექტორის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აფართოებს. ამასთან ერთად, ციფრული ტექნოლოგიები სხვა ინოვაციებთან შედარებით, სწრაფად ვითარდება.

მეტაარქიტექტურა - არქიტექტორების ახალი შესაძლებლობებია მეტასამყაროში. არქიტექტურული შემოქმედება სულ უფრო ჰეტეროგენური ხდება და ადრე მისთვის უცხო მეცნიერებებს ითავსებს.

მეტას ნიშნავს– მიღმას, გულისხმობს რეალური სამყაროს მიღმა არსებობას. მეტაარქიტექტურა აერთიანებს და მიმართულებას აძლევს თქვენ არქიტექტურულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

ტექნოლოგია და ციფრული ინოვაციები აყალიბებს ეკონომიკას და დადებითად მოქმედებს საზოგადოებაზე. ნებისმიერი კომპანიის წარმატების საფუძველი აუცილებლად გახდება მის მიერ არჩეული ციფრული სტრატეგია. ამაზონის ქართველი თანამშრომელი, რევერსული ლოჯისტიკის ხელოვნური ინტელექტის განვითარების ბიზნესჯგუფის ხელმძღვანელი პავლე მგელაძე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს ამ და სხვა საკითხებზე ერთერთ ინტერვიუში. მისი თქმით, თუ გვინდა ნებისმიერი ბიზნესი სამომავლოდ მომგებიანი გახდეს, არჩევანი ციფრულ ფორმატზე უნდა გავაკეთოთ. მრავალი რეფორმა იქნება გასატარებელი განათლების დარგშიც. უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება და დავსახოთ განათლების მთავარი პრიორიტეტები. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, საინჟინრო სფეროს, არქიტექტურას, მათემატიკას. შეძენილი უნარები მოქნილი და საქმეზე ორიენტირებული უნდა იყოს.

ტექნოლოგიური კორპორაციები მიიჩნევს, რომ ინტერნეტი მისი ამჟამინდელი ფორმით ახლო მომავალში არააქტუალური გახდება. მის ადგილზე მოვა მეტასამყარო - გლობალური ვირტუალური სივრცე, რომელშიც შესალებელი იქნება ცხოვრება, მუშაობა, მეგობრებთან შეხვედრა და ყოველდღიური საქმეების გაკეთება. სწორედ მეტასამყაროში ხედავს დიდ მომავალს ყოფილი ჰოლდინგი ფეისბუკიც (Facebook), რომელმაც სახელწოდება შეიცვალა და დაირქვა „მეტა“

(Meta). მარკ ცუკერბერგმა (ფეისბუკის დამფუძნებელმა) მეტასამყაროს „მოცულობითი ინტერნეტი“ უწოდა.

მეტასამყარო არის ფიზიკური და ვირტუალური რეალობის კონვერგენცია ონლაინსივრცეში, რომელიც ფანტასტმა მწერალმა ნილ სტივენსონმა 1992 წელს რომანში „Snow Crash“ პირველმა აღწერა და 2022 წელს შეიძინა რეალური სახე. კომპიუტერული თამაშები Fortnite, Roblox, Minecraft და სხვები წლების განმავლობაში უკვე აშენებს ციფრულ სამყაროს. ეს აღარ არის შორეული მომავალი სამეცნიერო ფანტასტიკიდან, დიდი ალბათობით მოვესწრებით და ვიხილავთ ყოველივეს. სავარაუდოა, რომ მომავალი თაობისთვის მსოფლიო ქსელი, მისი ამჟამინდელი ფორმით, წარსულის ისეთივე გადმონაშთი გახდება, როგორც დღევანდელი თინეიჯერებისთვის სახლის ტელეფონები (სურ. 1).

სურ. 1

მეტასამყაროს აღწერისას შეიძლება ითქვას, რომ ეს არის რეალური - ფიზიკური სამყაროს ციფრული გამოსახვა, რომელში შეღწევაც შესაძლებელია VR (Virtual Reality) სათვალეების მეშვეობით. მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება საკუთარი ავატარი შექმნას და მისი გადაადგილებით ესტუმროს სხვადასხვა ვირტუალურ სივრცეებს, სადაც მოეწყობა კონფერენციები, ნებისმიერი სახის შეხვედრები. ავატარის გამოყენება იმდენად რეალისტური გახდება, რომ ვირტუალური შეხვედრის ფიზიკურისგან გარჩევა შეუძლებელი იქნება. ამ მიმართულებით ფეისბუკის მხრიდან გადადგმულია ნაბიჯი „Horizon Workrooms“ პროგრამის ბეტავერსიის სახით, სადაც მომხმარებელი თავისი ავატარით წარდგება და შეუძლია ურთიერთობა და ციფრული დაფების მეშვეობით პროექტებზე მუშაობა (სურ. 2).

სურ. 2

მსხვილი კომპანია ავითარებს საკუთარ სამყაროს, მაგრამ იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მეტასამყარო იყოს ერთი, აერთიანებდეს კომპანიებს, ტექნოლოგიებს, დამმუშავებლებსა და მომხმარებლებს მთელი მსოფლიოდან და მუშაობდეს ინტერნეტის პრინციპით.

ფიზიკურ საყაროში არქიტექტურის ფუნქციის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. შენობები არა მარტო გვიცავს უამინდობისაგან, არამედ ქმნის განწყობას. საერთოდ არქიტექტურა მხატვრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, თავისი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების პირობების, თვით ამ ობიექტური რეალობის, საზოგადოების ცხოვრებისათვის აუცილებელი, მატერიალურად ორგანიზებული სივრცითი გარემოს შექმნის გზით.

არქიტექტურა ციფრულ სამყაროში არ არის შეზღუდული სამშენებლო მასალების ღირებულებით ან ხელმისაწვდომობით, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებით თუ სამშენებლო ვადებით. შენობების ხანმედეგობა დამოკიდებული იქნება მეტასამყაროს კორექტულ მუშაობაზე, ხოლო სართულის, ფანჯრის სიმაღლე ან თაღის რადიუსი ფანტაზიაზე. ასე, მაგალითად, კომპანია NVIDIA მუშაობს პლატფორმა „Omniverse“-ზე, რომელშიც არქიტექტორები „Foster+Partners“ კოპანიიდან, სადაც 14 ქვეყნიდან არიან ჩართული თანამშრომლები, პროექტებს ქმნის ერთიან ვირტუალურ სირცეში.

Zaha Hadid Architects ბიუროს არქიტექტორები უკვე მუშაობენ Liberland მეტასამყაროს სივრცეებში. Zaha Hadid Architects-ის დირექტორ პატრიკ შუმახერის თქმით, მეტასამყაროში არქიტექტურა აუცილებელი იქნება სივრცის სათანადო ორგანიზაციისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებლთა კომუნიკაციას, როგორც ეს ხორციელდება კომპიუტერულ პროგრამებში UX/UI (მომხმარებელთა ინტერფეისი) დიზაინის მეშვეობით.

ვირტუალურ რეალობაში აწყობილი სამყარო ახლო მომავლის პერსპექტივაა. ეს არის გარემო, სადაც ჩვენ ერთად ყოფნა და თანაარსებობა შეგვიძლია. ამ პროექტების განხორციელება ვერ მოხერხდება არქიტექტორების ძალისხმევის გარეშე. მეტასამყაროს კონცეფცია ეფუძნება მომხმარებლების ჩართულობასა და აქტიურ მონაწილეობას. ყველას შეეძლება საკუთარ ტერიტორიაზე დაპროექტება,

მაგრამ საჯარო სივრცეები, საერთო ესთეტიკა და უნიკალური ობიექტები არქიტექტორებმა უნდა დააპროექტონ.

ცუკერბერგის აზრით, შექმნილი სივრცე არქიტექტორების კრეატიულობასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ სურვილი მოხვდნენ მათთვის სასურველ გარემოში. უნდა შეიქმნას ქალაქები, უამრავი არქიტექტორ–დიზაინერის დასაქმება გახდება საჭირო. მთელი სამყარო თავიდან დაპროექტდება ვირტუალურ სივრცეში. აქედან გამომდინარე - მხოლოდ პროგრამისტები ვერ შეძლებენ თავი გაართვან უახლეს გამოწვევებს. არქიტექტორის პროფესია ისეთი მოთხოვნადი გახდება, როგორც არასდროს. ამიტომ, უნდა ვისარგებლოთ ამ სიახლით და მოზღვავებული მოთხოვნის საპასუხო ნაბიჯები გადავდგათ.

ტექნოლოგიური პროცესების განვითარება ადამიანის სასიკეთოდ ხდება და ამიტომ სწორედ ადამიანი უნდა მოექცეს მოვლენების ეპიცენტრში.

თანამედროვე ტექნოლოგიები ყველაფრის გაციფრულებას მოითხოვს, მაგრამ ჩნდება ერთი მაგრამ. ხელოვნება კრეატიულობისგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ყველაფერს ვერ გააციფრულებ. ხელოვნებას ადამიანის მოაზროვნე ტვინი სჭირდება. კომპიუტერი ადამიანზე პროფესიონალურად გააკეთებს იმ საქმეს, რასაც ადამიანის დიდი ძალისხმევა სჭირდება. დაპროგრამების დროს, როდესაც სისტემა დახვეწილია, ის შეცდომას არ დაუშვებს, მაგრამ გამოთვლების პროცესში, ადამიანური ფაქტორის ჩართვის შემთხვევაში, შეცდომა გამორიცხული არ არის.

კომპიუტერულ ეპოქაში ხელოვნური ინტელექტი და ინტერიერის დიზაინი მჭიდრო კავშირშია. პროცესში აუცილებლად ჩართული უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე არქიტექტორები, რადგან ტექნიკურ მხარეს ბევრად აღემატება კრეატიული პროცესი. ამ სფეროში უამრავი კვლევა ჩატარდა. მეცნიერების უმრავლესობა მივიდა იმ საერთო შეთანხმებამდე, რომ მოაზროვნე ადამიანი შეუცვლელია.

დღეს მხოლოდ პროფესიონალმა არქიტექტორებმა და დიზაინერებმა იციან დიზაინის კანონიკა და ტექნიკა, მათი გაძლიერება კი ხელოვნური ინტელექტითაა შესაძლებელი.

მომავალში დიდი ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა სფეროს ავტომატიზაციას და რობოტიზაციას. რობოტიკის განვითარება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სხვადასხვა წარმოებისთვის, თითქმის მთლიანად გამოირიცხება ადამიანური ფაქტორი.

თანამედროვე კვლევების უდიდესი ნაწილი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ წლების შემდეგ ხელოვნური ინტელექტი მთლიანად ჩაანაცვლებს ადამიანის ტვინს. ეს უტოპიაა და სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდ მოიაზრება. ასე, რომ არქიტექტორ-დიზაინერებს სადარდებელი არაფერი აქვთ, მათი შრომა ბაზარზე

ყოველთვის მოთხოვნადი იქნება. კარგი დიზაინერი თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს, მას სამუშაო ადგილის დაკარგვის საფრთხე არ ემუქრება.

პარადოქსია ის ფაქტი, რომ ხელოვნური ინტელექტის დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებული საუკეთესო შედეგიც კი საბოლოო ჯამში მაინც ადამიანმა უნდა შეაფასოს.

ჭკვიანი სახლების იდეა კომპიუტერულ ეპოქაში დაინერგა. მიუხედავად ამისა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აპლიკაციების ცვლილებას და უსაფრთხო სისტემების დანერგვის ახალ მიდგომებს მოითხოვს.

შეიძლება ითქვას, მეტასამყარო უკვე არსებობს თავის ცალკეულ გამოვლინებებში, რომლებიც ერთ სურათად უნდა იქნეს აწყობილი. როგორი იქნება ვირტუალური სამყარო დამოკიდებულია მის მონაწილეებზე, ასევე როგორი იქნება არქიტექტურა - თავისუფალი, ტექნოლოგიური, შემოქმედებითი, UI / UX თუ სხვა ინდუსტრიების მომცველი.

სრულფასოვანი აკადემიური ცოდნის გარეშე ვერც რაიმე ღირებულ ინოვაციურ ხედვას მიაღწევ. აუცილებელია გქონდეს გამოცდილება სცენის მიღმა, კულისებში, სადაც მაყურებლისთვის ყველაფერი დაფარულია, შენ კი „დაფარული ინფორმაციიდან“ უნდა გამოხვიდე და ახალი რეალობა შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

https://www.paconsulting.com/insights/the-world-is-becoming-total-digital-are-you/
https://www.accenture.com/us-en/insights/technology/technology-trends-2021
https://www.makeuseof.com/technology-trends-2022/
https://www.re-thinkingthefuture.com/rtf-fresh-perspectives/a1034-9-recent-technological-advancements-in-architecture-that-architects-must-know/
The Metaverse Value-Chain. Trillions of dollars are pouring into… | by Jon Radoff | Building the Metaverse | Medium
https://medium.com/building-the-metaverse/the-metaverse-value-chain-afcf9e09e3a7

რეზიუმე

ციფრული ტექნოლოგიები, სხვა ინოვაციებთან შედარებით, სწრაფად ვითარდება. დღეს ბიზნესი და ტექნოლოგიები განუყოფელია.

ტექნოლოგიური რევოლუციები ცვლის სამუშაო ძალას. მწვანე ეკონომიკას 24 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია. ამის პარალელურად 2030 წლისთვის 800 მილიონი ადამიანი სავარაუდოდ დაკარგავს სამუშაო ადგილს. ადამიანებს მოუწევთ ახალ რეალობასთან შეგუება. მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები ახალი უნარების განვითარებას მოითხოვს. ნებისმიერ რიგით

თანამშრომელს, რომელიც მაღალ დონეზე ფლობს ტექნოლოგიურ ჩვევებს შესაძლებლობა მიეცემა გახდეს დარგის ინოვატორი და ლიდერი.

არქიტექტურის აღორძინება ტექნოლოგიური პროცესების სწორად წარმართვაზეა დამოკიდებული. მომავლის არქიტექტორებმა აუცილებლად საფუძვლიანად უნდა იცოდნენ წარსული. მცოდნე დეველოპერები ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიების პროპედევტიკას.

აკადემიური ცოდნა ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში ინოვაციური ხედვა ვერ მიიღწევა. აუცილებელია გქონდეს გამოცდილება სცენის მიღმა.

Meta Architecture and the Need for Basic Knowledge of Technology

Resume

Chigogidze T.
Jincharadze T.

Digital technologies are developing faster than other innovations. Today, business and technology are inseparable.

Today more should be done to help people and develop online sectors.

It is so important to learn the application of machine learning algorithms.

Digital technologies have advanced more rapidly than any other innovation in our history–reaching around 50% of the developing world's population in only two decades.

Today, business and technology are inextricably linked. And keeping pace with the emerging technology landscape can be difficult for even the most tech savvy leaders.

Throughout history, technological revolutions have changed the labor force: creating new forms and patterns of work, making others obsolete and leading to wider societal changes.

The International Labor Organization estimates that the shift to a greener economy could create 24 million new jobs globally by 2030 through the adoption of sustainable practices in the energy sector, the use of electric vehicles and increasing energy efficiency in existing and future buildings. Meanwhile, 800 million people could lose their jobs to automation by 2030.

People can re-skill and up-skill throughout their lifetimes. They should have the necessary training or skills to get a well-paid job.

With democratized technology, every employee can be an innovator, empowered to create technology-driven solutions on their own.

With multiparty systems, enterprises can gain greater resilience and adaptability, more seamlessly share data, and set new ecosystem-forward standards for their industries. In the face of the global disruption of COVID-19, we are learning, we are stronger together.

The businesses that start building intelligent twins of their assets and piecing together their mirrored environments today, will be the ones that push industries and the world toward a more agile and intelligent future.

There are many new applications and architecture technologies making the jobs of architects easier and at the same time more challenging. There is a need to adapt and get adhered to the upcoming technologies in the best way to thrive in a challenging future.

Architect programmers should have basic knowledge of the field. If you are a painter, and don't know that other brushes exist… you'll never "need" those other brushes, you'll just paint all your pictures with the one you have.

ჭავჭავაძის გამზირის ერთი მონაკვეთის სახეცვლილების შესახებ

ძიძიგური მ.

პროფესორი

ჭავჭავაძის გამზირი არა მარტო თბილისის ერთი უბნის - ვაკის მთავარი არტერიაა, არამედ დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი ღერძის ნაწილი. იმ ღერძისა, რომლის მიმართულება მე-19 საუკუნეში ჩაისახა და დროში და სივრცეში თანამიმდევრულად განვითარდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თავისუფლების მოედნიდან ვერა-ვაკის მიმართულებით. ამდენად, ღერძის გრძივი განვითარება (რუსთაველის გამზ., მელიქიშვილის გამზ., ჭავჭავაძის გამზ.) მიუთითებს ქალაქის განაშენიანების ზრდის ტენდენციას წყნეთისკენ ორიენტირებულ ვექტორზე. პირველი მონუმენტური ნაგებობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე, კერძოდ, ვერა-ვაკის საზღვარზე, ვარაზის ხევის თავზე აიგო 1905 წელს, მაშინდელი სათავადაზნაურო გიმნაზიის (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) რენესანსულ-ბაროკული შენობაა ცნობილი ქართველი ხუროთმოძღვრის ს. კლდიაშვილის ავტორობით. სწორედ აქედან ანუ ვარაზის ხევისა და ვერის უბნის მთავარი არტერიის, დღევანდელი მელიქიშვილის გამზირის კვეთიდან იღებს სათავეს ჭავჭავაძის გამზირის ხაზი. წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის ჭავჭავაძის გამზირის არქიტექტურულ-ურბანულ, მათ შორის სატრანსპორტო პრობლემათა დეტალური ანალიზი, არამედ განაშენიანების გარკვეული ნაწილის ტრანსფორმაციის განხილვა უპირატესად მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით.

გამზირის მიმდებარე ტერიტორიის ათვისება მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდიდან დაიწყო და გაგრძელდა ომისშემდგომ პერიოდში. ვაკისკენ ქალაქის ზრდის ტენდენციას ხელი შეუწყო აქ იმ პერიოდისთვის კეთილმოწყობილი, კომფორტული ბინებით დაკომპლექტებული საცხოვრებელი სახლების უხვად მშენებლობამ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფუძნებამ და ამავე დროს უბნისთვის და მთლიანად ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სარეკრეაციო ზონის - ე.წ. ვაკის პარკის დაარსებამ. ამდენად, თანდათანობით ერთ დროს დედაქალაქის გარეთუბანმა, შესაბამისი მწირი და მცირემასშტაბიანი განაშენიანებით, მიიღო მეტად მონუმენტური ხასიათი და ქალაქის ცენტრალური უბნისთვის შესაფერის გარემოდ ჩამოყალიბდა, რომელიც

ინტელიგენციისა და მაშინდელი პოლიტიკური ელიტის საცხოვრებელ არეალად გადაიქცა. ამ ურბანულმა და სოციალურმა ცვლილებამ შესაბამისად მოსახლეობის მიზიდულობა განაპირობა. ეს „პრივილეგირებულობა“ უბანმა საბჭოთა პერიოდიდან დღემდე შეინარჩუნა. რა თქმა უნდა უბნის ეს თვისება მთავარი მაგისტრალის განაშენიანებაში განსაკუთრებული იმპოზანტურობით აისახა, თითოეული ობიექტის აგების დროისთვის შესაფერისი არქიტექტურულ-სტილისტური გადაწყვეტით. ბ-ნი ნიკა შავიშვილი აღნიშნავს რომ ვაკე დაარსებიდანვე არ მოიაზრებოდა ე.წ. „საძილე კვარტლად“ [1]. მართლაც, ვაკის განაშენიანება თავიდანვე არ მოაზრებულა ისე, როგორც მაგალითად, მე-19 ს-ში სოლოლაკი ან მე-20 ვაჟა-ფშაველასა თუ ნუცუბიძის კვარტლები, მიზნობრივად საცხოვრებელი დანიშნულებით, თუმცა მისი ათვისების პროცესში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, საცხოვრებლის ხვედრითი წილი განსაკუთრებით გაიზარდა.როგორც ბ-ნი ნ. ჯანბერიძე აღნიშნავს წყაროზე დაყრდნობით (ვაკის დაგეგმვა “კომუნისტი“, 1926, 24.11, #269) „ვაკე თანდათანობით გადაიქცა ქალაქის ახალ ძირითად საცხოვრებელ რაიონად“, რომლის სტიქიური განაშენიანების თავიდან ასაცილებლად 1926 წელს გამოცხადდა კონკურსი. გამარჯვებული პროექტის ავტორმა, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტმა, მომავალმა ცნობილმა ხუროთმოძღვარმა არ. ქურდიანმა, ვაკის რაიონში საცხოვრებლის გარდა, საზოგადოებრივი, სასწავლო, სასპორტო და სხვ. შენობები, ბაღები და სკვერები გაითვალისწინა, თუმცა განხორციელდა მხოლოდ მრგვალი ბაღი, რადიალური ქუჩებით ბარნოვისა და ერისთავის ქუჩების კვეთის მიდამოებში“ [2]. ეს ტენდენცია მას მერე არ შემცირებულა. დღესაც ვაკე ძალიან მიმზიდველია კერძო ინვესტორებისთვის, რომელთა აქტივობა დაწყებული მე-20 ს-ის მიწურულიდან დღემდე თვალნათელია ჭავჭავაძის გამზირის ორივე ნაპირის და მიმდებარე ტერიტორიებზე (აბაშიძის, ფალიაშვილის, მოსაშვილის, მცხეთის, ყიფშიძის, ატენის და ა.შ. ქუჩების არეალში). უმრავლეს შემთხვევაში საცხოვრებელი შერწყმულია კომერციულ თუ საოფისე დანიშნულებასთან, ამდენად შერეული ფუნქციის ობიექტები ახალმშენებლობაში ჭარბობს. თვით გამზირის განაშენიანება არაერთგვაროვანია, რასაც განაპირობებს, გამზირის მონაკვეთების ფუნქციური მრავალფეროვნება, მასშტაბის ცვალებადობა, სტილისტური განსხვავება. ამჯერად შევეხებით იმ კონკრეტულ არეალებს, სადაც განსაკუთრებით გამოიკვეთა უახლესი პერიოდის ტენდენციები და შევეცდებით კრიტიკულად გავაანალიზოთ შედეგები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა გალაქტიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მაღლივი შენობების ერთგვარი კუმულაცია მოხდა. აღსანიშნავია, რომ გამზირის ბოლო მონაკვეთში ორივე მხარეს პირველი მრავალსართულიანი საოფისე ნაგებობები აიგო გასული საუკუნის 60-იან წლებში, ვგულისხმობთ ყოფილი

საქქალაქმშენსახპროექტის (ამჟ. „ლიბერთი ბანკი“) და კვების მრეწველობის საპროექტოს (ამჟამად „ქართუჯგუფი“) შენობებს. ეს გახლდათ პირველი მცდელობა ამ ტერიტორიაზე საოფისე „ცათამბჯენის“ გაჩენისა, გამზირის განაშენიანების უმეტესი ნაწილი მე-20 ს-ის შუა წლების საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციისა გახლდათ აგების დროისთვის დამახასიათებელი იერსახით.ამ ვერტიკალურ აქცენტებს მონუმენტურობით არ ჩამოუვარდებოდა გამზირის გასწვრივ ჰორიზონტალურად „გაწოლილი“ ენგურჰესის მშენებელთა საცხოვრებელი სახლი (გ. ბიჭიაშვილი, ზ. კოპალაძე, თ. დალაქიშვილი, ო. დარჩიევი, 70 - იანი წწ.), რომლის ბრუტალური არქიტექტურა განსაზღვრავდა მის სოლიდურობას.

სურ. 1

მიმდინარე საუკუნეში ამ ლოკალური არეალის განაშენიანების მასშტაბი, ესთეტიკა მკვეთრად შეიცვალა. ასეთი მასშტაბის ცვლილებები არ გამოუწვევია მე-20 საუკუნის მიწურულს ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიის არეალში აგებულ არც ჩეხეთის დიპლომატიური კორპუსისთვის განკუთვნილ უდაოდ საინტერესო შენობას, არც ტაძარს (არქიტექტორი ვ. ბახტაძე, საძირკველი აკურთხეს-1999წ.). გალაკტიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულშივე გამოიკვეთა ტენდენცია მრავალფუნქციური კომპლექსების აგებისა, მსხვილი კომერციული, საქმიანი ფუნქციის ხვედრითი წონის ზრდისა საცხოვრებელი დანიშნულების კვალდაკვალ. მრავალფეროვნებამ (საკულტო, საცხოვრებელი, საქმიანი, კომერციული) ერთგვარად გააააქტიურა, ხალხის ნაკადით დატვირთა გამზირის ეს მონაკვეთი, განსაკუთრებით სავაჭრო ცენტრების (კარფური, აგროჰაბი), ტაძრის ნაპირი. მიმდინარე ს-ში ქვეყნისთვის ჯერ კიდევ ახალფეხადგმული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელმა ნაჩქარევმა ეკონომიკურმა გადაწყობამ, კომერციალიზაციამ, პოლიტიკური გავლენების ცვალებადობამ ყველა სფეროზე, განსაკუთრებით თვალნათლად არქიტექტურაზე იმოქმედა. ამ მოვლენამ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის განაშენიანების ტრანსფორმაცია განაპირობა, სახეზეა ბიზნეს-ცენტრად ჩამოყალიბების

ტენდენცია. თავდაპირველად ტაძრის ტერიტორიასა და გალაქტიონის ძეგლს შორის, ყოფილი სპორტული მოედნის ადგილას ირაოარტის დაკვეთით მრავალფუნქციური კომპლექსის აგება იყო განსაზღვრული, რომელშიც საცხოვრებელი, სავაჭრო, სპორტული დანიშნულების ნაგებობები მოიაზრებოდა, (მთავარი არქიტექტორი შ. ჩიტიშვილი) [3], 2012 წ. პროექტის კორექტირების შემდეგ (მთ. არქიტექტორი გ. სულაბერიძე) დამტკიცდა და რეალიზებულ იქნა შედარებით დაბალი (2 სართული) გამზირისკენ ორიენტირებული სავაჭრო და აბულაძის ქუჩისკენ გამავალი ორი მაღლივი საცხოვრებლის ბლოკი [4], რომელთა პოსტმოდერნისტული ხასიათის მოცულობები ფილიპ ჯონსონის “Penzoil place”-ის წყვილის ფორმას და კომპოზიციურ გადაწყვეტას გვახსენებს. თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა ყიფშიძის ქუჩის საპირისპირო მხარეს, ჭავჭავაძის გამზირის და ყიფშიძის ქუჩის კუთხეში მდებარე ყიფშიძის 2/ჭავჭავაძის გამზირის 39ა ნომრით რეგისტრირებული შენობა (დამკვეთი შპს „ვაკე ჰილლ“), რომლის მშენებლობა გაჭიანურდა თავდაპირველი პროექტით დაწყებული შენობის დემონტაჟის (არქიტექტორი ლ. ქობულია) [5], ცვლილების, ხელახლა რეალიზების გამო (არქიტექტორი კობა ძლიერაშვილი) [6]. იქვეა იგივე მისამართით (ყიფშიძის 2) დაფიქსირებული კოპლექსი (დამკვეთი „ცენტრპოინტჯგუფი“, მთ. არქიტექტორები დ. მახარობლიშვილი, ზ. ნემსაძე. ნ. კოშაძე) [7]. გამზირის ამ მხარეს დომინანტურია ორი სპირალური ბლოკი გალაქტიონის ძეგლის უკან (შპს “axis“, არქიტექტორები ნ. კილასონია, გ. ასტახიშვილი, ნ. მოსულიშვილი) [8].

სურ. 2

სურ. 3

გასული საუკუნის შედარებით ერთგვაროვანი სადა განაშენიანებისგან განსხვავებით ჩამოყალიბდა ესთეტიკურად „ჭრელი“, დატვირთული მონაკვეთი, სადაც გალაკტიონის ძეგლის ფონად აზიდული „აქსისტაუერსის“ ორი სპირალური კოშკი აშკარად დომინანტურია. ამ „სიჭრელეს“ არ ახასიათებს იმგვარი ქაოსი, როგორიც სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანებას. გარკვეულწილად, ალბათ გალაკტიონის ძეგლმა განაპირობა მისი ადგილმდებარეობის ფოკუსირება ლანდშაფტური თუ არქიტექტურული გადაწყვეტით.

“აქსისტაუერსის” კოშკთა გამაერთიანებელ ქვედა დონეზე ფასადის სიბრტყის გამრუდება, გამზირისა და ყიფშიძის ქუჩის კუთხეში დონეთა განსხვავების „პანდუსური“ გადადინებითი გადაწყვეტა ხელს უწყობს ძეგლის აქცენტირებას და ამ ადგილის ურბანული თავისებურების ფოკუსის როლის, გამოკვეთას. რამდენად მისაღები იქნებოდა გარემოს ამგვარი ტრანსფორმაცია ძეგლის ავტორებისთვის (მოქანდაკე ჯ. მიქატაძე, არქიტექტორები ჯ. ჯიბლაძე, , მ. გოგიშვილი, 1989) რთული სათქმელია, თუმცა თავდაპირველი გადაწყვეტა - თავისუფალ სივრცეში პოეტის ექსპრესიული სკულპტურის ჩაწერისა, ჩემი აზრით, გალაკტიონის მღელვარე სულის, მისი სიმბოლისტური პოეზიის შესაფერისი ქროლვის და არა შებოჭვის ხასიათს უსვამდა ხაზს.

გამზირის საპირისპირო მხარეს ამგვარი ფოკუსირება მაღლივი მრავალფუნქციური კოპლექსებისა არ შეიმჩნევა, თუმცა მე-20 ს-ის შუა წლების გრძივ ერთგვაროვან განაშენიანებაში გაჩნდა თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციების ხასიათის ფრაგმენტები, განსხვავებული ფუნქციით, ესთეტიკით, მონუმენტურობით. მოსაშვილის ქ. #11 რეგისტრირებული, „ლიბერთი“ ბანკის მიმდებარე დეკონსტრუქტივისტული შენობის მასიური მოცულობა სწორედ ჭავჭავაძის გამზირისკენაა „გადაყირავებული“, ამდენად საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი არაორდინალური ესთეტიკა გამზირის პერსპექტიული აღქმისას (არქიტექტორები: დ. მეგრელიძე, ლ. მუშკუდიანი, გ. კიკნაძე, დამკვეთი-ვაკეპლაზა) [9].



სურ. 4

გამზირის ამავე მხარეს, ტაძრის მოპირდაპირედ მხარეს ორი მაღლივი კომპლექსი იქცევს ყურადღებას, კერძოდ სასტუმროს „Hilton Garden Inn“ განსხვავებული სიმაღლის, მუქი ტონის, მონოქრომული, მაღლივ ბლოკთა წყვილი (მაქს. სიმაღლე 84.700) „შერბილებული“ წიბოებით, სადაც ასევე სპა და საცხოვრებელია გათვალისწინებული (პროექტი - შპს "დეფანი არქიტექტურა" მთავარი არქიტექტორი ირაკლი შარაშიძე, თანაავტორი სტივენ დენქენბერგერი, შემდგომ ლ. მუშკუდიანი) [10] და მუქ ფონზე კონტრასტული ღია ფერის ეკრანული ჩარჩოებით აქცენტირებული მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) შენობა-ნაგებობა (დამკვეთი - კოლოსი XXI, არქიტექტორი დ. გოგიჩაიშვილი, შპს ჰაუსარტლუქსი), სიმაღლე-76,85) [11].



სურ. 5

სურ. 6

ხსენებული შენობების მნიშვნელობა განსაკუთრებით იკვეთება გამზირის აღქმისას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით, რომლის პერსპექტივას ასრულებს ალიანსგრუპის სამი მონუმენტური მშენებარე

ცათამბჯენი (ჩემი აზრით ამ რაკურსით შორეულ პერსპექტივაში შედარებით მისაღებია მათი აღქმა). საპირისპირო მიმართულებით ზემოთ ნახსენებ შენობებთან ერთად იკვეთება მიშველაძის ქუჩაზე, ჭავჭავაძის გამზირთან შედარებით გაცილებით დაბალ ნიშნულზე მდებარე ვისოლის შენობის ოხრის ტონალობის პოსტმოდერნისტული ვერტიკალი.



სურ. 7

შეიძლება ითქვას, რომ უკვე მკაფიოდაა გამოკვეთილი განსხვავებული ესთეტიკის მქონე მრავალფუნქციურ (სხვადასხვა ფუნქციის უპირატესობით) ცათამბჯენთა პრიმატი, რომელთა ფონზე გამზირის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს არსებული გრძივი განაშენიანების მე-20 ს-ის 50-იანი წლების საცხოვრებელი სახლების ფრაგმენტები მასშტაბით თუ „ფასადური“ არქიტექტურით მკვეთრად კონტრასტულია.საინტერესოა, რომ გამზირის ერთი მხარე (აქსისის, ტაძრის და ა.შ.) მიეკუთვნება საზოგადოებრივ-საქმიან ზონას-2, ხოლო საპირისპირო საზოგადოებრივ-საქმიან ზონას-1, შესაბამისად პირველის კ-2 4.6-ია, ხოლო მეორისა 3.5 [12].

აშკარაა და ბუნებრივიც, რომ ტაძრისა და საელჩოს მიმდებარე ტერიტორია, სადაც სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლის ტიპის „ბარაკები“ ჯერ კიდევ არსებობს, დაექვემდებარება ტრანსფორმაციას. ამჟამად უკვე არსებობს ტერიტორიის განვითარების საპროექტო წინადადება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ნებართვის გასაცემად. შეთავაზებულია საზოგადოებრივი სივრცის შექმნა მაღლივი მრავალფუნქციური კომპლექსით (შპს. ხმალაძე არქიტექტორები, მთ. არქიტექტორი გ. ხმალაძე, თანაავტორი ნ. ადვაძე, 2019) [13].

სურ. 8



სურ. 9

ამ შემთხვევაში ტაძრისა და საელჩოს ტერიტორიები სივრცული პაუზების როლს შეასრულებს ამ მხარეს, თუმცა არის საშიშროება მოპირდაპირე მხარის მაღლივი შენობებით გადატვირთვის, თუკი მისი რეკონსტრუქციის საკითხი წამოიჭრება, რაც გარდაუვლად მეჩვენება ამგვარი კომერციალიზაციის პირობებში.

გამეყენებული ლიტერატურა:

1. ნ.შავიშვილი., ჟურნალი „კამარა“. 2009.
2. ნ. ჯანბერიძე ქართული საბჭოთა არქიტექტურა, გვ.29.
3. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=19715 (06.52, 24.03.2023)
4. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=66090 (06.58, 24.03.2023)
5. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=363148 (07.00, 24.03.2023)

6. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=724531 (12.00, 22.03.2023)
7. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=72628 (12.10, 21.03.2023)
8. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=582640 (13.00, 21.03.2023)
9. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=590876 (13.52, 24.03.2023)
10. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=115286(07.12,19.03.2023)
https://tas.ge/?p=publicpage&documentId=548487 (07.20, 19.03.2023)
11. https://tas.ge/?p=publicpage&documentId=328656 (07.30, 19.03.2023)
12. https://tas.ge/?p=content&type=1&id=8305 (12.00, 19.03.2023)
13. https://letters.ms.gov.ge/public/document-details/3249937 (08.00, 24.03.2023)

რეზიუმე

დღეს სწრაფი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, კომერციალიზაცია, პოლიტიკური გავლენების გადანაწილება პოსტსაბჭოთა საქართველოში გამოვლინდა ყველა სფეროში, განსაკუთრებით არქიტექტურაში, რაც აშკარად ჩანს თბილისის ცენტრალურ რაიონებში.

სტატიაში განხილულია თბილისის მნიშვნელოვანი არტერიის, ჭავჭავაძის გამზირის ერთი მონაკვეთის სახეცვლილება ბოლო ათწლეულში. საუბარია გალაქტიონის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გამოიკვეთა უპირატესად სავაჭრო და საქმიან ცენტრად ჩამოყალიბების ტენდენცია. ამ პროცესის შესაბამისად მკვეთრად შეიცვალა მისი ესთეტიკური სახე, ტერიტორია დაიტვირთა სრულიად განსხვავებული იერსახის, შერეული სიმაღლის, უფრო მეტად მაღლივი მრავალფუნქციური შენობებით. მოხდა განაშენიანების ერთგვარი კუმულაცია გალაქტიონის ძეგლის, როგორც ფოკუსის გარშემო, სადაც დომინანტურია „Axis Towers"-ის წყვილი.

შევეცადეთ თანამიმდევრულად, ეტაპების განხილვით წარმოგვედგინა ამ ადგილის ტრანსფორმაციის პროცესი, ესთეტიკური თვალსაზრისით შეგვეფასებინა უკვე დამდგარი შედეგები და შევხებოდით მოსალოდნელ ცვლილებები.

About Transformation of one Section of Chavchavadze Avenue

Dzidziguri M.

Resume

Nowad ays, rapid political and economic changes, commercialization, redistribution of political influences in post-Soviet Georgia have been revealed in all

areas, especially in architecture, which is clearly visible in the central regions of Tbilisi.

The changes in the appearance of one of the sections of an important artery of Tbilisi, Chavchavadze Avenue, over the past decade. We are talking about the area around the Galaktion monument, where the tendency of turning this territory into a trade and business center is mainly obvious. In accordance with this process, its aesthetic appearance has changed dramatically, the territory was filled with multi-functional (with a predominance of different functions), mixed-storey(mainly multi-storey) buildings of various nature. There is a cumulation of buildings around the Galaktion monument, as around a focus, where the pair of "Axis Towers" is dominant.

We tried to characterize the process of transforming this place in stages, evaluate the results already available from an aesthetic point of view and touch on the likely expected changes.

რედაქტორები: ნ. ქაფიანიძე, დ. ქურიძე, ე. ეგოროვა

გადაეცა წარმოებას 11.07. 2023 ხელმოწერილია დასაბეჭდად 07.10.2023 ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი ტაბახი 13.5

საგამპმცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent